10 216

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲙᲘᲚᲘᲜᲐᲫᲔ

ᲩᲔᲖᲐᲠᲔ ᲑᲔᲭᲐᲠᲘᲐ

ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲯᲔᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ირაკლი ხუცურაული

ჩეზარე ბეკარია

დანაშაულისა და სასჯელისათვის

-10 216-

გამომცემლობა
"საქართველოს მაცნე"

თბილისი – 2003

УДК 343+1+32
ბ 441

იტალიურიდან თარგმნა,
ბიბლიოგრაფია შეადგინა, განიხილა და
კომენტარები დაურთო
ირაკლი ხუცურაულმა

რედაქტორი: **ელენე ლეჟავა**
რეცენზენტი: იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, **ოთარ გამყრელიძე**

რენცენზენტისაგან

რამდენიმე წლის წინ სამსახურში ერთი ახალგაზრდა, მანამდე ჩემთვის უცნობი, კაცი გამომეცხადა და მითხრა, რომ გადაწყვეტილი ჰქონდა ასპირანტურაში ჩაბარება და სამეცნიერო მუშაობის დაწყება სისხლის სამართალში ჩემი ხელმძღვანელობით, თუკი, რასაკვირველია, ამაზე დავთანხმდებოდი. მაშინვე შევაგებე კითხვა: ფლობდა თუ არა რომელიმე დასავლურ ენას. მან მიპასუხა, რომ რამდენიმე წელი იტალიაში მოღვაწეობდა და თავისუფლად ფლობს იტალიურს.

იტალიურის გაგონებაზე მისი მოსვლის მიზეზი დროებით გულიდან გადამვარდა და თავში სულ სხვა აზრმა გამიელვა – თუკი იტალიურ ენას ასე კარგად ფლობ – მივმართე ახალგაზრდას, – ქართული იურიდიული ლიტერატურისთვის ერთი ფრიად საშური საქმე გააკეთე. აიღე და გადმოთარგმნე იტალიურიდან სახელგანთქმული იტალიელი განმანათლებლის ჩეზარე ბეკარიას წიგნი "დანაშაულისა და სასჯელისათვის". ეს წიგნი, რომელიც მე-18 საუკუნეში დაიწერა, სამწუხაროდ, დღემდე ქართულად არ გვითარგმნია.

– ვითარგმნო? – მკითხა გაკვირვებულმა ახალგაზრდა იურისტმა, შემდეგ წამოდგა და უხმოდ დატოვა კაბინეტი. ამის შემდეგ გავიდა რამდენიმე თვე და ის ახალგაზრდა, რომლის სახელი და გვარია ირაკლი ხუცურაული, ისევ გამომეცხადა სამსახურში. ირაკლიმ წინ დამიდო ჩეზარე ბეკარიას ქართული თარგმანი და თან ამ წიგნის იტალიური გამოცემა მოაყოლა.

სამწუხაროდ, იტალიური ენა ჩემთვის უცხოა და ამიტომ დედანს თარგმანთან ვერ შევადარებდი. გავეცანი მხოლოდ ქართულ ტექსტს და ვინაიდან იტალიური არ ვიცი, სტილისტური კორექტირება ძალიან ფრთხილად შევასრულე, რომ არ მომეხდინა წიგნზე შინაარსობრივი ზეგავლენა, ავტორის აზრი არ დამემახინჯებინა.

ჩეზარე ბეკარიას წიგნი მე-18 საუკუნეში დაიწერა. კერძოდ, წიგნი ავტორს 1764 წ. დაუმთავრებია. იგი სწრაფად უთარგმნიათ ფრანგულ, ინგლისურსა და სხვა დასავლურ ენებზე. ერთი სიტყვით, ნაშრომს მაშინდელ ცივილიზებულ სამყაროში დიდი დაინტერესება მოჰყოლია. ცხადია, წიგნისადმი ამგვარი ინტერესი მხოლოდ მოწონებით არ იყო გამოწვეული. ჩეზარე ბეკარიას აზრებს შეურიგებელი მოწინააღმდეგეებიც გამოუჩნდნენ. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან მე-18 საუკუნეში განმანათლებლობა ახალი "ხილი" იყო დასავლეთისათვის და ფეოდალური იუსტიცია იქ ჯერ კიდევ გაბატონებულად მიიჩნეოდა.

ქართულ ენაზე წიგნი, მართალია, დიდი დაგვიანებით ითარგმნება, მაგრამ ნათქვამია: სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო. თუმცა დაგვიანებული არც დღეს არის ეს საქმე, თუ გავითვალისწინებთ ჩვენი საზოგადოებრივი თუ სახელმწიფოებრივი განვითარების დონეს. ჩეზარე ბეკარიას წიგნში ჩამოყალიბებულია თანამედროვე სისხლის სამართლის პრინციპები, რაც დასავლური ორიენტაციის გზაზე მდგარი საქართველოს საზოგადოებრივი აზროვნებისათვის, როგორც იტყვიან, ჰაერივით არის საჭირო.

ამ თვალსაზრისით თუ განვსჯით, წიგნის მთარგმნელმა ირაკლი ხუცურაულმა უთუოდ დროული და ნამდვილად საშური საქმე გააკეთა. მით უმეტეს, რომ მან თარგმანს მეტად საინტერესო საკუთარი განხილვა დაურთო, შეადგინა ბიბლიოგრაფია, მეცნიერულად აღწერა და ერთმანეთს შეადარა სხვადასხვა რედაქციით დაბეჭდილი გამოცემები. ამრიგად, ირაკლი ხუცურაულის აღნიშნიშნული ნამუშევარი საინტერესო სამეცნიერო ნაშრომს წარმოადგენს.

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ***ოთარ გამყრელიძე***

წინასიტყვაობა

სამართლებრივი, ფილოსოფიური, დიპლომატიური და პოლიტიკური წიგნი, – „დანაშაულისა და სასჯელისათვის“, ჩეზარე ბეკარიას ნაშრომებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოებია, რომელსაც ანალოგი არ მოეპოვება. იგი უნიკალურ საგანძურადაა მიჩნეული და ამჟამადაც მეტად აქტუალური გახლავთ.

აღნიშნული ნაწარმოები მსოფლიოს მრავალ ენაზეა გამოცემული, თუმცა, ქართულად დღემდე არ თარგმნილა. თარგმანთან ერთად შევადგინეთ წიგნის ბიბლიოგრაფია, განვიხილეთ და კომენტარები დაურთეთ.

1965 წელს, ჯულიო ეინაუდის პირველი რედაქციით გამოიცა „ახალი უნივერსალური ნაშრომი“, რომელიც ტურინში გამოვიდა. აღნიშნული გამოცემა V რედაქციის სრულ ვარიანტს წარმოადგენს, შემდგომში იგი დაიხვეწა და 1994 წლის მარტში, იმავე სტამბაში („Nuova Universale Einaudi“, Borgaro, Torino), ფრანკო ვენტურის რედაქციით დაიბეჭდა.

კანონიკურად მიგვაჩნია სწორედ აღნიშნული გამოცემა, რომლის მიხედვითაც, ჩვენი თარგმანია შესრულებული.

სათაური ჩვენ შეგვეძლო გვეთარგმნა როგორც „დანაშაულთა და სასჯელთა შესახებ“, მით უმეტეს, რომ იგი საზოგადოებისათვის სწორედ ამ სათაურითაა ცნობილი (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია II ტომი, 271-ე გვ.), მაგრამ უპირატესობა სამართლებრივ-ფილოსოფიური ასპექტების ზუსტად გადმოცემას მივანიჭეთ. ამასთან, თავისი შინაარსით სიტყვები — „დანაშაული“ და „სასჯელი“ კრებითი მნიშვნელობისაა, ამიტომ ნაწარმოებში ისინი მხოლობით რიცხვში გვაქვს გამოყენებული.

ჩეზარე ბეკარიას პროგრესული იდეები საფუძვლად დაედო XVIII საუკუნისა და შემდგომი პერიოდის ევროპული სახელმწიფოების სისხლის სამართლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ პრინციპებს და ე. წ. სისხლის სამართლის კლასიკური სკოლის ჩამოყალიბებაზე მოახდინა გავლენა.

ირაკლი ხუციშვილი

ჩეზარე ბეკარიას შესახებ

უდიდესი მეცნიერი, იურისტი, ფილოსოფოსი, პოლიტიკოსი და პუბლიცისტი მარკიზ დი ჩეზარე ბეკარია 1738 წლის 15 მარტს იტალიის ჩრდილოეთით, ქალაქ მილანში დაიბადა. იგი ჩრდილოეთ იტალიის თავადაზნაურთა ცნობილ გვარს მიეკუთვნებოდა. XII საუკუნეში, მისი წინაპრები იყვნენ ქალაქ პავიას ძლევამოსილი ტირანები, რომელთაგან უკანასკნელი, აჯანყებული ხალხის მიერ XIV საუკუნეში გახლდათ გაძევებული. მათი სასახლეები დაანგრიეს და როგორც ქრონიკა მოგვითხრობს, „მათ ბოროტმოქმედებათა ცოცხალი ხსოვნა რომ შეენარჩუნებინათ, ქალაქის თითოეული მაცხოვრებელი დანგრეული სასახლეებისა თუ კოშკების ქვას ბალიშის ქვეშ ინახავდა“ (ამატი[1]).

[1] ჩეზარე ბეკარიას ბიოგრაფიის აღმწერი (ი. ხ. რედ.).

ამატის დახასიათებით, ბეკარიას მამა, მარკიზ ჯოვანი სავერიო, პატრიციული ოჯახის ტიპური მთავარი, „გახლდათ პატარა ოლიმპი, სადაც ღმერთები მთავრებად და მეორეხარისხოვნებად იყოფოდნენ“. ამგვარი ოჯახის ძირითადი საფიქრალი „სახლის პატიოსნების“ შენარჩუნება იყო, რაც გამოიხატებოდა ბრწყინვალე ჩაცმადახურვაში, მრავალრიცხოვან შინამოსამსახურებში, დიდებულ წვეულებებში და, რაც მთავარია, მოწყალების ისეთ გაღებაში, მთელ ქვეყანას რომ ეცოდინებოდა.

9 წლის ჩეზარე ქალაქ პარმის იეზუიტთა კოლეჯში მიაბარეს, რომელიც 17 წლის ასაკში დაამთავრა. 15 წლისას უკვე დასრულებული ჰქონდა „ფილოსოფიური კურსი“. რიტორიკასა და მათემატიკას ისეთი წარმატებით მეცადინეობდა, რომ მასწავლებლებმა მას „პატარა ნიუტონი“ („Neutoncino“) შეარქვეს. შემდეგ მან სწავლა ქ.პავის უნივერსიტეტში განაგრძო და სამართლის დოქტორის ხარისხი მიიღო. ბიოგრაფთა ცნობით, ბეკარია მეტად სიტყვაძუნწი და ფიქრისადმი მიდრეკილი იყო. ცოდნას საკმაოდ ძნელად ამჟღავნებდა და შექებისას უკმაყოფილო რჩებოდა. 22 წლის ბეკარია მამის სურვილის წინააღმდეგ დაქორწინდა ტერეზა დე ბლანკოზე, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე ძალიან უყვარდა. პარიზიდან მეუღლისადმი გამოგზავნილ მის წერილებში,

დიდი გრძნობები და უზომო მონატრებაა გამოხატული. ბეკარია აღნიშნავდა, რომ მიუხედავად პროფესიული წარმატებისა და პარიზის მჩქეფარე ცხოვრებისა, იგი მუდამ ოჯახში დაბრუნებაზე ფიქრობდა.

სისხლის სამართლის სფეროში ბეკარია ფრანგ განმანათლებელთა იდეებს ავითარებდა, რაც აისახა მის ყველაზე მნიშვნელოვან ნაშრომში „დანაშაულისა და სასჯელისათვის", რომელიც 1764 წელს, 26 წლის ასაკში დაწერა.

ბეკარიას სიცოცხლეში მილანი ლომბარდიის დედაქალაქი იყო და ჩრდილოეთ იტალიის ის მნიშვნელოვანი ნაწილი გახლდათ, რომელიც 1707 წლის უტრეხტის ზავის შემდეგ ავსტრიის მონარქიის შემადგენლობაში შევიდა. ჯერ კიდევ XIV-XV საუკუნეებში მილანი ჩრდილოეთ იტალიის ერთ-ერთი ყველაზე აყვავებული საეჭრო და სამრეწველო ცენტრი იყო და დამოუკიდებელი მილანის საჰერცოგოს დედაქალაქს წარმოადგენდა. ამერიკისა და აფრიკის გარშემო ინდოეთისაკენ გზის აღმოჩენამ, თურქების მიერ კონსტანტინოპოლისა და ახლო აღმოსავლეთის დაპყრობამ, ჩრდილოეთ იტალიის ქალაქების ეკონომიკურ ძლიერებას სასტიკი დარტყმა მიაყენა. იმ დროის უძლიერესი სახელმწიფოების – ესპანეთის და საფრანგეთის – XVI საუკუნეში დაწყებულმა

ბრძოლამ იტალიური სამფლობელოებისათვის, აგრეთვე, ესპანეთის მიერ ლომბარდიის დაპყრობამ მილანის ეკონომიკური კეთილდღეობა და მისი ბურჟუაზიის პოლიტიკური მნიშვნელობა საბოლოოდ შეარყია. თუმცა, ლომბარდიის დიდგვაროვნებმა ესპანეთის ფეოდალურ წრეებში მხარდაჭერა ჰპოვეს, ისინი შესუსტების ნაცვლად უფრო გამდიდრდნენ და გაძლიერდნენ. დიდგვაროვნები გადატაკებული მოქალაქეებისაგან მიწებს ყიდულობდნენ და საკუთარ მამულებში პატარა ტირანებად გვევლინებოდნენ.

ბეკარია უპირისპირდებოდა ყოველგვარ თვითნებობას. მას მიაჩნდა, რომ სასამართლო ვალდებული იყო ბრმად მიჰყოლოდა კანონმდებლის ნებას და უფლება არ ჰქონდა განემარტა კანონი. იგი სისხლის სამართლის კანონის წინაშე ყველას თანასწორობას აღიარებდა. მისი აზრით, სასჯელის სახისა და ზომის განსაზღვრისას გადამწყვეტი იყო არა წოდებრივი მდგომარეობა, არამედ თვით დანაშაულის სიმძიმე. იგი იმ დროისათვის გავრცელებული საჯაროდ დასჯის წინააღმდეგ ილაშქრებდა და წამების გზით მტკიცებულების მიღებას დაუშვებლად მიიჩნევდა.

თავის წიგნში „დანაშაულისა და სასჯელისათვის“ ჩეზარე ბეკარია საკუთარ ქვეყანას არასდროს აღწერს,

მისი მკვეთრი მხილება ზოგადად ძალადობის, დათრგუნვის, უსამართლობის, კანონთა სიმკაცრის წინააღმდეგაა მიმართული, ამიტომაც ნებისმიერმა მკითხველმა შეიძლება იგულისხმოს – „De te fabula narratur" – „საუბარია შენს შესახებ".

ბეკარიას შემოქმედებას ეკუთვნის, აგრეთვე, სტატია – „წარმოსახვის სიტკბოებისათვის". სტატია გვეხმარება პიროვნების არსის გაგებაში. მისი აზრით, ადამიანთა დიდმა ნაწილმა ტკბობა რომ შეიგრძნოს, არსებულ საგანთა უშუალო ზემოქმედებას საჭიროებს. „თუმცა, ბრძენმა, რომელმაც იცის თუ როგორი იშვიათი და წუთიერია სწრაფად წარმავალი შემთხვევით ბოძებული სიამოვნებანი, ჯადოსნური წარმოდგენის დახმარებით შეუძლია გაახანგრძლივოს, შეამკოს და გააფართოვოს მათი ის მცირე ნაწილი, რომელსაც ბედისწერა მას ჩუქნის. ფიზიკურ სიამოვნებათაგან განსხვავებით, საშიშროების გარეშე შეძენილი წარმოსახვის ტკბობანი, რომლისაც უმრავლესობას არ შურს და მათ არ აფასებს, უმაღლესი ნეტარების თუ არა, ყოველ შემთხვევაში, სიმშვიდის მომნიჭებელი მაინცაა. ადამიანთა საქმეებში, როგორც პრაქტიკულში, ასევე ჭეშმარიტების ძიებაში, ცნობილი ფილოსოფიური გულგრილობის (inddezza) შეთვისებაა აუცილებელი. თუ არ ეკიდები გრძნობით

შთაბეჭდილებებს, ნუ ჩქარობ იცხოვრო; გახსოვდეს, რომ ძალიან ბევრი განცდილი წამები, სხვა წამების ხარჯზე მიდის. გვერდიდან დაუკვირდი, ადამიანები როგორ ბრმად და არეულად ეჯახებიან ურთიერთს. ისეთი მანძილიდან გაუკეთე მათ სიკეთე, რომ თავის მორევში არ ჩაგითრიონ. ბედნიერო დამკვირვებელო, დატკბი იმ ხანმოკლე წუთიერებით, რომელიც ბოძებული გაქვს დაბადებიდან სიკვდილამდე. არ შეურაცხყო საკუთარი თავი შეცდომით, იყავი სამართლიანი ირგვლივ მყოფი ყველა არსების მიმართ. დაე, ადამიანების მიერ ფეხქვეშ გათელილმა ცხოველებმაც კი იგრძნონ შენი სამართლიანობა, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, არ წარმოიდგინო, რომ მიწიერი სრულქმნილება ხარ, ანუ ის ადამიანი, რომელსაც სურს სრულყოფილი მანერები, მჭევრმეტყველება და განათლება გააჩნდეს“.

ღრმად დამკვირვებელი გონებისა და ძლიერ მგრძნობიარე გულის მქონე ჩეზარე ბეკარია, თავის შემოქმედებაში საუკეთესოდ აღწერს არსებულ უთანასწორობას, „როდესაც ერთ მხარეს მთელი ძალაუფლება და ბედნიერება, მეორეზე კი – მხოლოდ უძლურება და სიღატაკეა“. ბეკარიას აზრით, სხვადასხვა ერის კანონთა მნიშვნელოვანი ნაწილი დიდგვაროვნებს პრივილეგიებს ანიჭებს. „ჩემს მიერ გამოთქმული საწყისები, – წერს ბეკარია,

– რასაკვირველია, არ მოეწონებათ მათ, ვინც თავს უფლებას აძლევს ზემოდან მიღებული ტირანიის დარტყმები ქვეშერმდომებზე გადაიტანოს“. ბეკარია არ ცდებოდა; მილანის არისტოკრატიას იგი სიკვდილამდე სძულდა და თავის სამშობლოში მას მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე დიდებით არასდროს უსარგებლია.

ჩეზარე ბეკარია 1794 წლის 28 ნოემბერს, 56 წლის ასაკში საკუთარ ოთახში გულის ინფარქტით გარდაცვლილი იპოვეს.

ირაკლი ხუცურაული

28 წლის ჩეზარე ბეკარიას პორტრეტი, სპილენძში შესრულებული კარლო ფაუჩის მიერ, დიზაინი – ანტონიო პერეგოსი.

DEI DELITTI
E
DELLE PENE.

In rebus quibuſcumque difficilioribus non expectandum, ut quis ſimul, & ſerat, & metat, ſed praeparatione opus eſt, ut per gradus mature-ſcant. Bacon. Serm. fidel. num. XLV.

MDCCLXIV.

მოცემა – დაბეჭდილი 1764 წლის ივლისს
ქალაქ ლივორნოში.

V გრავირებული გამოცემა, რომელზეც ჯალათი სისასტიკით შეძრწუნებულ თავმიბრუნებულ მართლმსაჯულების ქალღმერთს აწვდის სამ მოკვეთილ თავს.

დანაშაულისა
და
სასჯელისათვის

მეტად რთულ საქმეებში არ შეიძლება
მოელოდე, რომ ვინმე ერთბაშად თესდეს
და მკიდეს, არამედ უნდა იზრუნო, რათა
ისინი თანდათან მომწიფდნენ.

ბეკონი[1].

გულახდილი საუბრები, XLV.

საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათ
აკადემიის სახელმწიფო და
საერთაშორისო ბიბლიოთეკა

ფრანსის ბეკონი (22.01.1561-09.04.1626) – ინგლისელი ფილოსოფოსი, ...ლისური მატერიალიზმის ფუძემდებელი. მისი შრომებიდან ...ითადია „მეცნიერებათა დიადი გადახალისება“ (ი.ხ. რედ.).

მკითხველისათვის

თორმეტი საუკუნის წინ კონსტანტინოპოლში მმართველი ხელმწიფის[1] ბრძანებით შეგროვებული, შემდგომში ლონგობარდების წეს-ჩვეულებებთან შერეული და კერძო პირთა მიერ ჩახლართული განმარტებებით სავსე ფოლიანტების გროვაში მიმალული დამპყრობელი ხალხის კანონების ძველი ნაწყვეტები, შეადგენენ კრებულს იმ გადმოცემებისა, რომელთაც ევროპის მნიშვნელოვან ნაწილში მაინც კანონებს უწოდებენ. რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, დღემდე ყველგან კარპცოვიუსის[2] აზრი, კლარუსის[3] მიერ აღნიშნული ძველი წეს-ჩვეულება, ფარინაჩის[4] ღვარძლიანი მლიქვნელობით ნაკარნახები წამების სახეობა, –

---

[1] იუსტინიანე.

[2] ბენედიქტ კარპზოვი (1595-1666), გერმანელი იურისტი.

[3] ჯულიო კლარო (1525-1575), ალექსანდრიელი იურისტი.

[4] პროსპერო ფარინაჩი (1544-1618), რომაელი იურისტი და ადვოკატი.

კანონებადაა მიჩნეული და ცივსისხლიანად გამოიყენება მათ მიერ, ვისაც გულისფანცქალით უნდა გადაეწყვიტა ადამიანთა ყოფნა-არყოფნის ბედი. აღნიშნული კანონები ყველაზე ბარბაროსულ საუკუნეთა მემკვიდრეობას წარმოადგენს და წინამდებარე წიგნში განვიხილავთ რამდენად შეადგენს ის სისხლის სამართლის სისტემას. მე ვბედავ, კანონთა ნაკლოვანებანი გადმოვცე მათ წინაშე, ვისზეც გაუნათლებელ და სულსწრაფ მდაბიოთაგან დამაშორებელი ენით საზოგადოებრივი ბედნიერებაა დამოკიდებული. ჭეშმარიტების გულახდილი ძიება და დამოუკიდებლობა მიღებულ აზრთაგან, რომლითაც მოცემული ნაშრომია დაწერილი, შესაძლოა მხოლოდ შემწყნარებელი და განათლებული მთავრობის დროს, რომლის ძალაუფლების ქვეშაც ცხოვრობს ავტორი. ჩვენ მმართველ, კაცობრიობის კეთილმყოფელ უდიდეს მონარქებს უყვართ ჭეშმარიტებანი, გამოთქმული მოკრძალებული ფილოსოფოსის მიერ ძალით და არა ფანატიზმით, რომელიც დამახასიათებელია მათთვის, ვინც მზადაა უგუნურებით მოტყუებას ან ძალადობას მიმართოს. თითოეული, ვინც აღწერილ უწესრიგობას ჩასწვდება, გაიგებს, რომ ეს მინიშნება არაა ამჟამინდელ და კანონმდებლებზე, იგი განვლილი დროის საყვედური და დაცინვაა.

აქედან გამომდინარე, თავისი კრიტიკით ჩემი პატივისცემის მსურველმა თავდაპირველად კარგად უნდა აღიქვას ის მიზანი, რომლითაც აღნიშნული ნაშრომია დაწერილი: მისი მიზანია – არა შეასუსტოს, არამედ გააძლიეროს კანონიერი ხელისუფლება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მრწამსი მეტად უცილობლად მოქმედებს სულზე, ვიდრე – ძალადობა და იგი ყველას თვალში თავისი ზომიერებითა და ადამიანობითაა გამართლებული. ჩემი თხზულების აზრი, კრიტიკის ცუდი განზრახვებით დამახინჯებული გახლდათ. აღნიშნული მაიძულებს, დროებით შევწყვიტო განათლებული მკითხველისადმი მიმართული მსჯელობანი, რათა ერთხელ და სამუდამოდ ჩავუკეტო ყოველგვარი მისაწვდომი, მხდალი გულ-მოდგინებითა და ბოროტი შურით წარმოშობილი ცილისწამებით გამოწვეულ შეცდომებს. არსებობს სამი წყარო ზნეობრივი და პოლიტიკური საწყისებისა, რომელიც ადამიანებს მართავს: ღვთაებრივი ზეშთაგონება, ბუნებრივი კანონები და ნებაყოფლობითი საზო-გადოებრივი შეთანხმებანი. თავისი ძირითადი მიზნით პირველი წყარო სხვებისაგან განსხვავდება, მაგრამ მსგავსება იმაში მდგომარეობს, რომ ყველა მათგანს ამ მიწიერ ცხოვრებაში ბედნიერების მიღწევამდე მივყავართ. საზოგადოებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე

ურთიერთობათა განხილვა ჯერ კიდევ არ ნიშნავს პირველი ორი წყაროდან გამომდინარე ურთიერთობათა უარყოფას, მაგრამ გულახდილობისა და ბუნებრივი კანონის შესახებ წარმოდგენებიც კი, მათი ღვთაებრიობისა და შეუცვლელობისაგან დამოუკიდებლად, ადამიანთა ბრალეულობის გამო ათასჯერ მახინჯდებოდნენ ცრუ რელიგიებითა და გარყვნილ გონებათა თვითნებური წარმოდგენებით ბიწიერებისა თუ ზნეობრიობის შესახებ. ამიტომ, სხვა მოსაზრებათაგან დამოუკიდებლად, აუცილებელია, განვიხილოთ მხოლოდ საზოგადოებრივი შეთანხმებებიდან გამომდინარე საერთო სარგებლობის ინტერესებში ნაგულისხმები შედეგები. ნებისმიერმა სექტამ და ზნეობრივმა სისტემამ ამგვარი გამოკვლევის აუცილებლობა უნდა აღიაროს; ყოველთვის შექების ღირსი იქნება მცდელობა, რომელიც აიძულებს ყველაზე შეუპოვრებსა და ურწმუნოებს, ადამიანთა საზოგადოებაში ცხოვრების სურვილის აღმძვრელ საწყისებს შეეწყონ.

აქედან გამომდინარე, არსებობს ზნეობრიობისა და ბიწიერების სამი სახეობა: რელიგიური, ბუნებრივი და პოლიტიკური. აღნიშნული არასდროს უნდა ეწინააღმდეგებოდეს ერთმანეთს, მაგრამ ერთი სახეობიდან გამომდინარე ყველა შედეგი და მოვალეობა, არ შეიძლება გამოტანილი იყოს დანარჩენებიდან. წმინდა კანონის

მიხედვით, ყველაფერი, რასაც ღვთაებრივი გულახდილობა მოითხოვს, საჭირო არაა ბუნებრივი კანონებისთვის და ყველაფერი, რაც ამ უკანასკნელისთვის არის აუცილებელი, საჭირო არაა საზოგადოებრივი კანონებისათვის. საგანგებოდ გამოსაყოფია ის, რაც აღნიშნული საზოგადოებრივი ანუ ადამიანთა მიერ მიღებული ან ნაგულისხმევი შეთანხმებებიდან გამომდინარეობს, ვინაიდან ისინი შეადგენენ ზღვარს იმ ხელისუფლებისა, რომელსაც კანონის მიხედვით, უმაღლესი არსების განსაკუთრებული დავალების გარეშე – ადამიანთა შორის მოქმედება შეუძლია. ამგვარად, პოლიტიკური ზნეობრიობის იდეა, მისი მნიშვნელობის დაუკნინებლად, შესაძლოა ცვალებადად მივიჩნიოთ; ბუნებრივი ზნეობრიობის იდეა ადამიანური უმეცრებისა და ვნებებისაგან რომ არ იჩრდილებოდეს, ყოველთვის ნათელი და ცხადი იქნებოდა. ამაღლებული და თვით ღმერთის მიერ დაცული რელიგიური ზნეობრიობის იდეა, ყოველთვის ერთიანი და შეუცვლელი რჩება.

მაშასადამე, შეცდომა იქნებოდა საზოგადოებრივ შეთანხმებებსა და მათ შედეგებზე მოსაუბრისათვის მიეწერათ საწყისები, რომელიც ბუნებრივ კანონს ან ღვთაებრივ გულახდილობას ეწინააღმდეგება იმ საფუძველზე, რომ იგი მათზე არაფერს ამბობს. შეცდომა

იქნებოდა გვემტკიცებინა, რომ საზოგადოების წარმოშობის წინამორბედ ომის მდგომარეობაზე მოსაუბრე იგებს აღნიშნულს როგორც გობსი ანუ, იმის ნაცვლად, რომ ეს მდგომარეობა განიხილოს როგორც ადამიანური ბუნების წახდენითა და დადებითი კანონების უქონლობით განპირობებული, ვარაუდობს, რომ მაშინ არ იარსებებდა არც ვალი, არც მოვალეობა. შეცდომა იქნებოდა საზოგადოებრივი შეთანხმების შედეგთა შემსწავლელი მწერლის დადანაშაულება იმაში, რომ იგი მათ არსებობას თვით შეთანხმების მიღებამდე არ უშვებს. ღვთაებრივი და ბუნებრივი სამართლიანობა თავისი არსით უცვლელი და მუდმივია, ვინაიდან ერთი და იმავე საგნებს შორის ურთიერთობა მუდამ ერთი და იგივეა. საპირისპიროდ, ადამიანური, ანუ პოლიტიკური სამართლიანობა – სხვა არაფერია, თუ არა იმ მოქმედებას შორის დამოკიდებულება და საზოგადოების ცვალებადი მდგომარეობა, რომელიც შესაძლოა შეიცვალოს იმის მიხედვით, ესა თუ ის ქმედება საზოგადოებისათვის რამდენად სასარგებლო ან აუცილებელია. იგი არ შეიძლება სწორად შევიცნოთ მოქალაქეობრივი ყოფის რთული და საგანგებოდ ცვალებადი დამოკიდებულების შესწავლის გარეშე. არ შეიძლება სწორად ვიმსჯელოთ პოლიტიკურ საწყისებზე, თუ არეული იქნება ეს

არსებითად განსხვავებული საწყისები. დაე, ღვთისმეტყველმა თვითონ დაადგინოს საზღვარი სამართლიანობასა და უსამართლობას შორის, ამა თუ იმ ქმედების შინაგანი ბოროტების ან სიკეთის მიხედვით; დაადგინოს საზღვარი სამართლიანსა და უსამართლოს შორის პოლიტიკური მნიშვნელობით, ანუ საზოგადოებისათვის სარგებლობისა თუ ზიანის მიყენების თვალსაზრისით ამის გარკვევა პუბლიცისტის ამოცანაა. ერთი ამოცანა არ განაპირობებს მეორეს ამოხსნას, ვინაიდან თითოეულისათვის ცხადია, თუ რამდენად ჩამოუვარდება პოლიტიკური პატიოსნება, ღვთისგან ბოძებულ უცვლელ ზნეობრიობას.

ვიმეორებ, ვისაც სურს პატივი დამდოს თავისი კრიტიკით, უპირველეს ყოვლისა, არ უნდა მომაწეროს ის საწყისები, რომელნიც ანგრევენ ზნეობრიობას ან რელიგიას, რადგანაც მე ვაჩვენე, რომ ეს ჩემი საწყისები არაა და იმის მაგივრად, რომ წარმომაჩინოს ურწმუნოდ ან მეამბოხედ, უმჯობესია დაამტკიცოს, რომ მე ცუდი მოაზროვნე ან არაშორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი ვარ; ის არ უნდა მიეცეს შიშს ნებისმიერი შეთავაზებისას, რომელიც კაცობრიობის ინტერესებიდან გამომდინარე წამოიჭრება; უნდა დამარწმუნოს ჩემს მიერ გამოთქმული საწყისების უსარგებლობასა ან პოლიტიკურ საშიშ-

როებაში და მან უნდა დამიმტკიცოს მიღებული წესების უპირატესობა. მე საჯაროდ დავადასტურე ჩემი რელიგიურობა და მორჩილება ჩემი სუვერენისადმი პასუხით ჩანაწერებსა და შენიშვნებზე. შემდგომში, ზედმეტი იქნებოდა პასუხის გაცემა ამგვარ ნაწერებზე, მაგრამ ნებისმიერი, ვინც დაწერს წესიერად, ისე, როგორც შეეფერება პატიოსან ადამიანს და იმ ცოდნით, რომელიც ამარიდებს პირველსაწყისების დამტკიცების აუცილებლობას, რა ხასიათისაც არ უნდა იყოს ის, ჩემში უფრო მშვიდობიანად განწყობილ ჭეშმარიტების მოყვარულს აღმოაჩენენ, ვიდრე ადამიანს, რომელიც ყველა შემთხვევაში პასუხის გაცემისაკენ მიისწრაფვის".

ყველაფერი, ჩართული ამ ნიშანს „*" შორის წარმოადგენს პირველ დამატებებს, ხოლო ჩართული მეორე ნიშანს „†" შორის მეორე დამატებებს.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ადამიანები, თითქმის ყოველთვის, უმნიშვნელოვანესი წესების დადგენას, ან ჩვეულებრივ ყოფით გონებას უთმობენ, ან შეხედულებებს იმ პირებისა, ვის ინტერესებშიცაა ყველაზე მეტად ბრძნული კანონების შემოღებისათვის წინააღმდეგობის გაწევა, ანუ ისეთი კანონებისა, რომელნიც თავისი ბუნებით კეთილდღეობას ავრცელებენ ყველაზე და არ უშვებენ, რომ იგი ერთეულთა საკუთრებად იქცეს – როდესაც ერთ მხარეს მთელი ძლევამოსილება და ბედნიერება, მეორეზე კი მხოლოდ უძლურება და სიღატაკეა. ამიტომ, მხოლოდ სიცოცხლისა და თავისუფლებისათვის მეტად მნიშვნელოვან საკითხებში ათასობით მცდარი აზრის გამოვლის შემდეგ, მხოლოდ ტანჯვებისაგან უკიდურეს ზღვრამდე მისული მოქანცული ადამიანები მათი დამთრგუნველი უწესრიგობების გამოსწორებასა და ყველაზე ცხადი ჭეშმარიტებების აღქმას იწყებენ. სახელდობრ,

თავისი სიმარტივის შედეგად ეს ჭეშმარიტებანი ხელიდან უსხლტებათ უმეცრებს, რომელნიც მიუჩვეველი არიან საგნების ცალ-ცალკე განხილვას და ყველა შთაბეჭდილებას ერთბაშად აღიქვამენ, ეყრდნობიან უფრო გადმოცემით მიღებულ საზოგადო აზრებს, ვიდრე – საკუთარ გაგებას.

გადავხედოთ ისტორიას – და ჩვენ დავინახავთ, რომ კანონები, რომლებიც მაინც არის ან უნდა იყოს თავისუფალ ადამიანთა შეთანხმებების შედეგი, თითქმის ყოველთვის უმნიშვნელო უმცირესობის ვნებათა დაკმაყოფილების იარაღს წარმოადგენს, ან შემთხვევითი და წუთიერი აუცილებლობით იქმნება. კანონები ჯერ არსად დაწერილა ადამიანის ბუნების აუღელვებელი მკვლევარის მიერ, რომელიც ადამიანთა მასის საქმიანობას ერთიანი მიზნისაკენ მიმართავდა და მას მუდმივად გაითვალისწინებდა, კერძოდ, – **შესაძლოდ მეტ ბედნიერებას – ადამიანთა შესაძლოდ მეტი რაოდენობისათვის.** ბედნიერია ის ზოგიერთი ერი, რომელიც კი არ უცდიდა, რომ ადამიანთა შორის ურთიერთობებში მოვლენათა და ცვლილებათა ნელი სვლით მას შემდეგ გაეკვლია გზა უკეთესისაკენ, როცა უბედურება ზღვრს მიაღწევდა, არამედ ამ გადასვლას ბრძნული კანონებით აჩქარებდა; ადამიანთა მადლიერებას იმსახურებს ის

ფილოსოფოსი, რომელმაც თავისი მოკრძალებული და განმარტოებული კაბინეტიდან სასარგებლო ჭეშმარიტებათა პირველი, დიდხანს აღმოუცენებელი თესლის მასებში გადასროლა გაბედა.

ჩვენს დროში შეცნობილია ჭეშმარიტი ურთიერთობანი, რომლებიც როგორც სუვერენსა და ქვეშევრდომთ, ისე სხვადასხვა ერებს ერთმანეთთან აკავშირებს; ურთიერთობანი გამოცოცხლდა ფილოსოფიურ ჭეშმარიტებათა ზეგავლენით და წიგნის ბეჭდვის წყალობით იგი საზოგადო მონაპოვრად იქცა; ერთა შორის ყველაზე ჰუმანური, ღირსეული და მოაზროვნე ადამიანებისათვის შრომისმოყვარეობის უსიტყვო ომი მიმდინარეობს. ამგვარია ჩვენი განათლებული საუკუნის მიერ მოტანილი ნაყოფი, თუმცა მცირედმა მაინც შეამჩნია და დაგმო სასჯელთა სისასტიკე და სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო წარმოების მოუწესრიგებლობა, – ეს ამდენად მნიშვნელოვანი და თითქმის მთელ ევროპაში მიტოვებული ნაწილი კანონმდებლობისა; მხოლოდ მცირედნი, რომელთაც საერთო საწყისებამდე მიაღწიეს, აფერხებდნენ რა ხელისუფლების მეტისმეტად გაშლილ განუკითხაობას თუნდაც მარტოდ შეცნობილი ჭეშმარიტებების ძალით, რომელიც აქამდე ციცი დაუნდობლობის ხანგრძლივ და სასტიკ მაგალითს იძლეოდა, მცდარ

შეხედულებებს აქარწყლებდნენ. მასთან, დაუნდობელი უმეცრებისა და განებივრებული მდიდრებისათვის მსხვერპლად შეწირულ უძლურთა კვნესას, უმნიშვნელო, დაუმტკიცებელი ან სულაც მოჩვენებითი დანაშაულისათვის უსარგებლოდ გაფლანგულ ბარბაროსულ წამებას, საპყრობილეთა წყვდიადსა და საშინელებას, გაძლიერებულს უბედურთა ამ განსაკუთრებით დაუნდობელი ჯალათით – გაურკვეველობით – თითქოს უნდა შეეძრა მოდგმა იმ მაგისტრატებისა, რომელნიც საზოგადოებრივ აზრს მართავენ.

უკვდავი პრეზიდენტი მონტესკიე ამ საგანს მხოლოდ გაკვრით შეეხო. ჭეშმარიტება ყოველთვის ერთიანია, სწორედ აღნიშნულმა მაიძულა გავყოლოდი ზემოხსენებული უდიდიდესი ადამიანის ნათელ კვალს; მაგრამ მოაზროვნე ადამიანები, რომელთათვის მე ვწერ, შეძლებენ მისი ნაბიჯები ჩემისაგან განასხვავონ. ბედნიერი ვიქნებოდი, როგორც მას, მეც შემეძლოს გონების თავმდაბალი და მშვიდობიანი მიმდევრების მადლიერება დავიმსახურო და გამოვიწვიო ის სასიამოვნო თრთოლა, რომლითაც მგრძნობიარე გულები კაცობრიობის ინტერესების დამცველის მოწოდებას ეხმაურებიან.

§I. სასჯელის წარმოშობა

კანონები წარმოადგენენ პირობებს, რომლებზეც მუდმივი ომისა და უსარგებლო თავისუფლებისაგან დაქანცული, მანამდე დამოუკიდებელი და ცალ-ცალკე მცხოვრები ადამიანები საზოგადოებაში გაერთიანდნენ. თავისუფლება უსარგებლო იყო, რამდენადაც იგი შესაბამისად უზრუნველყოფილი არ გახლდათ. მათ თავისი თავისუფლების მხოლოდ წილი გაიღეს იმისათვის, რომ წყნარად და უსაფრთხოდ მისი დანარჩენი ნაწილით დამტკბარიყვნენ. ჯამიდან თავისუფლების ყველა ნაწილაკისა, რომელიც საზოგადო კეთილდღეობას შეეწირა, ერის უზენაესი ხელისუფლება შედგა, სუვერენი კი მისი კანონიერი მცველი და მმართველი გახდა. მაგრამ არასაკმარისი იყო თავისუფლებათა ასეთი საცავის შექმნა, საჭირო გახლდათ მისი დაცვა დატაცებისაგან, ვინაიდან თითოეული არამარტო თავისი ნაწილის უკან მიღების, არამედ სხვისი წილის ხელში ჩაგდებისკენაც ისწრაფ-ვოდა. საჭირო შეიქმნა გრძნობითი განზრახვა, რომელსაც

ადამიანთა დესპოტურ მისწრაფებების – საზოგადოების კანონების დამხობისა და პირველყოფილი ქაოსის დაბრუნებისადმი ლტოლვის შეჩერება შეეძლო. აი ამ გრძნობით განზრახვებს კანონების დამრღვევთა წინააღმდეგ დადგენილი სასჯელები წარმოადგენს. ვამბობ **გრძნობითი განზრახვები**, ვინაიდან როგორც გამოცდილებამ გვიჩვენა, მასებს არ ძალუძთ ქცევის მყარი წესების ათვისება და თავიდან აცილება მსოფლიო გახრწნის საწყისებისა, რომლებიც ელინდება, როგორც ფიზიკურ, ისე მორალურ სამყაროში. სხვაგვარად, განზრახვათა მეშვეობით, რომელნიც უშუალოდ ახიანებენ გრძნობებს და ხანგრძლივად ჩაიბეჭდებიან ტვინში, აწონასწორებენ ამა თუ იმ ენებით წარმოშობილ შთაბეჭდილებათა ძალას, რომელიც საერთო კეთილდღეობას ეწინააღმდეგება. არც გონებრივ დასაბუთებას, არც მჭევრმეტყველებას და არც უდიდეს ჭეშმარიტებას არ ძალუძს დიდი ხნით შეაკავოს ამოფრქვევისაგან გარემომცველი სამყაროს ცოცხალი შთაბეჭდილებებით წარმოშობილი ენებანი.

§II. დასჯის უფლება

ყოველი სასჯელი, რომელიც აბსოლუტური აუცილებლობიდან არ გამომდინარეობს, როგორც დიდი მონტესკიე ამბობს, ტირანულს წარმოადგენს. ეს დებულება უფრო ზოგადი სახით შეიძლება გამოიხატოს: **ადამიანის ადამიანზე ძალაუფლების ყოველი გამოვლინება, რომელიც აბსოლუტური აუცილებლობიდან არ გამომდინარეობს, ტირანულს წარმოადგენს.** ამგვარად, დანაშაულისათვის დასჯის სუვერენისეული უფლება: საერთო კეთილდღეობის საცავზე ცალკეულ ადამიანთა მხრიდან შემოტევებისაგან დაცვის აუცილებლობაზეა დაფუძნებული და რაც უფრო წმინდა, ხელშეუხებელია უსაფრთხოება, რაც მეტ თავისუფლებას უნარჩუნებს ქვეშევრდომებს სუვერენი, მით უფრო სამართლიანია სასჯელი. ჩავიხედოთ ადამიანის გულში, – მასში ვიპოვით იმ საწყისებს, რომლებსაც ემყარება სუვერენის ჭეშმარიტი უფლება –

დასაჯოს დანაშაულისათვის, რადგან მორალურ პოლიტიკას მხოლოდ მაშინ შეუძლია ხანგრძლივი სარგებლობის მოტანა, როდესაც იგი ადამიანთა უცვლელ გრძნობებზეა დამყარებული. ამ საწყისებიდან გადახრილი ყოველი კანონი ყოველთვის აწყდება წინააღმდეგობას, რომელიც საბოლოოდ აჯობებს კიდეც მას. ასე სძლევს, ყველაზე მცირე, მაგრამ რაიმე სხეულში მუდმივ მოქმედი ძალა, ამ სხეულისადმი გარედან მინიჭებულ უდიდეს მოძრაობას.

არავის დაუთმია თავისი თავისუფლების ნაწილი მხოლოდ საზოგადო კეთილდღეობისათვის, – ამგვარი ქიმერები მხოლოდ რომანებში არსებობენ. პირიქით, ყოველი ჩვენგანი, თუკი ეს შესაძლებელი იქნებოდა, ისურვებდა, რომ ხელშეკრულებას სხვები და არა ჩვენ შევეზღუდეთ. ყოველი ჩვენგანი თავის თავში მიწიერი ურთიერთობების ცენტრს ხედავს.

*ადამიანთა მოდგმის თავისთავად უმნიშვნელო გამრავლებამ, რომლის ტემპები მეტისმეტად აჭარბებდა იმ საშუალებებს, რომლითაც მწირ და დაუმუშავებელ ბუნებას უნდა დაეკმაყოფილებინა მზარდი მოთხოვნილებები, პირველი ველურები გაეერთიანა. პირველი გაერთიანებების წინააღმდეგ სამოქმედოდ, აუცი-

ლებლობის მიზნით, შეიქმნა სხვა გაერთიანებებიც და ამგვარად, საომარ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ უკვე არაცალკეული პიროვნებები, არამედ – მთელი ერები*.

მაშასადამე, მხოლოდ ერთმა აუცილებლობამ აიძულა ადამიანები დაეთმოთ საკუთარი თავისუფლების ნაწილი; აქედან ცხადია, რომ თითოეულს სურდა გადაცემა საზოგადო საცავში, რაც შეიძლება ნაკლები წილი შეეტანა, – ზუსტად იმდენი, რამდენიც მოეთხოვებოდა სხვათა დავალდებულებისათვის, რათა დაეცვათ იგი. ყველა ამ თავისუფლების მცირე ნაწილაკების ერთობლიობა ჰქმნის დასჯის უფლებას. ყოველივე, რაც ამას აჭარბებს, – ძალაუფლების ბოროტად გამოყენებაა და არა – სამართალი, ფაქტია და არა – უფლება. შენიშნეთ, რომ სიტყვა **უფლება** არაა სიტყვა **ძალის** მოპირისპირე,

პირველი წარმოადგენს უფრო მეორის სახეცვლილებას, სახელდობრ, უმრავლესობისათვის ყველაზე მეტად ხელსაყრელ სახეცვლილებას. სამართლიანობის ქვეშ მე

* ყველაფერი, ჩართული ამ * ნიშანს შორის წარმოადგენს პირველ დამატებებს, ხოლო ჩართული მეორე † ნიშანს შორის მეორე დამატებებს.

ეგულისხმობ სხვა არაფერს გარდა იმ კავშირისა, რომელიც კერძო ინტერესების გასაერთიანებლადაა აუცილებელი და რომლის გარეშეც ადრინდელი არასაზოგადოებრივი მდგომარეობა აღდგებოდა. ყოველი სასჯელი, რომელიც ამ კავშირის შენარჩუნების აუცილებლობით არაა გამოწვეული თავისი ბუნებით უსამართლოა. შემდგომში საჭირო არაა სიტყვა სამართლიანობასთან რაიმე ნივთიერი იდეის დაკავშირება – ფიზიკური ძალის ან რომელიმე სხვა არსების მაგვარისა. სამართლიანობა – ეს უბრალოდ ცნებაა, მაგრამ გააჩნია უსასრულო გავლენა ყველა ადამიანის ბედნიერებაზე. მე აქ არ ვსაუბრობ იმ სამართლიანობაზე, რომელიც ღვთისაგან მომდინარეობს და მომავალ ცხოვრებაში უშუალოდ სასჯელსა და ჯილდოს განეკუთვნება.

§III. დასკვნები

აღნიშნული საწყისებიდან **პირველ დასკვნას** წარმოადგენს დებულება, რომ მხოლოდ კანონს შეუძლია დაადგინონ სასჯელი დანაშაულთათვის და რომ მათი გამოცემის უფლება შეიძლება ეკუთვნოდეს მხოლოდ კანონმდებელს, როგორც საზოგადოებრივი ხელშეკრულებით გაერთიანებული მთელი საზოგადოების წარმომადგენელს. არც ერთ მოსამართლეს (რომელიც საზოგადოების მხოლოდ ნაწილს წარმოადგენს) სამართლიანობის დაურღვეველად, საზოგადოების სხვა წევრისათვის სასჯელთა დადგენა არ შეუძლია. უსამართლოა სასჯელიც, რომელიც კანონის საზღვრებს სცილდება, რადგან ის უკვე სხვა სასჯელია, რომელიც კანონით არაა დადგენილი. ამიტომ, საზოგადოებრივი სარგებლიანობის არანაირი საბაბითა და მოსაზრებით, მოსამართლეს არ შეუძლია დანაშაულისათვის კანონით დადგენილ სასჯელს გადააჭარბოს.

მეორე დასკვნა. თუ საზოგადოების თითოეული წევრი დაკავშირებულია მასთან, მაშინ შეთანხმების მეშვეობით საზოგადოებაც ურთიერთკავშირშია თითოეულ თავის წევრთან, რომელიც მთელი თავისი არსით ორივე მხარეს ვალდებულებებს აკისრებს. *ამ ვალდებულების არსებობა, რომელიც ერთნაირად აკავშირებს სასახლესაც და ქოხსაც, ყველაზე ცნობილსაც და ყველაზე უბადრუკსაც, ამტკიცებს, რომ უმრავლესობისათვის სასარგებლო ხელშეკრულებათა დაცვა ყოველი მათგანის ინტერესებშია. თუნდაც ერთი მათგანის დარღვევა ანარქიის დამკვიდრებამდე მიიყვანდა*[1]. როგორც მთელი საზოგადოების წარმომადგენელს, სუვერენს შეუძლია მხოლოდ ზოგადი კანონების გამოცემა, რომელიც ერთნაირად ავალდებულებს ყველას, მაგრამ არ შეუძლია განსაზღვროს, დაარღვია ვინმემ საზოგადოებრივი ხელშეკრულება თუ არა, რადგან ამ შემთხვევაში ერი ორ ნაწილად გაიყოფა. ერთი, წარმოდგენილი სუვერენით, დაიწყებდა მტკიცებას,

[1] * სიტყვა ვალდებულება წარმოადგენს ერთ-ერთ იმათგანს, რომელიც უფრო ხშირად გამოიყენება მორალურ, ვიდრე სხვა მეცნიერებებში და წარმოადგენს შემოკლებულ აღნიშვნას არა რაიმე იდეის, არამედ... გონებრივი დასკვნის. ეცადეთ მოიძიოთ იდეა სიტყვაში ვალდებულება, თქვენ ვერ იპოვით მას; გააკეთეთ გონებრივი დასკვნა – და თქვენ თვითონაც გაიგებთ და გაგებულნი იქნებით.*

რომ ხელშეკრულება დარღვეულია, ხოლო მეორე — ბრალდებული – უარყოფდა ამას. ამიტომ, აუცილებელია, რომელიმე მესამემ განსაჯოს ისინი, საჭიროა მოსამართლე, რომლის განაჩენიც არ დაექვემდებარებოდა გასაჩივრებას და იგი ცალკეული ფაქტების უბრალო დამტკიცებასა ან უარყოფაში გამოიხატებოდა.

მესამე დასკვნა. ვთქვათ დამტკიცდა, რომ სასჯელის სისასტიკე უშუალოდ არ ეწინააღმდეგება საზოგადო კეთილდღეობას და ხელს არ უშლის დანაშაულთა თავიდან აცილებას, მაგრამ ის უბრალოდ უსარგებლოა. ამ შემთხვევაშიც ეს სისასტიკე შორს იქნებოდა განსწავლული გონებით წარმოშობილი ნაყოფიერი თანამშრომლობისაგან, რომელსაც ურჩევნია იბატონოს თავისუფალ ადამიანზე და არა მონათა ჯოგზე. საკუთრივ დაშინებული მდგომარეობა მუდმივად თვითონვე შეხამებულია სისასტიკესთან – ამიტომაც შორსაა სამართლიანობისა და თვით საზოგადოებრივი ხელშეკრულების არსისაგანაც.

§IV. კანონის განმარტება

მეოთხე დასკვნა. სისხლის სამართლის კანონის განმარტების უფლება არ შეიძლება ეკუთვნოდეს მოსამართლეს, ვინაიდან ის კანონმდებელი არ არის. კანონი მოსამართლესთან არ გადმოსულა ჩვენი წინაპრებისაგან საოჯახო გადმოცემისა ან ანდერძის სახით, რომელიც შთამომავლობას მხოლოდ ერთ სადარდებელს – მორჩილებას უტოვებს. მოსამართლე კანონს იღებს ცოცხალი საზოგადოების ან სუვერენისაგან, როგორც მისი წარმომადგენლისა და არსებული საერთო ნების მცველისაგან. მოსამართლის მიერ აღნიშნული კანონი მიღებული არ არის როგორც ძველი შეთანხმებიდან გამომდინარე ვალდებულება. ამგვარი არარსებული ნების დამაკავშირებელ შეთანხმებას, დაიყვანდა რა ადამიანებს საზოგადოებრივი მდგომარეობიდან ჯოგის მდგომარეობამდე, ძალა არ ექნებოდა და ის უსამართლოდ მიიჩნეოდა. მიღებული კანონი, როგორც სუვერენთან მცხოვრები ქვეშევრდომების

უთქმელი ან ცხადი საერთო შეთანხმების შედეგი, როგორც კავშირი, აუცილებელია იმისათვის, რომ შეაკავოს და დათრგუნოს კერძო ინტერესთა შეჯახებანი. აი, რას ეყრდნობა კანონის ფიზიკური და ნამდვილი ძალა და ვინ არის მისი კანონიერი განმმარტებელი? სუვერენი, ე. ი. ყველას არსებული ნების მცველი, თუ მოსამართლე, რომლის თანამდებობაც გულისხმობს მხოლოდ იმას, რომ გამოიკვლიოს: ჩაიდინა ამა თუ იმ ადამიანმა კანონსაწინააღმდეგო ქმედება, თუ არა?

ყოველი დანაშაულის გამო მოსამართლემ სწორი დასკვნა უნდა გააკეთოს. დიდი წინაპირობა – ზოგადი კანონი, მცირე – ქმედება, კანონისათვის მიუღებელი ან მისაღები; დასკვნა – თავისუფლება ან სასჯელი. თუ მოსამართლე იძულებით ან საკუთარი ნებით ერთის მაგივრად, თუნდაც ორ დასკვნას გამოიტანს, მაშინ დარწმუნებული არაფერში შეიძლება იყოთ.

არაფერია საყოველთაოდ მიღებულ აქსიომაზე მეტად საშიში, რომ საჭირო ვიხელმძღვანელოთ კანონის გონით. ეს იგივეა, გავანადგუროთ კაშხალი, რომელიც ნებისმიერ აზრთა ბობოქარ ნაკადს აკავებს. მე ეს ჭეშმარიტებად მიმაჩნია. ჩვეულებრივ ადამიანებებს, რომელთაც ამუამინდელი წუთიერი წინააღმდეგობანი უფრო ჰზარავს, ვიდრე – დამღუპველი, მაგრამ შორეული შედეგები იმ

მცდარი საწყისებისა, რომელიც დამკვიდრებულია ერში, აღნიშნული პარადოქსად ეჩვენება. მთელი ჩვენი ცოდნა, მთელი ჩვენი იდეები ურთიერთკავშირშია; რაც უფრო რთულია ისინი, მით მეტი გზაა მათკენ და მათგან. ნებისმიერ ადამიანს თავისი შეხედულება აქვს, თითოეულს – სხვადასხვა დროს – განსხვავებული. აქედან გამომდინარე, კანონის გონი დამოკიდებული იქნებოდა მოსამართლის კარგ ან სუსტ ლოგიკაზე, მის კარგ ან ცუდ საკვების მომნელებელ სისტემაზე, აგრეთვე მისი ვნებების სიძლიერესა, თუ სისუსტეებზე, მის დამოკიდებულებაზე დაზარალებულის მიმართ და ყველა იმ უმცირეს მიზეზზე, რომელიც ადამიანის ცვალებად ტვინში ყოველ საგანს სახეს უცვლის. აი, რატომ წყდება თითოეული მოქალაქის ბედი სხვადასხვანაირად სხვადასხვა სასამართლოში გავლის შემდეგ, ხოლო უბედურთა ცხოვრება მსხვერპლი ხდება იმ მოსამართლის მცდარი დასკვნებისა ან წუთიერი განწყობილებისა, რომელმაც მისი გონების ამაღელვებელი ბუნდოვანი წარმოდგენებიდან მერყევი დასკვნები სამართლიან განმარტებად მიიჩნია. სწორედ ამიტომაა, რომ ერთი და იგივე სასამართლო, ერთსა და იმავე დანაშაულისათვის, დამნაშავეს სხვადასხვა დროს სხვადასხვა სასჯელს უსჯის: ის ხელმძღვანელობს არა კანონის ზუსტი და

უცველელი სიტყვით, არამედ მოჩვენებითი ცვალებადი განმარტებებით.

სისხლის სამართლის კანონის მოთხოვნების მკაცრი დაცვისაგან ზარალი მისი განმარტებით წარმოშობილ ზიანთან შედარებით უმნიშვნელოა. კანონის გაურკვეველი სიტყვები აუცილებელია გასწორდეს, ამის გაკეთება შესაძლოა ადვილად და სწრაფად. სამაგიეროდ კანონის მოთხოვნების მკაცრი დაცვა არ უშვებს მსჯელობათა დამღუპველ თავისუფლებას, რომელიც თვითნებურ და ანგარებიან კამათს წარმოშობს. იმ შემთხვევაში, როდესაც დებულება შეიცავს კანონებს, რომელიც სიტყვასიტყვით გამოყენებას ექვემდებარება და სასამართლოს აკისრებს მხოლოდ ვალდებულებას, გაარჩიოს მოქალაქეთა ქმედებანი და გადაწყვიტოს, შეესაბამება თუ არა ისინი დაწერილ კანონს – როდესაც წესები, თუ რაა სამართლიანი და რა – უსამართლო, რითი უნდა ისარგებლოს ყველა მოქალაქემ – ყველაზე გაუნათლებლიდან ფილოსოფოსამდე – უდავოა, ქვეშევრდომები გათავისუფლებულნი იქნებიან მრავალთა წვრილ-წვრილი ტირანიისაგან, რომელიც მით უფრო სასტიკია, რაც უფრო ახლოა ის ჩაგრულებთან, საშინელია მით უფრო, რომ აღნიშნული წვრილ-წვრილი ტირანიის ნაცვლად შეიძლება მოვიდეს მხოლოდ ერთის ტირანია, ხოლო ერთი დესპოტის

სისასტიკე პროპორციულია არა მისი ძალის, არამედ იმ უკუქმედებისა, რომელსაც ის ხვდება. მაშინ მოქალაქეები შეიძენენ პირად უსაფრთხოებას, რაც სამართლიანია, ვინაიდან ამ მიზნით ადამიანები გაერთიანდნენ საზოგადოებაში და ეს სასარგებლოა, რადგანაც თითოეულს თავისი ცუდი საქციელის უსიამოვნო შედეგების გათვლა შეუძლია. მართალია, მოქალაქეები ამ დროს დამოუკიდებლობის გარკვეულ სულს იძენენ, მაგრამ ეს ის სული არაა, რომელიც კანონებს არყევს და უზენაესი ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობას იწვევს. ისინი უარს ეტყვიან მორჩილებაზე მხოლოდ იმ პირთ, ვინც ბედავენ სათნოების წმინდა სახელი დაარქვან თავიანთი ანგარებითი და ახირებული სურვილებისადმი მორჩილებას. ჩემს მიერ გამოთქმული საწყისები არ მოეწონებათ, რა თქმა უნდა, მათ, ვინც ზემოდან ტირანიისაგან დარტყმებს იღებენ და თავი უფლებამოსილად მიაჩნიათ ისინი ქვეშევრდომებზე გადაიტანონ. მე ყოველთვის მექნებოდა შიში, თუკი კითხვისადმი სიყვარული ტირანიის სულთან იქნებოდა შეთვისებული.

§V. კანონის ბუნდოვანება

თუ კანონის განმარტება ბოროტებაა, მაშინ ცხადია მათი ბუნდოვანებაც ბოროტებაა, რომელიც გვაიძულებს განმარტებებს მივმართოთ. ეს ბოროტება ზღვრულ ფარგლებს აღწევს, თუ კანონი დაწერილია ხალხისათვის უცხო ენაზე, რომელიც კანონების წიგნს საზოგადო და საქვეყნო მონაპოვარიდან კერძო და საშინაო საკუთრებად გადააქცევს, ხოლო ხალხს, რომელსაც საშუალება არა აქვს თავისი თავისუფლების საზღვრები და ცალკეულ მოქალაქეთა თავისუფლებები შეაფასოს, რამოდენიმე პიროვნებაზე დამოკიდებულად ხდის. რა უნდა ვიფიქროთ ჩვენ ადამიანებზე, თუ ვიცით, რომ ასეთი მოძველებული ჩვეულება ახლაც აგრძელებს არსებობას განათლებული და განვითარებული ევროპის მნიშვნელოვან ნაწილში! რაც უფრო მეტი პიროვნება გაიგებს კანონის წმინდა დებულებას და მას გაითავისებს, მით ნაკლები იქნება დანაშაული: უცოდინრობა და დანაშაულზე არაზუსტი

წარმოდგენა, უეჭველად აძლიერებს ვნებათა მჭევრმეტყველებას.

აქედან გამომდინარეობს, რომ დამწერლობის გარეშე საზოგადოება ვერასოდეს შესძლებს მიაღწიოს მმართველობის მკაცრ წესს, რომლის დროსაც ძალაუფლება წარმოიშვება მთელი საზოგადოების წიაღში და არა მისი ცალკეული ნაწილებისაგან, როდესაც კანონი იცვლება საერთო ნების თანახმად და არ შეიძლება დამახინჯდეს კერძო ინტერესების სასარგებლოდ. გამოცდილება და გონება მოწმობს, რომ გადმოცემათა უტყუარობა და უეჭველობა სუსტდება თავისი წყაროსაგან მოცილების კვალდაკვალ. შეუძლიათ კი, კანონებს გაუძლონ დროისა და ვნებათა გარდაუვალ ძალას, თუ არ იქნება მუდმივი ძეგლი, რომელიც შეახსენებს მათ საზოგადოებრივი შეთანხმების არსებობას?

ამიტომ ცხადია, როგორი სიკეთე მოიტანა წიგნების ბეჭდვამ. აღნიშნულის წყალობით კანონის დამცველი არა რამოდენიმე პირი, არამედ – მთელი საზოგადოება გახდა. მან გაფანტა ჩაგვრისა და ინტრიგების სული, რომელიც ქრება მეცნიერებათა შუქზე, რომელთა შიში აქვს, მაგრამ თავი მოაქვს, ვითომ სძულს ის. წიგნების ბეჭდვის წყალობით ევროპაში შესუსტდა დანაშაულთა

სისასტიკე, რომელიც შიშის ზარს სცემდა ჩვენს წინაპრებს, რომლებიც მორიგეობით ზოგჯერ ტირანები იყვნენ, ზოგჯერ კი მონები ხდებოდნენ. ვინც ბოლო ორი-სამი საუკუნის ისტორიას თანამედროვეს შეადარებს – დაინახავს, რომ ფუფუნება და სინაზე წარმოშობს ყველაზე თვინიერ სათნოებას: კაცთმოყვარეობას, ქველმოქმედებას, ადამიანთა მცდარი აზრებისადმი შემწყნარებლობას; ნახავს, თუ სადამდე მივყავდით წინაპართა ნაქებ უბრალოებასა და კეთილ წესჩვეულებებს: კაცობრიობა გმინავდა დაუნდობელი ცრუმორწმუნეობის უღელში, უმცირესობის სიხარბე და პატივმოყვარეობა ქვეშევრდომთა სისხლით რწყავდა მდიდართა საკუჭნაოებსა და მეფეთა ტახტებს, ყველგან – საიდუმლო ღალატი და ღია ხოცვა-ჟლეტა, თითოეული არისტოკრატი – ტირანი – პლებეებისათვის, სახარებისეული ჭეშმარიტების მსახურნი, ყოველდღე ღვთისაკენ აპყრობილი სისხლით მოსვრილი ხელებით, – ყოველივე ეს აღარაა დამახასიათებელი ჩვენი განათლებული საუკუნისათვის, რომელსაც ზოგიერთები გარყვნილს უწოდებენ.

§VI. თანაფარდობა დანაშაულსა და სასჯელს შორის

საერთო სარგებლიანობა მოითხოვს, რომ დანაშაული, განსაკუთრებით კი საზოგადოებისათვის საშიში, არ ხდებოდეს. ამიტომ წინააღმდეგობა, რომელიც ხალხს დანაშაულისაგან შეაკავებს, მით უფრო ძლიერი უნდა იყოს, რაც უფრო მნიშვნელოვანია დარღვეული კეთილდღეობა და რაც უფრო ძლიერია მიდრეკილება დანაშაულის ჩადენისადმი. აქედან გამომდინარე, უნდა არსებობდეს თანაფარდობა დანაშაულსა და სასჯელს შორის.

შეუძლებელია თავიდან ავიცილოთ ადამიანთა საყოველთაო ვნებათა ბრძოლით წარმოშობილი მთელი ბოროტება. ის მოსახლეობის ზრდისა და აქედან მზარდი კერძო ინტერესების შეჯახებების შესაბამისად იმატებს, ვინაიდან ამ ინტერესების შეთანხმება და საერთო კეთილდღეობისაკენ მიმართვა გეომეტრიული წესების მიხედვით შეუძლებელია. პოლიტიკურ არითმეტიკაში მათემატიკური სიზუსტის შეცვლა ალბათობის გაანგა-

რიშებით გვიხდება. † მივაპყრობთ რა მზერას ისტორიას, ჩვენ დავინახავთ, რომ სახელმწიფოს საზღვრების გაფართოებასთან ერთად იზრდება მისი მოუწყობლობა, ამავე ხარისხით სუსტდება ეროვნული გრძნობები და იზრდება დანაშაულისადმი მიდრეკილება, შესაბამისად იმ მოგებისა, რომელსაც თითოეული მათგანი საზოგადოების მოუწყობლობიდან იღებს, ამიტომ სასჯელის გამკაცრება ზემოთ აღნიშნული მოსაზრებებით მით უფრო აუცილებელი ხდება. †

სიმძიმის მსგავსი ძალა, რომელიც გვაიძულებს პირადი კეთილდღეობისაკენ სწრაფვას, ფერხდება მხოლოდ მის წინ აღმართული დაბრკოლებებით. ეს ძალა ადამიანთა ქმედების რთულ რიგში ვლინდება და სასჯელები, რომელთაც მე **პოლიტიკურ დაბრკოლებებს** დავარქმევდი, თავიდან აცილებს შესაძლო მავნე შედეგებს ამ ქმედებათა ურთიერთშეჯახებისაგან, მათი წარმომქმნელი მიზეზის განადგურების გარეშე, ანუ ადამიანისათვის უცვლელად დამახასიათებელი მგრძნობიარობით. ასეთი მოქმედებით კანონმდებელი იქცევა, როგორც გაწაფული ხუროთმოძღვარი, რომლის მოვალეობაა სიმძიმის ძალის მავნე გავლენის თავიდან აცილება და მისი გამოყენება იქ, სადაც ეს ხელს უწყობს შენობის სიმტკიცეს.

თუ ჩვენ ვაღიარებთ, რომ ადამიანთა გაერთიანება აუცილებელია და არსებობს შეთანხმება, აუცილებელად გამომდინარე თვით კერძო ინტერესების დაპირისპირებიდან, მაშინ შეიძლება წესრიგის დარღვევის კიბის დადგენაც. ამათგან უმაღლეს საფეხურზე წარმოადგენს ის ფენა, რომელიც უშუალოდ ანგრევს თვით საზოგადოებას, ხოლო ქვედას – ყველაზე უმნიშვნელოს, როგორიც კი შეიძლება არსებობდეს, წარმოადგენს კერძო პირის უფლებების დარღვევა. ამ ზღვრულ საფეხურებს შორის დაღმავალი რიგით უდიდესიდან უმცირესისაკენ განლაგებულია საზოგადო კეთილდღეობის საწინააღმდეგოდ მიმართული ყველა ქმედება, რომელსაც დანაშაული ეწოდება. გეომეტრია ადამიანთა საქციელის უთვალავ და ბუნდოვან შეთავსებებს რომ ესადაგებოდეს, მაშინ უნდა არსებობდეს შესაბამის სასჯელთა კიბეც, უმძიმესიდან – ყველაზე მსუბუქამდე. ბრძენმა კანონმდებელმა საკმარისია მიუთითოს მხოლოდ ძირითად საწყისებზე, არ დაურღვიოს წესი პირველი ხარისხის სასჯელთა დანიშვნით იმ დანაშაულთათვის, რომლებიც ბოლო ხარისხის დანაშაულებს შეესაბამება. თუ კი იარსებებდა დანაშაულთა და სასჯელთა ზუსტი, საყოველთაო კიბე, ჩვენ გვექნებოდა სხვადასხვა ერის ტირანიისა და თავისუფლების, კაცთმოყვარეობისა და

სისასტიკის საკმაოდ ზუსტი საყოველთაო საზომი.

ქმედებას, რომელიც არაა შეტანილი აღნიშნულ კიბეში, არ შეიძლება **დანაშაული** ეწოდოს და სასჯელი ეკისრება ხოლმე მხოლოდ მათ მიერ, ვისაც ხელს აძლევს ასე უწოდოს მას. დანაშაულებრივი საზღვრების განუსაზღვრელობამ ერებში წარმოქმნა ზნეობა, რომელიც კანონებს ეწინააღმდეგება, რამაც მიგვიყვანა იქამდე, რომ კანონები ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. **ბიწიერებისა და სათნოების** ცნება განუსაზღვრელი და მერყეევი ხდება, საკუთარი თავის არსებობაში ჩნდება ურწმუნოების გრძნობა, რომელიც პოლიტიკოსებისთვის საღათას დამღუპველ ძილს გამოიწვევს. ის, ვინც ფილოსოფოსივით შეისწავლის ერების კანონებსა და მატიანეებს, დაინახავს, რომ თითქმის ყოველთვის ისეთი სიტყვების მნიშვნელობა, როგორიცაა **ბიწიერება და სათნოება, კარგი მოქალაქე და დამნაშავე** – საუკუნეების მანძილზე, ქვეყანაში პირობების შეცვლის შედეგად იცვლებოდა არა საზოგადო ინტერესების შესაბამისად, არამედ ვნებათა და მცდარ აზრთა გავლენით, რომელიც ეუფლება სხვადასხვა კანონმდებლებს ერთი–მეორის მიყოლებით. ის დაინახავს, რომ საკმაოდ ხშირად ერთი საუკუნის ვნებანი მომავალი საუკუნეების ზნეობის საფუძველს

აყალიბებენ, რომ ძლიერი ვნებანი, რომლებიც ულმობლობითა და აღფრთოვანებითაა წარმოშობილი, შესუსტებული და შერბილებულია დროის მიერ, რომელსაც წონასწორობაში მოჰყავს ყველა ფიზიკური და მორალური მოვლენა, რომ ნელ–ნელა საუკუნის სიბრძნე მარჯვე და ძლიერი პიროვნების ხელში სასარგებლო იარაღი ხდება. ახლაც ამ გზით წარმოიშვა პატიოსნების, სათნოების ცნებები, განსაკუთრებით ბუნდოვანი ცნებები, ვინაიდან ისინი იცვლებიან დროის გავლენით,. რომელიც საგნებისაგან მარტო სახელწოდებებს ტოვებს, რადგანაც ისინი იცვლებიან მდინარეებისა და მთების გავლენით, რომელნიც საზღვრებს წარმოადგენენ არამარტო ფიზიკურ, არამედ მორალურ გეოგრაფიაშიც.

თუ ტკბობა და ტანჯვა – გრძნობებით დაჯილდოებულ არსებათა მოძრავი საწყისია, თუ ყველაზე ამაღლებული ქმედებებისაკენ ადამიანთა მიმმართველ წადილთა შორის უხილავმა კანონმდებელმა დაადგინა ჯილდოები და სასჯელები, მაშინ უეჭველია, რომ ერთისა და მეორის არასწორი განაწილებით წარმოიქმნება წინააღმდეგობა, ნაკლებად შესამჩნევი, მაგრამ მით უმეტეს გავრცელებული, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ თვით სასჯელი იწვევს დანაშაულს. თუ ორი დანაშაულისათვის,

რომელმაც საზოგადოება სხვადასხვაგვარად დააზიანა, ერთნაირი სასჯელი დაინიშნა, მაშინ არ იარსებებს წანამძღვრები, რომელნიც უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენა შეეწინააღმდეგება, რადგან ისინი უფრო მნიშვნელოვან მოგებასთან არიან დაკავშირებული.

§VII. შეცდომები სასჯელის საზომის დადგენის დროს

წინამდებარე მსჯელობანი უფლებას მაძლევს ვამტკიცო, რომ დანაშაულის ერთადერთი და ჭეშმარიტი საზომია ის ზიანი, რომელსაც ისინი ერს ანიჭებენ. ამიტომ, ცდებიან ისინი, ვინც მიიჩნევენ, რომ დანაშაულის ერთადერთი და ჭეშმარიტი საზომი დამნაშავე პირის განზრახვაა, რომელსაც ჩაიდენს. განზრახვა დამოკიდებულია ამჟამინდელი მომენტის შთაბეჭდილებებსა და მის წინ არსებულ განწყობილებებზე, რომელიც თითოეულს ეცვლება იდეების, ვნებებისა და გარემოებების განსაკუთრებული სიჩქარით ცვლის კვალდაკვალ. ამიტომ,

თითოეული მოქალაქისათვის საჭირო იქნებოდა, არა მარტო განსაკუთრებული დებულების შედგენა, არამედ თითოეული დანაშაულისათვის ახალი კანონის გამოცემა. ზოგჯერ ადამიანები ყველაზე კეთილი სურვილებით საზოგადოებას განსაკუთრებულად დიდ ზიანს აყენებენ, ზოგჯერ კი ყველაზე ბიწიერი სურვილებით აღსავსეთ უდიდესი სარგებელი მოაქვთ მისთვის.

ზოგიერთი დანაშაულის მნიშვნელობას დაზარალებული პირის ღირსების მიხედვით უფრო საზღვრავს, ვიდრე საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის მისი მნიშვნელობის გათვალისწინებით. ეს რომ ჭეშმარიტი საზომი იყოს, მაშინ ამა თუ იმ პიროვნების შეურაცხყოფა უნდა ისჯებოდეს უფრო მკაცრად, ვიდრე მონარქის მკვლელობა, ვინაიდან ბუნების სიდიადე უსასრულოდ გადაწონის განსხვავებას მიყენებული ზარალის ოდენობაში.

დასასრულს, ზოგიერთები ფიქრობდნენ, რომ დანაშაულთა საზომს ცოდვის სიმძიმე წარმოადგენს. ის, რომ ეს აზრი მცდარია, ცხადია თითოეულისათვის, ვინც მიუკერძოებლად იკვლევს ადამიანის დამოკიდებულებას ადამიანის მიმართ და ადამიანისას – ღვთის მიმართ. პირველნი თანასწორობის ურთიერთობებს წარმოადგენენ.

მხოლოდ ენებათა დაჯახებამ და ინტერესთა დაპირისპირებამ წარმოშვა **საერთო სარგებლობის** იდეა, რომელიც ადამიანური სამართლიანობის საფუძველს წარმოადგენს. მეორენი წარმოადგენენ უზენაეს არსებაზე და შემომქმედზე დამოკიდებულების ურთიერთობებს, რომელმაც მარტო თვითონ დაიტოვა უფლება ყოფილიყო ერთდროულად კანონმდებელიც და მოსამართლეც, ვინაიდან, მარტო მას შეუძლია მოიცვას ყოველივე ეს ზიანის გარეშე. თუ მან განსაზღვრა მუდმივი სასჯელი მისი ყოვლისშემძლე ძალაუფლებისადმი დაუმორჩილებელთა მიმართ, მაშინ რომელი უბადრუკი არსება გაბედავს შეავსოს საღვთო სამართალი, შური იძიოს არსებაზე, რომელიც თავის თავად დომინირებს, რომლისათვისაც უცხოა ყოველგვარი მიწიერი სიხარული და დარდი, და რომელიც მხოლოდ ერთი ვერ ხვდება ვერანაირ წინააღმდეგობას. ცოდვის სიმძიმე დამოკიდებულია გულის ბოღმიანობაზე, რომლის სიღრმის გაგების უნარი ღვთიური განათლების გარეშე არ ძალუძთ გონება შეზღუდულ პიროვნებებს. მაშინ, როგორ უნდა გაიზომოს დანაშაული ცოდვის სიმძიმით? ადამიანები დაიწყებდნენ დასჯას იქ, სადაც ღმერთი პატიობს და – პატიებას იქ, სადაც ის სჯის. თუ ადამიანებს შეუძლიათ გამოიწვიონ ღვთის წყრომა, მისი შეურაცხყოფით, მაშინ მის

შეურაცხმყოფთა დასჯით, მათ ასევე შეუძლიათ დაარ-
ღვიონ მისი ნება.

§VIII. დანაშაულის დაჯგუფება

ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ დანაშაულის ჭეშმარიტ საზომს წარმოადგენს მათგან გამოწვეული საზოგადოებრივი ზიანი. აღნიშნული ერთ-ერთი იმ ჭეშმარიტებათაგანია, რომელთა გასახსნელად საჭირო არაა ტელესკოპები და რომლებიც ხელმისაწვდომია ნებისმიერი საშუალო გონებისათვის. თუმცა, გარემოებათა უცნაური დამთხვევის გამო, ასეთი სახის ჭეშმარიტებანი ყოველთვის და ყველა ერში ნათლად წარმოდგენილი ჰქონდათ მხოლოდ რამოდენიმე მოაზროვნე ადამიანს. აზიური შეხედულებანი, ენებანი, ავტორიტეტს და ძალაუფლებას ამოფარებულნი, ახშობენ მარტივ ცნებებს, რომელნიც შეიძლება შეადგენდნენ ახლახან წარმოქმნის პროცესში მყოფ საზოგადოების ფილოსოფიას. ამის მიღწევა მოხერხდა მორიდებული ადამიანების ნდობაზე მეტწილად

შეუმჩნეველი საშუალებებით, ნაწილობრივ ძლიერ შთაბეჭდილების ზემოქმედებით. ამ საუკუნის განათლებულობას, როგორც ჩანს, მივყავართ იმ ჭეშმარიტებასთან, რომელიც მით უფრო მეტ ძალას იძენს, რაც უფრო გაძლიერებულია გეომეტრიულად ზუსტი გამოკვლევებით, მწარე გამოცდილებით, რომელიც ათასჯერ მეორდება და თვით იმ წინააღმდეგობით, რომელიც მათ შეხვდათ. ახლა კარგი იქნებოდა შეგვესწავლა და დაგვედგინა განსხვავება დანაშაულთა ყველა სახესა და მათთვის სასჯელებს შორის. მაგრამ დროსა და სივრცეზე დამოკიდებული მათი ცვლადი ბუნება გვაიძულებდა შევსულიყავით უსასრულო და დამქანცველი წვრილმანების გარჩევაში. მე ძირითადი საწყისების განმარტებითა და მეტად საზიანო, გავრცელებული ცრურწმენების მითითებით შემოვიფარგლები. ეს საკმარისი იქნება იმისათვის, რომ ავარიდოთ შეცდომებს ისინი, რომლებიც ცუდად გაგებული თავისუფლების სიყვარულიდან გამომდინარე, ანარქიის შემოღებას მოინდომებენ და ისინიც, რომლებიც არჩევენ ადამიანთა ცხოვრება სამონასტრო წესების ერთფეროვნებას დაუმორჩილონ.

ზოგიერთი დანაშაული უშუალოდ საზოგადოებას

ანგრევს ან მისი წარმომადგენლების დაღუპვას იწვევს, სხვები მოქალაქეთა პირად უსაფრთხოებას არღვევენ, მათ სიცოცხლეს, საკუთრებასა და პატივს ხელყოფენ, მესამენი ეწინააღმდეგებიან კანონს, რომელიც საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის თითოეულ მოქალაქეს უსაზღვრავს – თუ რა უნდა აკეთონ. ყველაზე საზიანო და ამრიგად, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს უდიდებულესობის შეურაცხყოფა წარმოადგენს. სიტყვებისა და ყველაზე ნათელი წარმოდგენების აღრევით, მხოლოდ უმეცრებასა და ტირანიას შეუძლია გამოიყენოს აღნიშნული სახელწოდება და სულ სხვა ბუნების დანაშაულთათვის, ამის შესაბამისად – ყველაზე მძიმე სასჯელიც. ამგვარად, ადამიანები ისევე, როგორც ათასობით სხვა შემთხვევაში, ერთი სიტყვის მსხვერპლნი ხდებიან. ნებისმიერი, თუნდაც კერძო პირის მიმართ მიმართული დანაშაული, აზიანებს საზოგადოებას, მაგრამ ყველა დანაშაული უშუალოდ საზოგადოების დასანგრევად არაა მიმართული. ბუნების ყველა მოძრაობის მსგავსად დროისა და სივრცის მიერ სხვადასხვაგვარად განპიროვნებული, როგორც ფიზიკური, ისე მორალური ქმედებების გამოვლინების ჩარჩოებია განსაზღვრული. მხოლოდ მიკერძოებულმა განმარტებამ,

რომელიც მონობის ჩვეულებრივ ფილოსოფიას წარმოადგენს, შეუძლია არიოს ის, რაც თვით მარადიულმა ჭეშმარიტებამ სამუდამოდ განაცალკევა.

ამ დანაშაულს კერძო პირთა უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული მოჰყვება. ვინაიდან, სწორედ აღნიშნული უსაფრთხოება აღმოჩნდა ყოველი კანონიერი გაერთიანების მიზანი, ამიტომ თითოეული მოქალაქის მიერ შეძენილი უსაფრთხოების უფლების დარღვევამ კანონით განსაზღვრული ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სასჯელი უნდა გამოიწვიოს.

აზრი, რომ მოსალოდნელი შედეგების მიმართ ყოველგვარი სიფრთხილის გარეშე თითოეულ მოქალაქეს უფლება აქვს აკეთოს ყველაფერი, რაც არ ეწინააღმდეგება კანონებს, წარმოადგენს პოლიტიკურ დოგმატს, რომლისაც ხალხს უნდა სჯეროდეს და კანონების ურღვევი დაცვის გზით უმაღლესმა ხელისუფლებამ უნდა გაიზიაროს; აღნიშნული წმინდა დოგმატი გახლავთ. მის გარეშე ვერ იარსებებდა კანონიერი საზოგადოება, – მთელი ბუნების მიმართ მსხვერპლად შეწირული თავისუფლებისათვის, იგი ახასიათებს გრძნობებით დაჯილდოებულ ყველა არსებას, რომელიც ზღვარს მხოლოდ

თავის საკუთარ ძალებში ეძებს. ეს დოგმატი ადამიანებში თავისუფალ და ძლიერ სულს, განათლებულ გონებას ჰქმნის, მათში წარმოშობს ვაჟკაცობის სათნოებას და არა დამყოლ კეთილგონიერებას, რომლის ღირსი არიან მხოლოდ ისინი, ვისაც გააჩნია უნარი უბადრუკი და არაუზრუნველყოფილი ცხოვრება აიტანოს. ამრიგად, მოქალაქეთა უსაფრთხოებისა და თავისუფლების ხელყოფა ერთ-ერთ ყველაზე უმნიშვნელოვანეს დანაშაულს წარმოადგენს. მათ მიეკუთვნება მკვლელობა და ქურდობა, ჩადენილი არა მარტო პლებეების, არამედ დიდგვაროვანთა, ძალაუფლების მპყრობელთა მიერაც, ვინაიდან, მათი მაგალითი ახდენს რა გავლენას მრავალ ადამიანზე, ქვეშევრდომებს უკარგავს ნდობას სამართლიანობისა და მოვალეობის ცნებების მიმართ, ამკვიდრებს მათში ძლიერის უფლებას, ერთნაირად საშიშს, როგორც მათთვის, ვინც მით სარგებლობს, ისევე მათთვის, ვინც მისგან იტანჯება.

§IX. ღირსებისათვის

სხვა ნებისმიერთან შედარებით, განსაკუთრებული მონდომებით დამცველ მოქალაქეთა პიროვნების, სამოქალაქო საკუთრების და ე.წ. ღირსების კანონებს შორის (რომელთათვის საზოგადოებრივ აზრს ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს) მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა არსებობს. **ღირსება** იმ სიტყვებს მიეკუთვნება, რომელთაც ვრცელ და ბრწყინვალე მსჯელობებს ჩაუყარეს საფუძველი, თუმცა, საგნის მყარი, ზუსტი ცნება არ მოუციათ. ადამიანის გონების სამწუხარო მდგომარეობაა: უსასრულოდ დაშორებული ციური სხეულების წრებრუნვის ნაკლებად მნიშვნელოვანი წარმოდგენები, მისთვის უფრო ცხადია, ვიდრე ახლო მდგომი და ყველაზე მნიშვნელოვანი ზნეობრივი ცნებები, რომელნიც ყოველთვის ცვლადი, მერყევი, ვნებათა ღელვის გავლენით, უმეცრებით ათვისებული, გავრცელებული გახლავთ და რომელთაც მფარველობენ, მაგრამ ამ ყოველივეს საოცრებას არ მივაწერთ, თუ გავიხსენებთ, რომ თვალებთან ზედმეტად

მიახლოებული საგნები გაურკვევლად გვეჩვენება. ზნეობრივი იდეები ჩვენ განსაკუთრებით ახლოს გვეხება. ამას მათი შემადგენელი მრავალრიცხოვანი უბრალო იდეის არევამდე და ადამიანური მგრძნობიელობის გამოვლინებათა გაზომვის მოსურნე, გონებისათვის აუცილებელი გეომეტრიული, მრავალმრიცხოვანი სასაზღვრო ხაზის წაშლამდე მიეყავართ. ადამიანთა საქმიანობის მიუკერძოებელი დამკვირვებელი აღარ გაოგნდება, თუ გაიგებს, რომ თავისი ბედნიერებისა და უსაფრთხოებისათვის ადამიანები მორალური წესების აკრძალვების ასეთ დიდ სიმრავლეს არ საჭიროებენ. **ღირსება** წარმოადგენს ერთ-ერთ რთულ იდეას, რომელიც არა მარტო მარტივი, არამედ თავის მხრივ რთული იდეებისაგან შედგება. ამგვარი სახის იდეები, გონებისათვის სხვადასხვაგვარად წარმოდგება. ისინი ზოგიერთ თავის ელემენტს ზოგჯერ ავლენენ, ზოგჯერ კი უკუაგდებენ და მხოლოდ მცირეოდენ საერთოს ინარჩუნებენ მსგავსად რამოდენიმე რთულ ალგებრული სიდიდისა, რომელსაც საერთო გამყოფი აქვთ. ამ საერთო გამყოფის საპოვნელად სხვადასხვა იდეებისათვის, რომლებსაც ადამიანები **ღირსებისათვის** ქმნიან, აუცილებელია მზერა გადავავლოთ საზოგადოების წარმოშობას. პირველი კანონები და ძალაუფლებანი თითოეულის ბუნებრივი დესპოტიზმიდან გამომდინარე, ბორო-

ტების თავიდან აცილების აუცილებლობიდან წარმოიქმნენ. საზოგადოების დაფუძნების აღნიშნული საწყისი მიზანი ყოველთვის ნამდვილად ან მოსაჩვენებლად, ყველა, თუნდაც დამღუპველი დებულების სათავეში დგებოდა, მაგრამ ადამიანთა უფრო მეტად დაახლოებამ, წარმატებებმა შემეცნების სფეროში, წარმოშვეს ურთიერთობებისა და მოთხოვნილებების უსასრულო რიგი, რომლის გათვალისწინება არ შეეძლოთ კანონებს, ხოლო დაკმაყოფილება არ ძალუძდა თითოეულს ცალ-ცალკე. სწორედ ამ დროიდან მკვიდრდება საზოგადოებრივი აზრის დესპოტიზმი, – ერთადერთი საშუალება მიიღო სხვისგან სიკეთე და აირიდო ბოროტება იმ შემთხვევებში, როდესაც კანონებს ამის უზრუნველყოფა არ შეუძლია. საზოგადოებრივი აზრი ბრძენისთვის და უმეცრისთვისაც მწვალებელს წარმოადგენს, ესე იგი მოჩვენებით სათნოებას თვით სათნოებად წარმოაჩენს და ბოროტმოქმედს, თუ ეს მისთვის ხელსაყრელია, ჭეშმარიტების მქადაგებლად გადააქცევს. საერთო დონეზე დაბლა რომ არ დაცემულიყო, ადამიანთა პატივისცემა არა მარტო სასარგებლო, არამედ აუცილებელიც გახდა. ამრიგად, თუ პატივმოყვარე პატივისცემის დამსახურებას გამორჩენისთვის ცდილობს, დიდებისმოყვარე კი ითხოვს მას, როგორც ჯილდოს საკუთარი დამსახურებისათვის, მაშინ ღირსეული, პატიოსანი ადამიანი

მას აუცილებლობიდან გამომდინარე მოითხოვს. აღნიშნული **ღირსება** ძალიან ბევრისათვის მისი არსებობის პირობას წარმოადგენს, ვინაიდან იგი საზოგადოების წარმოშობის შემდეგ წარმოიშვა და არ შეეძლო გამხდარიყო საზოგადოებრივი ხელშეკრულების საგანი, იგი ბუნებრივ პირობასთან მოულოდნელ დაბრუნებასა და იმ კანონების ძალაუფლებიდან დროებით გათავისუფლებას გამოხატავს, რომელიც მოქალაქეს აღნიშნულ შემთხვევაში არასაკმარისად იცავს.

აქედან გამომდინარე, **ღირსების** იდეები უკიდურესი პოლიტიკური თავისუფლებისა და დამოკიდებულების ხარისხის დროს ქრებიან ან სრულიად ერწყმიან სხვა იდეებს: პირველ შემთხვევაში – ვინაიდან კანონების დესპოტიზმისას ზედმეტია სხვათა მხრიდან პატივისცემისკენ სწრაფვა, მეორეში – რადგანაც ადამიანთა დესპოტიზმი ანადგურებს სამოქალაქო არსებობას და თითოეულის ცხოვრებას უბადრუკად, დაუცველად აქცევს. ამრიგად, **ღირსება**, წარმოადგენს იმ მონარქიათა ერთ-ერთ ძირითად საწყისს, რომლებშიც ზომიერი დესპოტიზმი ბატონობს და იგი შეადგენს იგივეს, რასაც დესპოტურ სახელმწიფოებში რევოლუცია, რაც გამოიხატება დროებით პირველყოფილ მდგომარეობაში დაბრუნებასა და ხელისუფლისათვის უძველესი თანასწორობის შეხსენებაში.

§X. დუელის შესახებ

კანონთა ანარქიისას, სხვათა მხრიდან პატივისცემით სარგებლობის აუცილებლობამ – კერძო დუელები წარმოშვა. ამტკიცებენ, რომ უძველეს დროში ისინი ცნობილი არ იყო. შესაძლებელია იმ მიზეზით, ვინაიდან ძველად ადამიანები ყოველგვარი სიფრთხილის გარეშე ტაძრებში, თეატრებსა თუ მეგობრებთან გროვდებოდნენ, ან იმის გამო, რომ ორთაბრძოლა წარმოადგენდა ჩვეულებრივ და საზოგადოებრივ სანახაობას, რომელსაც ხალხისათვის გლადიატორები – მონები და პატივაყრილი ადამიანები აწყობდნენ. ამგვარად, თავისუფალი ადამიანები შიშობდნენ, ორთაბრძოლების მოწყობას თუ დაიწყებდნენ, მათაც გლადიატორებად მიიჩნევდნენ. დუელში გამოწვევის მიმღებთათვის სიკვდილის მუქარით, კანონები უშედეგოდ ცდილობდნენ აღმოეფხვრათ ჩვეულება, რომელიც აიხსნებოდა იმის შიშით, რისაც ზოგიერთებს სიკვდილზე მეტად ეშინიათ. პატიოსანმა ადამიანმა იცის, რომ თუ სხვის თვალში პატივისცემას

დაკარგავს, იგი განწირული იქნება სრული მარტოობისათვის – მდგომარეობისათვის, რომელიც აუტანელია საზოგადოებრივი ადამიანისათვის, ან სამიზნე გახდება დაცინვისა და შეურაცხყოფისა, რომლის გამეორება სასჯელის წინაშე შიშს სძლევს. რატომაა, რომ უბრალო ხალხში დუელის ჩვეულება გავრცელებული არ გახლავთ ისე, როგორც მაღალი საზოგადოების წარმომადგენელთა შორის? არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი უიარაღოა, არამედ იმიტომაც, რომ პლებეები ისე არ საჭიროებენ სხვათა მხრიდან პატივისცემას, როგორც მათზე ზემდგომნი, რომელნიც უდიდესი უნდობლობითა და შურით ეპყრობიან ერთმანეთს.

უსარგებლო არ იქნება სხვათა მიერ უკვე ნათქვამის გამეორება, რომელნიც მიუთითებდნენ, რომ ამ დანაშაულის თავიდან აცილების საუკეთესო საშუალება იმ ინიციატორის დასჯაა, რომელმაც გამოიწვია ორთაბრძოლის საბაბი და უდანაშაულოდ იმის აღიარება, ვინც სხვისი მიზეზით იძულებული იყო დაეცვა ის, რაც არაა დაცული არსებული კანონებით, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იძულებული იყო დაეცვა თავისი პატივი და ეჩვენებინა თანამოქალაქეებისათვის, რომ მას მხოლოდ კანონების ეშინია და არა – ადამიანების.

§XI. საზოგადოებრივი მყუდროებისათვის

დასასრულს, დანაშაულთა მესამე სახეობას მოქალაქეთა პირადი და საზოგადოებრივი მყუდროების დარღვევა მიეკუთვნება, კერძოდ: ხმაური თუ ჩხუბი საზოგადოებრივ ქუჩებში, რომელნიც ვაჭრობისა და მოქალაქეთა გასაველელადაა განკუთვნილი. ცნობისმოყვარე ბრბოს ენებათა მით უფრო ადვილად აღმგზნები ფანატიკური ქადაგებანი, რაც მეტია მსმენელთა რაოდენობა. ადამიანთა დიდ მასაზე არასდროს მოქმედებს ცხადი და გონივრული დასაბუთებანი. მასზე მქადაგებელთა ბუნდოვანი და ამოუცნობი აღტკინება ახდენს ძლიერ ზეგავლენას.

ქალაქში დამის განათება საზოგადოებრივი ხარჯით, დაცვა განაწილებული სხვადასხვა უბნის მიხედვით, ტაძართა უსიტყვო და წმინდა სიჩუმეში საზოგადოებრივი დაცვის ქვეშ აყვანილი უბრალო, ზნეობრივი საუბრები რელიგიაზე, სიტყვები კერძო თუ საზოგადოებრივი ინტერესების დასაცავად სახალხო კრებებზე, პარლამენტებში ან იქ, სადაც სუვერენის დიდებულება იმყოფება,

— ყოველივე ეს სახალხო ვნებათა საშიში დაგროვების თავიდან აცილების ნამდვილი საშუალებებია. მათზე დაკვირვება წარმოადგენს საქმიანობის მთავარ დარგს იმ ხელისუფლებისა, რომელსაც ფრანგები **პოლიციას** უწოდებენ, მაგრამ თუ აღნიშნული ხელისუფლება განუკითხავად და არა დადგენილი, ყველა მოქალაქისთვის არსებული საერთო კანონების მიხედვით იმოქმედებს, მაშინ გახსნილი იქნება გზა ტირანიისაკენ, რომელიც ყოველთვის თავს დასტრიალებს პოლიტიკური თავისუფლების ყველა წახნაგს. მე არ ვიზიარებ არავითარ გამონაკლისს საერთო წესიდან, რადგან თითოეულმა ადამიანმა უნდა იცოდეს, როდისაა ის დამნაშავე ან უდანაშაულო. თუ რომელიმე სახელმწიფოში ცენზორები და საერთოდ განუკითხავად მოქმედი ხელისუფლებაა აუცილებელი, ეს გამოწვეულია მისი სისუსტით და კარგად მოწყობილი მმართველობის დამახასიათებელ თვისებას არ წარმოადგენს. საიდუმლოდ მოქმედი ტირანიისათვის საკუთარი ბედის მიმართ დაურწმუნებლობამ ბევრად მეტი მსხვერპლი მოითხოვა, ვიდრე ის ღიად და საზეიმოდ გამოსულმა ტირანიამ მოგვცა. ეს უკანასკნელი ადამიანებს იმდენად არ ამცირებს, რამდენადაც აღაშფოთებს მათ. ნამდვილი ტირანი ყოველთვის საზოგადოებრივი აზრის დაპყრობიდან იწყება. ამის

შედეგად უძლურდება ვაუკაცობა, რომელსაც მხოლოდ ჭეშმარიტების ნათელ შუქზე, ვნებათა ქარცეცხლში, ან საფრთხის არსებობის გაუთვალისწინებლად შეუძლია ბრწყინავდეს.

რა სასჯელი შეესაბამება ამ დანაშაულებს? წარმოადგენს კი სიკვდილით დასჯა ნამდვილად **სასარგებლოს და აუცილებელს** უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგისათვის? **სამართლიანია** თუ არა წამება და წვალება; აღწევენ თუ არა ისინი თავის კანონით განსაზღვრულ მიზანს? ყველაზე მეტად როგორ შეიძლება დანაშაულთა თავიდან აცილება? ერთნაირი სარგებლობა მოაქვს თუ არა ერთსა და იმავე სასჯელს ყველა დროში? როგორ გავლენას ახდენს ის ზნეობაზე? ყველა ეს კითხვა იმსახურებს გეომეტრიულად ზუსტ ამოხსნას, რომლის წინაშეც უძლურია ყველა ბუნდოვანი სოფიზმი, მაცდური მჭევრმეტყველება და შიშნარევი დაეჭვება. მე თავს ბედნიერად მივიჩნევდი, რომ არ მქონოდა სხვა დამსახურება, გარდა იმისა, როდესაც პირველმა წარვუდგინე იტალიას დიდი სიცხადით ის, რაც სხვა ერებმა გაბედეს დაეწერათ, ხოლო ახლა მის ცხოვრებაში გატარებას იწყებენ. იმ შემთხვევაში, თუ ადამიანთა უფლებებისა და დაუმარცხებელი ჭეშმარიტების დაცვით, მე შევძლებდი სიკვდილის წინ ტანჯვის, განსაცდელისა და დაუნდობელი

უგუნურობისაგან გადამერჩინა ტირანიის თუნდაც ერთი მსხვერპლი, მაშინ მე ადამიანების მხრიდან დაუფასებლობის სანაცვლოდ, ერთი უდანაშაულოს დალოცვა და სიხარულის ცრემლი დამაჯილდოვებდა.

§XII. სასჯელის მიზანი

აქამდე აღწერილ ჭეშმარიტებათა მარტივი გადმოცემა სიცხადით გვიჩვენებს, რომ სასჯელის მიზანს არ წარმოადგენს ადამიანის გაწამება, ტანჯვა და უკვე მომხდარი დანაშაულის არარსებულად ქცევა. შეუძლია კი პოლიტიკურ გვამს, რომელიც არა მარტო თვითონ არ ხელმძღვანელობს ვნებებით, არამედ ამცირებს კერძო პირთა ვნებებსაც, თავშესაფარი მისცეს ასეთ უსარგებლო სისასტიკეს, განრიხების, ფანატიზმისა და სუსტი ტირანების იარაღს? განა ძალუძს უბედურთა კვნესას გააქარწყლოს ის, რაც წარსულშია ჩადენილი? აქედან გამომდინარე, სასჯელის მიზანი მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ წინ აღუდგეს დამნაშავეს, რათა კვლავ არ დააზიანოს საზოგადოება და სხვები ანალოგიურის ჩადენისაგან

შეაკავოს. ამრიგად, საჭიროა გამოვიყენოთ მხოლოდ ის სასჯელი, რომელიც დანაშაულთან შესაბამისობით ყველაზე ძლიერ და უმეტესად ხანგრძლივ შთაბეჭდილებას მოახდენდა ადამიანთა სულებზე და დამნაშავის სხეულისათვის ნაკლებ სატანჯველი იქნებოდა.

§XIII. მოწმისათვის

ყოველი კარგი კანონმდებლობისათვის მეტად მნიშვნელოვანია მოწმეთა სიმართლისა და დანაშაულთა მტკიცებულებათა ზუსტი დადგენა. ნებისმიერ მოაზროვნე ადამიანს, ვისაც გააჩნია უნარი დალაგებულად აზროვნებისა, შეუძლია იყოს მოწმე. † სარწმუნობის ჭეშმარიტ საზომს წარმოადგენს ადამიანის დაინტერესება თქვას თუ არა სიმართლე. ამგვარად, ახირებულია მოსაზრება ქალების სისუსტის შესახებ, სამოქალაქო სიკვდილის გატოლება ბუნებრივ სიკვდილთან, მნიშვნელობა არა აქვს მინიშნებას იმ პირთა უპატიოსნობაზე, რომელთაც ტყუილის თქმის არანაირი საჭიროება აქვთ. † აქედან გამომდინარე, მოწმის სანდოობა, ბრალდებულის მიმართ მტრული, მეგობრული ან სხვა დამოკიდებულების

გათვალისწინებით უნდა მცირდებოდეს. ერთი მოწმე საკმარისი არაა, ვინაიდან თუ ერთი ამტკიცებს, ხოლო მეორე უარყოფს, მაშინ არაფერია სარწმუნო და ამგვარ შემთხვევაში თითოეულს აქვს უფლება უდანაშაულოდ ჩაითვალოს. მოწმის დამაჯერებლობა მით მცირდება, რაც უფრო საშიშია დანაშაული[1] ან რაც უფრო წარმოუდგენელია ის, როგორც მაგალითად, ჯადოქრობა, ან უაზრო სისასტიკე. ჯადოქრობაში დადანაშაულებისას

---

[1] † კრიმინალისტები მიიჩნევენ, რომ მოწმის სანდოობა მით უფრო იზრდება, რაც უფრო საშინელია დანაშაული. აი, რკინის წესი, ჩანერგილი ყველაზე სასტიკი შეშლილობით: In atrocissimis leviores conjuncturae sufficiunt, et lecet Iudici jura transgredi. გადავთარგმნოთ ეს უბრალო ენაზე და ევროპელები გაიგებენ ერთ-ერთს მრავალრიცხოვანი, ერთნაირად უგუნური წესებიდან: საშინელ დანაშაულში ბრალდებისას, ანუ ყველაზე ნაკლებად სავარაუდოში – საკმარისია ყველაზე სუსტის დაშვება და მოსამართლეს უფლება ეძლევა ანგარიში არ გაუწიოს კანონს. – უაზრო საკანონმდებლო დებულებები ხშირად, ადამიანური წინააღმდეგობების ამ მთავარი წყაროს – შიშის შედეგს წარმოადგენენ. კანონმდებლები (ასეთები გახლავთ იურისტები, რომელნიც თავისი სიკვდილის შემდეგ გახდნენ წინასწარმეტყველები, მიკერძოებული და დაქირავებული მწერლებიდან კანონმდებლებად თუ ადამიანთა ბედის განმსაზღვრელებად გადაიქცნენ), შეშინებულნი რამდენიმე უდანაშაულოსათვის სასჯელის მისჯით, გადატვირთავენ კანონმცოდნეობას ზედმეტი ფორმალობითა და გამონაკლისებით, რომელთა ზუსტი შესრულება მართლმსაჯულების ტახტზე ანარქიულ დაუსჯელობას შემოიტანდა; რამდენიმე საშინელი, ძნელად დასამტკიცებელი დანაშაულით შეშინებულებმა, საჭიროდ მიიჩნიეს არ გაეთვალისწინებინათ მათ მიერვე დადგენილი ფორმალობები და ამგვარად, ზოგჯერ დესპოტური მოუთმენლობით, ზოგჯერ კი ქალური გაუბედავობით, მართლმსაჯულების მნიშვნელოვანი საქმე გადააქციეს ისეთ თამაშად, რომელშიც შემთხვევითობას და გაიძვერობას მთავარი როლი მიეკუთვნება. †

უფრო სავარაუდოა, რომ რამდენიმე ადამიანი უგუნურობით ან სისასტიკით სიმართლეს არ ამბობდეს და ნაკლებად დასაშვებია, რომ ერთი ადამიანი ფლობდეს ძალას, რომელიც უფალს არავისთვის მიუცია და ყველა მის მიერ შექმნილ ცოცხალ არსებას ჩამოართვას. სწორედ ამგვარად მდგომარეობს საქმე მეორე ბრალდებისას, ვინაიდან ადამიანი სასტიკი ხდება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს მისი პირადი ინტერესით, სიძულვილით ან შიშითაა გამოწვეული. ადამიანის გრძნობები ყოველთვის მიღებულ შთაბეჭდილებებს შეესაბამება, ამიტომ არც ერთ გრძნობას არ შეუძლია წარმოიშვას უმიზეზოდ. მოწმის სანდოობა შეიძლება აგრეთვე შემცირდეს, თუ ის რომლიმე საიდუმლო საზოგადოების წევრია, რომლის ჩვეულებები და წესები ან ნაკლებადაა ცნობილი ან საზოგადოდ მიღებულთაგან განსხვავდება. ასეთი ადამიანი არა მარტო საკუთარი, არამედ სხვისი ვნებების გავლენის ქვეშ იმყოფება.

მოწმის სანდოობა თითქმის ნულს უდრის იმ შემთხვევაში, როდესაც სიტყვის საშუალებით დანაშაული წარმოიშვება, ვინაიდან ხმის ინტონაციები, სხეულის მოძრაობანი, ყველაფერი, რაც წინ უძღვის ან თან სდევს სხვადასხვა იდეას და ერთი და იგივე სიტყვებით გამოიხატება, იმდენად ცვლის ნათქვამს, რომ მისი სიზუსტით

წარმოსახვა თითქმის შეუძლებელია. გარდა ამისა, ძალადობრივი და უჩვეულო ქმედებები, რომლებსაც ნამდვილი დანაშაული წარმოადგენს, თავის შემდეგ მრავალრიცხოვან კვალსა და შედეგებს ტოვებს. სიტყვები კი მხოლოდ მათი მსმენელების მეხსიერებაში უმეტეს წილად არაზუსტად და ხშირად, შეცდომაში შეყვანილიც რჩება. ამიტომ, ბევრად იოლია ადამიანის ცილისწამება არა ქმედებების, არამედ მისი სიტყვების მითითებით, ვინაიდან რაც მეტი გარემოება მოჰყავთ მტკიცებულების სახით, ბრალდებულს თავის გამართლებისათვის მით მეტი საშუალება ეძლება.

§XIV. *ნივთმტკიცებანი და სასამართლოს ფორმა

რაიმე მოვლენის, მაგალითად, რომელიმე დანაშაულის ნივთმტკიცებათა ძალის დამაჯერებლობის გასაანგარიშებლად, საკმაოდ სასარგებლო ზოგადი თეორემა არსებობს; თუ რომელიმე მოვლენის მტკიცებულებანი ერთი მეორეზეა დამოკიდებული, ანუ თუ ერთი ნივთმტკიცება მხოლოდ მეორით მტკიცდება, მაშინ რაც მრავალრიცხოვანია მტკიცებულებები, მით ნაკლებია მოვლენის ალბათობა, ვინაიდან იმ შემთხვევებში, სადაც უარყოფილი იქნება წინამდებარე მტკიცებულება, თავის მნიშვნელობას მომდევნოც დაკარგავს. †თუ მტკიცებულებანი ერთი მეორეზე არაა დამოკიდებული, ანუ თუ მტკიცებულებანი არა ერთობლივად, ერთიმეორის დახმარებით, არამედ, სხვაგვარი გზით მტკიცდება, მაშინ რაც მეტი მტკიცებულება მოჰყავთ, მით მეტია მოვლენის ალბათობა, ვინაიდან ერთი მტკიცებულების ძალადაკარგულობა გავლენას არ ახდენს მეორეზე. ალბათობაზე საუბრისას, ვგულისხმობ დანაშაულს, რომელიც სასჯელს მხოლოდ

სარწმუნობის შემთხვევაში შეიძლება დაექვემდებაროს, მაგრამ ეს უცნაურად არ მოეჩვენება მას, ვინც გაითვალისწინებს, რომ მორალური სარწმუნობა, მკაცრად რომ ვთქვათ, სხვა არაფერია თუ არა ალბათობა. **ამ ალბათობას სარწმუნობა ეწოდება,** ვინაიდან თითოეული გონიერი ადამიანი გარდაუვალად აღიარებს მას ასეთად იმ ჩვევების ძალით, რომლებიც ჩამოუყალიბდა მოქმედების აუცილებლობის გავლენით, იმ ჩვევებისა, რომლებიც წინ უძღვიან ყოველ განყენებულ მსჯელობას. ადამიანის დამნაშავედ აღიარებისათვის საჭიროა ე.ი. ისეთი სარწმუნობა, რომლითაც თითოეული თავისი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საქმეებში ხელმძღვანელობს. † დანაშაულის მტკიცებულებანი შეიძლება სრულყოფილად და არასრულყოფილად დავყოთ. მე სრულყოფილებს ვუწოდებ მათ, რომელნიც უდანაშაულობის შესაძლებლობას გამორიცხავენ; არასრულყოფილებს კი – მათ, რომელნიც ამ შესაძლებლობას არ გამორიცხავენ. ბრალდებისათვის ერთი სრულყოფილი მტკიცებულებაც საკმარისია, მაშინ როდესაც არასრულყოფილი იმდენი უნდა გქონდეს, რომ მათ ერთად სრულყოფილი მტკიცებულების შექმნა შეეძლოთ. სხვაგვარად, თუ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე უდანაშაულობის შესაძლებლობას უშვებს, მაშინ მათი ერთო-

ბლიობა ამ შესაძლებლობას გამორიცხავს. აღსანიშნავია, რომ თუ ბრალდებულს საკუთარი ბრალდების უარყოფა შეეძლო მაგრამ მან ეს არ გააკეთა, მაშინ არასრულყოფილი მტკიცებულებანი მტკიცებულების ძალას იძენს, მაგრამ მათი მორალური სარწმუნობა უფრო იოლი საგრძნობია, ვიდრე ზუსტად განსასაზღვრელი. †ამიტომ, საუკეთესოდ მიმაჩნია ის კანონები, რომელთა მიხედვით მთავარ მოსამართლეს წილისყრით და არა არჩევით გადაეცემა მსაჯულები, ვინაიდან უცოდინრობა, რომელიც გრძობით ასამართლებს, უფრო სანდოა, ვიდრე წინასწარ შექმნილი აზრით გამსამართლებელი განსწავლულობა. კანონების სიცხადისა და სიზუსტისას, მოსამართლის ერთადერთი მოვალეობა მოვლენის დადგენაში მდგომარეობს. თუ მტკიცებულებათა მოსაძიებლად გამოცდილება და აზრიანობაა აუცილებელი, თუ მტკიცებულებებიდან დასკვნების წარმოდგენისას სიცხადე და სიზუსტეა საჭიროა, მაშინ ამ დასკვნების საფუძველზე გადაწყვეტილების გამოსატანად აუცილებელია შეცდომაში ნაკლებად შემყვანი მხოლოდ უბრალო კეთილგონიერება, ვიდრე შეცდომაში ნაკლებად შემყვანი ცოდნა მოსამართლისა, განწყობილი ყველგან დამნაშავეთა აღმოსაჩენად. ბედნიერია ის ერი, სადაც კანონების ცოდნა მეცნიერებას არ წარმოადგენს. ყველაზე სასარგებლო

კანონი გახლავთ ის, რომელიც მოითხოვს, რომ თითოეული გასამართლებული იქნეს თავისი თანასწორი პიროვნებების მიერ, ვინაიდან იქ სადაც საუბარია მოქალაქეთა თავისუფლებასა და კეთილდღეობაზე, უთანასწორობით გამოწვეული გრძნობები უნდა დადუმდნენ; ამგვარ სასამართლოში ადგილი არა აქვს არც მედიდურობას, რომლითაც ბედნიერი უბედურს შეჰყურებს, არც გაბოროტებას, რომლითაც უმდაბლესი უმაღლესს უმზერს, მაგრამ თუ დანაშაულმა დააზიანა მესამე პირი, მაშინ მოსამართლეთა ერთი ნაწილი განსასჯელის, ხოლო მეორე – დაზარალებულის წრიდან უნდა იყოს წარმოდგენილი. ამგვარად, გაწონასწორებული იქნება კერძო ინტერესები, რომელიც უნებლიედ ცვლის წარმოდგენებს საგნებზე, ხოლო სიტყვა მხოლოდ კანონებსა და ჭეშმარიტებას მიეცემა. სამართლიანი იქნებოდა აგრეთვე, რომ ბრალდებულს გარკვეულ საზღვრებში შეეძლოს აცილება იმ მოსამართლეებისა, რომელნიც საეჭვოდ ეჩვენება. თუ მას გარკვეული დროის განმავლობაში, აღნიშნული უფლება შეუფერხებლად მიეცემა, მაშინ მსჯავრდება წარმოგვიდგება როგორც თითქმის საკუთარი განაჩენი თავისი თავის მიმართ. სასამართლოები საჯარო უნდა იყოს, საჯაროდ უნდა იქნეს წარმოდგენილი ბრალდებაც და დანაშაულის მტკიცებულებანიც, რათა საზოგა-

დოებრივმა აზრმა, რომელიც საზოგადოების დამაკავ-შირებელ ერთადერთ საწყისს წარმოადგენს, შესძლოს მოთოკოს ძალადობანი და ვნებები, ხალხს კი შეეძლოს თქმა: ჩვენ მონები არა ვართ, ჩვენი დამცველი – გონებაა, რომელიც გამბედაობას გვინერგავს, იმ სუვერენისადმი ხარკის ტოლფასს, რომელსაც თავისი ჭეშმარიტი სარგებლიანობა ესმის. მე არ შევუდგები დაწვრილებით თხრობას და იმ პირობების აღწერას, რომელსაც მსგავსი დაწესებულებები მოითხოვს. ყველაფრის თქმა საჭირო რომ იყოს, მე ვერაფერს ვერ ვიტყოდი.*

§XV. საიდუმლო ბრალდება

საიდუმლო ბრალდება აშკარა, მაგრამ ნაკურთხ ბოროტებას წარმოადგენს და მრავალ ერს მათი სახელმწიფოებრივი მოწყობის სისუსტის გამო აუცილებლობად ექცა. ეს ჩვეულება ადამიანებს ცრუდ და გულჩათხრობილებად ხდის. ვინც სხვის დამბეზღებლობაში დაეჭედება, იგი მასში საკუთარ მტერს დაინახავს, ამიტომ ადამიანები თავისი ნამდვილი გრძნობების დაფარვას ეჩვევიან და სხვების წინაშე თვალთმაქცობას იწყებენ, ამით ისინი, საკუთარი თავის წინაშეც თვალთმაქცობენ. ასეთ მდგომარეობაში მყოფი მისულ ადამიანებს, თუ მიუთითებენ სწორ გზას, რადგან არ გააჩნიათ ცხადი და მტკიცე საწყისები, უბედურად გრძნობენ თავს. დაკარგულნი და მერყევნი, ისინი ეჭვების ვრცელ ზღვაში ბორიალობენ; მოცული არიან თავის დაცვაზე ზრუნვით იმ ურჩხულთაგან, რომლებიც მათ ემუქრებიან; მათი სინამდვილე ყოველთვის მოწამლულია მომავლის განუსაზღვრელობით; ისინი მოკლებულნი არიან

სიწყნარითა და უსაფრთხოებით ბოძებულ ხანგრძლივ სიამოვნებებს; ხოლო ის მცირეოდენი სიამოვნებანი, რომლებიც მათ წილად ხვდათ და რომლებსაც ისინი ხარბად ეძალებიან, ნაკლებად ანუგეშებთ. შეიძლება, კი ამ ადამიანებიდან მამულის ან ტახტის მცველების უშიშარი მეომრების შექმნა? შეიძლება კი ასეთ ადამიანებს შორის ხელისუფლების უანგარო ერთგულ მსახურთა პოვნა, რომელნიც თავისუფლად, სამშობლოს სიყვარულით გამოწვეული მჭევრმეტყველებით განმარტავდნენ და მხარს დაუჭერდნენ სუვერენის ჭეშმარიტ ინტერესებს, რომელნიც სახელისუფლებო ტახტს ხარკთან ერთად მიართმევდნენ ყველა ფენის სიყვარულსა და ლოცვა-კურთხევას, ხოლო სასახლეებსა და ქოხებში დაამკვიდრებენ მშვიდობას, უსაფრთხოებასა და უკეთესი მომავლის იმედს, რომელიც სახელმწიფოსთვის სასარგებლო და სასიცოცხლო ძალას წარმოადგენს?

ვის შეუძლია დაიცვას თავი ცილისწამებისაგან, როდესაც ის შეიარაღებულია ტირანიის ყველაზე ძლიერი ფარით – **საიდუმლოებით?** რა მმართველობაა ის მმართველობა, სადაც მმართველი თითოეულ ქვეშევრდომში მტერს ხედავს და იძულებულია, საზოგადოებრივი მყუდროების გამო, თითოეული მოქალაქის მყუდროება დაარღვიოს?

*რითი ამართლებს საიდუმლო ბრალდებასა და სასჯელს? საზოგადოებრივი კეთილდღეობით, უსაფრთხოებითა და არსებული მმართველობის სახის ხელშეწყობით? თუმცა, ეს რა სახელმწიფოებრივი მოწყობაა, რომლის დროსაც ხელისუფლების მპყრობელი მით უფრო უფრთხის თითოეულ მოქალაქეს, რაც უფრო მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი აზრი? თუ კანონი არასაკმარისად იცავს მას, მაშინ ქვეშევრდომები სუვერენზე ძლიერნი აღმოჩნდებიან? ამრიგად, დამბეზღებლის შეურაცხყოფით დაშვებულია ფარული ცილისწამება, ხოლო ისჯება მხოლოდ აშკარა! დანაშაულის თვისებით? თუ ქმედებას, რომლის არსს ან საერთოდ არა აქვს მნიშვნელობა ან სულაც სარგებლობა მოაქვს საზოგადოებისათვის – დანაშაულს უწოდებენ, მაშინ არც ბრალდება, არც სასამართლო არ იქნება საკმარისად საიდუმლო. არსებობს კი დანაშაული, ანუ ქმედება, რომელიც საზოგადოებას აზიანებს და მაგალითის დასამყარებლად საჯარო სასამართლოს არ ითხოვს? მე პატივს ვცემ ყოველგვარ მმართველობას და არ ვსაუბრობ კონკრეტულად არც ერთ მათგანზე. ზოგჯერ, გარემოებანი იმდაგვარია, რომ ბოროტების აღმოფხვრას, რომელიც განუყრელადაა დაკავშირებული სახელმწიფო მოწყობასთან, შეიძლება ერის დაღუპვა მოჰყვეს. თუმცა,

დედამიწის რომელიმე მიყრუებულ კუთხეში ახალი კანონების დაწერა რომ მომიხდეს, თვალწინ მომავალი თაობა წარმომიდგებოდა და ჩემი შემკრთალი ხელი უარს იტყოდა ასეთი ჩვეულების დაკანონებაზე.*

ჯერ კიდევ ბატონმა მონტესკიემ განაცხადა, რომ საჯარო ბრალდება უფრო დამახასიათებელია რესპუბლიკისათვის, რომელშიც საზოგადოებრივი კეთილდღეობისაკენ მისწრაფება მოქალაქეთა ყველაზე ძლიერ ვნებას უნდა წარმოადგენდეს. მონარქიაში კი, სადაც თვით მმათველობის ბუნებიდან გამომდინარე, ეს გრძნობა საკმაოდ სუსტად წარმოდგება, ყველაზე უკეთესი იქნებოდა სპეციალური კომისრების დანიშვნა, რომლებიც საზოგადოების სახელით კანონთა დამრღვევებს ბრალს დასდებდნენ. თუმცა, ნებისმიერი მმართველობის, როგორც რესპუბლიკურის, ისე მონარქიულის დროს, ცილისმწამებელი უნდა ისჯებოდეს იმ სასჯელით, რომელიც შეიძლება ბრალდებულს დაკისრებოდა.

§XVI. წამებისათვის

გასამართლებისას, ბრალდებულის წამება ჩვეულებით კურთხეული სისასტიკეა. ბრალდებულს აწამებენ, რათა აიძულონ აღიაროს ან იმიტომ, რომ მის ჩვენებებში არსებობს წინააღმდეგობა. მას აწამებენ თანამზრახველების აღმოსაჩენად ან რაიმე მეტაფიზიკური ან გაუგებარი განწმენდისათვის. *და ბოლოს, მას აწამებენ იმ სხვა დანაშაულთა გახსნის მიზნით, რომლებშიც მას თუმცა არ ადანაშაულებენ, მაგრამ არ გამორიცხავენ, რომ შეიძლება ის დამნაშავე იყოს.*

არავის შეიძლება ეწოდოს **დამნაშავე**, ვიდრე არაა გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი და საზოგადოებას არ შეუძლია ბრალდებულს თავისი მფარველობა ჩამოართვას მანამდე, სანამ გადაწყვეტილი არ იქნება, რომ მან დაარღვია პირობები, რომელთა დაცვის შემთხვევაშიც უზრუნველყოფილი იყო ამ მფარველობით. აქედან გამომდინარე, მხოლოდ ძალის უფლებით შეუძლია მოსამართლეს მოქალაქის დასჯა, როდესაც კიდევ არსებობს ეჭვი, არის თუ არა იგი დამნაშავე. ახალი არაა

შემდეგი დილემის არსებობა: დამტკიცებულია დანაშაული, თუ არაა დამტკიცებული. თუ დამტკიცებულია, მაშინ ამისათვის შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ის სასჯელი, რომელიც კანონითაა დადგენილი და წამება უსარგებლოა, ვინაიდან დამნაშავის აღიარება ზედმეტია, ხოლო თუ დანაშაული დამტკიცებული არაა, დაუშვებელია უდანაშაულოს ტანჯვა. უდანაშაულოდ კი ჩაითვლება ნებისმიერი, რომლის დანაშაულიც დამტკიცებული არაა. ამასთანავე, მოვთხოვოთ ადამიანს, რომ ის ერთდროულად საკუთარი თავის ბრალმდებელიც იყოს და ბრალდებულიც. ვიფიქროთ რომ ტკივილი ჭეშმარიტების ბრძმედია, თითქოს ეს უკანასკნელი იზომება უბედურის კუნთებისა და ძარღვების გამძლეობით, – ნიშნავს აღვრიოთ ყველა ურთიერთობანი. ეს უტყუარი საშუალებაა ძლიერი აღნაგობის ბოროტმოქმედის გამართლებისა და უდანაშაულო, მაგრამ ფიზიკურად სუსტის მსჯავრდებისათვის. ესაა, კაციჭამიების ღირსი ჭეშმარიტების ამ მცდარი ერბოქვის საბედისწერო ნაკლოვანებები, რომელსაც რომაელები, ბევრ შემთხვევაში თვითონ ბარბაროსები, მხოლოდ მონათა წინააღმდეგ, მათი ველური და უზომოდ გაზვიადებული სათნოების მსხვერპლთა მიმართ იყენებდნენ.

როგორია სასჯელთა პოლიტიკური მიზანი – სხვათა

დაშინება? რა განაჩენი უნდა გამოვიტანოთ ტირანიის მიერ მოწყობილი საიდუმლო და ფარული ხოცვა-ჟლეტიდან, რომელსაც დამკვიდრებული ჩვეულების შესაბამისად დამნაშავეებსაც და უდანაშაულოებსაც უწყობდნენ? მნიშვნელოვანია, რომ დაუსჯელი არ დარჩეს არც ერთი გახმაურებული დანაშაული, მაგრამ უსარგებლოა იმის ძებნა, რაც წყვდიადითაა დაფარული. საზოგადოებას შეუძლია დასაჯოს უკვე ჩადენილი ბოროტება და გამოუსწორებელი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის სხვებს დაუსჯელობის იმედს აღუძრავს. თუ მართალია, რომ ადამიანები, რომელნიც შიშისა თუ პატიოსნების გამო კანონებს ასრულებენ, მეტნი არიან მათ დამრღვევებზე, მაშინ უდანაშაულო ადამიანის ტანჯვის საშიშროება უნდა იზრდებოდეს იმის მიხედვით, რაც უფრო ალბათურია, რომ ერთნაირ პირობებში თითოეული უფრო შეასრულებს, ვიდრე დაარღვევს კანონს.

შეურაცხყოფისაგან განწმენდა წამების სხვა უაზრო საფუძველს წარმოადგენს, ამიტომ კანონით უპატიოსნოდ მიჩნეული, ჩვენებებს თავისი ძვლების ღრძობით უნდა ადასტურებდეს. მეთვრამეტე საუკუნეში, ამგვარი ძალაუფლების ბოროტად გამოყენება მოუთმენელია. სწამთ, რომ ტკივილი, ანუ მისი აღქმა განწმენდს უპატიოსნობისაგან, რომელიც წმინდა მორალურ მდგომარეობას

წარმოადგენს, მაგრამ განა ტკივილი – ბრძმედია, უპატიოსნება – სხეული უწმინდური მინარევით? რთული არაა ამ უაზრო კანონის წარმოშობა დავადგინოთ. იმ უაზრობებსაც კი, რომლებიც ერის მიერაა ათვისებული, სხვა იდეებთან ყოველთვის გააჩნიათ კავშირი, რომელნიც იგივე ერში არიან გავრცელებულნი და მისი პატივისცემით სარგებლობენ. როგორც ჩანს, ეს ჩვეულება აღმოცენდა რელიგიური და სულიერი იდეებიდან, რომლებსაც ძლიერი გავლენა ჰქონდათ ერებზე, საუკუნეებზე და ადამიანთა შეგნებაზე. შეუცდომელი დოგმატი გვასწავლის, რომ ცოდვა, წარმოშობილი ადამიანური სისუსტით, უმაღლესი არსების მუდმივ რისხვას არ იმსახურებს, ის უნდა გაიწმინდოს რომელიღაც შეუცნობელი სალხინებელის ცეცხლით. თუმცა, შეურაცხყოფა სამოქალაქო ლაქაა. თუ ტანჯვა და ცეცხლი აცილებს სულიერ და უსაგნო ლაქებს, მაშინ წამების ტანჯვამ რატომ არ უნდა მოაცილოს – შეურაცხყოფის ლაქა? ჩემი აზრით, ბრალდებულის აღიარებას, რომელიც ზოგიერთ სასამართლოში მსჯავრდების აუცილებელ პირობად ითვლება, მსგავსი წარმოშობა აქვს, ვინაიდან საიდუმლო სერობის წინ, როდესაც ადამიანები ცოდვებს ინანიებენ, საკუთარი ცოდვების აღიარება ზიარების საიდუმლოს მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. აი,

რამდენად ბოროტად იყენებენ ადამიანები ღვთიურ ზეშთაგონებას, ვინაიდან უმეცრების დროებაში მხოლოდ ერთი ის ანათებს და მორჩილი კაცობრიობა მის ყველაზე უაზრო და შეუფერებელ გამოყენებას მიმართავს, მაგრამ უპატიოსნობა არის გრძნობა, რომელიც არც კანონზე, არც შეგნებაზე, არამედ საზოგადოებრივ აზრზეა დამოკიდებული. თვით წამება შეურაცხყოფს მას, ვინც მისი მსხვერპლი ხდება. ამგვარად უპატიოსნება ახალი უპატიოსნებით იცვლება.

მესამე საფუძველი დანაშაულში ეჭვმიტანილთა მიმართ წამების გამოყენებისათვის მათ ჩვენებებში წინააღმდეგობანი გახლავთ. თითქოს სასჯელის შიში, უცნობი განაჩენი, სასამართლოს გარემოება, ყველა ბრალდებულისათვის – ბოროტმოქმედისა თუ უდანაშაულოსათვის, – დამახასიათებელი უმეცრება, არ წარმოადგენს წინააღმდეგობათა შესაძლო მიზეზს, როგორც მღელვარე უდანაშაულოს, ისე დამნაშავის ჩვენებებში, რომელიც თავის გადარჩენას ცდილობს. ადამიანებისათვის წყნარ მდგომარეობაში დამახასიათებელი წინააღმდეგობანი, თითქოსდა არ უნდა გამრავლდნენ, როდესაც ისინი თავის გადარჩენის აზრით, დამუქრებული საფრთხისაგან სულიერად აღელვებული და მთლიანად შეპყრობილი არიან.

ჭეშმარიტების აღმოჩენის ეს უპატიოსნო ხერხი წარ-

მოადგენს დღემდე შემონახულ უძველესი ველური კანონმდებლობის ძეგლს, როდესაც ბრალდებულის გამოცდა ცეცხლითა და მდუღარით წარმოებდა, აგრეთვე, აღნიშნული მიზნით მოწყობილი ორთაბრძოლის არასწორი შედეგი – **ღვთის სამართლად** იწოდებოდა. თითქოს იმ მუდმივი ჯაჭვის რგოლები, რომელიც განისვენებს პირველწყაროს წიაღში და უნდა ირეოდნენ, იხლიჩებოდნენ ნებისმიერ წუთს უბადრუკი ადამიანური დაწესებულებებისათვის. ერთადერთი განსხვავება წამებასა და ცეცხლით ან მდუღარეთი გამოცდას შორის, როგორც ჩანს, იმაში მდგომარეობს, რომ პირველის შედეგი დამოკიდებულია ბრალდებულის ნებისყოფაზე, ხოლო მეორის შედეგი წმინდა ფიზიკურსა და გარეგან მოვლენაზე. მაგრამ ეს განსხვავება მხოლოდ მოჩვენებითია, ის სინამდვილეში არ არსებობს. წამების ტანჯვათა შორის სიმართლის თქმის ან უთქმელობის თავისუფლება ისევე უმნიშვნელოა, როგორც ოდესღაც მოტყუების გარეშე ცეცხლით ან მდუღარეთი გამოცდისაგან თავის დაღწევის შესაძლებლობა. ჩვენი ნებისყოფის ნებისმიერი გამოვლინება შეესაბამება გრძნობითი შთაბეჭდილებების იმ ძალას, რომელიც მისივე წყაროს წარმოადგენს, ხოლო ყველა ადამიანის მგრძნობელობის საკუთარი საზღვრები გააჩნია. აქედან გამომდინარე, ტკივილის შეგრძნებამ

შეიძლება მიაღწიოს ისეთ ხარისხს, რომ ადამიანის სულსა და სხეულზე სრულიად გაბატონების შემდეგ, ადამიანს წამებისაგან გასათავისუფლებლად, მხოლოდ ამ წუთისათვის ყველაზე მოკლე გზის არჩევის თავისუფლებას დაუტოვებს. ბრალდებულის პასუხი ცეცხლის და მდუღარის მოქმედების მსგავსად გარდაუვალი იქნება. ამგვარად, ბრალდებული, რომელიც ვერ აიტანს ტკივილს, ტანჯვის შეწყვეტის იმედით თავს დამნაშავედ ცნობს. დამნაშავესა და უდანაშაულოს შორის ყოველი განსხვავება ქრება თვით იმ საშუალების მიზეზით, რომელიც სწორედ ამ განსხვავების დადგენისათვის განკუთვნილად მიიჩნევა. *ზედმეტია ამ საკითხის უფრო დაწვრილებით განხილვა და იმის აურაცხელი მაგალითის მოყვანა, თუ როგორ აღიარებდნენ უდანაშაულონი წამების ტანჯვაში თავს დამნაშავეებად. არ არსებობს ისეთი ერი, არ არის ისეთი საუკუნე, სადაც კი არ იქნებოდა ასეთი მაგალითები, მაგრამ ადამიანები არ იცვლებიან და არ აკეთებენ შესაბამის დასკვნებს. არ არსებობს ისეთი აზრების მქონე ადამიანი, რომელიც სცილდება საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებებს და რომელიც იშვიათად მაინც გამოხმაურებია ბუნების იდუმალსა და ბუნდოვან მოწოდებას, მაგრამ ჩვეულება – გონების ეს ტირანი – აშინებს და აკავებს მას.* ამგვარად, წამების შედეგი

დამოკიდებულია ტემპერამენტსა და გათვლაზე, რომელიც თითოეულ ადამიანს განსხვავებული აქვს მის ძალასა და მგრძნობელობაზე დამოკიდებულებით, ასე, რომ მათემატიკოსს მოსამართლეზე უკეთ შეუძლია ამოცანის ამოხსნა: უდანაშაულოს კუნთების მოცემული სიძლიერისა და ნერვების მოცემული მგრძნობელობისას განისაზღვროს ტკივილის ის დონე, რომელიც აიძულებს მას მოცემულ დანაშაულში თავი დამნაშავედ სცნოს.

ბრალდებულის დაკითხვა ჭეშმარიტების დადგენის მიზნით ხორციელდება, მაგრამ თუ ეს ჭეშმარიტება ძნელად გამოირჩევა გარეგნული სახის, სხეულის მოძრაობის, წყნარ მდგომარეობაში მყოფი ადამიანის გამომეტყველების მიხედვით, მაშინ უფრო რთულია ტანჯვისაგან დამახინჯებული სახის ყველა ნაკვთის ამოცნობა, რომელთა მიხედვითაც მათი სურვილის წინააღმდეგ, ზოგჯერ ჭეშმარიტების დადგენაა შესაძლებელი. ნებისმიერი ძალადობა აურევს და შლის სხეულის ნაკვთების იმ უმცირეს განსხვავებებს, რომელთა მიხედვით ზოგჯერ სიმართლის ტყუილისაგან გარჩევა ხდება.

ეს ჭეშმარიტებანი ჯერ კიდევ რომაელი კანონმდებელთათვის იყო ცნობილი, ისინი აწამებდნენ მხოლოდ იმ მონებს, რომელთაც პიროვნების არანაირი უფლებები არ გააჩნდათ. ეს ჭეშმარიტებანი აღიარებულია ინგლისის

მიერ. ამ ერის კანონების უპირატესობანი მოწმობენ მის წარმატებებს მეცნიერებასა და ვაჭრობაში, აგრეთვე, მისი სიმდიდრის, სათნოებისა და სიმამაცის მაგალითებს ადასტურებენ. ევროპის ერთ-ერთმა ბრძენმა მონარქმა, რომელმაც ფილოსოფია „ტახტზე აიყვანა", თავისი ქვეშევრდომებისათვის კანონმდებელი – მეგობარი გახდა და შვედეთში[1] წამება გააუქმა[2]. მან ისინი მხოლოდ კანონებს დაუმორჩილა, თავისუფალი და თანასწორი გახადა – ერთადერთი თავისუფლება და თანასწორობაა, რომლის მოთხოვნაც გონიერ ადამიანებს საგანთა არსებული განაწილების პირობებში შეუძლიათ. წამება სამხედრო კანონებითაც არ გახლავთ აუცილებლად აღიარებული, მიუხედავად იმისა, რომ ჯარები უმეტეს წილად თავისი ერის ნაძირალებისაგან შედგება და ამიტომ, ისინი რომელიმე სხვა სოციალურ ფენასთან შედარებით წამებას უფრო ფართოდ მიმართავენ. უცნაურად შეიძლება მოეჩვენოს ადამიანს, რომელიც ჩვეულების ტირანულ ძალაუფლებას არ ითვალისწინებს, რომ მშვიდობიან მოქალაქეთა კანონებმა ადამიანური მართლმსაჯულების

[1] შვედეთში სიკვდილით დასჯა გაუქმდა 1734 წელს.
[2] 1740 წელს პრუსიის ტახტზე ასვლისას, ფედერიკო II-მ გააუქმა სიკვდილით დასჯა.

წესები უფრო ხოცვა-ულეტისა და სისხლისაგან გულ-გაქვავებული ადამიანებისაგან უნდა ისწავლონ.

ბუნდოვნად, მაგრამ ეს ჭეშმარიტება მაინც აღიქმება მათ მიერ, ვინც მისგან პირს იბრუნებს. გონება წამების დროს ჭეშმარიტად არ მიიჩნევა, თუ ის წამების შემდეგ ფიცით არაა დადასტურებული, მაგრამ თუ ბრალდებული თავის გონებას არ დაადასტურებს, ის კვლავ წამებას დაექვემდებარება. ზოგიერთი სწავლულისა და ერის მიერ მიღებული წამების ამგვარი ურიცხვი გამეორება მხოლოდ სამჯერ არის დაშვებული, სხვები კი არაფრით ზღუდავენ მოსამართლის მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას. ამგვარად, ორი ერთნაირად უდანაშაულო, ან ერთნაირად დამნაშავე ადამიანიდან, ძლიერი და მამაცი გამართლდებოდა, ხოლო სუსტი, გაუბედავი მსჯავრდადებული სიტყვა-სიტყვით ამგვარი მსჯელობის მოწმე გახდებოდა: **მე, მოსამართლეს, აუცილებლად მჭირდება დავამტკიცო, რომ თქვენ დამნაშავე ხართ აღნიშნულ დანაშაულში; ძლიერმა შეძლო აეტანა ტკივილი და ამიტომ, მე შენ გამართლებ, ხოლო შენ, სუსტო შედრკი და ამიტომ, მე შენ დამნაშავედ გცნობ. ვგრძნობ, რომ წამების დროს წამოცდენილ გონებას არანაირი ძალა აქვს, მაგრამ თუ თქვენს მიერ დადასტურებულს არ აღიარებთ, მე თავიდან გაწამებთ.**

როგორი უცნაურიც არ უნდა იყოს, წამების გამოყენება, დამნაშავესთან შედარებით, უდანაშაულოს უარეს პირობებში მოხვედრას იწვევს. ორივეს წამების შემთხვევაში, უდანაშაულო უფრო მძიმე მდგომარეობაშია: თუ ის დანაშაულს აღიარებს, მას გაასამართლებენ, ხოლო თუ არ აღიარებს, გამართლებული მხოლოდ დაუმსახურებელი სასჯელის გადატანის შემდეგ იქნება. დამნაშავისათვის კი წამების შედეგი დადებითიც შეიძლება აღმოჩნდეს. წამების სიმტკიცით ატანის შემთხვევაში, იგი როგორც უდანაშაულო უნდა გამართლდეს და მცირე სასჯელით გადარჩება. ამგვარად, უდანაშაულოს მხოლოდ წაგება, დამნაშავეს კი მოგებაც შეუძლია.

კანონი, რომელიც წამებას ავალებს, თითქოს მოგვიწოდებს: **ადამიანებო, გაუძელით ტკივილს. მე ვიცი, რომ თვითგადარჩენის წარუშლელი გრძნობა ჩვენში ბუნების მიერაა ჩადებული, და მან თავდაცვის განუყრელი უფლება გვიბოძა, მაგრამ მე თქვენში სრულიად საპირისპირო გრძნობას წარმოვშობ – გმირულ სიძულვილს საკუთარი თავის მიმართ. მე გიბრძანებთ თქვენ ბრალი დასდოთ საკუთარ თავს, ილაპარაკოთ სიმართლე მაშინაც კი, როდესაც კუნთებს გიგლეჯენ და ძვლებს გიმტვრევენ.**

*წამება გამოიყენება, იმისთვის რომ გაირკვეს, ჩაიდინა თუ არა ბრალდებულმა დანაშაული იმის გარდა, რომლებშიც მას ბრალს სდებენ. აღნიშნული შემდეგი მსჯელობის ტოლფასია: **შენ ხარ დამნაშავე ერთ დანაშაულში, აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, დამნაშავე იყო ასეულ სხვაშიც; ეს ეჭვი დამამძიმებელია ჩემთვის და მე მისი გაფანტვა ჭეშმარიტების ჩემეული საზომის მეშვეობით მსურს. კანონები ნებას მაძლევს გაწვალო, ვინაიდან შენ დამნაშავე ხარ, რადგან შენ შეიძლება დამნაშავე იყო, იმიტომ, რომ მე მინდა, შენ დამნაშავე იყო.***

დაბოლოს, ბრალდებულს აწამებენ, რომ დანაშაულის თანამონაწილეები გამოავლინონ, მაგრამ თუკი დამტკიცებულია, რომ წამება ჭეშმარიტების დადგენის საშუალებას არ წარმოადგენს, მაშინ როგორ შეიძლება აღნიშნული საშუალებით თანამონაწილეთა დადგენა? ეს ჭეშმარიტებაც ხომ დადგენას ექვემდებარება? თითქოს, ადამიანს, რომელმაც ბრალი დასდო საკუთარ თავს, უფრო არ გაუადვილდება სხვათა ბრალდება და სამართლიანია კი სხვების მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის ადამიანთა წვალება? განა არ შეიძლება თანამონაწილეთა დადგენა მოწმეთა, ბრალდებულის დაკითხვების, ნივთიერი თუ სხვა მტკიცებულებების მეშვეობით, და საერთოდ ყველა

იმ საშუალებით, რომლითაც ბრალდებულის დანაშაული მტკიცდება? უმრავლეს შემთხვევაში თანამზრახველები გარბიან, როგორც კი დააკავებენ მათ ამხანაგს. უკვე არსებული მომავლის განუსაზღვრელობა მათ განდევნას მიუსჯის. აღნიშნული ერს ახალი დანაშაულების საშიშროებისაგან ათავისუფლებს. ამავე დროს, დაკავებული დამნაშავის დასჯა თავის ერთადერთ მიზანს აღწევს – დაშინების გზით სხვები ამდაგვარი დანაშაულის ჩადენისაგან შეაკავოს.

§XVII. †სახელმწიფო ხაზინის შესახებ

იყო დრო, როდესაც თითქმის ყველა სასჯელი ფულადი გახლდათ. დანაშაული ხელმწიფის სფეროდ ითვლებოდა. საზოგადო უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული მისი ხელყოფის ცდები შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა: პირები, რომელთაც აღნიშნული უსაფრთხოების დაცვა ეკისრებოდათ, დაინტერესებული იყვნენ მის დარღვევაში. ამგვარად, სასჯელი წარმოადგენდა

კამათის საგანს, ხაზინას – ფულადი ჯარიმების ამკრეფსა და ბრალდებულს შორის. საქმე სამოქალაქო, საკამათო, მეტად კერძო გახლდათ, ვიდრე – საზოგადოებრივი. ხაზინა იღებდა სხვაგვარ უფლებებს, ვიდრე ეს საზოგადოების დასაცავად მოითხოვებოდა. დამნაშავისათვის ხსენებულს სხვაგვარი უსიამოვნო შედეგები მოჰყვებოდა, ვიდრე ისინი, რომლებიც მას სხვათა სამაგალითოდ უნდა შეხვედროდა. აქედან გამომდინარე, მოსამართლე უფრო ხაზინის ვექილი იყო, ვიდრე ჭეშმარიტების მიუკერძოებელი მკვლევარი, უფრო ხაზინის ფულადი სახსრების ამკრეფი, ვიდრე კანონთა მცველი და მოსამასახურე. თუმცა, ვინაიდან ასეთი წესის მოქმედების დროს, თავის დამნაშავედ აღიარება საკუთარი თავის ხაზინის მოვალედ აღიარებას ნიშნავდა, რაც იმდროინდელი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მთავარ მიზანს წარმოადგენდა, მაშინ მის სასარგებლოდ და არა ხაზინის საზიანოდ მიმართული დანაშაულის აღიარებაც შეადგენდა და ამჟამადაც კვლავ შეადგენს ცენტრს, რომლის გარშემოც მთელი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების წესები ბრუნავს. გონების უქონლობისას, თუმცა უტყუარი მტკიცებულებებით მხილებული განსასჯელი ნაკლებ სასჯელს დაექვემდებარება, ვიდრე ეს დადგენილია და არ გამოიყენებენ წამებას სხვა, ამგვარი სახის დანაშაუ-

ლისთვის, რომელიც მას შეეძლო ჩაედინა. მოსამართლე, ბრალდებულის გონებასაც და სხეულსაც ეუფლება და ყველა წესის მიხედვით ტანჯავს მას, რათა მისგან, როგორც კეთილშეძენილი უძრავი ქონებიდან, მთელი შესაძლებელი სარგებელი ამოიღოს. თვით დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში გონება სარწმუნო მტკიცებულებას წარმოადგენს. იმისათვის, რომ ის ნაკლებად საეჭვო იყოს, მას იმედგაცრუებამდე მისული წვალებისა და ტანჯვის მეშვეობით აღწევენ, მაშინ როდესაც მართლმსაჯულების წამების იარაღთა შიშით დაუჩრდილავი, წყნარი და არამგზნებარე გონება სასამართლოს გარეშე, მსჯავრდებისათვის არასაკმარისად მიიჩნევა. გამოირიცხება გამოკვლევები და მტკიცებულებანი, რომელნიც დანაშაულს არკვევენ, მაგრამ არღვევენ ხაზინის ინტერესს. ზოგჯერ, თუ ბრალდებული წამებისაგან თავისუფლდება, ეს კეთდება არა ამ უბადრუკი არსების ფიზიკური და სულიერი შემწყნარებლობის გამო, არამედ ხაზინის ინტერესებისათვის. მოსამართლე მტერი ხდება ბრალდებულის, იმ ადამიანის, რომელიც ბორკილდადებული, წამების, ნაღველისა და ყველაზე საშინელი მომავლის მსხვერპლადაა ქცეული. იგი არ მიისწრაფვის დაადგინოს თვით მოვლენის ჭეშმარიტება, დანაშაულს კი თვით ტუსაღში ეძებს, მახეს უგებს მას

და წარუმატებლობის შემთხვევაში მიიჩნევს, რომ მან წააგო და ამით დაზარალდა ის შეუცდომლობა, რომლის თავის თავისათვის მიწერა ყოველთვის ასე უყვარს ადამიანს. მოსამართლეზეა დამოკიდებული წინასწარი პატიმრობისათვის ნივთმტკიცებათა საკმარისი აღიარება. თავისი უდანაშაულობა რომ დაამტკიცოს ადამიანი ჯერ დამნაშავედ უნდა გამოაცხადონ. აღნიშნულს **საბრალ-დებო პროცესი** ეწოდება და სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების ამგვარი წესი მეთვრამეტე საუკუნეში, განათლებული ევროპის თითქმის ყველა ნაწილში არსებობს. სწორი მართლმსაჯულება – **გამოძიებითია,** ანუ ყოფით და ნაკლებად მნიშვნელოვან საქმეებში, სამხედრო კანონებისა თუ აზიური დესპოტიზმის მიერაც კი დაშვებული, გონივრული მიუკერძოებელი გამოკვლევა, ევროპულ სასამართლოებში თითქმის არ გამოიყენება. უცნაურ უაზრობათა როგორი რთული ხლართია, რომელსაც ნაკლებად თუ დაიჯერებს შთამომავლობა! ადამიანის ბუნების შესწავლისას, მხოლოდ იმ დროის ფილისოფოსები შესძლებენ, ახსნან ამგვარი სისტემის არსებობის შესაძლებლობა.†

§XVIII. ფიცის დადების შესახებ

ფიცის დადება, რომელსაც ბრალდებულისაგან მოითხოვენ, რათა მან მხოლოდ სიმართლე თქვას, მაშინ, როდესაც მისთვის უფრო მნიშვნელოვანია იცრუოს, კანონსა და ადამიანის ბუნებრივ გრძნობებს შორის წინააღმდეგობას ბადებს. თითქოს ადამიანს შეუძლია სიმართლით დაიფიცოს საკუთარ დაღუპვაზე და ვითომ რელიგია არ სდუმს უმრავლეს შემთხვევაში, როდესაც საქმე ადამიანთა ინტერესებს ეხება. ყველა საუკუნის გამოცდილებამ ცხადყო, რომ ზეცის ამ ძვირფასი ნაბოძებით ადამიანები მეტად ბოროტად სარგებლობდნენ, ვიდრე სხვა დანარჩენით. რა მამოძრავებელი ძალის გავლენით დაიწყებენ რელიგიის პატივისცემას ბოროტმოქმედნი, თუ ყველაზე ბრძენი ადამიანიც კი, ხშირად, შეურაცხყოფდა მას? გრძნობებზე უშუალო ზემოქმედების გარეშე, მამოძრავებელი ძალა, რომელსაც რელიგია სიცოცხლის სიყვარულის გამო, ღელვასა და შიშს უპირისპირებს, უმრავლესობისათვის მეტისმეტად სუსტი

აღმოჩნდება. ღვთიური საქმეები ადამიანურთან შედარებით, სულ სხვა კანონებით იმართება. ზოგიერთი კანონის მიმართ პატივისცემას, რატომ უნდა გამოეთხაროს ძირი სხვა კანონთა მხრიდან? ადამიანი საშინელ მდგომარეობაში რატომ უნდა ჩააყენონ: შესცოდოს ღვთის წინაშე, ან ხელი შეუწყოს საკუთარ დაღუპვას? კანონი, რომელიც ამგვარ ფიცს ითვალისწინებს, ბრალდებულისაგან მოითხოვს, რომ იგი ცუდი ქრისტიანი, ან წამებული გახდეს. ფიცი თანდათან ცარიელ ცერემონიალად იქცევა, ხოლო აღნიშნული რელიგიურ გრძნობებს – ადამიანთა უმრავლესობისათვის პატიოსნების ერთადერთ საწინდარს ასუსტებს. გამოცდილებამ ფიცის უშედეგობა დაამტკიცა, ვინაიდან თითოეულ მოსამართლეს შეუძლია დამიმოწმოს, რომ ფიცმა ჯერ არც ერთი ბრალდებული არ აიძულა სიმართლე ეთქვა. ამაში გვარწმუნებს გონებაც, რომელიც ადამიანის ბუნებრივი გრძნობებისადმი მოწინააღმდეგე ყველა კანონს უშედეგოდ და მაშასადამე, მავნედაც აცხადებს. ამგვარი კანონები იმ ჯებირების მსგავსია, რომლებიც პირდაპირ მდინარის დინების საწინააღმდეგოდაა აღმართული: ისინი მაშინვე ინგრევა, წყალს მიაქვს, ან ისევ მათი წყალობით წარმოშობილი მორევი შეუჩნეველად შლის და ძირს უთხრის მას.

§XIX. სასჯელის დაუყოვნებლობა

რაც უფრო სწრაფად მოსდევს სასჯელი დანაშაულს, რაც უფრო ახლოსაა მასთან, მით სამართლიანი და სასარგებლოა იგი. მეტად სამართლიანია, ვინაიდან ათავისუფლებს დამნაშავეს ზედმეტი, გაურკვევლობისაგან წარმოშობილი სასტიკი ტანჯვისაგან, რომელიც წარმოსახვის ძალის შესაბამისად და საკუთარი სისუსტის შეგრძნების გამო უფრო იზრდება. კიდევ უფრო სამართლიანი გახლავთ, ვინაიდან წარმოადგენს რა სასჯელს, თავისუფლების აღკვეთა, თუ ეს აუცილებლობით არაა გამოწვეული, განაჩენს წინ არ უნდა უძღოდეს. მაშასადამე, წინასწარი პატიმრობა მის ბრალეულად ცნობამდე, მოქალაქის უბრალოდ დაკავებაა, მაგრამ, ვინაიდან აღნიშნული დაკავება თავისი არსით სასჯელია, ის რაც შეიძლება ხანმოკლე და ნაკლებად მკაცრი უნდა იყოს. უმცირესი ხანგრძლივობა აუცილებელია საქმის გამოძიებისათვის საჭირო დროითა და თანმიმდევრულობით განისაზღვრებოდეს; უფრო ადრე დაკავებულს სხვებზე

წინ გასამართლების უფლებაც გააჩნია. წინასწარი პატიმრობა მკაცრი უნდა იყოს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს გაქცევის ან დანაშაულის მტკიცებულებათა დაფარვისათვის ხელის შესაშლელადაა აუცილებელი. თვით საქმის წარმოება შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა დამთავრდეს. შეუძლია, კი რომელიმე დაპირისპირებას იყოს უფრო სასტიკი, ვიდრე მოსამართლის უდარდელობა და ბრალდებულის ტანჯვა? ერთის მხრივ, კეთილმოწყობა და ცხოვრებისეული სიამოვნებანი უგრძნობი მოსამართლისათვის, მეორეს მხრივ კი – ნაღველი და ცრემლი ტუსაღისათვის. საზოგადოდ, სასჯელის სიმძიმე და დანაშაულის შედეგები სხვებზე მეტად მძაფრ შთაბეჭდილებას უნდა ახდენდეს და რაც შეიძლება ნაკლებ საგრძნობი იყოს იმისათვის, ვინც მათ იტანს: არ შეიძლება კანონიერი ეწოდებოდეს საზოგადოებას, რომელიც ადამიანთა სურვილს – რაც შეიძლება ნაკლები ტანჯვა გადაიტანონ, ურღვევ საწყისად არ ცნობს.

მე აღვნიშნე, რომ სასჯელი მით სასარგებლოა, რაც უფრო სწრაფად მოსდევს იგი დანაშაულს, ვინაიდან რაც ნაკლები დრო გავა დანაშაულსა და სასჯელს შორის, მით უფრო ძლიერი და ხანგრძლივი იქნება ადამიანის გონებაში ამ ორი იდეის კავშირი: **დანაშაულისა** და **სასჯელის**, ისე, რომ ისინი უნებლიედ წარმოდგებიან

ხოლმე – ერთი, როგორც მიზეზი, ხოლო მეორე, როგორც აუცილებელი და გარდაუვალი შედეგი. დამტკიცებულია, რომ იდეების კავშირი წარმოადგენს ადამიანის ტვინის ყველა შენობა-ნაგებობის დუღაბს, რომლის გარეშეც სიამოვნება, ტკბობა და ტანჯვა იქნებოდა განკერძოებული შეგრძნებები. ისინი არანაირ ქმედებას არ გამოიწვევდა. ადამიანები საერთო საწყისებისა და საზოგადო იდეებისაგან რაც უფრო შორს დგანან, ანუ რაც მეტად უმეცარნი არიან, შორეული და რთული კავშირების უყურადღებოდ დატოვებასთან ერთად, მით მეტად მოქმედებენ უშუალო და ახლობელი იდეების კავშირის გაელენით. აღნიშნული უყურადღებობა აღიქმება მხოლოდ მათ მიერ, ვინც რაიმე მიზნისაკენ ვნებიანად მიისწრაფვის, რადგან ამ შემთხვევაში, ყურადღების სხივი მხოლოდ ერთ განსაზღვრულ საგანს ანათებს, ხოლო დანარჩენებს წყვდიადში ტოვებს. სწორედ ასევე, იდეების მოშორებული კავშირი აღიქმება უფრო განვითარებული გონების მიერ, რომელიც მიჩვეულია მრავალრიცხოვანი საგნები სწრაფად, უცბად მოიცვას მზერით და სხვადასხვა შეგრძნებები ადვილად შეუსაბამოს, ისე, რომ დასკვნა, სადამდეც ისინი მიდიან, ანუ მათი ქცევა ნაკლებად საშიშსა თუ მცდარს წარმოადგენდეს. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებით მნიშვნე-

ლოვანია, სასჯელი სწრაფად მოსდევდეს დანაშაულს, თუ სურთ, რომ რაიმე დანაშაულის მიმზიდველი სურათის კვალდაკვალ, რომელიც მოგებას ჰპირდება უხეშ და უმეცარ გონებას, მასთან დაკავშირებული დასჯის იდეა უშუალოდ წარმოიქმნას. დაგვიანება მხოლოდ იმას იწვევს, რომ ეს ორი იდეა სულ უფრო შორდება ერთმანეთს, რა შთაბეჭდილებასაც არ უნდა ახდენდეს სასჯელის აღსრულება – *იგი უფრო სანახაობითი შთაბეჭდილება იქნება, ვიდრე სასჯელის შთაბეჭდილება*, იგი აღსრულებული იქნება მაშინ, როდესაც მაყურებელთა სულებში დანაშაულის მიმართ შეძრწუნების გრძნობა შესუსტდება, თუმცა, ამ გრძნობას შეეძლო სასჯელის აღსრულების შთაბეჭდილება გაეძლიერებინა.

არსებობს სხვა მშვენიერი საშუალებაც, რომელიც მნიშვნელოვან კავშირს დანაშაულსა და სასჯელს შორის უფრო აძლიერებს; სასჯელი, შეძლებისდაგვარად, თვით დანაშაულის ბუნების მსგავსი უნდა იყოს. აღნიშნული საშუალება მშვენივრად გვეხმარება, დანაშაულის ჩადენის სურვილს სასჯელის შიშის მომგვრელი მოქმედება დავუპირისპიროთ. ამგვარად, ეს მსგავსება ჭკუას დანაშაულისაგან აშორებს და მიმართავს მას იმ მიზნისაკენ, რომელიც საწინააღმდეგოა კანონის დარღვევის მიმზიდველი და მომხიბლავი იდეისა.

§XX. ძალადობა

ზოგიერთი დანაშაული პიროვნების, ზოგი კი საკუთრების წინააღმდეგაა მიმართული. პირველი აუცილებლად პირად სასჯელს უნდა ექვემდებარებოდეს: არც დიდებულს, არც მდიდარს არ უნდა ჰქონდეს სუსტებისა და ღატაკების მიმართ ჩადენილი დანაშაულის ფულით გამოსყიდვის უფლება. წინააღმდეგ შემთხვევაში სიმდიდრე, რომელიც კანონების მფარველობის წყალობით შრომისმოყვარეობისათვის ჯილდოა, ტირანიის საყრდენი გახდებოდა. თავისუფლება არაა იქ, სადაც კანონი უშვებს, რომ გარკვეულ შემთხვევებში, ადამიანი წყვეტს არსებობას, როგორც **პიროვნება** და განიხილება, როგორც **ნივთი**. ამგვარ ვითარებაში, თქვენ დაინახავთ, რომ ძლიერნი მთელ თავის ძალას ხმარობენ, რათა გამოიყენონ ის მდგომარეობა, რომელიც კანონმა მათ ინტერესებში დაადგინა. ეს თავდასაძვრენი წარმოადგენს ჯადოსნურ ჯოხს, რომელიც მოქალაქეებს მუშა საქონლად აქცევს და ძლიერის ხელში ის ჯაჭვია, რომლითაც

იგი წინდაუხედავებსა თუ სუსტებს ბოჭავს. სწორედ ამიტომ, ზოგიერთი მმართველობისას, რომელსაც თავისუფლების ყველა მოჩვენებითი ატრიბუტი აქვს, ტირანია ფარულად ბატონობს ან კანონმდებლის მიერ დავიწყებულ რაიმე კუთხეში გაუთვალისწინებლად აღწევს, იქ შეუმჩნეველად ძლიერდება და ვრცელდება. ადამიანები აშკარა ტირანიის წინააღმდეგ, ჩვეულებრივ, ყველაზე გამძლე დაბრკოლებას აგებენ, მაგრამ ისინი ყურადღებას არ აქცევენ შეუმჩნეველ ჭიას, რომელიც ძირს უთხრის ჯებირს და დამანგრეველ ნაკადს უხსნის გზას.

§XXI. *სასჯელი თავადაზნაურთათვის

რა სასჯელი უნდა ეკისრებოდეთ დანაშაულისათვის თავად – აზნაურებს, რომელთა პრივილეგიები სხვადასხვა ერების კანონების საგრძნობ ნაწილს წარმოადგენს? მე არ შევჩერდები აქ კითხვებზე: მმართველობის რომელიმე სახეობის დროს, სასარგებლოა კი მემკვიდრეობითი დაყოფის არსებობა თავადაზნაურობად და პლებეებად?

უცილებელია თუ არა იგი მონარქიისათვის? მართალია, რომ თავადაზნაურობა შეადგენს საშუალო ხელისუფლებას, რომელიც ორი უკიდურესის ბოროტად გამოყენებას აკავებს? წარმოადგენს იგი უფრო წოდებას, საკუთარი თავისა და სხვების მონას, ან ცხოვრების ყველა უპირატესობათა ჩამკეტ მცირე წრეს, არაბეთის ფართო ქვიშიან უდაბნოში აყვავებული და ნაყოფიერი ოაზისების მსგავსად? თუ კი სამართლიანია, რომ უთანასწორობა გარდაუვალი და სასარგებლო იყოს საზოგადოებისათვის, მაშინ მართებულია თუ არა, რომ ის წოდებებს და არა ცალკეულ ადამიანებს შორის ვლინდებოდეს? გამართლებულია – რჩებოდეს პოლიტიკური გვამის ერთ ნაწილში იმის მაგივრად, რომ შეიცვალოს მდგომარეობა, რათა იგი უსასრულოდ გრძელდებოდეს, განუწყვეტლივ გაჩენა-გაქრობის ნაცვლად? მე შემოვიფარგლები ამ წოდების წარმომადგენელთა სასჯელის საკითხით, იმის მტკიცებით, რომ ისინი ერთნაირი უნდა იყოს, როგორც პირველი, ისე უკანასკნელი მოქალაქისათვის. იმისათვის, რომ კანონიერი იყოს ყოველი განსხვავება ყველა ქვეშევრდომისათვის ერთნაირ, კანონზე დაფუძნებულ წინმსწრებ თანასწორობას გულისხმობს. აუცილებელია ვივარაუდოთ, რომ თავისი

ბუნებრივი თვითმპყრობელობის უარყოფით, ადამიანებმა განაცხადეს: **მეტად შრომისმოყვარემ უფრო დიდი წილი უნდა მიიღოს და მისი სახელი შთამომავლობაზე გადავიდეს. უფრო ბედნიერსა და პატივცემულს მეტის იმედი შეუძლია ჰქონდეს, მაგრამ იგი სხვაზე ნაკლებად არ უნდა უფრთხოდეს იმ შეთანხმებათა დარღვევას, რომელთა მეშვეობითაც სხვებზე ამაღლდა.** მართალია, ასეთი სახის დადგენილებები კაცობრიობის რომელიმე საკანონმდებლო კრებიდან არ გამომდინარეობს, მაგრამ ისინი საგანთა უცვლელი ბუნებიდან მოდის. ისინი არ იცილებენ მოგებას, რომელიც, როგორც ფიქრობენ, თავადაზნაურობის არსებობასთანაა დაკავშირებული. თუმცა, აღნიშულთა წყალობით არ შეიძლება მათი უარყოფითი თვისებები გამოვლინდეს. დაუსჯელობის ყველა გზის გადაკეტვით ისინი აიძულებენ მათ კანონების ეშინოდეთ. მას, ვინც მეტყვის, რომ თავადისა და პლებეისთვისაც მისჯილი ერთი და იგივე სასჯელი, მიღებული აღზრდის განსხვავებულობისა და იმ შეურაცხყოფის წყალობით, რომელიც დიდებულთა ოჯახებს ხვდება, სიმადვილეში ერთნაირი არაა, მე ვუპასუხებ, რომ სასჯელის ზომას არა დამნაშავის მგრძნობელობა, არამედ საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანი წარ-

მოადგენს და ეს ზიანი მეტია, თუ ის ბედით უფრო განებივრებული პირის მიერ არის მიყენებული; სასჯელთა თანასწორობა მხოლოდ გარეგნული შეიძლება იყოს, სინამდვილეში კი იგი თითოეულის მიერ სხვადასხვაგვარად აღიქმება. შეურაცხყოფა, რომელიც ოჯახს შეემთხვევა, სუვერენმა თავისი კეთილგანწყობის საჯაროდ გამოვლინებით შეიძლება მოუხსნას უდანაშაულო ოჯახს. ვინ არ იცის, რომ მიმნდობი და შთაბეჭდილებიანი ერისათვის გრძნობებზე მომქმედი რიტუალები გონების მოსაზრებების მაგივრობას წევენ.*

§XXII. ქურდობა

ქურდობა ძალადობის გარეშე ფულადი საურავით უნდა ისჯებოდეს: ვისაც სხვის ხარჯზე გამდიდრება სურს, საკუთარი ქონებით უნდა დაზარალდეს, მაგრამ ჩვეულებრივ, ქურდობა სიღარიბისა და უიმედობის, კაცობრიობის იმ უბედური ნაწილის დანაშაულია, რომელსაც საკუთრების უფლებამ (საშინელმა და იქნებ, სულაც არა აუცილებელმა უფლებამ) მხოლოდ შიშველი

არსებობის საშუალება დაუტოვა. *ჩადენილ დანაშაულთან შედარებით, ფულადი სასჯელი ადამიანთა მეტ რაოდენობას ეკისრება და ლუკმა-პურს უდანაშაულოებს ართმევს, რათა იგი ბოროტმოქმედებს გადასცეს*. ყველაზე უკეთესი იქნებოდა ქურდობისათვის დასჯა მონობის იმ ერთადერთი სახეობით, რომელსაც სამართლიანი შეიძლება ვუწოდოთ. აღნიშნული მონობა პირისა და მისი სამუშაო ძალის მთელი საზოგადოების განსაკუთრებულ განკარგულებაში გადაცემით გამოიხატება, რათა უკანასკნელი დაჯილდოვდეს იმ უსამართლო თვითნებობისათვის, რომელიც საზოგადოებრივი ხელშეკრულების მიმართ იქნა გამოვლენილი, მაგრამ, თუ ქურდობა ძალადობასთანაა დაკავშირებული, მაშინ ამგვარადვე, მონობაც ფიზიკურ სასჯელთან უნდა იყოს კავშირში. ჩემი წინამორბედი სხვა მწერლებიც აღნიშნავდნენ ცხად ზიანს ძალადობითა და თაღლითობით ქურდობას შორის ერთნაირი სასჯელის გამო, ვინაიდან დიდ ფულად თანხასთანაც კი სიცოცხლის გაიგივება უაზროა. თუმცა, ზედმეტი არასდროს იქნება მითითება იმაზე, რაც არც ერთხელ შესრულებულა. პოლიტიკური მანქანები ყველაზე დიდხანს ინარჩუნებენ მათთვის მინიჭებულ მოძრაობას და თავის მსვლელობას ყველაზე ნელა გარდაქმნიან. ქურდობის ორივე მითითებული სახე

თავისი არსით განსხვავებულია, ხოლო პოლიტიკის მიმართ, უდაოდ გამოყენებადია მათემატიკური აქსიომა, რომ სხვადასხვაგვარი სიდიდეები ერთმანეთს უსასრულოდ სცილდებიან.

§XXIII. შეურაცხყოფა

პირადი წყენა, რომელიც ღირსებას შეეხება, ანუ პატივისცემის იმ სამართლიან ნაწილს, რომლის მოთხოვნის უფლებაც მოქალაქეს სხვებისაგან აქვს, შეურაცხყოფით უნდა ისჯებოდეს. აღნიშნული შეურაცხყოფა წარმოადგენს საზოგადოებრივი გაკიცხვის ნიშანს, რომელიც დამნაშავეს საზოგადოებრივ პატივისცემას, სამშობლოს ნდობას და ძმურ, ასე რომ ვთქვათ, საზოგადოების მიერ დანერგილ დამოკიდებულებას აკარგვინებს. შეურაცხყოფა კანონის თვითნებობაზე არაა დამოკიდებული. ამგვარად, აუცილებელია, კანონით დადგენილი შეურაცხყოფა საგანთა ბუნებიდან გამომდინარეობდეს და შეესაბამებოდეს ზოგადსაკაცობრიო ზნეობას ან მას, რაც დამოკიდებულია იმ განსაკუთრებულ

პირობებზე, რომელნიც ზეგავლენას ახდენენ სახალხო მსოფლმხედველობასა თუ ერზე, რომელშიც აღნიშნული შეხედულებები დამკვიდრდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, კანონის მიმართ საზოგადოებრივი პატივისცემა დაკარგული იქნება ან გაქრება წარმოდგენები ზნეობრიობისა და პატიოსნების შესახებ, რომელთაც, ყოველგვარი მჭევრმეტყველების მიუხედავად, მაგალითების გავლენის დაძლევა არასდროს გამოსდით. არაფრისმთქმელ, უმნიშვნელო ქმედებათა უპატიოსნოდ გამომცხადებელი, ჭეშმარიტად უპატიოსნო ქმედებათა შეურაცხმყოფელ მნიშვნელობას ამცირებს. შემდგომში, შეურაცხყოფით დასჯა მეტისმეტად ხშირად და ერთდროულად მრავალი ადამიანისათვის მისი გამოყენება არ შეიძლება: ზედმეტად ხშირი მიმართვა საზოგადოებრივი აზრის მიმართ მის ძალას ასუსტებს, ხოლო ბევრის შეურაცხყოფა არც ერთს არ ეხება.

†დანაშაულისათვის, რომელიც მედიდურობამ წარმოშვა, ფიზიკური თუ მტკივნეული სასჯელის დანიშვნა საჭირო არაა, ვინაიდან თვით ტანჯვა ამ დანაშაულს მხოლოდ კვებავს და დიდებით აგვირგვინებს. ამ შემთხვევაში, მართებული იქნებოდა დაცინვა და შეურაცხყოფა – სასჯელი, რომელიც მაყურებელთა ქედმაღლობით ურჯულკთა მედიდურობას იმორჩილებს და ახდენს გავ-

ლენას. აღნიშნულის დაძლევა თვით ჭეშმარიტებას დიდი სიძნელით, მოგვიანებით ძალუძს. ამგვარად, ძალისათვის ძალის, შეხედულებისათვის შეხედულების დაპირისპირებით, ბრძენი კანონმდებელი ხალხში აღმოფხვრის გაკვირვებას და აღფრთოვანებას მცდარი საწყისების წინაშე, რომელთა უაზრო წარმოშობა ჩვეულებრივ უბრალო ხალხისაგან ამ საწყისებიდან მოხერხებული დასკვნების მეშვეობითაა დაფარული.†

აღნიშნული გახლავთ საშუალება, რომელიც საგანთა უცვლელ ბუნებასთან დაპირისპირებას თავიდან აგვაცილებს. დროში შეუზღუდავი და მუდმივმოქმედი იგი ყველა დადგენილებას, რომელიც მას არ ეთანხმება ამხობს და ანადგურებს. ამ საყოველთაო წესს დამორჩილებულია არა მარტო ნატიფი ხელოვნება, რომლის ხელმძღვანელ საწყისს ბუნების ერთგული მიბაძვა წარმოადგენს, არამედ მას ემორჩილება თვით პოლიტიკაც, უკიდურეს შემთხვევაში ჭეშმარიტი და ხანგრძლივი, ვინაიდან იგი მხოლოდ ადამიანთა უცვლელი გრძნობების უკეთესად მართვის და შემორიგების ხელოვნებაა.

§XXIV. უსაქმურნი

ვინც საზოგადოებრივ სიმშვიდეს არღვევს და არ ემორჩილება კანონებს, ანუ იმ პირობებს, რომლებზეც ადამიანები აგებენ და იგებენ, გარიცხული, გაძევებული უნდა იქნეს საზოგადოებიდან. ამიტომ, ბრძენი მთავრობა არ დაუშვებს რომ შრომასა და საქმიანობაში გაიფურჩქნოს პოლიტიკური უსაქმურობის ეს სახეობა, რომელსაც მკაცრი მქადაგებლები უქმად ყოფნასთან აიგივებენ. იგი გულმოდგინებით შექმნილი სიმდიდრიდან გამომდინარეობს, უქმობით, რომელიც საზოგადოების ზრდასთან, უფრო დიდი თავისუფლების მიღებასთან ერთადაა აუცილებელი და სასარგებლო. მე პოლიტიკურს ვუწოდებ იმ უსაქმურობას, რომელსაც საზოგადოებისათვის სარგებლობა არც შრომით, არც სიმდიდრით არ მოაქვს და იგებს ისე, რომ არასდროს არაფერს კარგავს. მას უბრალო ხალხი უაზრო მოწიწებით, ხოლო ბრძენი – ამ მსხვერპლს ზიზღნარევი თანაგრძნობით უმზერს. ეს უსაქმურობა არ წარმოადგენს იმ საქმიანობის

აღძვრის წინაპირობას, რომელიც აუცილებელია სასიცოცხლო პირობების შენარჩუნების, გამრავლების მიზნით და შესაძლებლობას აძლევს გაითამაშონ იმ ვნებებმა, რომელნიც სხვა ვნებებზე არანაკლებ ძლიერი შეუთანხმებლობით არიან წარმოშობილი. იგი არაა პოლიტიკურად უსაქმური, ვინც თავისი წინაპრების მანკიერებით ან სათნოებით მოტანილი ნაყოფით ტკბება, ვინც მიღებული სიამოვნების სანაცვლოდ პურს და საარსებო საშუალებებს აძლევს შრომისმოყვარე სიღარიბეს, რომელიც სიმდიდრესთან, ხელისუფლებასთან შედეგის მხრივ განუსაზღვრელი სისხლიანი ომის სანაცვლოდ უხმო მშვიდობიან ომს აწარმოებს. აქედან გამომდინარე, არა მკაცრი და შეზღუდული ზნეობის მცველთა სათნოებამ, არამედ თვით კანონმა უნდა განსაზღვროს, რომელი უსაქმურობა ექვემდებარება სასჯელს.† როგორც ჩანს, გაძევებას უნდა ექვემდებარებოდნენ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში მხილებული ბრალდებულები, რომელთა დამნაშავეობა საკმაოდ საალბათო გახლავთ, მაგრამ უპირობოდ დამტკიცებული არაა. ამისათვის აუცილებელია შეძლებისდაგვარად ყველაზე ზუსტი კანონი, რომელიც ნებიმიერ თვითნებობას გამორიცხავს. აღნიშნული კანონი მიუსჯიდა გაძევებას მას, ვინც ერს საბედისწერო არჩევანის წინაშე დააყენებდა: იგი მის

წინაშე შიშს ან უნდა განიცდიდეს, ან კიდევ აიძულოს, თავისი უდანაშაულობის დამტკიცების წმინდა უფლების ჩამორთმევის გარეშე თვითონ დაიტანჯოს. გასაძევებლად მნიშვნელოვანი საფუძვლები უნდა არსებობდეს უფრო თანამემამულის, ვიდრე უცხოელის, მეტად პირველად ბრალდებულის, ვიდრე რამოდენიმეჯერ ბრალდებულისათვის.†

§XXV. გაძევება და კონფისკაცია

საჭიროა თუ არა ქონების ჩამორთმევა საზოგადოებიდან სამუდამოდ გაძევებულისათვის, რომლის წევრიც იგი იყო? ამგვარი კითხვა სხვადასხვა თვალსაზრისით შეიძლება განვიხილოთ. გაძევებასთან შედარებით, ქონების დაკარგვა უფრო მძიმე სასჯელს წარმოადგენს და აქედან გამომდინარე, ზოგიერთი შემთხვევა დანაშაულის შესაბამისად, ქონების სრული ან ნაწილობრივი ჩამორთმევის მისჯას საჭიროებს. ქონების დაკარგვა დგინდება, როდესაც კანონით მისჯილი გაძევება

საზოგადოებასა და დამნაშავე მოქალაქეს შორის ყველა ურთიერთობას ანადგურებს. ამ შემთხვევაში კვდება მოქალაქე, ხოლო რჩება ადამიანი, პატივისცემა კი სახელმწიფოს მიმართ მოითხოვს, რომ დგინდებოდეს ისეთივე შედეგები, როგორც ბუნებრივი სიკვდილის დროს. ამ დროს ჩანდა, რომ დამნაშავისათვის ჩამორთმეული ქონება თითქოს მის კანონიერ მემკვიდრეებთან უფრო უნდა გადასულიყო, ვიდრე ხელმწიფესთან, ვინაიდან სიკვდილს და ამგვარ გაძევებას სახელმწიფოსათვის ერთნაირი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მე ქონების კონფისკაციის წინააღმდეგ აზრს არა ამ ფაქიზი მოსაზრებით გამოვთქვამ. ზოგიერთი ამტკიცებს, რომ კონფისკაცია შურისძიებასა და კერძო პირთა მეტისმეტ ძლიერებას აკავებს, მაგრამ ისინი არ ითვალისწინებენ, რომ სასჯელს რომც მოჰქონდეს რაიმე სარგებლობა, მაინც არაა სამართლიანი. ამგვარი რომ გახლდეთ, იგი აუცილებელი უნდა იყოს. სასარგებლო უსამართლობას არ შეიძლება ეგუებოდეს კანონმდებელი, რომელსაც სურს ყველა გზა გადაუკეტოს ფხიზლად მყოფ ტირანიას. ეს უკანასკნელი, წარმავალი კეთილდღეობით და ბედნიერებით აცდუნებს მცირეოდენ დიდებულს, ამავე დროს, ზიზღით უყურებს მრავალი უსახელო ადამიანის მომავალ დაღუპვას და ცრემლს. კონფისკაცია აიძულებს ღატაკებს საკუთარი

თავით აგონ პასუხი, უდანაშაულოებს კი, დამნაშავეთა მსგავსად – გადაიტანონ სასჯელი და ისინი უიმედობით გამოწვეული დანაშაულის ჩადენის აუცილებლობამდე მიჰყავს. რა შეიძლება იყოს უფრო ნაღვლიანი ოჯახისათვის, რომელმაც მისი უფროსის დანაშაულის გამო სიღატაკე და შეურაცხყოფა იგემა, მაშინ როდესაც ამის შესაძლებლობა რომც არსებობდეს, ოჯახისათვის კანონით განსაზღვრული მორჩილება, მას მათი აცილების უფლებას არ აძლევს!

§XXVI. საოჯახო სულისათვის

ამ ნაღვლიან, ჩვეულებით ნაკურთხ უსამართლობას ყველაზე მეტად განათლებული ადამიანებიც კი ამართლებდნენ და ყველაზე თავისუფალ რესპუბლიკებშიც დაშვებული იყო იმის წყალობით, რომ საზოგადოება განიხილებოდა უფრო როგორც ოჯახების, ვიდრე ცალკეული ადამიანების კავშირი. წარმოვიდგინოთ ასი ათასი ადამიანი ან ოცი ათასი ოჯახი, თითოეული, მისი წარმომადგენლის, მისი უფროსის ჩათვლით ხუთი

ადამიანისაგან შემდგარი. თუ საზოგადოება ოჯახების კავშირად მიიჩნევა, მაშინ მასში ოცი ათასი ოჯახი და ოთხმოცი ათასი მონაა. თუ აღნიშნული ცალკეულ ადამიანთა კავშირია, მასში ასი ათასი მოქალაქე და არც ერთი მონაა. პირველ შემთხვევაში, ოცი ათასი პატარა მონარქიისაგან შემდგარი რესპუბლიკა იქნება, მეორეში რესპუბლიკური სული გამოაცოცხლებს არა მარტო მოედნებსა და საერო კრებებს, არამედ სახლის კედლებსაც, სადაც ადამიანები თავისი ბედნიერებისა თუ უბედურების უმეტეს ნაწილს ატარებენ. პირველ შემთხვევაში, თვით რესპუბლიკაში ნელ-ნელა მონარქიული სული დამკვიდრდება, ვინაიდან კანონები და ზნე-ჩვეულებანი რესპუბლიკის წევრთა ჩვეულებრივი გრძნობებით, ანუ ოჯახების უფროსთა მიერ განისაზღვრება. მისი გამოვლინებანი არა თავისუფლებისა და თანასწორობის გრძნობით, არამედ ცალ-ცალკე თითოეულის ინტერესების საპირისპირობის გამო შეკავდება ხოლმე. ოჯახური სული – წვრილმანებისა და უმნიშვნელო მოვლენების სულია. ხოლო სული, რომელიც რესპუბლიკებს მართავს, საერთო საწყისებს მფარველობს, მოვლენებს აკვირდება და გამოყოფს უმთავრესს, რომელსაც საერთო კეთილდღეობისათვის აქვს მნიშვნელობა. რესპუბლიკაში, ოჯახის უფროსის სიცოცხლეში, ვაჟიშვილები მისი ძალაუფლების

ქვეშ იმყოფებიან და იძულებული არიან გათვლა მის გარდაცვალებაზე გააკეთონ, რათა მხოლოდ კანონებით განსაზღვრული ნორმებით იცხოვრონ. შიშნარევ მორჩილებას მიჩვეულნი, ყველაზე აყვავებულ და ძლიერ ასაკში, როდესაც გრძნობები ჯერ ისე არ შეცვლილა გამოცდილებით წარმოშობილი შიშის გავლენით, – რასაც ზომიერება ეწოდება, – შეძლებენ კი ისინი გაუძლონ მანკიერებას, რომელიც ყოველთვის მტრობდა პატიოსნებას, იმ ასაკში, როდესაც ძალები სუსტდება და ილევა. ამასთან მაშინ, როდესაც საკუთარი შრომის ნაყოფის ნახვის იმედის უქონლობა გაბედული ჩანაფიქრებისაგან აკავებს?

თუ რესპუბლიკაში თითოეული ადამიანი – მოქალაქეა, მაშინ მორჩილება ოჯახში არა ბრძანებაზე, არამედ შეთანხმებაზეა დაფუძნებული. როგორც კი ვაჟები გამოვლენ ბუნებრივი მორჩილების ასაკიდან, რომელშიც მათ სისუსტე, აღზრდისა და დაცვის აუცილებლობა აკავებდა, ისინი სახელმწიფოს თავისუფალი მოქალაქეები ხდებიან. ისინი ოჯახის უფროსს ემორჩილებიან, რათა ოჯახური კავშირის მოგებაში მონაწილეობა მიიღონ, იმის მსგავსად, როგორც უფრო ერცელი კავშირის მიმართ თავისუფალი მოქალაქეები იქცევიან. პირველ შემთხვევაში, ვაჟები, რომლებიც ერის ყველაზე მრავალრიცხოვან და

სასარგებლო ნაწილს წარმოადგენენ, მამათა თვითნებობაზე არიან დამოკიდებული. მეორეში – არაა სხვა განსაზღვრული კავშირი, გარდა იმ წმინდა და ურღვევისა, რომელიც ურთიერთდახმარებას გვავალებს და მიღებული წყალობისათვის მადლიერებიდან გამომდინარეობს. ამგვარი კავშირი, ადამიანური გულის მანკიერების გამო იმდენად არა, რამდენადაც კანონით მოთხოვნილი საბედისწერო მორჩილების მიზეზით ირღვევა.

ოჯახის კანონებსა თუ საზოგადოების საწყისებს შორის, საოჯახო თუ საზოგადოებრივ ზნეობას შორის, აღნიშნული წინააღმდეგობანი სხვა დაპირისპირებათა წყაროს წარმოადგენენ, ამიტომ ისინი თითოეული ადამიანის სულში მუდმივ ბრძოლის სურვილს ბადებენ. პირველი მორჩილებასა და შიშს, მეორე – სიმამაცესა და თავისუფლებას ნერგავს. იგი თავისუფალი არჩევნის გარეშე, საკუთარი წყალობის პირთა მცირერიცხოვანი წრით შემოფარგვლას ურჩევს. აღნიშნული ადამიანთა ყველა კლასზე გავრცელებას გულისხმობს. **საოჯახო ზნეობრიობა ითხოვს მუდმივ მსხვერპლშეწირვას ცარიელი კერპისათვის, რომელსაც ოჯახის კეთილდღეობა ეწოდება და ხშირად არც ერთი მისი წევრისათვის სიკეთეს არ წარმოადგენს.** საზოგადოებრივი ზნეობა გვასწავლის კანონის დაურღვეველად

პირად კეთილდღეობაზე ვიზრუნოთ, ან კიდევ დაჯილდოვებულებს იმ აღტკინების გრძნობით, რომელიც წინ უძღოდა გმირობას, გვიწევს იგი სახელმწიფოს შევწიროთ მსხვერპლად. ამგვარი წინააღმდეგობანი ასუსტებენ ადამიანთა მისწრაფებას სათნოებისაკენ, რომელიც რაღაც განუსაზღვრელი, გაურკვეველი სახით წარმოუდგებათ და წარმოისახავენ იმ მოშორებით, რომელიც როგორც ფიზიკური, ისე მორალური საგნების ბუნდოვანებით წარმოიშობა. თავისი წარსული საქმეების გახსენებისას, ადამიანი ხშირად აღმოაჩენს გაკვირვებული, რომ უპატიოსნოდ იქცეოდა! საზოგადოების გაფართოებასთან ერთად მისი თითოეული წევრი მთლიანის სულ უფრო მცირე ნაწილი ხდება და ამ საზომითვე სუსტდება რესპუბლიკური სული, თუკი კანონი არ იზრუნებს მის განმტკიცებაზე. საზოგადოებას, როგორც ადამიანის სხეულს, დადგენილი აქვს გარკვეული საზღვრები, რომელთა გადალახვა უცილობლად მისი ძალების წონასწორობას არღვევს. როგორც ჩანს, სახელმწიფოს სიდიდე უკუკავშირში უნდა იყოს მისი მოქალაქეების აღქმადობასთან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთისა და მეორის თანაბარი ზრდის დროს, კარგი კანონები დანაშაულების აცილების გზაზე დაბრკოლებებს წააწყდებიან სწორედ იმის წყალობით, რომელიც ამ კანონების მიერაა

შექმნილი. ზედმეტად ვრცელი რესპუბლიკა შეიძლება დესპოტიზმს, მხოლოდ რამდენიმე, ერთ კავშირში გაერთიანებულ ფედერაციულ რესპუბლიკად დაყოფის მეშვეობით გადაურჩეს, მაგრამ როგორ უნდა მივადწიოთ ამას? **აღნიშნული შეიძლება გააკეთოს დესპოტურმა დიქტატორმა, რომელიც სულას[1] სიმამაცეს და აღშენების გენიას ფლობს, ვინც მისი დამანგრეველი გენიის ტოლია.** თუ ამგვარი ადამიანი იქნება პატივმოყვარე, მაშინ მას მუდმივი დიდება მოელის; თუ ფილოსოფოსი იქნება, მაშინ თანამოქალაქეთა ლოცვა-კურთხევა შეარიგებს ძალაუფლების დაკარგვასთან, თუ იგი საერთოდ გულგრილი არაა მათი უმადურობის მიმართ. იმის კვალდაკვალ, რამდენად სუსტდება ერთან დამაკავშირებელი გრძნობები, გარშემომყოფ სხეულთა შეგრძნებები ძლიერდება, ამიტომ ყველაზე მძიმე დესპოტიზმის დროს, მეგობრობა მეტად ხანგრძლივი, ხოლო ოჯახური სათნოებანი, ყოველთვის მდარე, გავრცელებული ან სულაც ერთადერთი ხდება. ამის საფუძველზე თითოეულს შეუძლია იმსჯელოს, თუ რამდენად შეზღუდული ჰქონდა შეხედულებები კანონმდებლების უმრავლესობას.

[1] ლუციუს კორნელიუს სულა (ძვ. წ. 138 - ძვ. წ. 78) – ძველი რომის სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე გაღარიბებული პატრიციული ოჯახიდან (ი.ხ. რედ.).

§XXVII. სასჯელის ლმობიერება

ფიქრების მსვლელობამ ჩემი ყურადღება გადაიტანა კვლევის საგნისაგან, რომელსაც მე უნდა მივაშურო. დანაშაულის აღმოფხვრის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერ-მოქმედი საშუალების არსი მდგომარეობს არა სასჯელის სისასტიკეში, არამედ მის გარდაუვალობაში. მაშასადამე, ხელისუფალთა იმ სიფხიზლეს და შეუვალი მოსამართლის იმ სიმკაცრეში, რომელიც მხოლოდ მაშინ ხდება სასარგებლო სათნოება, როდესაც იგი თვინიერ კანონს იყენებს. დარწმუნებულობა თუნდაც ზომიერი სასჯელის გარდაუვალობაში ყოველთვის უფრო მეტ შთაბეჭდილებას მოახდენს, ვიდრე შიში სხვა, უფრო სასტიკი სასჯელის მიმართ, ოღონდ დაუსჯელობის იმედის თანხლებით. გარდაუვალი, მაგრამ ყველაზე უმნიშვნელო ბოროტებაც კი ადამიანებს ყოველთვის შიშს უნერგავს, მაშინ, როდესაც იმედი – ღვთის საჩუქარი, რომელიც ხშირად ყველაფერს ცვლის - და ყოველთვის იშორებსხ ფიქრებს უფრო სასტიკი სასჯელის შესახებ, განსაკუთრებით თუ

მას ხშირად ანგარებითა და სისუსტით გამოწვეული დაუსჯელობა აძლიერებს. თვით სასჯელის სისასტიკეს მოსდევს ის, რომ რაც მეტია მისი აცილების მცდელობა, მით უფრო ძლიერია ბოროტების მუქარა: მას იქამდე მივყავართ, რომ ერთი დანაშაულისათვის სასჯელის თავიდან აცილების მიზნით, მრავალი დანაშაულის ჩადენა ხდება. იმ დროსა და ქვეყნებში, სადაც განსაკუთრებით სასტიკი სასჯელი იყო, ყველაზე მეტად სისხლიანი და არაადამიანური ქმედებები გახლდათ ჩადენილი, ვინაიდან იმავე სიმხეცის სული, რომელიც კანონმდებელის ხელს მართავდა, ყაჩაღისა და მამისმკვლელის ხელსაც მიმართავდა. იგი ტახტიდან რკინის კანონებს სასტიკ, მაგრამ მორჩილ მონებს კარნახობდა, ხოლო პირადი ცხოვრების ბნელ წიაღში ტირანების განადგურებისაკენ მოუწოდებდა, რათა მათ ადგილზე სხვები შეექმნა.

რაც უფრო სასტიკდება სასჯელი, ადამიანთა სულები მით უფრო დაუნდობელი ხდება, იმ სითხეების მსგავსად, რომელნიც მათი გარშემომრტყმელი საგნების დონეზე დადგომისაკენ მიისწრაფვიან. ყოველთვის ვნებათა ცოცხალი ძალა იწვევს იმას, რომ დაუნდობელი სასჯელის არსებობიდან ასეული წლების შემდეგ ურმის თვლით დასჯა იმაზე მეტ შიშს ვერ ნერგავს, ვიდრე ადრე – ციხე. სასჯელის მიზნის მისაღწევად, საკმარისი

სასჯელის ბოროტება დანაშაულით მოტანილ გამორჩენას უნდა აჭარბებდეს. ბოროტების ამ ნამატში უნდა შედიოდეს აგრეთვე სასჯელის გარდუვალობა და დაკარგვა, იმ მოგებათა, რომლებიც დანაშაულის ჩადენას უნდა მოჰყოლოდა. ყოველივე, რაც ამაზე მეტია, ზედმეტს, მაშასადამე, ტირანულს წარმოადგენს. ადამიანთა ქცევა განისაზღვრება განმეორებადი წარმოდგენებით ცნობილ ბოროტებაზე და არა იმ ბოროტებაზე, რომელიც მათთვის უცნობია. წარმოვიდგინოთ ორი ერი. ერთ-ერთ მათგანთან სასჯელთა კიბეზე ბოროტების შესახებ ადამიანთა საქციელი მეორადი წარმოდგენებით განისაზღვრება, რომელიც დანაშაულთა კიბეს შეესაბამება, უმაღლეს სასჯელს სამუდამო მონობა, ხოლო მეორესთან – ურმის თვალზე გაკვრა წარმოადგენს. მე ვამტკიცებ, რომ უმაღლესი სასჯელის მიმართ პირველში ისეთივე შიში იქნება განცდილი, როგორც მეორეში და რომ მოიძებნებოდეს რაიმე საფუძველი პირველი ერისათვის მეორეში არსებული უმაღლესი სასჯელი დაწესდეს, მაშინ იმავე საფუძველზე ამ უკანასკნელისთვისაც მოგვიხდებოდა სასჯელის გამკაცრება და თანდათან ურმის თვალზე გაკვრიდან უფრო ხანგრძლივ, დახვეწილ ტანჯვაზე გადასვლა ტირანებისათვის ძალიან კარგად ცნობილი, მეცნიერების უმაღლესი დეტალების ჩათვლი-

თაც კი მოგვიხდებოდა. სასჯელების სისასტიკე იწვევს ორ სხვა დამღუპველ შედეგს, რომელიც დანაშაულთა თავიდან აცილების თვით ძირითად მიზანს ეწინააღმდეგება. **პირველი** იმაში მდგომარეობს, რომ ადვილი არა გახლავთ დავიცვათ აუცილებელი თანაფარდობა დანაშაულსა და სასჯელს შორის, ვინაიდან საზრიანი სისასტიკე სასჯელთა სახეობას, როგორც არ უნდა ამრავალფეროვნებდეს, ადამიანის სხეულის მგრძნობიარობით დაწესებული ზღვარი მაინც არ შეიძლება გადაილახოს. თუ ეს საზღვარი მიღწეული იქნება, მაშინ კიდევ უფრო სასტიკი და საშინელი დანაშაულისათვის არ მოიძებნებოდა შესაფერისი სასჯელი, რომელიც მათი თავიდან აცილებისთვის იქნებოდა აუცილებელი. **მეორე შედეგი** იმაში მდგომარეობს, რომ სასჯელთა სისასტიკე აგრეთვე დანაშაულთა დაუსჯელობას წარმოშობს. როგორც სიკეთეში, ისე ბოროტებაში ადამიანებისათვის გარკვეული საზღვრებია დადგენილი. კაცობრიობისათვის მეტისმეტად სასტიკი სანახაობა, შეიძლება გარდამავალი მძვინვარების გამოვლინება და არა მუდმივი სისტემა იყოს, როგორც ეს კანონს ეკადრება. თუ კანონი ნამდვილად სასტიკია, ისინი ან იცვლება ან თვით ბადებს საბედისწერო დაუსჯელობას.

ვინ არ შეძრწუნდება თავზარდამცემი ისტორიით,

ბარბაროსული და უსარგებლო ტანჯვით, რომელთაც გულგრილად იგონებდნენ და იყენებდნენ ადამიანები, საკუთარ თავს ბრძენს რომ უწოდებდნენ? ვინ არ იქნება სულით ხორცამდე აღშფოთებული იმის ხილვით, რომ შეგნებულად შემწყნარებლური კანონებით გამოწვეული უბედურებანი, რომელიც ყოველთვის კეთილგანწყობილი იყვნენ ზოგიერთების მიმართ და მრავალს ავიწროებდნენ, ათასობით გაუბედურებულს აიძულებდნენ იმის ყურებას, თუ როგორ ადანაშაულებდნენ მათ შეუძლებელ დანაშაულში, რომელიც მხდალი უმეცრებითაა შექმნილი, ან მხოლოდ იმისათვის, რომ ისინი ერთგული დარჩნენ თავისი მრწამსისა; ხედავდნენ რა, რომ ისეთივე გრძნობებით დაჯილდოვებული ადამიანები და, მაშასადამე, ასეთივე ვნებებით შეპყრობილნი, სატანჯველად გადასცემენ ამ უბედურებს ყველა გამოგონილი "თითიდან გამოწოვილი" წეს-ჩვეულებების ვითომდა ფანატიკური ბრბოს საამებლად.

§XXVIII. სიკვდილით დასჯისათვის

სასჯელის ამ უმიზნო გამოყენებამ, რომელიც არასდროს აუმჯობესებდა ადამიანებს, აღმიძრა სურვილი გამომეკვლია, კარგად მოწყობილ მმართველობაში სიკვდილით დასჯა არის თუ არა ნამდვილად სასარგებლო და სამართლიანი. ეს რა უფლება მიითვისეს ადამიანებმა, სიცოცხლე დააკარგვინო შენს თანამოძმეს?! ეს უდავოდ არ წარმოადგენს იმ უფლებას, რომელზეც დაფუძნებულია უზენაესი ხელისუფლება და კანონი. ისინი სხვა არაფერია, თუ არა თითოეულის პირადი თავისუფლების ყველა მცირე ნაწილის ჯამი, ისინი წარმოადგენენ საერთო ნებას, რომელიც ყველა ცალკეული ნების გაერთიანებაა. მაგრამ ვინ მოინდომებდა ნება დაერთო სხვისთვის განეკარგა თავისი სიცოცხლე? შესაძლებელია კი, რომ საკუთარი თავისუფლების უმცირესი ნაწილის გაწირვით ამით მსხვერპლად შეეწირათ ყველა სიკეთეს შორის უდიდესი, – სიცოცხლე? მაგრამ ასეც რომ იყოს, როგორ უნდა შევათანხმოთ ეს იმასთან, რომ ადამიანს

არა აქვს უფლება თვითონ მოიკლას თავი? ხოლო მას უნდა გააჩნდეს ეს უფლება, რომ შეძლოს გადასცეს ეს უფლება სხვა პირს ან მთელ საზოგადოებას.

აქედან **გამომდინარე, სიკვდილით** დასჯას არ შეუძლია **უფლება** იყოს და არც არის. იგი წარმოადგენს ერის ბრძოლას მოქალაქესთან, რომელიც მისი სიცოცხლის განადგურებას აუცილებლად ან სასარგებლოდ თვლის. მაგრამ, თუ მე დავამტკიცებ, რომ ეს სიკვდილი არც აუცილებელია და არც სასარგებლო, მაშინ მე საკაცობრიობო საქმეს მოვიგებ.

ადამიანის სიკვდილი შეიძლება ითვლებოდეს აუცილებლად მხოლოდ ორი მიზეზის გამო: ჯერ ერთი, როდესაც, თავისუფლება აღკვეთილიც კი, ფლობს ისეთ კავშირებსა და ძლიერებას, რომ ეს ერის უსაფრთხოებას ემუქრება და მისმა არსებობამ შეიძლება გამოიწვიოს გადატრიალება, საშიში დადგენილი მმართველობის წესისათვის.

აქედან გამომდინარე, მოქალაქის სიკვდილი აუცილებელია, როდესაც ერი იბრუნებს ან კარგავს თავისუფლებას, ან ანარქიის დროს, როდესაც უწესრიგობა ცვლის კანონს. თუმცა, კანონის წყნარი მეფობის დროს, ასეთი მმართველობის პირობებში, რომელიც ერის სურვილს შეესაბამება, გარეთ და შიგნითაც ეყრდნობა

ძალას და საზოგადოებრივ აზრს, რომელსაც შეიძლება უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე თვით ძალას, იქ, სადაც ძალაუფლება მხოლოდ ჭეშმარიტ სუვერენს ეკუთვნის, სადაც სიმდიდრით მხოლოდ სიამოვნებას ყიდულობენ და არა უფლებამოსილებას, - მე ვერ ვხედავ მოქალაქის განადგურების ვერანაირ აუცილებლობას, გამონაკლისს მხოლოდ ის შემთხვევა წარმოადგენს, თუ მისი სიკვდილი იქნება სხვათა დანაშაულისაგან შესაკავებელი ჭეშმარიტი და ერთადერთი საშუალება. აი, მეორე საფუძველი, რომლის მიხედვითაც სიკვდილით დასჯა შეიძლება სამართლიანად და აუცილებლად ჩაითვალოს.

თუ ყველა საუკუნის გამოცდილება, რომელთა განმავლობაშიც სასჯელის უმაღლესი ზომა არასოდეს აჩერებდა ადამიანს, საზოგადოების ხელყოფისაგან, - თუ რომაელ მოქალაქეთა და მოსკოვის დედოფლის – ელისაბედის[1] ოცწლიანმა მეფობამ, რომელმაც ხალხთა წინამძღოლებს და მქადაგებლებს აჩვენა ცნობილი მაგალითი, რაც სულ მცირე, მრავალი გამარჯვების ტოლფასია და მამულიშვილთა სისხლითაა ნაყიდი – ვერ დაარწმუნა ადამიანები, რომელთათვისაც გონების ენა ყოველთვის საეჭვოა, ხოლო ჭეშმარიტი მხოლოდ –

[1] ელისაბედ პეტრეს ასული (1709-1761) – რუსეთის დედოფალი. სახელმწიფოს სათავეში მოვიდა 1741 წლის 25 ნოემბერს.

ხელისუფლების ენაა, - მაშინ საკმარისი იქნება მიმართვა ადამიანის ბუნებისათვის, რომ ჩემი მტკიცებულებების ჭეშმარიტება იგრძნოს.

სასჯელის არა სიმკაცრე, არამედ ხანგრძლივობა ახდენს ყველაზე მეტ შთაბეჭდილებას ადამიანის სულზე, იმიტომ რომ ჩვენს გრძნობებზე უფრო ადვილად და მდგრადად ზემოქმედებენ უფრო სუსტი, მაგრამ განმეორებადი შთაბეჭდილებები, ვიდრე ძლიერი, მაგრამ სწრაფწარმავალი ელდა. ჩვეულებას ემორჩილება გრძნობებით დაჯილდოებული ყველა არსება. იმის მსგავსად, მიჩვევის გამო როგორ ლაპარაკობს, დადის და მოქმედებს ადამიანი, ასევე ზნეობრივი იდეები იბეჭდება სულში მხოლოდ ხანგრძლივი და განმეორებითი შთაბეჭდილებების წყალობით. დანაშაულისაგან შემაკავებელ ყველაზე მაგარ აღვირს წარმოადგენს არა ბოროტმოქმედის სიკვდილით დასჯის საშინელი, მაგრამ წამიერი, სანახაობა, არამედ ხანგრძლივი და უბადრუკი მაგალითი, – როდესაც ადამიანი, რომელსაც თავისუფლება აქვს აღკვეთილი და მუშა პირუტყვადაა ქცეული, თავისი შრომით ანაზღაურებს მისგან გამოწვეულ საზოგადოებრივ ზიანს. ასეთი კერძო და ამიტომ მოქმედი შეხსენება – **მე თვითონ ასე დიდხანს ამგვარ მდგომარეობაში აღვმოჩნდები, თუ მსგავს დანაშაულს ჩავიდენ, –**

ბევრად ძლიერია, ვიდრე ფიქრი სიკვდილზე, რომელიც ადამიანებს ყოველთვის ნისლიან სიშორეში ეჩვენებათ.

როგორი ძლიერიც არ უნდა იყოს სიკვდილით დასჯით მოხდენილი შთაბეჭდილება, ის მალე მიეცემა დავიწყებას, როგორც ეს ახასიათებს ადამიანს, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეებშიც კი, განსაკუთრებულ ვნებათა გავლენით. საზოგადო წესია: ძლიერი ვნებანი ეუფლებიან ადამიანებს, მაგრამ მცირე ხნით, და ამიტომ შეუძლიათ ჩვეულებრივი ადამიანები გადააქციონ განებივრებულ, განაზებულ სპარსელებად და სპარტელებადაც. თუმცა, თავისუფალი და წყნარი მმართველობის დროს შთაბეჭდილებები უნდა იყოს უფრო ხშირი, ვიდრე – ძლიერი.

სიკვდილით დასჯა უმრავლესობისათვის სანახაობაა, ზოგიერთებში აღშფოთებასთან შერეულ თანაგრძნობას იწვევს. ორივე ეს გრძნობა უფრო იპყრობს მაყურებელთა სულს, ვიდრე – გადამრჩენი შეძრწუნება, რომელზეც გათვლილია კანონი. მაგრამ ზომიერი და გახანგრძლივებული სასჯელის დროს მეფობს უკანასკნელი გრძნობა, რადგან ის ერთადერთს წარმოადგენს. ზღვარი, რომელიც კანონმდებელმა უნდა დაუდოს სასჯელის სიმკაცრეს, როგორც ჩანს, მდებარეობს იქ, სადაც თანაგრძნობა სიკვდილით დასჯის მაყურებელთა ყველა სხვა გრძნობაზე გადაჭარბებას იწყებს, რომელიც უფრო მაყუ-

რებლებისთვის ხორციელდება, ვიდრე – დამნაშავისათვის.

*სამართლიანი რომ იყოს, სასჯელი არ უნდა აჭარბებდეს სიმკაცრის ზღვარს, საკმარისს იმისათვის, რომ შეაკავოს ადამიანები დანაშაულისაგან. არაა ისეთი ადამიანი, რომელიც გააზრებულად დათანხმდებოდა საკუთარი თავისუფლების სრულ და სამუდამო დაკარგვას, – რა გამორჩენასაც არ უნდა უქადდეს მას დანაშაული. უვადო პატიმრობა, რომელიც სიკვდილით დასჯას ცვლის, – საკმარისად მკაცრი სასჯელი იქნებოდა დანაშაულისაგან ყველაზე გაბედული ადამიანის შესაკავებლადაც კი. დავამატებ: აღნიშნული სიკვდილით დასჯაზე საშინელია. ძალიან ბევრი სიკვდილს სიმტკიცით და სიმშვიდით უყურებს: ზოგი ფანატიზმის, ვინ პატივმოყვარეობის გამო, რომელიც თითქმის ყოველთვის თან ახლავს ადამიანს სამარის კარამდე, ვინც უკანასკნელ თავზეხელაღებულ ცდას მიმართავს – ან დაიღუპოს, ან წერტილი დაუსვას თავის უბედურებას. თუმცა, ვერც ფანატიზმი და ვერც პატივმოყვარეობა ვერ გაუძლებენ ჯაჭვებს და ბორკილებს, ჯოხით ცემას, უღელს და რკინის გალიას; ამასთან, დანაშაულისათვის განწირული დაინახავს, რომ მისი ტანჯვა არ თავდება, არამედ თავიდან იწყება. ჩვენს სულს უფრო ძალუძს ძალადობის ატანა და ყველაზე უკიდურესი, მაგრამ წარმავალი ტანჯვანი,

ვიდრე ხანგრძლივი და უწყვეტი დაძაბულობა, ვინაიდან მას პირველ შემთხვევაში შეუძლია, ასე ვთქვათ, წამიერად მოიკრიბოს ძალა, მაგრამ მთელი მისი დრეკადი ძალა არ ეყოფა, რათა გადაიტანოს მეორე. თითოეული გაკვეთილი, რომელიც ხალხს წარედგინება სიკვდილით დასჯის სისრულეში მოყვანით, ახალ დანაშაულს გულისხმობს. უვადო პატიმრობისას საკმარისია ერთი დანაშაული, რომ მოგვცეს მრავალრიცხოვანი და გახანგრძლივებული მაგალითები. თუ მნიშვნელოვანია, რომ ადამიანები ხშირად ხედავდნენ კანონების სიძლიერის გამოვლინებას, მაშინ სიკვდილით დასჯა გამოყენებულ უნდა იქნეს დროის მცირე მონაკვეთის შემდეგ. აქედან გამომდინარე, დანაშაული ხშირად უნდა ჩაიდინონ; მაშასადამე, აღნიშნული სასჯელი სასარგებლო რომ იყოს, აუცილებელია, მან ადამიანებზე არ მოახდინოს მთელი ის შთაბეჭდილება, რაც მას უნდა მოეხდინა, ანუ ის ერთდროულად უნდა იყოს სასარგებლოც და უსარგებლოც. მეტყვიან, რომ უვადო პატიმრობა ისევე სატანჯველია, როგორც სიკვდილით დასჯა და აქედან გამომდინარე, ერთნაირად სასტიკია. ამაზე მე ვუპასუხებ, რომ თუ ერთად შევკრებთ პატიმრობის ყველა საბედისწერო წუთს, მაშინ ის შეიძლება უფრო სასტიკიც აღმოჩნდეს. მაგრამ ეს წუთები

გაჭიმულია მთელი ცხოვრების სივრცეზე, მაშინ, როდესაც სიკვდილით დასჯის ზემოქმედების მთელი ძალა ერთ წამში ვლინდება. ამაში მდგომარეობს პატიმრობის უპირატესობა, როგორც სასჯელის ფორმის. რადგან ის მეტად აძრწუნებს აღნიშნულის შემხედვარეს, ვიდრე იმას, ვისაც ის უშუალოდ გადახდება. პირველს ყველა საბედისწერო განცდანი მთელ მათ ერთობლიობაში წარმოუდგება; არსებული წუთის უბედურებანი მომავალ ტანჯვაზე ფიქრისაგან მეორის ყურადღებას გადაიტანენ. პირველს წარმოსახვა უხატავს ყველა ტანჯვას გადიდებული სახით, ამ ტანჯვის გადამტანი პოულობს ძალასაც და ნუგეშსაც, რომელიც ამოუცნობია მაყურებლისათვის, რომელსაც მისი არ სჯერა, მიაწერენ უბედურის გაძლიერებულ სულს მისთვის დამახასიათებელ მგრძნობელობას.*

დაახლოებით ამგვარად მსჯელობს ყაჩაღი ან მკვლელი, რომელთათვისაც კანონების დარღვევისაგან შემაკავებელ საპირწონეს, მხოლოდ სახრჩობელა ან ურმის თვალი წარმოადგენს. ვიცი, რომ საკუთარი გრძნობების გამოვლინების უნარი არის ხელოვნება, რომელიც მარტო აღზრდით მიიღება, მაგრამ თუ ყაჩაღს არ შეუძლია კარგად გამოხატოს თავისი ქცევის წესები, ეს არ ნიშნავს, რომ ის ამით არ სარგებლობდა. – **ეს რა კანონებია,**

რომლებსაც მე პატივი უნდა ვცე და რომლებიც მთელი უფსკრულით მაშორებენ მდიდარს. ის უარს ამბობს მომაწოდოს გროში, რომელსაც მე მას ვთხოვ და თავს იმართლებს იმით, რომ მაგზავნის სამუშაოდ, რაც თვითონ არ იცის. ვინ შექმნა ეს კანონები? ძლიერნი და მდიდარნი, რომლებიც არასდროს აკადრებდნენ საკუთარ თავს ღატაკის ნაღვლიან ქოხში მიბრძანებას, რომელთაც არასდროს დასჭირვებიათ დაობებული პურის ნაჭრის გაყოფა – სრულიად უდანაშაულო, მშიერი ბავშვების ტირილისა და ცოლის ცრემლების თანხლებით. დავარღვიოთ აღნიშნული კავშირი, დამღუპველი უმრავლესობისათვის და ხელსაყრელი უქმად მყოფი ტირანებისათვის. განვგმიროთ უსამართლობა მისსავე ფესვებში. მე დავუბრუნდები ბუნებრივი დამოუკიდებლობის მდგომარეობას, ვიცხოვრებ თავისუფლად და ბედნიერად, ვისარგებლებ ჩემი სიმამაცის და მოხერხებულობის ნაყოფით. შესაძლოა დადგეს დარდისა და სინანულის დღე, მაგრამ იგი დიდხანს არ გაგრძელდება და ერთი დღის ტანჯვით გადავიხდი მრავალი წლის თავისუფლებისა და სიამოვნების ფასს. ზოგიერთების ბელადად გახდომით მე გამოვასწორებ ბედისწერის

შეცდომებს და ტირანები გაფითრდებიან და იკანკალებენ მათ წინაშე, ვისაც ისინი შეურაცხმყოფელი მედიდურობით თავის ცხენებზე, თავის ძაღლებზე დაბლა აყენებდნენ. ბოროტმოქმედი, რომელიც ყველაფერს საზიანოდ იყენებს, აქ რელიგიასაც გაიხსენებს. მიეცემა რა მონანიების ადვილი შესაძლებლობა და თითქმის უეჭველი, მუდმივი სიამტკბილობა, იგი ბევრად შეასუსტებს უკანასკნელი ტრაგედიის საშინელებას.

თუმცა ის, ვინც წარმოიდგენს, რომ მას მოუწევს მრავალი წლის და შეიძლება მთელი თავისი ცხოვრების გატარება მონობაში და ტანჯვაში თავისი თანამოქალაქეების თვალწინ, რომლებთანაც ურთიერთობაში ის ცხოვრობდა თავისუფალი, ვინც თავს იმ კანონების მონად წარმოიდგენს, რომლებიც მას იცავდნენ, – თავის სასარგებლოდ შეადარებს ყველა ამ უბედურებას საკუთარი დანაშაულების შედეგების გაურკვევლობას და დროის სიმცირეს, რომლის განმავლობაში მას შეეძლება გამოიყენოს მათი შედეგები. ხანგრძლივი მაგალითი, რაც მას ახლა თავისი საკუთარი წინდაუხედავობის მსხვერპლად წარმოუდგება, მასზე უფრო ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს, ვიდრე სიკვდილით დასჯის სანახაობა, რომელიც მას უფრო გააბოროტებს, ვიდრე გამოასწორებს.

სიკვდილით დასჯა არ შეიძლება იყოს სასარგებლო, ვინაიდან იგი ადამიანებს სისასტიკის მაგალითს აძლევს. თუ ენებებმა ან ომის წარმოების აუცილებლობამ ადამიანს სისხლის ღვრა ასწავლა, მაშინ კანონები, რომელთა ამოცანაა შეარბილოს ადამიანთა ზნე-ჩვეულებები, არ უნდა იძლეოდენ სისასტიკის ზედმეტ მაგალითს, მით უფრო საწყენს, რომ მკვლელობა კანონის ძალით ხდება გულგრილად და ფორმალურობის დაცვით. მე უაზროდ მეჩვენება, რომ კანონი, რომელიც საერთო ნების გამოხატულებას წარმოადგენს, კრძალავს და სჯის მკვლელობას, თვითონ ჩაიდენს ხოლმე მას და მოქალაქეთა მხრიდან მკვლელობის მიმართ ზურგის შესაქცევად და თავის ასარიდებლად მის საჯაროდ აღსრულებას თვითონვე აკისრებს. ჭეშმარიტ და ყველაზე მეტად სასარგებლოს რომელი კანონები წარმოადგენენ? ის შეთანხმებები და პირობები, რომელთა შესასრულებლად და შესათავაზებლად თითოეული მზად უნდა იყოს იმ დროს, როდესაც დუმდება კერძო ინტერესის ხმა, რომელსაც ყოველთვის ემორჩილებიან, ან როდესაც უკანასკნელი შეესაბამება საზოგადოებრივ ინტერესს. როგორ გრძნობს ნერგავს თავის მხრივ სიკვდილით დასჯა? ჩვენ მას აღვიქვამთ ისეთივე მტრული და ზიზღით, როგორც ჯალათს; თუმცა, ჯალათი – მხოლოდ

საზოგადოებრივი ნების უდანაშაულო შემსრულებელია, კეთილი მოქალაქე, რომელიც ხელს უწყობს საერთო კეთილდღეობას, ქვეყნის შიგნით საზოგადოებრივი უსაფრთხოების აუცილებელი იარაღი, მისი გარე მცველი ღირსეული ჯარისკაცების მსგავსად. რაში მდგომარეობს ამ წინააღმდეგობის წყარო? ადამიანებში, გონების სამარცხვინოდ, რატომაა აღმოუფხვრელი ეს გრძნობა? ვინაიდან სულის იმ განკერძოებულ ნაწილში, რომელშიც ყველაზე მეტად ცოცხლობენ კიდევ პირველყოფილი ბუნების საწყისები, ადამიანები ყოველთვის ინარჩუნებდნენ იმედს, რომ მათ საკუთარ ცხოვრებაზე არავის აქვს უფლება, გამოიყენოს ძალა, იმ აუცილებლის გამოკლებით, რომელიც თავისი რკინის კვერთხით მართავს სამყაროს.

რა უნდა იფიქრონ ადამიანებმა, როდესაც ხედავენ, რომ ბრძენი ხელისუფლება და მართლმსაჯულების მედიდური ქურუმები გულგრილი სიმშვიდით აიძულებენ დამნაშავეს ნელა გაიაროს სასჯელაღსრულების ადგილამდე? რას უნდა ფიქრობდნენ ისინი, იმის დანახვისას, საბედისწერო დარტყმის მოლოდინში, თუ როგორი შეძრწუნებულია უბედური უკანასკნელი შიშით, ხოლო მოსამართლე შეპყრობილი თავისი ძალაუფლების უგრძნობი გულგრილობითა და შეიძლება საიდუმლო

სიხარულითაც, სიამოვნებითა და გართობით დასატ-კბობად მიემართება? სამწუხაროდ, ისინი იტყვიან, რომ ეს კანონები მხოლოდ ძალადობის დაფარვას ემსახურება. მოფიქრებული და სასტიკი წეს-ჩვეულებები, რომელიც მხოლოდ პირობით ენას წარმოადგენს, დესპოტიზმის უძღები კერპისადმი მსხვერპლად შეწირვით ეხმარება დიდი უსაფრთხოებით გაგვანადგურონ ჩვენ.

გვიქადაგებდნენ, რომ მკვლელობა – საშინელი ბოროტმოქმედებაა, ხოლო ჩვენ ვხედავთ, რომ იგი გულგრილად და ზიზღის გარეშე სრულდება. გამოვიყენოთ აღნიშნული მაგალითი. ძალადობით სიკვდილი იმის მიხედვით, როგორც მას აღგვიწერდნენ, საშინელ სანახაობად გვეჩვენებოდა, ჩვენ კიბ ვხედავთ, რომ ეს წუთის საქმეა. რამდენად ადვილი იქნება იგი იმისათვის, ვინც არ მოელის მას და ასცილდება მთელი ეს სატანჯველი? ამგვარ დამღუპველსა და მცდარ დასკვნებამდე მიდიან დანაშაულისადმი მიდრეკილი ადამიანები. თავიანთი ბუნდოვანი აზრებით ისინი, ვისთვისაც რელიგიის ბოროტად გამოყენება მეტს ნიშნავს, ვიდრე თვით – რელიგია.

თუ აღნიშნულის უარყოფისათვის მიმითითებენ, რომ თითქმის ყველა დროს და თითქმის ყველა ერში

სიკვდილით დასჯა ზოგიერთი დანაშაულისათვის იყო დადგენილი – გიპასუხებთ,. რომ ეს მაგალითები არაფერს ნიშნავს წინაშე ჭეშმარიტებისა, რომელიც არანაირი ხანდაზმულობით არ ქრება. ასევე გიპასუხებთ, რომ კაცობრიობის ისტორია იწვევს წარმოდგენას უმეცართა თვალუწვდენელი ზღვის შესახებ, რომელთა შორის მცირეოდენი, დიდი სივრცეებით გამოყოფილი, ბუნდოვანი ჭეშმარიტებანი გვხვდება. ადამიანთა მსხვერპლშეწირვები ყველა ერს ჰქონდა ჩვეულებად, მაგრამ ვინ გაბედავს მათ გამართლებას? თუ მხოლოდ მცირეოდენმა საზოგადოებრივმა კავშირმა მცირე ხნით შეიკავა თავი სიკვდილით დასჯისაგან, ეს უფრო ჩემს სასარგებლოდ მეტყველებს: ეს გახლავთ უდიდესი ჭეშმარიტების ბედი – მსგავსად ელვისა, რომელიც მხოლოდ წამიერად ანათებს კაცობრიობის გარსშემოხვეულ ღამის წყვდიადს. ჯერ კიდევ არ მოსულა ის ბედნიერი დრო, როდესაც ჭეშმარიტება, აქამდე როგორც უგუნურობა, მრავალი ადამიანის მონაპოვრად იქცევა. აღნიშნული საერთო კანონიდან აქამდე ამოღებული იყო მხოლოდ ის ჭეშმარიტებანი, რომელთა სხვებისაგან გამოყოფამ, გადაგვიშალა რა ისინი, ზეშთაგონების გზით უსასრულო სიბრძნე მოისურვა.

ფილოსოფოსის ხმა მეტად სუსტია იმისათვის, რომ ამაღლდეს იმ მრავალი ადამიანის წივილ-კივილზე, რომელთა მეგზურს ბრმა ჩვეულება წარმოადგენს. მაგრამ დედამიწის ზურგზე გაფანტული რამდენიმე ბრძენი მაინც გულის სიღრმეში გამომეხმაურება. და თუ ჭეშმარიტება, რომელიც მრავალი წინააღმდეგობის მიუხედავად, მონარქებისაკენ მას გზას უღობავს, მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, ტახტამდე მაინც მიაღწევს, - დაე, იცოდნენ, რომ იგი ყველა ადამიანის საიდუმლო სურვილების თანხლებით ვლინდება. დაე, იცოდნენ, რომ მისი სახის წინაშე დამპყრობელთა სახელი გაფერმკრთალდება და სამართლიანი შთამომაველობა მას პირველ ადგილს ტიტუსების, ანტონინებისა და ტრაიანების მშვიდობიანი გამარჯვების ნიშნების – ტროფეების რიგში მიუჩენს.

ბედნიერი იქნებოდა კაცობრიობა, მისთვის კანონები პირველად რომ ახლა გამოიცეს, როდესაც ჩვენ ვხედავთ ევროპის ტახტებზე გამეფებულ კეთილშობილ მონარქებს, თავისი ხალხის მამებს, გვირგვინოსან მოქალაქეებს, რომელნიც სათნოებას, მეცნიერებასა და ხელოვნებას მფარველობენ. მათი ხელისუფლების ძლიერება ქვეშევრდომთა ბედნიერებაა, იგი ჩამოიშორებს დესპოტიზმს,

მით უფრო სასტიკს, რამდენად ნაკლებადაა იგი თავის თავში დარწმუნებული; ამასთან იგი თრგუნავს ხალხის ყოველთვის გულწრფელსა და ყოველთვის ნაყოფიერ სურვილებს, როდესაც მათ ტახტამდე მიღწევა გამოსდით. შევნიშნავ, თუ ისინი ძალაში გაცრეცილ კანონებს ტოვებენ, ეს იმის გამო ხდება, რომ უგუნურობით გადარბაისლებული საუკუნოვანი ჟანგის მოცილება უსასრულოდ რთულია. ამიტომ განათლებულ მოქალაქეებს მათი ძალაუფლების მუდმივი გაძლიერება უნდა სურდეთ.

§XXIX. დაჯატიმრებისათვის

საზოგადოების არსებობის მიზნის, ანუ პირადი უსაფრთხოების მიმართ, რამდენადაც წინააღმდეგობრივი, იმდენად გავრცელებული, უმეცრებანი არსებობენ. აღნიშნული იმაში გამოიხატება, რომ მოქალაქის ცხოვრებაში დატუსაღება, არაკეთილისმსურველისთვის უმნიშვნელო საბაბით თავისუფლების აღკვეთა და მისი დამნაშავეობის

დამადასტურებელი უმძიმესი მტკიცებულებების მიუხედავად, მეგობრის დაუსჯელად დატოვება დამოკიდებულია იმ მოსამართლის შეხედულებაზე, რომელიც მხოლოდ კანონის შემსრულებელს უნდა წარმოადგენდეს. ციხეში თავისუფლების აღკვეთა წარმოადგენს სასჯელს, რომელიც აუცილებლობის გამო, ყველა სხვა სასჯელისაგან განსხვავებით, დანაშაულის დადგენას უნდა უძღოდეს წინ. მაგრამ ეს განმასხვავებელი ნიშანი მას სასჯელის სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლისაგან არ ათავისუფლებს, ანუ მხოლოდ კანონმა უნდა განსაზღვროს ის შემთხვევები, როდესაც ადამიანი სასჯელს იმსახურებს. აქედან გამომდინარე, კანონში მითითებული უნდა იყოს დანაშაულის ის მტკიცებულებანი, რომელიც ბრალდებულის დაკავებას, მის დაკითხვასა და დასჯას ამართლებს. ხალხში გავრცელებული ხმა, გაქცევა, სასამართლოს გარე, თუ დანაშაულის თანამონაწილის აღიარება, მუქარა, დაზარალებულთან მუდმივი მტრობა, ნივთმტკიცებანი და მსგავსი მტკიცებულებანი საკმარის საფუძველს წარმოადგენს იმისათვის, რომ ადამიანის დაკავება განხორციელდეს, მაგრამ აღნიშნული საფუძვლები უნდა დადგინდეს კანონის და არა მოსამართლეების მიერ, რომელთა გადაწყვეტილებანი, მხოლოდ მაშინ, თუ ისინი არ წარმოადგენენ საზოგადო წესის კერძო დებულებებს

(რომელთაც საზოგადოებრივი დებულება შეიცავს), ყოველთვის პირადი თავისუფლების წინააღმდეგ არიან მიმართულნი. იმის კვალდაკვალ, თუ როგორ იქნება შერბილებული სასჯელი, თუ როგორ დატოვებს სატუსაღოს წყვდიადი და შიმშილი, ხოლო თანაგრძნობა და ადამიანურობა რკინის დარაბებსა თუ გისოსებს მიღმა შეაღწევს, და მართლმსაჯულების დაუნდობელ, გაბოროტებულ მსახურებზე გამეფდება, ბრალდებულის დასაკავებლად კანონები შეიძლება სულ უფრო სუსტი მტკიცებულებებით დაკმაყოფილდეს. დანაშაულში მხილებულ ბრალდებულზე, რომელიც ციხეში თავისუფლებააღკვეთილი გახლდათ და შემდგომ გამართლდა, არანაირი პატივის აყრა არ უნდა ვრცელდებოდეს. არსებობდა მრავალი რომაელი, რომელიც ჯერ ბრალდებული იყო უმძიმეს დანაშაულში და გამართლების შემდეგ, ხალხმა უმაღლეს თანამდებობებზე არჩევით ნდობა და პატივისცემა გამოუცხადა. მაგრამ რატომაა ამდენად განსხვავებული ბრალდებულის ბედი ჩვენ დროში? როგორც ჩანს იმის გამო, რომ თანამედროვე სისხლის სამართლის სისტემაში საერთო შეხედულებისამებრ, სამართლიანობის იდეაზე ძალისა და ძალაუფლების იდეა ბატონობს; იმის გამო, რომ ერთსა და იმავე ორმოში განურჩევლად ყრიან ბრალდებულებს

და სასჯელმისჯილებსაც, იმ მიზეზით, რომ ციხე უფრო სასჯელის ადგილს წარმოადგენს, ვიდრე ბრალდებულთა წინასწარ პატიმრობაში სამყოფელს † და ვინაიდან, კანონების დამცველი შინაგანი ძალა გამოყოფილია საგარეოსაგან, რომელიც იმის ნაცვლად, რომ გაერთიანებული იყოს, ტახტსა და ერს იცავს. ამგვარ შემთხვევაში პირველი, რომელსაც კანონებში საზოგადო საყრდენი გააჩნია, სასამართლო ხელისუფლებასთან შეკავშირდებოდა, მაგრამ უშუალოდ მასზე დამოკიდებული არ იქნებოდა, ხოლო სახელი და დიდება, რომელიც თან სამხედრო წოდების ბრწყინველებასა და ფუფუნებას ახლავს, ჩამორეცხდა შეურაცხყოფას, რომელსაც ჩვეულებრივ – ისევე, როგორც ხალხის ყველა სხვა გრძნობას უკავშირებენ – უფრო გარეგნობას, ვიდრე არსობას. დამტკიცებულია, რომ საზოგადოებრივ აზრში სამხედრო ციხეებს არ მოაქვს იმდენი შეურაცხყოფა, როგორც სასამართლო სატუსაღოებს†. ხალხში, ჩვეულებებში, კანონებში ჯერ კიდევ აგრძელებს არსებობას, თანამედროვე ერის განათლებულობასთან შედარებით საუკუნეებით ჩამორჩენილი, ჩვენი წინაპრების, გარეულ ცხოველთა და მწერების ბარბაროსული გრძნობები და ველური იდეები. ზოგი თვლის, რომ სადაც არ უნდა იყოს ჩადენილი დანაშაული, ანუ კანონსაწი-

ნაალმდეგო ქმედება, საჭიროა მისი დასჯა. მოქალაქეობის მდგომარეობა თითქმის უცვლელია, ანუ ტოლფასი და უარესიც კი გახლავთ მონური მდგომარეობისა. თითქოს სხვა ქვეყანაში ცხოვრების დროს შეიძლება ერთი სახელმწიფოს მოქალაქე იყო და ერთდროულად ორ სუვერენს, ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო ორ კანონს ემორჩილებოდე. ზოგიერთნი ამგვარადვე ფიქრობენ, რომ, მაგალითად, კონსტანტინეპოლში ჩადენილი ბოროტმოქმედება იმ განყენებულ საფუძველზე, რომ კაცობრიობის შეურაცხმყოფელი მთელი კაცობრიობის სიძულვილსა და საერთო ზიზღს იმსახურებს, შეიძლება პარიზში დაისაჯოს. თითქოს, მოსამართლეები არა ადამიანთა დამაკავშირებელი ხელშეკრულებების დარღვევის, არამედ მათი მგრძნობიარობის შეურაცხყოფისათვის წარმოადგენენ შურისმაძიებლებს. დასჯის ადგილს მხოლოდ დანაშაულის ჩადენის ადგილი წარმოადგენს, ვინაიდან იქ და არსად სხვაგან, ადამიანები იძულებული არიან დააზიანონ ერთი ადამიანი, რათა ბოროტება ააცილონ მთელ საზოგადოებას. ბოროტმოქმედი, რომელსაც არ დაურღვევია იმ საზოგადოების ხელშეკრულებები, რომლის წევრიც იგი არ არის, შეიძლება თავის მხრივ შიშს იწვევდეს. ამიტომ ის შეიძლება

ამ საზოგადოების უზენაესი ხელისუფლების მიერ გარიცხული და გაძევებული იყოს. მაგრამ იგი არ შეიძლება ფორმალურად დაისაჯოს იმ კანონებით, რომლებიც კაცს ხელშეკრულების დარღვევის და არა – მისი შინაგანი უზნეობისთვის სჯის.

ჩვეულებრივ, უფრო მსუბუქი დანაშაულისათვის დამნაშავეები ციხის წყვდიადით ისჯებიან, ან მათ მონობით მოშორებულ ადგილას, თითქმის უსარგებლოდ სჯიან, ვინაიდან ისინი მაგალითის როლს უნდა ასრულებდნენ იმ ერებისათვის, რომელთა წინააღმდეგ არაფერი ჩაუდენიათ. რადგან ადამიანები, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენას არც ისე ადვილად ბედავენ, მძიმე დანაშაულისათვის საჯარო დასჯა მათი უმრავლესობის მიერ განხილული იქნება, როგორც რაღაც არაჩვეულებრივი, რაც მათ არ შეიძლება მოუვიდეთ, მაგრამ საჯარო დასჯა უფრო მსუბუქი დანაშაულებისათვის, რომელთა მიმართ ადამიანები მეტად მიდრეკილი არიან, მოახდენს შთაბეჭდილებას, რომელიც, უფრო მსუბუქი დანაშაულის მიმართ გულაცრუების გზით, მათ უფრო მძიმე დანაშაულისაგან შეაკავებს. დანაშაულისათვის სასჯელი შესაბამისი უნდა იყოს არა მხოლოდ თავისი სიმძიმის, არამედ მის აღსრულების საშუალების მიხედვითაც. ზოგიერთნი

უმნიშვნელო დანაშაულისათვის პასუხისმგებლობისაგან ათავისუფლებენ, თუ დაზარალებული დამნაშავეს აპატიებს. ამგვარი სახის ქმედებები მოწყალებისა და ადამიანობის მოთხოვნებს უპასუხებენ, მაგრამ საზოგადოებრივი კეთილდღეობის საწინააღმდეგონი არიან. ცალკეულ მოქალაქეს შეუძლია უარი თქვას მისთვის დანაშაულით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებაზე, მაგრამ მისი პატიება სხვებისათვის მაგალითის ჩვენების აუცილებლობას არ აცილებს. დასჯის უფლება არა ერთის, არამედ ყველა მოქალაქის ან სუვერენის უფლებაა. ცალკეულ მოქალაქეს შეუძლია უარი თქვას მხოლოდ კუთვნილ სამართლის ნაწილზე, მაგრამ არ ძალუძს არარსებულად აქციოს მისი ის ნაწილი, რომელიც სხვებს ეკუთვნის.

§XXX. პროცესი და ხანდაზმულობა

მტკიცებულებათა შეგროვებისა და დანაშაულის ჭეშმარიტების დადგენისას, აუცილებელია ბრალდებულს თავის გამართლებისათვის გამოსადეგი ვადა და საშუალებები მიეცეს. მაგრამ ვადა იმდენად მცირე ხანდაზმულობის უნდა იყოს, რომ, სასჯელის დაუყოვნებლობა არ დაზარალდეს, რაც, როგორც ჩვენ ვნახეთ, დამნაშავეობათა მოთოკვის ერთერთ უმთავრეს საშუალებას წარმოადგენს. კაცობრიობის მიმართ არასწორად გაგებული სიყვარული თითქოს ვადების ამ სიმოკლეს ვერ ურიგდება; ნებისმიერი ეჭვი გაქრება, თუ ჩვენ გავიხსენებთ, რომ საფრთხე რომელიც უდანაშაულობას ხვდება, კანონმდებლობის არასრულყოფილების გამო იზრდება.

გარკვეული ვადები როგორც თავდაცვის, ისე დანაშაულის დასამტკიცებლად კანონის მიერ უნდა იყოს მითითებული. მოსამართლე კანონმდებლად იქცეოდა, მას დანაშაულის დამტკიცებისათვის ვადის დადგენის უფლება რომ ჰქონდეს მინიჭებული. მძიმე დანაშაული, რომლის

ხსოვნა დიდხანს ინახება, დამტკიცებისას მიმალვაში მყოფი დამნაშავის სასარგებლოდ არანაირი ხანდაზმულობით არ უნდა იფარებოდეს. მაგრამ უფრო მცირე დანაშაულში, რომელიც უცნობად დარჩა, ხანდაზმულობამ ბოლო უნდა მოუღოს მოქალაქის გაურკვეველ მდგომარეობას. წყვდიადი, რომლითაც დიდი ხნის მანძილზე დანაშაული მოცული იყო, დაუსჯელობის მაგალითის საშიშროებას აშორებს და ამასთან, დამნაშავეს გამოსწორების საშუალებას აძლევს. ჩემთვის საკმარისია მხოლოდ ამ დებულებებზე მიეუთითო, ვინაიდან ზუსტი საზღვრები შეიძლება მხოლოდ კანონმდებლობის მიერ, მოცემული საზოგადოების პირობების გათვალისწინებით იქნეს დადგენილი. მხოლოდ დავუმატებ, თუ დამტკიცებულია, რომ ზომიერება სასჯელში ერებისათვის სასარგებლოა, მაშინ კანონი, რომელიც დანაშაულის სიმძიმის შესაბამისად თვით სატუსაღოების ან ქვეყნიდან ნებაყოფლობითი გაძევების სასჯელის ხანდაზმულობის ჩათვლით, ხანდაზმულობის ან გამოძიების ვადებს ამცირებს ან ზრდის, მცირეოდენი ზომიერი სასჯელის დიდი რაოდენობის დანაშაულზე განაწილებას ადვილად შესძლებდა.

თუმცა ეს ვადები ზუსტად დანაშაულის სიმძიმის

შესაბამისად არ უნდა იზრდებოდეს, ვინაიდან მისი ჩადენის ალბათობა აღნიშნული სისასტიკის უკუპროპორციულია. მაშასადამე, გამოძიებისათვის ვადები, უნდა შემცირდეს, ხოლო ხანდაზმულობისთვის – გაიზარდოს. ეს, როგორც ჩანს, გამოთქმულს ეწინააღმდეგება, ვინაიდან, თუ განაჩენამდე ამოწურული დატუსაღებისას გატარებული დრო, ან ხანდაზმულობა სასჯელში ჩაითვლება, მაშინ სხვადასხვაგვარი დანაშაული ერთნაირად დაისჯება. მკითხველს ჩემი აზრი რომ განვუმარტო, დანაშაულს ორ სახეობად დავყოფ: პირველს მკვლელობასა და სხვა მძიმე ბოროტმოქმედებას, მეორეს კი – ნაკლები სიმძიმის დანაშაულს მივაკუთვნებ. ამგვარ განაწილებას საფუძველი თვით დანაშაულის ბუნებაში აქვს. სიცოცხლის უსაფრთხოება ბუნებრივს, საკუთრებისა კი – საზოგადოებრივ უფლებას წარმოადგენს. განზრახვათა რაოდენობა, რომელნიც აიძულებს ადამიანებს ბუნებრივი თანაგრძნობის წინააღმდეგ წავიდნენ, მნიშვნელოვნად ნაკლებია რაოდენობაზე იმ განზრახვათა, რომელნიც ბედნიერებისაკენ ბუნებრივი ლტოლვის ძალით მათ აიძულებენ დაარღვიონ უფლებები, რომელნიც არა გულის სიღრმეში, არამედ საზოგადოებრივ პირობებში არიან დამყარებული, ვინაიდან ორი ამგვარი სახის დანაშა-

ულის ჩადენის ალბათობა უმაღლეს დონეზე განსხვავებულია, თითოეული მათგანის მიმართ სხვადასხვა წესების გამოყენებაა აუცილებელი. უფრო მძიმე და ამიტომ მეტად იშვიათი დანაშაულისათვის, გამოძიების ვადები, ბრალდებულის უდანაშაულობის მეტი ალბათობის შედეგად უნდა შემცირდეს. ხანდაზმულობის ვადა საჭიროა გაიზარდოს, ვინაიდან მხოლოდ ვინმეს დამნაშავეობისა თუ უდანაშაულობის საბოლოო განაჩენთან ერთად იკარგება დაუსჯელობის იმედი, რომლისგანაც ზიანი მით მეტია, რაც უფრო მძიმეა დანაშაული, ხოლო ნაკლებ მნიშვნელოვან დანაშაულში, რომლის შემთხვევაშიც დამნაშავის უდანაშაულობის ალბათობა მცირდება, გამოძიების ვადები უნდა გაიზარდოს, ხანდაზმულობისა კი – დაუსჯელობისას ზიანის შემცირების გამო, უნდა შემცირდეს. დანაშაულის ორ სახეობად ამდაგვარი გაყოფა დაუშვებელი იქნებოდა, დაუსჯელობისაგან წარმოშობილი ზიანი იმავე ხარისხით რომ მცირდებოდეს, რომლითაც დანაშაულის ჩადენის ალბათობა იზრდება. *საჭიროა შევნიშნოთ, რომ ბრალდებული, რომლის დამნაშავეობა თუ უდანაშაულობა არაა დამტკიცებული კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადის განმავლობაში, თავისუფლდება მტკიცებულებათა არასაკმარი-

სობის გამო, მაგრამ კანონით გათვალისწინებული ახალი ნივთმტკიცებების აღმოჩენის შემთხვევაში იგი შეიძლება ისევ იქნეს დაკავებული და იმავე დანაშაულის გამო გამოძიება განახლდება. ყოველივე ეს გახლავთ საშუალება, რომელიც, ჩემი აზრით, მოქალაქეთა უსაფრთხოებისა და თავისუფლების დასაცავადაა გამოსადეგი. მეტისმეტად ადვილია უპირატესობის მინიჭება ერთისათვის მეორის ხარჯზე, თუ ორივე ეს სიკეთე, რომელიც თითოეული მოქალაქის განუყოფელ და ერთნაირ შენაძენს წარმოადგენს, კერძოდ, ერთი – აშკარა ან დაფარული დესპოტიზმისაგან, მეორე – შმაგი სახალხო ანარქიისაგან დაცული არ იქნება*.

§XXXI. ძნელად დასამტკიცებელი დანაშაული

ვინც ამ საწყისებს ჩაუფიქრდება, მაგრამ არ გაითვალისწინებს, რომ გონება თითქმის არასდროს ყოფილა ერის კანონმდებელი, უცნაურად მოეჩვენება, თუ რატომაა რომ ყველაზე სასტიკი ან ყველაზე იდუმალი, ქიმერული, ანუ ყველაზე მეტად წარმოუდგენელი დანაშაულისათვის ვარაუდებითა და საეჭვო მტკიცებულებებით კმაყოფილდებიან. თითქოს, კანონები და მოსამართლეები დაინტერესებული არა ჭეშმარიტების მოძიებით, არამედ მხოლოდ დანაშაულის დამტკიცებით არიან. თითქოს, უდანაშაულოს მსჯავრდების საშიშროება არ იზრდება, როდესაც უდანაშაულობის ალბათობა უფრო მაღალია, ვიდრე დამნაშავეობისა. ადამიანების უმრავლესობას როგორც (განსაკუთრებით) დიდი დანაშაულის, ისე (განსაკუთრებით) დიდი გმირობისათვის, ერთნაირად აუცილებელი სიმამაცე არ გააჩნია. ალბათ, ამ მიზეზით, ერთიც და მეორეც შეინიშნება ერთდროულად იმ ერებში, რომელნიც ინარჩუნებენ არსებობას უფრო საზოგა-

დოებრივი კეთილდღეობისკენ მიმართული მთავრობის საქმიანობისა და ვნებების, ვიდრე თავისი სიდიდის წყალობით, ან იმის ძალით, რომ მათი კანონები ყოველთვის საუკეთესოა. ამ უკანასკნელი სახის ერებს შესუსტებული ვნებები აქვთ და, როგორც ჩანს, უფრო მმართველობის წესის შენარჩუნებას უწყობენ ხელს, ვიდრე მის გაუმჯობესებას. აქედან გამომდინარეობს ერთი მნიშვნელოვანი დასკვნა: მსხვილი (დიდი) დანაშაული, რომელიც რომელიმე ერში ხდება, ყოველთვის მისი დაცემის ნიშანს არ წარმოადგენს.

საზოგადოებაში ხშირად განმეორებული, ძნელად-დასამტკიცებელი დანაშაული არსებობს. ამგვარ დანაშაულში დამტკიცების სიძნელე, როგორც უდანაშაულობის ალბათობა ისე განიხილება. ხოლო, ვინაიდან დაუსჯელობიდან გამომდინარე ზიანს, შეიძლება მით ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდეს, რამდენადაც ამ დანაშაულთა გავრცელებულობა არა იმდენად დაუსჯელობაზე, რამდენადაც სხვა მიზეზებზეა დამოკიდებული, ამიტომ როგორც გამოძიების, ისე ხანდაზმულობის ვადები ერთნაირად უნდა მცირდებოდეს. ამასთან ძნელად დასამტკიცებელი მრუშობა, ბერძნული სიყვარული, წარმოადგენს დანაშაულს, რომლის მიმართ, დადგენილი

წესის თანახმად, გამოიყენება ტირანული პრეზუმფციები, **თითქოს როგორც მტკიცებულებები და ნახევარ-მტკიცებულებები (თითქოს ადამიანი შეიძლება იყოს ნახევრად უდანაშაულო, ნახევრად დამნაშავე, ანუ ნახევრად დასჯილი, ნახევრად გამართლე-ბული).** ზუსტად ამ დანაშაულთა მიხედვით წამება ავლენს თავის სასტიკ ძალაუფლებას ბრალდებულზე, მოწმეებსა და უბედურის ოჯახზეც კი, როგორც ამას აღმაშფოთებული გულგრილობით ასწავლიან მეცნიერები, რაც მოსამართლეთათვის წესსა და კანონს წარმოადგენენ.

პოლიტიკური თვალსაზრისით მრუშობა წარმოადგენს დანაშაულს, რომელიც წარმოიშობა და იმართება ორი მიზეზით – ადამიანების ცვლადი კანონებითა და ერთი სქესის მეორის მიმართ უმძლავრესი ლტოლვით. ეს ლტოლვა ბევრ შემთხვევაში მსოფლიო მიზიდულობის კანონის მსგავსია, იგი მანძილის ზრდასთან ერთად მცირდება და მსგავსად იმისა, თუ როგორ ცვლის მიზიდულობის ძალა სხეულთა ყოველგვარ მოძრაობას, ასევე ლტოლვაც, სანამ ის გრძელდება, სულის თითქმის ყველა მოძრაობას ცვლის. მათ შორის განსხვავება იმაშია, რომ მიზიდულობა გაწონასწორებული გახლავთ დაბრკო-ლებებით, ლტოლვა კი – საზოგადო წესის მიხედვით, წინააღმდეგობის ზრდასათან ერთად ძლიერდება.

მე რომ რელიგიის შუქმოუფენელ ერებს მივმართავდე, მაშინ ამ და სხვა დანაშაულთა შორის კიდევ ერთ მნიშვნელოვან განსხვავებაზე მივუთითებდი. იგი მთელი კაცობრიობის მუდმივი და საერთო მოთხოვნილების ბოროტად გამოყენებითაა წარმოშობილი, იმ მოთხოვნილებისა, რომელიც წინ უძღოდა საზოგადოებას და თვით მისი წარმოქმნაც კი გამოიწვია. ხოლო საზოგადოების დამანგრეველი სხვა დანაშაული, უფრო სწრაფწარმავალია ვნებებით, ვიდრე ბუნებრივი მოთხოვნილებით გამოწვეული გახლავთ. ისტორიისა და ადამიანთა მცოდნისათვის ეს მოთხოვნილება, – ვინაიდან საუბარი ერთსა და იმავე ჰავაზეა – ყოველთვის გარკვეული, მუდმივი სიდიდის ტოლად წარმოდგება. თუ ეს ჭეშმარიტია, მაშინ საჭიროა უსარგებლოდ, საზიანოდაც მივიჩნიოთ კანონები და ჩვეულებები, რომელნიც ამ საერთო ჯამის შემცირებას ცდილობენ, ვინაიდან მათი ქმედება გამოვლინდებოდა იმაში, რომ მოქალაქეთა ეროვ. ნაწილი დატვირთული აღმოჩნდებოდა თავისი თუ სხვისი პრობლემებით. ამის საწინააღმდეგოდ, ბრძნულ კანონებად ჩაითვლება ისინი, რომელნიც მიჰყვებოდნენ რა ე.წ. ბარის მსუბუქ კალთას, გაშლიდნენ და გატოტავდნენ ამ მოთხოვნილების საერთო მოქმედებას იმდენ ტოლ მცირე ნაწილად, რომ ერთდროულად თავიდან აიცილებდნენ როგორც გვალვას,

ისე წყალდიდობასაც. ცოლქმრული ერთგულება ყოველთვის ქორწინებათა რაოდენობისა და ქორწინებათა თავისუფლების პროპორციულია. სადაც მემკვიდრეობითი ცრურწმენები ბატონობს, მშობელთა ძალაუფლება ერთპიროვნულად წყვეტს ან კრძალავს შვილების ქორწინების საკითხს, იქ არშიყობა საიდუმლოდ არღვევს მას, ჩვეულებრივი მორალისათვის ყურადღების მიუქცევლად, რომელსაც მათი გამომწვევი მიზეზების მიმართ შემწყნარებლური დამოკიდებულება აქვს, ამავე დროს შედეგების გამო აღშფოთებას ხშირად ერგება. მაგრამ ეს მოსაზრებანი ზედმეტია მათთვის, ვისაც ჭეშმარიტი რელიგიის სწამს და მისდევს უფრო მაღალი დონის წადილებს, რომელიც ბუნებრივ ლტოლვათა ძალას აკავებენ. ამგავარი დანაშაული ისე სწრაფწარმავალია და საიდუმლოდ სრულდება, თვით კანონის მიერ ისეა დაფარული აუცილებელი, მაგრამ გამჭვირვალე, საბურველით, და იმის მაგივრად, რომ შეამციროს საგნის ღირებულება, – ზრდის მას; მისი საბაბი იმდენად მარტივია, ხოლო შედეგები – იმდენად განუსაზღვრელი, რომ კანონმდებლის ძალაუფლებაშია უფრო თავიდან აიცილოს, ვიდრე გამოასწოროს მისი ქმედება. ზოგადი წესია: ყველა დანაშაულისათვის, რომელიც თავისი ბუნებით მეტ წილად დაუსჯელი უნდა დარჩეს, თვით

სასჯელი გახელებად იქცევა. ჩვენი წარმოსახვის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ თუ დაბრკოლებანი დაუძლეველია და თითოეული ადამიანისათვის დამახასიათებელ სულის სიზარმაცეს არ აჭარბებს, მაშინ წარმოსახვის უნარს ისინი კიდევ უფრო აცხარებს და საგნის მნიშვნელობას ზრდის, ვინაიდან ისეთივე დაბრკოლებას წარმოადგენს, რომელიც გზააბნეულსა და ცვლად წარმოსახვას ხელს უშლის ყურადღება საგნიდან სხვაგან გადაიტანოს. იძულებული მოიცვას ყველა თანაფარდობა, წარმოდგენა, ჩერდება უფრო მეტად სასიამოვნოზე, რომლისკენაც, ბუნებრივია, ჩვენი სული უფრო სწრაფად მიემართება, ვიდრე მოჟამულისა და ნაღვლიანისკენ, რასაც იგი გაურბის და შორდება.

ასე მკაცრად დასჯადი ანტიკური სიყვარული, რომლის გამოც ადვილად გადასცემენ საწამებლად, და მისი სისასტიკე უდანაშაულობაზე ზეიმობს, გამოწვეულია არა იმდენად მარტოხელა თავისუფალი ადამიანის მოთხოვნილებით, რამდენადაც იმ ადამიანის ვნებით, რომელიც საზოგადოებაში და მონობაში ცხოვრობს. აღნიშნული დანაშაული ძალას არა იმდენად სიამოვნებაში იკრებს, არამედ იმ აღზრდაში, რომელშიც მგზნებარე ახალგაზრდობას კრებენ იმ საბაბით, რომ ისინი საზოგადოებისთვის სასარგებლონი გახადონ, სინამდვილეში კი –

მათ საკუთარი თავისათვის უსარგებლოებად აქცევენ. სხვა არანაირი გამოსავალი არ არსებობს, ყველა განვითარებადი ბუნებრივი ძალა კაცობრიობისათვის სარგებლობის გარეშე იხარჯება და ამით ნაადრევ სიბერესაც კი იწვევს.

ჩვილთა მკვლელობა წარმოადგენს შედეგს ასევე იმ გარდაუვალი წინააღმდეგობისა, რომელშიც საკუთარი სისუსტის ან ძალადობის მსხვერპლი ქალი აღმოჩნდება. მან არჩევანი უნდა გააკეთოს შერცხვენასა და იმ არსების სიკვდილს შორის, რომელსაც არ ძალუძს შეიგრძნოს თავისი უბედურება. როგორ არ არჩიოს ეს სიკვდილი იმ გარდაუვალ ტანჯვას, რომელიც მას და მის უბედურ ნაყოფს მოელის? აღნიშნული დანაშაულის თავიდან აცილების საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს კანონები, რომელიც მართლაც იცავს სისუსტეს ტირანიისაგან და ილაშქრებს მანკიერების წინააღმდეგ, თუ სათნოების მანდილით მათი დაფარვა შეუძლებელია.

მე არ მინდა შევასუსტო ის სამართლიანი შეძრწუნება, რომელსაც ხსენებელი დანაშაული იმსახურებს, მაგრამ როდესაც მათ მიზეზებს ვუთითებ, თავს უფლებამოსილად ვთვლი შემდეგი დასკვნა გამოვიტანო: დანაშაულისათვის სასჯელი არ შეიძლება სამართლიანად ჩაითვალოს (ან,

რაც იგივეა, აუცილებლად), სანამ ამ უკანასკნელის თავიდან აცილების მიზნით კანონი ერისათვის მოცემულ პირობებში ხელმისაწვდომ საუკეთესო საშუალებას არ გამოიყენებს.

§XXXII. თვითმკვლელობა

თვითმკვლელობა წარმოადგენს დანაშაულს, რომლის მიმართაც, თითქოს არ შეიძლება გამოყენებული იქნეს სასჯელი, ვინაიდან იგი უდანაშაულოს ცივსა და უგრძნობ სხეულს სახრავს. თუ უკანასკნელ შემთხვევაში სასჯელი ცოცხალ ადამიანებზე ისეთივე შთაბეჭდილებას ახდენს, როგორც ქანდაკების გაროზგვა, პირველ შემთხვევაში იგი უსამართლოსა და ტირანულს წარმოადგენს, ვინაიდან პოლიტიკური თავისუფლება აუცილებლად გულისხმობს, რომ სასჯელი მხოლოდ პირადი შეიძლება იყოს. ადამიანებს მეტისმეტად უყვართ სიცოცხლე და ყველაფერი, რაც მის გარშემოა, მათში ამ სიყვარულს აძლიერებს. მათ მეტად იზიდავს მაცდუნებელი წარმოდ-

გენა სიამტკბილობაზე და მოკვდავთა უტკბესი მცდარი აზრი – იმედი, რომლის წყალობითაც ადამიანები ხარბად სვამენ ბოროტების ფიალას, თუ მასში რამდენიმე წვეთი სიკეთეა შერეული. ამიტომ, საჭირო არაა ვიფრთხილოთ, რომ თვითმკვლელობის გარდაუვალი დაუსჯელობა ადამიანებზე რაიმე გავლენას მოახდენს. ვისაც ტანჯვის ეშინია და ემორჩილება კანონს, მაგრამ სიკვდილი სხეულში ტანჯვის ყველა წყაროს უნადგურებს, მაშინ რას შეუძლია შეაჩეროს იმედდაკარგული თვითმკვლელის ხელი?

საკუთარი სიცოცხლის ხელმყოფი ნაკლებ აზიანებს საზოგადოებას, ვიდრე ის, რომელიც სამუდამოდ ტოვებს მის ფარგლებს, ვინაიდან პირველი მას მთელ თავის ავლადიდებას უტოვებს, ხოლო მეორეს მისი ნაწილი თან მიაქვს. რადგან შემდგომში საზოგადოების ძალა მოქალაქეთა რაოდენობაზეა დამოკიდებული, ვინც მას ტოვებს და საცხოვრებლად მეზობელ ერთან გადადის, თავის საზოგადოებას ორმაგად აზარალებს იმასთან შედარებით, ვინც საზოგადოებიდან თავს თავისი სიკვდილით გამოირიცხავს. ამგვარად საკითხავია, სასარგებლო თუ საზიანო გახლავთ ერისათვის საკუთარი წევრებისათვის თავისუფლად დატოვების მუდმივი უფლების მიცემა.

ძალას მოკლებული და ისეთი კანონიც, რომლის უსაფუძვლობა გარემოებათა ბუნებითაა გამოწვეული, არ უნდა გამოიცეს. ვინაიდან გონებაზე მეფობს საზოგადოებრივი აზრი, რომელიც მხოლოდ კანონმდებელთა ხანგრძლივ, ირიბ ზემოქმედებას აღიქვამს და უშუალოდ ძალადობრივს ეწინააღმდეგება, ამიტომ უსარგებლო, ადამიანებში ზიზღისაღმძვრელი კანონი თავისი სისუსტით უფრო კეთილისმქმნელთაც აავადებს. ამ შემთხვევაში ისინი არა როგორც საზოგადოებრივი კეთილდღეობის საცავი, არამედ როგორც აცილებას დაქვემდებარებული დაბრკოლებები ისე განიხილება. ხოლო თუ როგორც ეს აღნიშნული იყო, ჩვენი გრძნობებისათვის ზღვარია დადგენილი, მაშინ რაც მეტ პატივისცემას გრძნობენ ადამიანები კანონისათვის უცხო საგნების მიმართ, მით ნაკლები რჩება იგი თვით კანონის წილად. საზოგადოებრივი ბედნიერების ბრძენ მომწყობთ ამ დებულებიდან რამდენიმე სასარგებლო დასკვნის გაკეთება შეუძლიათ. მე რომ მათი გადმოცემა დავიწყო, ეს მეტისმეტად დამაშორებდა ჩემ ამოცანას – დავამტკიცო სახელმწიფოს ციხედ გადაქცევის უსარგებლობა. ამგვარი კანონი უსარგებლოა: თუ ქვეყანა არაა მოცილებული ყველა დანარჩენს, მიუწვდომელი მთებით ან არასანაოსნო

ზღვებით, მაშინ შესაძლებელია კი, აღიკვეთოს დაშვების საშუალება მისი წრეწირის ყველა წერტილთან და გადადარაჯდეს ყველა მისი დარაჯი? იგი, ვინც მოასწრებს თან წაიღოს მთელი თავისი ავლადიდება, არ შეიძლება დაისაჯოს, რადგან ამგვარი დანაშაული უკვე ჩადენილია, ხოლო დაისაჯოს იგი წინასწარ, ნიშნავს ადამიანთა ნების და არა მათი ქმედების დასჯას, მბრძანებლობას მათ განზრახვებზე – ადამიანური კანონის ძალაუფლებისაგან ადამიანის ყველაზე მეტად თავისუფალ ნაწილზე. † ადამიანის დაუსწრებლად დარჩენილი ქონების ჩამორთმევით დასჯა – ერებს შორის ყველანაირი ვაჭრობის შეჩერებას ნიშნავს, ამასთან არ შეიძლება თავიდან ავიცილოთ გარდაუვალი და ადვილად ჩასადენი ხრიკები, თუ შეთანხმებებს ტირანულად არ მოვეპყრობით†. დამნაშავის დასჯა დაბრუნებისთანავე – ნიშნავს დაბრკოლების შექმნას საზოგადოებრივი ბოროტების გამოსასწორებლად, რაც მიგვიყვანდა იქამდე, რომ ისინი, ვინც დატოვა საზოგადოება არასდროს დაბრუნდებოდნენ უკან. თვით ქვეყნის დატოვების აკრძალვა მხოლოდ აძლიერებს წასვლის სურვილს, უცხოელებს კი მასში ჩასვლისაგან აკავებს.

რა უნდა ვიფიქროთ ჩვენ იმ მთავრობაზე, რომელსაც

შიშის გარდა, არ გააჩნია სხვა არანაირი საშუალება, რომ მამულზე ბავშვობის პირველი შთაბეჭდილებებით აღსავსე ბუნებრივად მიბმული ადამიანები შეაკავოს? მოქალაქეთა სამშობლოში შეკავების ყველაზე საიმედო საშუალება თითოეული მათგანის კეთილდღეობის გაუმჯობესებაა. იმის მსგავსად, როგორია ყველა მცდელობა, რომ სავაჭრო ბალანსი ჩვენთვის სასარგებლო იყოს, ასევე სუვერენის და ერის შემდგომი სადარდებელი იმაში მდგომარეობს, რომ ბედნიერების ჯამი, გარშემომყოფ ერებთან შედარებით უკეთესი იყო, ვიდრე სხვა ნებისმიერ ადგილას. ფუფუნებით მინიჭებული სიამოვნებანი ამ ბედნიერების მთავარ პირობას არ წარმოადგენს, თუმცა ფუფუნება უთანასწორობის საწინააღმდეგო აუცილებელი საშუალებაა, იგი მზარდია ერის წარმატებებთან ერთად და მის გარეშე სიმდიდრე ერთის ხელში დაგროვდებოდა. იქ, სადაც ქვეყნის ზომები მეტი ხარისხით იზრდება, ვიდრე მისი მოსახლეობა, ფუფუნება ხელს უწყობს დესპოტიზმს, † ვინაიდან, რაც მეჩხერია მოსახლეობა, მით სუსტია მრეწველობა, ხოლო რაც სუსტია მრეწველობა, მით მეტადაა სიღარიბე დამოკიდებული სიმდიდრეზე, მით ძნელი და ნაკლებ საშიშია ჩაგრულთა გაერთიანება მჩაგვრელთა წინააღმდეგ. იგი ხელს უწყობს

დესპოტიზმს იმიტომაც, რომ ის პატივი, თანამდებობანი, გამორჩევა, დამოკიდებულება, რომელიც სუსტის ძლიერისაგან გამყოფ მანძილს უფრო საგრძნობს ხდის, უფრო ადვილად ერგება ადამიანთა მცირე რაოდენობას, ვიდრე დიდს, ვინაიდან ადამიანები უფრო დამოუკიდებელნი არიან, რაც უფრო ნაკლებად უთვალთვალებენ მას და ეს მეთვალყურეობა მით ნაკლებია, რაც მეტია მათი რაოდენობა†. ხოლო იქ, სადაც ქვეყნის მოსახლეობა იზრდება უფრო სწრაფად, ვიდრე მისი საზღვრები, ფუფუნება დესპოტიზმისათვის დაბრკოლება ხდება, რადგან იგი მრეწველობასა და ადამიანთა საქმიანობას გამოაცოცხლებს, ხოლო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება მდიდარს იმდენად ბევრ სიამოვნებას ანიჭებს და კეთილმოწყობილ პირობებს უქმნის, რომ ნაკლებ ნაწილს იკავებს მოჩვენებითი ფუფუნება, ზუსტად ის, რომელიც დამოკიდებულების გრძნობას აძლიერებს. ამიტომ შეიძლება შევნიშნოთ, რომ ვრცელ, მაგრამ სუსტ და ნაკლებად დასახლებულ სახელმწიფოებში, თუ ამას სხვა მიზეზით არ შეეშლება ხელი, ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისაკენ მიმართული მედიდურობით ჩანერგილი ფუფუნება ჭარბობს. მაგრამ ვრცელთან შედარებით, მეტად დასახლებულ სახელმწიფოებში მოჩვე-

ნებითი ფუფუნება აუცილებლად გამოიდევნება საყოფაცხოვრებო პირობების ფუფუნებით. მაგრამ ფუფუნებით ტკბობა დაკავშირებულია იმ ნაკლოვანებასთან, რომ თუმცა მათით უზრუნველყოფასა და ვაჭრობაში მრავალნი მონაწილეობენ, მათი მნიშვნელოვანი წილით მოსახლეობის უმნიშვნელო ნაწილი სარგებლობს. აღნიშნულის წყალობით უფრო შედარებით, ვიდრე სინამდვილით გამოწვეული, სიღატაკის გრძნობა არ სუსტდება. მაგრამ მხოლოდ კანონებით შეზღუდული უსაფრთხოება და თავისუფლება შეადგენს ერის ბედნიერების მთავარ საფუძველს. მათი მოქმედებისას ფუფუნებით ტკბობას მოსახლეობისათვის სიკეთე მოაქვს, მათ გარეშე კი იგი ტირანიის იარაღი ხდება. იმის მსგავსად, როგორც უკეთილშობილესი ველური ცხოველები თუ ყველაზე თავისუფლებისმოყვარე ფრინველები ცარიელი, უღრანი ტყეებისკენ მიემართებიან, უტოვებენ რა ნაყოფიერსა და მხიარულ ველებს მათ მდევნელ ადამიანს, ასევე გაურბიან ადამიანები ტირანიის მიერ განაწილებულ სიამტკბილობებს.

ამგვარად, დამტკიცებულია, რომ კანონი, რომელიც ქვეყანას ქვეშევრდომთათვის ციხედ აქცევს, უსარგებლო და უსამართლოა. აქედან გამომდინარე, ამგვარი იქნება

სასჯელი თვითმკვლელობისათვისაც. იგი წარმოადგენს ბრალეულობას, რომელსაც ღმერთი სჯის, ვინაიდან მხოლოდ მას შეუძლია დასჯა სიკვდილის შემდეგაც, მაგრამ არა დამნაშავე ადამიანთა მიმართ, რადგან იმის ნაცვლად, რომ თვით დამნაშავეს შეხვდეს, სასჯელი მის ოჯახზე გადადის. თუ ვინმე შემეწინააღმდეგება, რომ მიუხედავად ამისა, ამგვარმა სასჯელმა შეიძლება შეაკავოს ადამიანი, რომელმაც თავის მოკვლა გადაწყვიტა, ვუპასუხებ: ვინც მშვიდად ამბობს უარს ცხოვრებისეულ სიკეთეზე, ვისაც სძულს მიწიერი არსებობა იმდენად, რომ უბედური მარადისობა ურჩევნია, იგი ნაკლებ ქმედითი და უფრო მოშორებული მოსაზრებებით შვილებსა და მშობლებზე ვერაფრით შედრკება.

§XXXIII. კონტრაბანდა

კონტრაბანდა წარმოადგენს ნამდვილ დანაშაულს, რომელიც აზიანებს სუვერენსა და ერს; თუმცა სასჯელი არ უნდა იყოს შეურაცმყოფელი, ვინაიდან აღნიშნული დანაშაული საზოგადოებრივ აზრში შეურაცხყოფას არ იწვევს. როდესაც შეურაცხყოფა ენიშნებათ ისეთი დანაშაულისათვის, რომელიც ამგვარად არ მიიჩნევა, მაგრამ მისი მნიშვნელობა სუსტდება იმ დანაშაულისთვისაც, რომელიც მას იმსახურებს. თუ სიკვდილით დასჯა დადგენილი იქნება, მაგალითად, ხოხბის მოკვლისა და ადამიანის მკვლელობის ან მნიშვნელოვანი საბუთის გაყალბებისათვის, ამ სამ დანაშაულს შორის განსხვავება წაიშლება. ამით დაკარგული იქნება ადამიანის სულში საუკუნეთა მანძილზე მეტისმეტად ნელა და ძნელად განვითარებადი, დიდი სისხლის ფასად შეძენილი ზნეობრივი გრძნობები, რომელთა დაბადებისათვის აუცილებლად მიიჩნეოდა დასახმარებლად მიმართვა ყველაზე ამაღლებული განზრახვებისა და მრავალი მნიშვნელოვანი რიტუალისადმი.

აღნიშნულ დანაშაულს თვით კანონი წარმოშობს, ვინაიდან საბაჟო გადასახადის გაზრდასთან ერთად ყოველთვის იზრდება დანაშაულისაგან მოგებაც და ამით მისი ჩადენის ცდუნება ძლიერდება. კონტრაბანდა კი დასაცავი პერიმეტრის გაზრდისა და ასევე თვით საქონლის მოცულობის შემცირების წყალობით ადვილდება. ყველაზე სამართლიანია სასჯელი, რომელიც აკრძალული საქონლისა და მასთან ერთად ყოველივე ჩამოტანილის ჩამორთმევაში გამოიხატება. იგი მით უფრო ქმედითი აღმოჩნდება, რაც დაბალი იქნება საბაჟო გადასახადი, ვინაიდან ადამიანები რისკზე მიდიან იმ მოგებისათვის, რომლის მიღებაც ჩადენილის წარმატებით დაგვირგვინების შემთხვევაში შეუძლიათ.

რატომაა, რომ აღნიშნული დანაშაული, რომელიც ხელმწიფის საკუთრების და აქედან გამომდინარე, თვით ერის საკუთრების ქურდობას წარმოადგენს, არ იწვევს პატივის აყრას მისი ჩამდენის მიმართ? ამაზე ეუპასუხებ, რომ დანაშაული, რომელსაც, ადამიანების აზრით, არ შეუძლია შეეხოს მათ პირადად, იმდენად არ აღელვებთ, რომ აღშფოთება გამოიწვიოს დამნაშავეთა წინააღმდეგ. ამგვარ დანაშაულს კონტრაბანდა წარმოადგენს. ადამიანები, რომლებზეც შორეული შედეგები ძალზე სუსტ შთაბეჭდილებებს ახდენს, ვერ ამჩნევენ კონტრა-

ბანდით გამოწვეულ ზიანს; ამასთან, ხშირად ნახულობენ სარგებელს. ისინი მხოლოდ ხელმწიფისათვის მიყენებულ ზიანს ამჩნევენ, ამიტომ დაინტერესებული არ არიან, რომ შეურაცხყონ ისინი, ვისაც საიდუმლოდ გადააქვს საქონელი, იმის საპირისპიროდ, როგორც ისინი კერძო საკუთრების ქურდობის, მნიშვნელოვანი საბუთების გაყალბებისა და სხვა იმ დანაშაულის ჩამდენთ ექცევიან, რომელნიც მათ შეიძლება შეეხონ. ნათელია, რომ მგრძნობიარობით დაჯილდოებული ყოველი არსება ფიქრობს მხოლოდ იმ ბოროტებაზე, რომელიც მისთვისაა ცნობილი.

შეიძლება კი დაუსჯელი დარჩეს ამგვარი დანაშაული, თუ მის ჩამდენს ქონება არ გააჩნია? არანაირი სახით: არსებობს კონტრაბანდა, რომელიც იმდენად ეხება გადასახადების სისტემას – კეთილმოწყობილი კანონმდებლების შემადგენელ ამგვარ მნიშვნელოვანსა და რთულ ნაწილს, რომ დანაშაული, ციხემდე და მონობის ჩათვლითაც კი მნიშვნელოვან სასჯელს იმსახურებს. მაგრამ ეს ციხე და მონობა თვით დანაშაულის ბუნებას უნდა შეესაბამებოდეს. ამგვარად, ციხეში, სადაც თამბაქოს საიდუმლოდ გატანისათვის დასჯილი პატიმრები იმყოფებიან, მკვლელები ან ყაჩაღები არ უნდა ჰყავდეთ. შრომა, რომელიც ხაზინის სასარგებლოდ მუშაობაში მდგომარეობს, რომლის მოტყუებაც დამნაშავეს უნდოდა,

ყველაზე მეტად ამ დანაშაულისათვის სასჯელთა ბუნებას შეეფერებოდა.

§XXXIV. მოვალეთა შესახებ

საქმიან ხელშეკრულებათა მიმართ ნდობის მხარდაჭერისა და ვაჭრობის უსაფრთხოებისათვის კანონმდებელი იძულებულია კრედიტორები გაკოტრებული მოვალის პიროვნების გამგებლობის უფლებით უზრუნველყოს. მაგრამ მე მნიშვნელოვნად მიმაჩნია, ბოროტმოქმედი გაკოტრებული მოვალის გარჩევა უდანაშაულოსაგან. პირველი უნდა დაისაჯოს სასჯელით, რომელიც დადგენილია მონეტის გაყალბებისათვის, ვინაიდან დაღდასმული ლითონის ნაჭრის გაყალბება, რომელიც მოქალაქეთა ვალდებულებათა საწინდარს წარმოადგენს, არ შეადგენს იმაზე მეტ დანაშაულს, ვიდრე თვით ვალდებულებათა გაყალბება გახლავთ. †მაგრამ თუ უდანაშაულოდ გაკოტრებული, მკაცრი გამოძიების შემდეგ, მოსამართლეებს დაუმტკიცებს, რომ მან საკუთარი ქონება

დაკარგა სხვათა ვერაგობის, უბედურებისა ან კიდევ იმ მოვლენათა შედეგად, რომლის განჭვრეტა არანაირ ადამიანურ სიბრძნეს არ ძალუძს, მაშინ რომელი ბარბაროსული მოსაზრებების ძალით უნდა ჩააგდონ იგი ციხეში და ჩამოართვან ერთადერთი, სევდიანი სიკეთე – შიშველი თავისუფლება? რატომ უნდა შეხვდეს მას დამნაშავეთა სატანჯველი, იქნებ დათრგუნული პატიოსნების განწირულობით ინანოს, რომ უდანაშაულო წყნარად ცხოვრობდა, კანონებისა მეურვეობის ქვეშ, რომელიც ძლიერთა ანგარებით იყო ნაკარნახევი, და სუსტთა მიერ მოთმენილი იმ იმედის წყალობით, რომელიც თითქმის ყოველთვის ელავს ადამიანის სულში და აიძულებს სჯეროდეს, რომ უბედური შემთხვევითობანი სხვებისათვის, ხოლო ბედნიერი – ჩვენთვისაა განკუთვნილი! მიგვაჩნია, რომ თითოეულის ინტერესშია, კანონის ზომიერება; თუმცა ადამიანებს, თავისი უშუალო გრძნობების გაელენით, მიუხედავად იმისა, რომ მათ ემორჩილებიან, სასტიკი კანონები უყვართ. ეს იმით აიხსნება, რომ სხვებისაგან წყენის მიღების შიში სხვების წყენინების სურვილზე უფრო ძლიერია. უბედურ გაკოტრებულს ვუბრუნდები. თუ მისი ვალდებულებები მხოლოდ ვალის სრული გადახდისას იფარება, მას

მხოლოდ კრედიტორთა თანხმობით შეუძლია დატოვოს ქვეყანა და თავისი ფხიანობა სხვა კანონების ძალაუფლების ქვეშ გამოიყენოს, ხოლო მისი ნაყოფი, სასჯელის შიშით, ‹არმატების შესაბამისად კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად უნდა მიემართებოდეს. მაშინ იბადება კითხვა: რომელმა კანონიერმა საბაბმა, იქნება ეს ვაჭრობის მდგრადობა, თუ – ‹მინდა კერძო ქონებრივი საკუთრება – შეიძლება გაამართლოს თავისუფლების აღკვეთა, უსარგებლო, იმ შემთხვევის გამოკლებით, როდესაც სურთ მონობის ტანჯვის მეშვეობით გახსნან საიდუმლო გაკოტრებულისა, რომელიც უდანაშაულოდ ივარაუდება? უიშვიათესია შემთხვევა, რომ ჩატარებული იყოს მკაცრი გამოძიება. მე ვამტკიცებ, რომ საერთოდ კანონმდებლობა შემდეგი ძირითადი დებულებით უნდა ხელმძღვანელობდეს: უსიამოვნო პოლიტიკური შედეგები საზოგადოებრივი ზიანის სიდიდესთან პირდაპირ დამოკიდებულებაშია, ხოლო მისი დადგენის სიძნელესთან უკუდამოკიდებულებაში გახლავთ.

საჭირო იქნებოდა გაგვერჩია განზრახვა უხეში გაუფრთხილებლობისაგან, აღნიშნული მსუბუქისაგან და ეს უკანასკნელი – სრული უდანაშაულობისაგან. პირველ შემთხვევაში, სასჯელის დანიშვნა ერგებოდეს როგორც – გაყალბებისას, მეორეში – ნაკლები, მაგრამ შემდგარი

თავისუფლების აღკვეთისაგან, უკანასკნელში – წარუდგინოს მევალეს საშუალებათა თავისუფალი არჩევანი, რომელიც დაეხმარებოდა მას აღედგინა თავისი მდგომარეობა, მესამე შემთხვევაში კი ეს არჩევანი უნდა დაეთმოს კრედიტორებს. თუმცა, განსხვავება უხეშ და მსუბუქ გაუფრთხილებლობას შორის დადგინდეს ბრმა და მიუკერძოებელი კანონით და არა მოსამართლის საშიში და თავისუფალი სიბრძნით. ზუსტი საზღვრების დადგენა ისევე აუცილებელია პოლიტიკაში, როგორც მათემატიკაში, იმდენივე საზოგადოებრივი სიკეთის, რამდენადაც სიდიდეების გაზომვისას[1]. რა სიმარტივით შეუძლია მზრუნველ კანონმდებელს თავიდან აიცილოს გაუფრთხილებელ გაკოტრებათა მნიშვნელოვანი ნაწილი და უბედურებისაგან უდანაშაულო მშრომელი ადამიანი გადაარ-

[1] †ვაჭრობა და ქონების საკუთრება საზოგადოებრივი შეთანხმების მიზანს არ წარმოადგენს, მაგრამ მისი მიღწევის საშუალებას შეიძლება ემსახურებოდეს. საზოგადოების თითოეული წევრის განსაცდელის ზემოქმედების ქვეშ მოქცევა, რომელიც აუარებელი შემთხვევითობით შეიძლება წარმოშვას, ნიშნავს – მიზნის საშუალებისათვის დამორჩილებას, რაც ყველა მეცნიერებაში, განსაკუთრებით კი პოლიტიკაში მცდარი დასკვნაა. ასეთივე შეცდომა მომივიდა მე წინა გამოცემებში, სადაც ვამბობდი, რომ გაკოტრებული უდანაშაულო კრედიტორებისათვის უნდა იყოს დატუსაღებული გირაოს სახით, ან გადაცემოდათ მათ სამუშაოდ. მრცხვენია, ამას რომ ვწერდი. მე ულმერთობაში დამადანაშაულეს, მაგრამ ეს არ დამიმსახურებია. დამადანაშაულეს ამბოხების წაქეზებაში, მაგრამ არც ეს დამიმსახურებია, ხოლო როდესაც მე შეურაცხყავი კაცობრიობის უფლებები – ეს არავინ მისაყვედურა†.

ჩინოს! ყველა შეთანხმების საჯარო, ზუსტი ჩანაწერი და წესრიგში შენახულ საბუთებში მოძიების თავისუფლება ყველა მოქალაქისათვის. გონივრულად გადარიცხული წარმატებული ვაჭრობიდან შენატანებით დაარსებული საზოგადოებრივი ბანკი, რომლის ამოცანა უბედური და უდანაშაულო ვაჭრებისათვის შესაბამისი თანხების გაცემა იქნებოდა. ამას არ მოჰყვებოდა არანაირი მავნე შედეგი, ხოლო მოგება შეიძლება აღურიცხავი ყოფილიყო. საჭიროა შემწყნარებელი, მარტივი და ამაღლებული კანონი, მხოლოდ კანონმდებლის ხელის განძრევას რომ ელოდება, რათა ერის წიაღში გადააფრქვიოს დოვლათი და ძალა, კანონი, რომლის შემომქმედნი თაობიდან თაობაში უკვდავ სამადლობელ ჰიმნებში დიდებათ მოიხსენიებოდნენ – ასეთ კანონზე ყველაზე ცოტას ფიქრობენ ან ამგვარი კანონი ყველაზე ნაკლებად სურთ. მოუსვენარი მეწვრილმანე სული, სინამდვილეზე დაფიქრებული გაუბედავი სიბრძნე, ფრთხილი უნდობლობა ახლის მიმართ ბატონობს მათ გრძნობებზე, რომელნიც სუსტი მოკვდავების საქმიანობას განაგებენ†.

§XXXV. თავშესაფარი

მე კიდევ ორი საკითხი დამრჩა გასარჩევი: პირველი იმაში მდგომარეობს – სამართლიანი არის თუ არა თავშესაფარი და სასარგებლოა თუ არა ერებს შორის დამნაშავეთა ურთიერთგადაცემის შეთანხმებები. ქვეყნად არსად არ უნდა არსებობდეს კანონისაგან დამოუკიდებელი ადგილი. მათი ძალა უნდა მიჰყევებოდეს ადამიანს, როგორც ჩრდილი – სხეულს. დაუსჯელობა და თავშესაფარი ნაკლებად გამოირჩევა ერთმანეთისაგან; ვინაიდან შთაბეჭდილებას ახდენს სასჯელის სიმკაცრე არა იმდენად, რამდენადაც მისი გარდაუვალობა, მაშინ თავშესაფარი იწვევს დანაშაულს მეტი ოდენობით, ვიდრე მათგან სასჯელი აკაევებს. თავშესაფარის რიცხვის გაზრდა ნიშნავს იმავე რაოდენობის პატარა დამოუკიდებელი სახელმწიფოთა შექმნას, ვინაიდან იქ, სადაც კანონი არ მბრძანებლობს, საზოგადოდ მიღებულის საწინააღმდეგო ახალი კანონი შეიძლება იქმნებოდეს და ამით ვითარდებოდეს მთელი საზოგადოებისადმი მტრულად

განწყობილი სული. მთელი ისტორია გვიჩვენებს, რომ თავშესაფარი სხვადასხვა სახელმწიფოსა და ადამიანთა აზრებში უდიდესი გადატრიალების აკვანს წარმოადგენს, ამიტომ არის კი სასარგებლო ერთა შორის დამნაშავეთა ურთიერთგადაცემა? მე ვერ გავბედავ ამ საკითხის გადაწყვეტას მანამდე, სანამ კაცობრიობის მოთხოვნებისათვის შესაფერისი კანონი, უფრო ლმობიერი სასჯელები, თავნებობაზე და შეხედულებებზე დამოკიდებულების აცილება არ უზრუნველყოფს დათრგუნული უდანაშაულობისა და საძულველი სათნოების უსაფრთხოებას, სანამ ტირანია უნაშთოდ არ იქნება გაძევებული აზიის ვრცელ ტერიტორიაზე მსოფლიო გონების მიერ, რომელიც სულ უფრო აერთიანებს ტახტისა და ქვეშევრდომთა ინტერესებს. თუმცა, იმის შეგნება, რომ არ არსებობდეს მიწის არც ერთი გოჯი, სადაც ჭეშმარიტი დანაშაულის პატიება შეიძლება, მათი თავიდან აცილების ყველაზე ქმედითი საშუალება გახდებოდა.

§XXXVI. დაჯილდოება დამნაშავის დაკავებისათვის

სხვა საკითხია – სასარგებლოა თუ არა დაჯილდოება დამნაშავის დაკავებისათვის და თითოეული მოქალაქის ხელში იარაღის ჩადებით მისი ჯალათად ქცევა. დამნაშავე იმყოფება თავისი ქვეყნის ფარგლებში ან მის ფარგლებს გარეთ. პირველ შემთხვევაში, სუვერენი აქეზებს მოქალაქეებს დანაშაულის ჩასადენად და მათზე სასჯელს აწესებს. ამგვარად, ის წყენას ანიჭებს და ითვისებს ძალაუფლებას სხვის სამფლობელოში, ამით ის ავალდებულებს სხვა ერებს ასევე მოექცნენ მასაც. მეორე შემთხვევაში, ის ამყღავნებს საკუთარ სისუსტეს: დახმარებას არ თხოულობს ის, ვისაც თავდაცვის უნარი გააჩნია. ამას გარდა, მსგავსი ბრძანებულება არღვევს ყველა წარმოდგენას ზნეობასა და პატიოსნებაზე, რომელიც ნიავის ოდნავ დაბერვაზეც კი ქრება. კანონი ზოგჯერ ღალატისაკენ უბიძგებს, ზოგჯერ კი – სჯის ამ ღალატისთვის. ერთი ხელით კანონმდებელი ამტკიცებს

საოჯახო, ნათესაობით და მეგობრულ კავშირებს, მეორით კი – აჯილდოებს, ვინც ამსხვრევს და არღვევს მათ. საკუთარ თავთან მუდმივ წინააღმდეგობაში მყოფი ის ზოგჯერ მიმართავს ადამიანთა ეჭვიანი გონების ნდობას, ზოგჯერ კი – ყველას გულში უნდობლობას თესავს. ერთი დანაშაულის აცილების მაგივრად, ის ასეულ სხვას ბადებს. ამ საშუალებას მიმართავენ სუსტი ერები, რომელთა კანონი ისეთივეა, როგორც ყველა მხრიდან მორყეული და ჩამოსანგრევად გამზადებული დროებით შეკეთებული შენობები. ერისათვის განათლებასთან ერთად პატიოსნება და ურთიერთნდობა აუცილებელია. ამით იმსჭვალება ჭეშმარიტი პოლიტიკა. ეშმაკობა, ვერაგობა, ბნელი და არასწორი გზები საზოგადოდ არიდებული იქნება და ყველას მგრძნობიარობა ცალ-ცალკე თითოეულისას აჯობებს. უმეცრების საუკუნეებმაც კი, როდესაც საზოგადოებრივი ზნეობა ადამიანებს აღუძრავდა მორჩილებას კერძო ზნეობისადმი, დარიგებად და მაგალითად გამოადგება განათლებულ საუკუნეებს. თუმცა, მოქალაქეთა შორის ერთმანეთის მიმართ უნდობლობის მთესავი, საიდუმლო ომის აღმძვრელი და ღალატისათვის დამაჯილდოებელი კანონი აბრკოლებს ზნეობის პოლიტიკასთან აუცილებელ შერწყმას, რომელსაც შეეძლო ადამიანებისათვის ბედნიერება

მიენიჭებინა, ერისთვის – მშვიდობა, სამყაროსათვის კი – რაც შეიძლება ხანგრძლივი სიწყნარე და ყველა გადატანილი ბოროტებისაგან დასვენება.

§XXXVII. *თავდასხმები. თანამზრახველები. დაუსჯელობა

იქიდან გამომდინარე, რომ კანონით ჯერ კიდევ არ სჯიან განზრახვას, რომ დანაშაული, დაწყებული რაიმე ქმედებით, რომლითაც მჟღავნდება მისი დაბოლოების სურვილი, არ იმსახურებდა სასჯელს, ანდა იმსახურებდა უფრო ნაკლებს, ვიდრე თვით ჩადენილი დანაშაული. სასჯელის გამოყენება მართლდება თავდასხმათა აცილების მნიშვნელობით. მაგრამ, ვინაიდან თავდასხმასა და დანაშაულის დასრულებას შორის შეიძლება გარკვეული დრო გავიდეს, დასრულებული დანაშაულისათვის მეტი სასჯელის დანიშვნამ შეიძლება მონანიება გამოიწვიოს. იგივე შეეხება შემთხვევას, როდესაც დანაშაულის რამდენიმე თანამზრახველი არსებობს, მაგრამ ყველა არ წარმოადგენს უშუალო ამსრულებელს, არამედ სხვადა-

სხვანაირად მონაწილეობენ მასში. თუ რამდენიმე ადამიანი ერთად მიდის რისკზე, მაშინ რაც მეტია აღნიშნული რისკი, მით მეტად ცდილობენ მის თანაბრად გაყოფას. ამიტომ, უფრო ძნელია ამსრულებლის პოვნა, რადგან მან მეტი რისკი უნდა გაწიოს, ვიდრე სხვა თანამზრახველმა. ერთადერთი გამონაკლისი იქნებოდა ის შემთხვევა, როდესაც ამსრულებლისათვის განსაკუთრებული ანაზღაურებაა გათვალისწინებული. ვინაიდან, ამ შემთხვევაში მეტი რისკის ანაზღაურება ხდება, სასჯელი თანაბარი უნდა იყოს. ეს მსჯელობა მეტისმეტად მეტაფიზიკური შეიძლება ეჩვენოს იმას, ვინც არ ფიქრობს, რამდენად მნიშვნელოვანია, რომ კანონი რაც შეიძლება ნაკლებად უწყობდეს ხელს თანამზრახველთა თანხმობას ერთმანეთს შორის.

ზოგიერთი სასამართლო მძიმე დანაშაულში თანამონაწილეებს დაუსჯელობას ჰპირდება, თუ ისინი თავის ამხანაგებს დაასახელებენ. ასეთ ზომებთან დაკავშირებულია წაგებაც და მოგებაც. წაგება შედგება იმისაგან, რომ ერი ამართლებს ღალატს, რომელსაც ბოროტმოქმედთა წრეში ზიზღით უყურებენ. ამასთან, დანაშაული, რომელიც სიმამაცეს ითხოვს, ნაკლებ საშიშია ერისთვის ვიდრე სიმდაბლით წარმოშობილი. პირველი იშვიათად გვხვდება და საჭიროებს მხოლოდ კეთი-

ლისმყოფელ ძალას, რომელიც მიმართავდა მას საზოგადო კეთილდღეობისაკენ, მეორე კი გვხვდება უფრო ხშირად: ის გადამდები და ყოველთვის ანგარებიანია. იმის გარდა, რომ სასამართლო ამჟღავნებს საკუთარ ურწმუნობასა და კანონის სისუსტეს, რომელიც შეჰღაღადებს მის დამრღვევს დახმარებისათვის. მოგება მდგომარეობს მნიშვნელოვანი დანაშაულის არიდებაში, რომელიც აშინებს ხალხს, თუ მათი შედეგები ცხადია, ხოლო დამნაშავეები – უცნობი. ეს მეთოდი სასარგებლოა აგრეთვე, რადგან გვიჩვენებს, რომ კანონისადმი, ანუ საზოგადოებისადმი, ერთგულების დამრღვევთ გააჩნიათ უნარი დაარღვიონ ის ცალკეულ პირთა მიმართაც. მე უპირატესად მიმაჩნია გამოიცეს უფრო ზოგადი კანონი, რომელიც დაუსჯელობას დაადგენს თანამზრახველისათვის, რომელიც ხსნის გარკვეულ დანაშაულს. ასეთი კანონი აგვაცილებდა დამნაშავეთა შეკავშირებას, თითოეულს ჩაუსახავდა შიშს ერთმანეთის მიმართ და სასამართლო არ უნდა მატებდეს სიმამაცეს ბოროტმოქმედებს, რომელნიც ხედავენ, რომ ცალკეულ შემთხვევებში მათ დახმარებისათვის მიმართავენ. ამ კანონით დამბეზღებლის დაუსჯელობას თან უნდა სდევდეს მისი გაძევება მაინც. მაგრამ ტყუილად ვცდილობ ჩემში სინდისის ქენჯნის ჩახშობას, როდესაც კანონს

ვაკისრებ – საზოგადოებრივი ნდობის ამ წმინდა და ხელშეუხებელ ძეგლს, საკაცობრიობო მორალის ამ საფუძველს – ეერაგობასა და ღალატს. და რა მაგალითია ერისათვის, თუ დაუსჯელობის დაპირება არ შესრულებულა, თუ საზოგადოებრივ ნდობაზე დაცინვით, ხრიკიანი მეცნიერის დახმარებით მიათრევს სიკვდილით დასასჯელად იმას, ვინც კანონის მოწოდებას გამოეხმაურა! ასეთი მაგალითები იშვიათი არაა ერთა შორის. ამიტომ ხშირად ადამიანები, რომელნიც ერზე ფიქრობენ, როგორც რთულ მანქანაზე, რომელსაც თავისი შეხედულებისამებრ მართავენ, არიან ყველაზე მოხერხებულნი, ძლიერნი, უგრძნობი და გულგრილნი ყველაფრის მიმართ, რაც ნაზი და აღმაფრენით მოცული სულებისათვის შვებას წარმოადგენს. ისინი იმ მუსიკოსთა მსგავსნი არიან, რომელნიც უცველელი მოხერხებულობით აღძრავენ ყველაზე ძვირფას გრძნობებს, თუ ყველაზე ძლიერ ვნებებს, იმისდა მიხედვით, თუ რას თელიან სასარგებლოდ.

§XXXVIII. მისახვედრი კითხვები; ჩვენებები

საქმის გამოძიებისას ჩვენი კანონი **მისახვედრი** კითხვების დასმას კრძალავს, რომელიც, როგორც მეცნიერები ამბობენ, ეხება არა დანაშაულს **საზოგადოდ**, არამედ მის ცალკეულ გარემოებებს და უშუალოდ დანაშაულთან კავშირის გამო დამნაშავე პირდაპირ პასუხამდე მიჰყავს. კრიმინალისტების აზრით, დაკითხვა როგორც სპირალი, უნდა ტრიალებდეს დანაშაულის მოვლენის გარშემო, მაგრამ არანაირი სახით არ უნდა გაემართოს მისკენ პირდაპირი ხაზით. ეს წესი გამოწვეულია იმ მოსაზრებით, რომ ბრალდებული არ იყოს მიყვანილი პასუხამდე, რომელიც მას გაათავისუფლებდა ბრალდებისაგან, ან შეიძლება იმითაცაა გამოწვეული, რომ ბოროტმოქმედის მიერ დამნაშავედ თავის ცნობა ყოველთვის ადამიანური ბუნების საწინააღმდეგოა. თუმცა ამ და სხვა შემთხვევაში კანონის აშკარა წინააღმდეგობაა, რომელიც ამ წესთან ერთად უშვებს წამებას. მართლაც, სხვა რომელი დაკითხვა შეიძლება იყოს უფრო

მისახვედრი, ვიდრე დაკავშირებული ტკივილის მიყენებასთან? პირველი მოსაზრება პოულობს თავის დადასტურებას წამებაში, ვინაიდან ტკივილი ძლიერს ჩაუნერგავს დაჟინებულ დუმილს, რომლის წყალობითაც დიდი სასჯელი შეიცვლება მცირით, სუსტს კი **ჩაუნერგავს** აღიარებას, რომ გათავისუფლდეს გადასატანი ტანჯვისაგან, რომელიც უფრო რეალურია, ვიდრე სამომავლო სატანჯველი. ეჭვგარეშეა, მეორე მოსაზრებაც ამდაგვარია. თუ დაკითხვა, მიმართული დანაშაულის ცალკეულ გარემოებათა დადგენაზე, ბუნების კანონის მიუხედავად, ბრალდებულს აიძულებს აღიარებას, მაშინ წამება აღნიშნულ აღიარებამდე მეტი სიმარტივით მიგვიყვანდა. მაგრამ ადამიანები მეტ ყურადღებას აქცევენ განსხვავებას სახელწოდებებისას, ვიდრე თვით საგნებისას. ამდაგვარ თვითნებობათა (ბოროტად გამოყენების) მშვენიერ მაგალითს წარმოადგენს უკვე სასჯელმისჯილი დამნაშავის ჩვენების უმნიშვნელოდ ან ძალადაკარგულად ცნობა. მოქალაქეობისთვის ის **მ კ ვ დ ა რ ი ა,** — მრავალმნიშვნელოვანი სახით ამბობენ იურისტი-პერიპატეტიკოსები, ხოლო მკვდარს არ გააჩნია არანაირი ქმედების უნარი. ამ ცარიელი მეტაფორის მსხვერპლადაა მიტანილი მრავალი ადამიანი და ძალიან ხშირად სრულიად

სერიოზულად კამათობდნენ იმის შესახებ, უნდა დაუთმოს თუ არა ჭეშმარიტებამ სასამართლო ფორმულებს. თუმცა, თუ სასჯელმისჯილის ჩვენება არ არის მიმართული იმაზე, რომ გააჭიანურონ მართლმსაჯულების მსვლელობა, მაშინ რატომ არ შეიძლება სასჯელის მისჯის შემდეგ ბოროტმოქმედს, თუგინდ მისი უკიდურესი უბედურების გათვალისწინებით და ჭეშმარიტების დაცვით მიეცეს საშუალება მიუთითოს ახალ გარემოებებზე, რომელიც ცვლის საქმის ბუნებასა და შეუძლია გაამართლონ ის ან სხვები ახალი სასამართლო პროცესის დროს? ფორმალურობა და ზეიმი აუცილებელია მართლმსაჯულების წარმოების დროს, რომ არაფერი დარჩეს მოსამართლის თვითნებობისთვის, რათა ხალხმა იცოდეს, რომ სამართალწარმოება მტკიცე წესების საფუძველზე წარმოებს და არა უწესრიგოდ და მიკერძოებით, ბოლოს და ბოლოს, ვინაიდან მიმბაძველობისაკენ მიდრეკილ ადამიანებზე, ჩვეულების მონებზე, შთაბეჭდილება მოქმედებს უფრო ძლიერად, ვიდრე მსჯელობა; ჭეშმარიტება არსებობს მეტისმეტად მარტივი ან მეტისმეტად რთული და რომ შეირიგოს თავისთან უმეცარი ხალხი საჭიროებს გარკვეულ გარეგნულ საზეიმო გარემოებას. მაგრამ საბედისწერო საფრთხის თავიდან ასაცილებლად საჭირო

არაა ფორმალურობისათვის ისეთი ხასიათის მინიჭება, რომ მისაგან ჭეშმარიტება დაზარალდეს. დასასრულ ვიტყვი, რომ დაკითხვისას ჩვენების მიცემაზე უარის მთქმელი კანონით დადგენილთა შორის უმკაცრეს სასჯელს იმსახურებს, ვინაიდან დუმილის მეშვეობით ადამიანი თავს არ უნდა არიდებდეს ხალხისთვის სათანადო დახმარების გაწევის აუცილებლობაზე, მაგრამ ასეთი სასჯელი აუცილებელი არაა, როდესაც ცხადია, რომ მოცემული დანაშაული ჩადენილია მოცემული დამნაშავის მიერ, იმის მსგავსად, რომ ზედმეტია აღიარება, როდესაც დამნაშავეობა დგინდება სხვა მტკიცებულებებით. უკანასკნელი გვხვდება ყველაზე ხშირად, რადგან გამოცდილება გვიჩვენებს, რომ პროცესების უმრავლესობაში ბრალდებული უარყოფს თავის დანაშაულს*.

§XXXIX. დანაშაულის განსაკუთრებული სახეობისათვის

ამ თხზულების მკითხველი შეამჩნევს, რომ მე არ შევხებივარ დანაშაულის ერთ სახეობას. ამის გამო ევროპა მორწყული აღმოჩნდა ადამიანების სისხლითა და იმ უამრავი კოცონით, სადაც ალს ცოცხალი ადამიანების სხეულები კვებავდა. ეს კოცონები წარმოადგენდნენ მხიარულ სანახაობას, რომლითაც ტკბებოდ ბრმა ბრბო, როდესაც მათ სმენამდე აღწევდა დანახშირებული ძვლების ტკაცატკუცისა და ჯერ კიდევ მთრთოლავ შიგნეულის შიშინს შორის, უბედურთა გაურჩეველი (ყრუ) კვნესა, მაგრამ მოაზროვნე ადამიანები გაიგებენ, რომ არც ადგილი, დრო და საგანი არ მაძლევს საშუალებას შევისწავლო ამ დანაშაულის ბუნება. ჩემი ნაშრომის ფარგლებს გასცილდებოდა და ზედმეტად დიდი ხანი დასჭირდებოდა მტკიცებას, რომ სახელმწიფოში აუცილებელია აზრთა სრული ერთფეროვნება, სხვა ერების მაგალითის მიუხედავად; რომ ურთიერთშორის განსხვა-

ვებულთ აზრებს მხოლოდ უმცირესი, გაურკვეველი, ადამიანური გაგებისათვის მეტისმეტად მოშორებული ნაკვთებით, შეუძლიათ შეძრან საზოგადოებრივი კეთილდღეობა, თუ ერთ მათგანს მეორის მიმართ უპირატესობა არ მიენიჭა; რადგან შეხედულებათა ბუნება იმდაგვარია, რომ ერთნი, ურთიერთ ბრძოლის წყალობით ნათლდებიან (იწმინდებიან), ჭეშმარიტნი იმარჯვებენ, ხოლო მცდარნი მივიწყებას მიეცემიან. სხვები კი, რომელთაც არ გააჩნიათ საყრდენი, თუ მიშვებული იქნებიან საკუთარ თავთან, უნდა გააჩნდეთ ავტორიტეტი და ძალა. მეტისმეტად ხანგრძლივი იქნებოდა იმის მტკიცება, რომ ძალის ბატონობა ადამიანთა გონებებზე საჭირო და აუცილებელია, თუმცა ის საძულველადაც ეჩვენებათ, რადგან მხოლოდ ფარისეველობას ბადებს და ამასთანავე სიმდაბლესაც, რაც ეწინააღმდეგება მორიდებულობის (გაუბედაობის) და ძმობის სულს, რომელიც ჩვენს მიერ ყველაზე მეტად პატივცემულ გონებასა და ავტორიტეტს შეეფერება. საჭიროა ყოველივე ეს ჩაითვალოს ცხად მტკიცებულებად და შეთანხმებულად ადამიანთა ჭეშმარიტ ინტერესებთან, რადგან ამ ბატონობას ახორციელებს აღიარებული ავტორიტეტის მქონე. მე ვსაუბრობ მხოლოდ ადამიანური ბუნებიდან

და საზოგადოებრივი შეთანხმებიდან გამომდინარე დანაშაულზე და არა ცოდვათა გამო, რომელთათვისაც სასჯელი, დროებითიც კი, დაფუძნებული უნდა იყოს სხვა საწყისზე, ვიდრე შეზღუდული ფილოსოფიის საწყისზე.

§ XL. მცდარი წარმოდგენები სარგებლიანობაზე

შეცდომათა და უსამართლობათა ერთ-ერთი წყაროა მცდარი წარმოდგენები სარგებლიანობაზე, რომელსაც კანონმდებლები იქმნიან თავისთვის. მცდარია წარმოდგენა სარგებლიანობის შესახებ, როდესაც ცალკეული უხერხულობა უფრო მნიშვნელოვნად ითვლება, ვიდრე – ზოგადი, როდესაც გრძნობა მბრძანებლობს იმის მაგივრად, რომ აღაგზნონ ისინი და მიმართავენ ასეთ ლოგიკას: იმსახურე! მცდარია წარმოდგენა სარგებლიანობაზე, როდესაც წარმოსახვითი ან უმნიშვნელო უხერხულობის გამო მსხვერპლად სწირავენ ათასობით ჭეშმარიტ მოგებას;

როდესაც ადამიანებს ართმევენ ცეცხლს, ვინაიდან ის ხანძრების მიზეზია და წყალს, რადგან მასში იხრჩობიან; როდესაც ბოროტება სწორდება მხოლოდ დანგრევის გზით. †კანონი, რომელნიც კრძალავს იარაღის ტარებას, ასეთი სახის კანონს მიეკუთვნება. ის განაიარაღებს მხოლოდ მათ, ვინც არაა მიდრეკილი და არც გაბედავს დანაშაულის ჩადენას, მაგრამ ადამიანები, რომელთაც არ ეშინიათ კაცობრიობის ყველაზე წმინდა კანონის, დებულების ყველაზე მნიშვნელოვანი დადგენილებების დარღვევის, დაიწყებენ კი ნაკლებ მნიშვნელოვანი და სრულიად ნებისმიერი კანონის პატივისცემას, რომლის დარღვევაც და უდანაშაულოდ დარჩენაც ასე ადვილია, რომლის ზუსტად შესრულება აკარგვინებს ადამიანს პირად თავისუფლებას, ყველაზე ძვირფასს მისთვის და განათლებული კანონმდებლისათვის, რომელიც უდანაშაულოს ახვედრებს ყველა იმ განსაცდელს, რაც დამნაშავეს უნდა შეხვდეს? ეს კანონი აუარესებს მათ მდგომარეობას, ვინც თავდასხმის მსხვერპლი ხდება და უუმჯობესებს მათ, ვინც თავს ესხმის. ასეთი კანონი კი არ ამცირებს, არამედ ზრდის მკვლელობათა რიცხვს, ამიტომ, უფრო თავდაჯერებულად შეიძლება თავდასხმა შეუიარაღებელზე, ვიდრე – შეიარაღებულზე. ამგვარი

კანონი არ არიდებს დანაშაულს, იგი იბადება ცალკეულ მოვლენათაგან ხმაურიანი შთაბეჭდილებების გავლენით და არა ზოგადო მნიშვნელობიდან გამომდინარე. კანონის მიერ შეიძლება წარმოიშვას მოგებათა და წაგებათა გონიერი განხილვის შედეგი†. მცდარია წარმოდგენა სარგებლიანობაზე, როდესაც მრავალ მგრძნობიარე არსებას შორის უნდათ დამყარდეს სიმეტრია და წესრიგი, დამახასიათებელი უხეში და უსულო მატერიისათვის, როდესაც უახლოესი წადილების უგულებელყოფით, მოქმედებენ ადამიანებზე მუდმივად და ძალით, ამჯობინებენ შორეულ წადილს. ესენი ყველაზე წარმავალ და სუსტ შთაბეჭდილებას ახდენენ, თუ ადამიანებში ასე იშვიათად არსებული წარმოსახვის ძალა არ შეავსებს საგნის მოშორებას მისი გადიდებით. დაბოლოს, მცდარია წარმოდგენა სარგებლობაზე, როდესაც საქმის არსს სიტყვებისათვის მსხვერპლად წირავენ ყველა კერძო პირის საზოგადოებრივ კეთილ-დღეობას. განსხვავება საზოგადოებაში ცხოვრებასა და ბუნებრივ მდგომარეობას შორის მდგომარეობს იმაში, რომ ველური ადამიანი აზიანებს სხვებს, ვინაიდან ეს სასარგებლოა თვით მისთვის, მაშინ, როდესაც ცუდი კანონი ზოგჯერ აქეზებს საზოგადოებაში მცხოვრებ

ადამიანს წყენა მიაყენოს სხვას მისთვის ყოველგვარი სარგებლობის გარეშე. დესპოტი ნერგავს შიშსა და უიმედობას თავისი მონების სულში, მაგრამ ეს შიში და დარდი აისახება თვით მასზე – უფრო მეტი ძალით. ოჯახის შემადგენელი რაც უფრო შეზღუდული რაოდენობის პირებს უნერგავს შიშს, მით ნაკლები საფრთხე ხვდება მის გამომწვევს, რომელიც ამაში ბედნიერებას ხედავს, მაგრამ რაც უფრო საჯაროდ მოქმედებს შიში, მით მეტ ადამიანს მოიცავს ის და მით მალე გამოჩნდება უგუნური ან თავზეხელაღებული, ან ფრთხილი – მამაცი ადამიანი, ვინც სხვებს თავისი მიზნით გამოიყენებს. აღნიშნული გამოაღვიძებს მათში ყველაზე ძვირფას გრძნობას, და მიმზიდველს. რაც მეტი რაოდენობის პირზე ვრცელდება საფრთხე, მით უფრო ნაკლებად აფასებენ უბედურნი თავის საკუთარ არსებობას. ერთი წყენა წარმოშობს მეორეს, ვინაიდან სიძულვილი წარმოადგენს უფრო ხანგრძლივ გრძნობას, ვიდრე სიყვარული. მაშინ, როდესაც პირველი ძალებს იკრებს ქმედებათა გაგრძელებით, მეორე კარგავს ამის გამო.

§ XLI. როგორ ავიცილოთ დანაშაული

უკეთესია დანაშაულის თავიდან აცილება, ვიდრე დასჯა. ამაში მდგომარეობს ყოველი კარგი კანონმდებლობის მთავარი მიზანი, რომელიც წარმოადგენს ადამიანის რაც შეიძლება მეტი ბედნიერებისაკენ ან შესაძლო ნაკლები უბედურებისაკენ წამძღვარების ხელოვნებას, თუ ვილაპარაკებთ ცხოვრებაში სიკეთისა და ბოროტების საერთო შედეგზე. აქამდე გამოყენებული საშუალებები უმეტესად არაზუსტი და დასახული მიზნის მიმართ წინააღმდეგობრივნი იყვნენ. შეუძლებელია ადამიანების მოუსვენარი საქმიანობის დაყვანა გეომეტრიულ წესრიგამდე, რომელიც არასწორობას და დახლართულობას გამორიცხავს. მსგავსად იმისა, რომ ბუნების უცვლელი და უმარტივესი კანონი ვერ აფერხებს პლანეტების მოძრაობას, ასევე ადამიანური კანონი ვერ შეძლებს – მიზიდულობის უსასრულო და ყველაზე საწინააღმდეგოდ მიმართული ძალებისას, სიამტკილობანი და დარდები – ააცილონ შეჯახებასა და წესრიგის

დარღვევას. ზუსტად ეს უაზრო ოცნება ახასიათებს შეზღუდულ ადამიანებს, როდესაც ისინი ხელში ძალაუფლებას ღებულობენ. მრავალი უმნიშვნელო ქმედების აკრძალვა არ ნიშნავს დანაშაულთა თავიდან აცილებას, რომელიც შეუძლებელია მათ გამოიწვიონ და მაშასადამე, ამ ქმედებიდან ახალი დანაშაულის შექმნა ნიშნავს პატიოსნობისა თუ მანკიერების საკუთარი სურვილისამებრ განსაზღვრას, რომელიც სამუდამოდ და შეუდრეკავად ცხადდება. სადამდე მივიდოდით, აუცილებელი რომ იყოს ჩვენთვის ყოველივე იმის აკრძალვა, რამაც შეიძლება დანაშაულამდე მიგვიყვანოს? მაშინ საჭირო იქნება ადამიანისათვის გრძნობებით სარგებლობის აკრძალვა. ერთ განზრახვაზე, რომელიც ადამიანებს ნამდვილი დანაშაულის ჩადენისაკენ უბიძგებს, მოდის ათასობით, რომელიც უბიძგებს იმ უმნიშვნელო ქმედების ჩადენისაკენ, რასაც ცუდ კანონში დანაშაული ეწოდება. ამგვარად, თუ დანაშაულთა ალბათობა განზრახვათა რიცხვის პროპორციულია, მაშინ დანაშაულთა მატება ზრდის მათი ჩადენის ალბათობას. კანონის უმრავლესობა – სხვა არაფერია, თუ არა პრივილეგიები, ანუ ხარკი, დაკისრებული უმცირესთა სასარგებლოდ.

გინდათ აიცილოთ დანაშაული? შექმენით ისეთი ცხადი და მარტივი კანონი, რომ ერის მთელი ძალა მიმართული

იყოს მათ დაცვაზე და არა – მათ განადგურებაზე. *გააკეთეთ ისე, რომ კანონი ნაკლებად მფარველობდნენ წოდებებს, ვიდრე თვით ადამიანებს.* გააკეთეთ ისე, რომ ადამიანებს ეშინოდეთ მათი და მხოლოდ მათი. შიში კანონის წინაშე კეთილისმქმნელია, მაგრამ შიში ადამიანისა ადამიანის მიმართ დამღუპველია და წარმოშობს დანაშაულს. დამონებული ადამიანები ყოველთვის სიამტკბილობამოყვარულნი, აღვირახსნილნი და სასტიკნი არიან, ვიდრე თავისუფალი ადამიანები. ეს უკანასკნელნი ფიქრობენ ერის ინტერესებზე, ხედავენ დიადს და ბაძავენ მას. ისინი, სინამდვილით კმაყოფილნი, ცდილობენ დაივიწყონ თავისი დამცირებული მდგომარეობა ხმაურიან გარყვნილებაში. მათთვის, როგორც ყველა მოვლენის შედეგის განუსაზღვრელობას მიჩვეულთ, დანაშაულის შედეგი ამოუცნობადი რჩება, რაც ხელს უწყობს დანაშაულთა გამომწვევ ენებებს. ერში, რომელიც ჰავის გავლენით საზარმაცისკენაა მიდრეკილი, კანონის განუსაზღვრელობა ეხმარება და აძლიერებს სიზარმაცეს და სისულელესაც. იმ ერის ძალები, რომელიც მიდრეკილია ქმედითი სიამტკბილობისაკენ, ასეთი კანონის წყალობით იხარჯება წვრილ მზაკვრობასა და ხრიკებზე, რომელნიც ყველას გულში თესავენ ღალატისა და მოჩვენებითობის სიბრძნის საფუძვლად გადამქცევ

უნდობლობას. ძლიერსა და ვაჟკაცურ ერში ამგვარ კანონს ბოლოს და ბოლოს გაანადგურებენ, მაგრამ მხოლოდ მრავალი გადახრის შემდეგ – თავისუფლებიდან მონობისაკენ და მონობიდან თავისუფლებისაკენ.

§XLII. მეცნიერებისათვის

გინდათ აიცილოთ დანაშაული? გააკეთეთ ისე, რომ განათლება თავისუფლებასთან ერთად ხელიხელჩაკიდებული მიდიოდეს. ცოდნით წარმოშობილი ბოროტება უკუპროპორციულია მის გავრცელებასთან, ხოლო სიკეთე – პირდაპირ პროპორციული. უმეცარი ხალხი ქედს იხრის მოხერხებული მატყუარის წინაშე, რომელიც არასდროს არაა ჩვეულებრივი ადამიანი; განათლებული ხალხი უსტვენს მას. საგნების შედარების გაადვილებით, მათი სხვადასხვა თვალსაზრისის ჩვენებით, ცოდნა მრავალ შეგრძნებებს უპირისპირებს ერთმანეთს. ეს შეგრძნება ურთიერთ მით ადვილად მოწმდება, რაც უფრო ხშირად ხვდებათ სხვებთანაც ასეთივე შეხედულებები და ეჭვები.

ფართოდ გავრცელებული განსწავლული ერის წინაშე დუმდება ცილისმწამებელი უმეცრება და თრთის გონების დასაბუთებას მოკლებული ავტორიტეტი, მაშინ როდესაც შეუდრეკავია კანონის ძლევამოსილი ძალა. ამიტომ არ არსებობს არც ერთი განათლებული ადამიანი, რომელსაც არ უყვარს საზოგადოებრივი უსაფრთხოების საჯარო ცხადი და სასარგებლო შეთანხმება, მის მიერ შეწირული უსარგებლო თავისუფლების წილის შედარებით სხვათა მიერ შეწირული მთელი თავისუფლების ჯამთან, რომელთაც კანონის არარსებობისას შეეძლოთ ჩაეფიქრებინათ რაიმე მის წინააღმდეგ. თუ ადამიანი მგრძნობიარე სულიერ მზერას ესვრის კარგად შედგენილი კანონის დებულებას, იგი აღმოაჩენს, რომ მან დაკარგა მხოლოდ ნაღვლიანი თავისუფლება – ბოროტება გაუკეთის სხვებს, მაშინ ის იძულებული იქნება დალოცოს ტახტიც და ისიც, ვისაც იგი უკავია.

არასწორია, რომ მეცნიერებას კაცობრიობისათვის ყოველთვის ზიანი მოჰქონდა. როდესაც ასე ხდებოდა, ეს ადამიანებისათვის გარდაუვალ ბოროტებას წარმოადგენდა. ადამიანთა მოდგმის გამრავლებამ დედამიწაზე გამოიწვია ომი, შექმნა ხელოვნება, შექმნა ყველაზე უხეში პირველი კანონი, რომელიც წარმოადგენდა აუცილებლობით წარმოშობილ და მასთან ერთად გაქრობად

დროებით შეთანხმებას. ეს იყო პირველი ფილოსოფია, რომლის არამრავალრიცხოვანი დებულებანი სამართლიანნი იყვნენ, ვინაიდან ადამიანთა უდარდელობა და მცირე განსწავლულობა მათ უმეცრებისაგან იფარავდა. ადამიანთა რიცხვის ზრდასთან ერთად იზრდებოდა მათი მოთხოვნილებაც. მაშასადამე, საჭირო იყო უფრო ძლიერი და ხანგრძლივი შთაბეჭდილებები, რომელიც ადამიანებს პირველყოფილ საზოგადოებამდელი მდგომარეობისაკენ დამყუპველ მიბრუნებას მრავალგზის შეაკავებდა. საწყისი უმეცრება, რომელმაც დედამიწა დაასახელა ცრუ ღმერთებით და შექმნა უხილავი სამყარო, რომელიც ჩვენი წარმმართველია, კაცობრიობისათვის უდიდესი სიკეთე აღმოჩნდა (ვსაუბრობ დიად პოლიტიკურ სიკეთეზე). ადამიანთა კეთილისმსურველი აღმოჩნდა, ვინც დალახვრა ხალხი გაკვირვებით და მიათრია უმეცრება საკურთხეველთან. ასეთები საუბრობდნენ გრძნობებისათვის მიუწვდომელ საგნებზე, რომელიც ხელიდან უსხლტებოდა ადამიანებს. რაც უფრო სჯეროდათ, რომ ისინი ხელში ჰქონდათ, ვინაიდან მათ ზიზღით არასდროს უყურებდნენ, არ იყვნენ კარგად ცნობილნი. ამის წყალობით მათ გააერთიანეს და თავი მოუყარეს ადამიანთა ვნებებს ერთი საგნის გარეშე, რომელმაც მათზე ძლიერი ზემოქმედება მოახდინა. ასეთია ყველა

ერის წილი, წარმოქმნილ დიდ საზოგადოებაში. ასეთი იყო აუცილებელი და იქნებ, ერთადერთი მათი კავშირი. მე არ ვსაუბრობ ღვთის მიერ რჩეულ ერზე, რომელთათვისაც საოცარმა სასწაულებმა და კეთილგანწყობის ნიშნებმა ადამიანური პოლიტიკა შეცვალეს. ვინაიდან უმეცრებას უსასრულობამდე გაყოფის თვისება გააჩნია, აქედან წარმოშობილმა მეცნიერებამ ადამიანები ბრმა ადამიანთა ფანატიკურ ბრბოდ აქცია, ისინი ისე იხლართებოდნენ ამ დახშულ ლაბირინთში, რომ ზოგიერთი მგრძნობიარე ფილოსოფოსი ძველ ველურ მდგომარეობას ნატრობდა. აი, პირველი ეპოქა, რომელშიც ცოდნას, უფრო სწორად – აზრებს – ზიანი მოჰქონდა.

მეორე ეპოქას შეადგენს გადასვლა უმეცრებიდან ჭეშმარიტებისაკენ, წყვდიადიდან, რომელსაც ვერ აღიქვამდნენ – სინათლისაკენ. უმეცრებათა საშინელი შეჯახება, სასარგებლო – მცირეოდენი ძლიერისათვის. ამ დროს გაღვიძებული ვნებების დაახლოებას და ღელვას მოაქვთ უსასრულო ტანჯვა უბედური კაცობრიობისათვის. ვინც ჩაუფიქრდება ისტორიას, რომელიც მეორდება დროის გარკვეული შუალედების შემდეგ, ის დაინახავს, რომ ხშირად მომდევნო თაობებისათვის მსხვერპლად იწირება მთელი თაობა, ნაღვლიანი, მაგრამ აუცილებელი გადასვლისას უმეცრების უკუნეთისაგან – ფილოსოფიის

სინათლემდე და ტირანიიდან – თავისუფლებამდე. ვნებანი როდესაც დალაგდებიან, ჩაქრება ერის დამთრგუნავი ბოროტებისაგან განმწმენდი ხანძარი, როდესაც ჭეშმარიტება, ჯერ ნელა და შემდეგ სულ უფრო სწრაფად წავა გამარჯვების ზეიმისაკენ, აბრძანდება ტახტზე მონარქების გვერდით და როცა მას თაყვანს სცემენ და აღუმართავენ საკურთხეველებს რესპუბლიკების პარლამენტებში, მაშინ ვინ შეძლებს ამტკიცოს რომ მასების განმანათლებელი შუქი, წყვდიადზე მავნეა და ჭეშმარიტი, მარტივი ურთიერთობანი, კარგად შეცნობილი ადამიანების მიერ, დამღუპველია მათთვის?

თუ ბრმა უმეცრება ნაკლებ საბედისწეროს წარმოადგენს, ვიდრე საშუალო დონის და დახლართული ცოდნა, ვინაიდან უკანასკნელი პირველის ნაკლს უმატებს უმეცრებას, გარდაუვალს მათთვის, ვისი მსოფლმხედველობაც არ აღწევს ჭეშმარიტების ზღვარს, მაშინ სუვერენი მიუტანს უძვირფასეს საჩუქარს ერსაც და საკუთარ თავსაც, თუ კი დანიშნავს განათლებულ ადამიანს წმინდა კანონების მცველად და დარაჯად. მიჩვეული უშიშრად უმზიროს ჭეშმარიტებას, მოკლებული უმეტეს გააზრებულ მოთხოვნილებებს, თითქმის დაუკმაყოფილებელს, მაგრამ ზოგიერთების მიერ ცდუნება ადგება ადამიანთა უმრავლესობის სათნოებას, მიჩვეულნი

უყურონ კაცობრიობას უფრო ამაღლებული თვალსაზრისით, ის ხედავს თავის ერში ადამიანთა ოჯახს – ძმებს, მანძილი დიდებულთა და უბრალო ხალხს შორის მისთვის მით ნაკლები იქნება, რაც მეტია მის თვალწინ მყოფი კაცობრიობის მასა. ფილოსოფოსებისათვის დამახასიათებელია მოთხოვნილებები და ინტერესები, უცნობი ჩვეულებრივი ადამიანებისათვის; ისინი უარს არ ამბობენ საჯაროობის შუქის ყველა იმ საწყისზე, რომელსაც ისინი საიდუმლოდ ქადაგებდნენ, მათ ახასიათებთ ჭეშმარიტებისადმი სიყვარული თვით ჭეშმარიტების გამო. ამგვარი ადამიანების არჩევანს ერის ბედნიერება წარმოადგენს, მაგრამ ხანმოკლე ბედნიერებას, თუ კარგი კანონებით მათი რაოდენობა არ იქნება გამრავლებული იმდენად, რომ მცირდება სხვა არჩევნის ალბათობა, როგორი დიდიც არ უნდა იყოს იგი.

§XLIII. ხელისუფლება

დანაშაულის აცილების სხვა საშუალება იმაში მდგომარეობს, რომ კოლეგია, რომელიც კანონის აღმსრულებელია, მეტად უნდა იყოს დაინტერესებული მათ დაცვაში, ვიდრე დარღვევაში. რაც უფრო მნიშვნელოვანია მისი წევრების რაოდენობა, მით ნაკლებია კანონის ბოროტად გამოყენების საშიშროება. ვინაიდან მეტად რთულია იმ პირთა მოსყიდვა, რომელნიც უთვალთვალებენ ერთმანეთს და მით ნაკლებ არიან დაინტერესებულნი თავისი ძალაუფლების გაძლიერებაში, რაც ნაკლები წილი მოდის მისგან თითოეულ მათგანზე, განსაკუთრებით საფრთხის წამოწყებასთან შედარებით. თუ სუვერენი, ხელისუფლების გარეგნულ ბრწყინვალების მინიჭებასთან ერთად, მკაცრად აუკრძალავს როგორც სამართლიან, ისე უსამართლო ჩივილს მათს, ვინც საკუთარ თავს დაჩაგრულად მიიჩნევს, აჩვევს თავის ქვეშევრდომებს ხელისუფლებისა მეტად ეშინოდეს, ვიდრე

კანონის, მაშინ აღნიშნულისგან ხელისუფალი უფრო იგებს, ვიდრე – პირადი და საზოგადოებრივი უსაფრთხოება.

§XLIV. ჯილდოები

დანაშაულის თავიდან აცილების სხვა საშუალება სათნოების დაჯილდოებაში მდგომარეობს. ამ საკითხზე ამჟამად არსებული ყველა ერის კანონში სრულ დუმილს ვამჩნევ. თუ აკადემიების მიერ დადგენილია ჯილდოები იმ პირთათვის, რომელთაც აღმოაჩინეს სასარგებლო ჭეშმარიტებანი, გაამრავლეს ცოდნაც და კარგი წიგნებიც, მაშინ სუვერენის კეთილისმქმნელი ხელით დარიგებული ჯილდოები განა არ გაამრავლებენ კეთილისმყოფელთა ქმედებას? პატიოსნების მონეტა ყოველთვის ამოუწურავია და ნაყოფიერია ბრძენი დამრიგებლის ხელში.

§XLV. აღზრდა

დაბოლოს, დანაშაულის თავიდან აცილების ყველაზე ჭეშმარიტი და ამასთან ყველაზე რთული საშუალება აღზრდის გაუმჯობესებაა. საკითხი მეტისმეტად ვრცელია და ჩემს მიერ დადგენილ ზღვარს გადასული გახლავთ. ვბედავ აგრეთვე გითხრათ აღნიშნული საკითხი, მეტისმეტად მჭიდროდაა დაკავშირებული მართვის ბუნებასთან, ასე, რომ საყოველთაო ბედნიერების ყველაზე შორეული საუკუნეების ჩათვლითაც კი, იგი მხოლოდ რამდენიმე ბრძენის მიერ იშვიათად დამუშავებულ უნაყოფო მინდვრად რჩება. კაცობრიობის განმანათლებელმა ერთმა დიდმა პიროვნებამ[1] დაწვრილებით ჩამოაყალიბა ადამიანებისათვის მართლაც სასარგებლო აღზრდის მთავარი წესები. იგი არა საგნების უნაყოფო სიმრავლეში, არამედ მათ ზუსტ არჩევაში უნდა მდგომარეობდეს, საჭიროა აცნობდეს ორიგინალებში და არა ასლებში როგორც

[1] ჟან-ჟაკ რუსო (1712-1778) – ფრანგი ფილოსოფოსი. მისი ცნობილი ნაწარმოებია "*L'Emile*" (აღზრდის შესახებ), რომელიც 1763 წლის 6 ოქტომბერს რომში იქნა განსჯილი.

მორალურ, ისე ფიზიკურ მოვლენებს, რომელიც შემთხვევით ან შეგნებულად წარმოუდგება ყმაწვილის გაუხრწნელ სულს. იგი, მათ პატიოსნებისაკენ გრძნობათა მსუბუქი გზის გამოყენებით უნდა გაუძღვეს, ბოროტება არა ბრძანებათა წყვეტილი გზით, რომელსაც მხოლოდ მოჩვენებითი და წამიერი დამაჯერებლობა მოსდევს, არამედ მავნე შედეგების გარდუვალობაში დარწმუნების უშეცდომო გზით უნდა შეაძულოს.

§XLVI. †შეწყალებისათვის

სასჯელის შერბილების კვალდაკვალ მოწყალება და პატიება ნაკლებ აუცილებელი ხდება. ბედნიერია ერი, რომელშიც ისინი მავნედ ითვლება! მოწყალება – ესაა სათნოება, რომელიც ზოგჯერ სუვერენის მოვალეობათა დამატებას წარმოადგენს და გამორიცხული უნდა იყოს კარგი კანონმდებლობიდან, რომლის დროსაც სასჯელი ლმობიერი უნდა იყოს, ხოლო – სასამართლო სწორი და სწრაფი. ეს ჭეშმარიტება მკაცრად მოეჩვენება მას,

ვინც მოუწესრიგებელი სისხლის სამართლის სისტემაში ცხოვრობს, როდესაც პატიება და მოწყალება მით უფრო აუცილებელია, რაც მეტად უაზროა კანონი და ხისტია სასჯელი. პატიება და მოწყალება წარმოადგენს ტახტის საუკეთესო პრეროგატივას, უზენაესი ხელისუფლების ძალზე სასურველ ატრიბუტს, მაგრამ მათში იმალება მდუმარე არ მოწონება, საზოგადოებრივი ბედნიერების კეთილისმქმნელი მომწყობების მიერ გამოხატული დებულებისადმი, რომელიც მთელი თავისი ნაკლოვანებებით ეყრდნობა საუკუნეთა უმეცრებას, ურიცხვ კომენტატორთა მრავალტომიან მსჯელობას, მუდმივი ფორმალურობის მძიმე აპარატს, უფრო მოქნილი და ნაკლები შიშის მნერგავი ნახევრადმეცნიერების თანაგრძნობას. თუმცა, საჭიროა გვახსოვდეს, რომ მოწყალება – კანონმდებელის სათნოებაა და არა კანონის აღმასრულებლის, რომ ის უნდა ბრწყინავდეს დებულებაში და არა ცალკეულ გადაწყვეტილებაში. ადამიანებისათვის იმის ჩვენება, რომ შეიძლება დანაშაულთა პატიება, რომ სასჯელი არ წარმოადგენს მათ გარდაუვალ შედეგს – მათში დაუსჯელობის იმედს კვებას და გვაიძულებს ვიფიქროთ, რომ, რადგან შეიძლება პატიების მიღება, სასჯელის აღსრულება მათზე, ვისაც არ აპატიეს,

წარმოადგენს უფრო ძალის ბოროტად გამოყენებას, ვიდრე მართლმსაჯულების გამოვლინებას. რა შეუძლიათ თქვენ, თუ ხელმწიფე ჩუქნის პატიებას, ანუ წირავს საზოგადოებრივ უსაფრთხოებას ერთ ადამიანს და კერძო დადგენილებით ქმნის დაუსჯელობის საერთო წარმოდგენას! კანონი და ისე აღმასრულებელი შეუვალი უნდა იყოს, მაგრამ კანონმდებელი საჭიროა ლმობიერი, მიმტევებელი და კაცთმოყვარე გახლდეთ. ბრძენი აღმშენებელი, შენობას სხვათა სიყვარულის საფუძველზე უნდა აგებდეს და საზოგადო კეთილდღეობა კერძო ინტერესების შედეგი უნდა იყოს. მაშინ, მას განსაკუთრებული კანონითა თუ უწესრიგო შესწორებებით, თითოეულ შემთხვევაში, საზოგადოებრივი სიკეთის კერძოსაგან გარჩევა და შიშზე, უნდობლობაზე საზოგადოებრივი კეთილდღეობის მოჩვენების შექმნა არ დასჭირდება. მან, როგორც ღრმა და ბრძენმა ფილოსოფოსმა საშუალება უნდა მისცეს ადამიანებს, თავის ძმებს, ისიამოვნონ სიამტკბილობის იმ მცირე ნაწილით, რომელიც ყოველივე არსებულის პირველწყაროდ დადგენილმა განუზომელმა სისტემამ, მათ სამყაროს ამ კუთხეში არგუნა.†

§XLVII. დასკვნა

ვაჯამებ შემდეგი მსჯელობით. სასჯელის სიმკაცრე თვით ერის მდგომარეობას უნდა შეესაბამებოდეს. ველურობის მდგომარეობიდან ახლახან გამოსული ხალხის უხეშ სულზე ზემოქმედება უფრო ძლიერი და მეტად საგრძნობი შთაბეჭდილებებითაა აუცილებელი. საჭიროა ელვა, რათა მოცელოს მძვინვარე ლომი, თოფის სროლა კი მას მხოლოდ გააღიზიანებს. თუმცა, საზოგადოებაში მცხოვრებ ადამიანთა სულის ლმობიერების კვალდაკვალ, მათი მგრძნობელობა იზრდება, ხოლო ამ უკანასკნელის ზრდასთან ერთად, საგანსა და შეგრძნებას შორის ურთიერთობის შესანარჩუნებლად, სასჯელის ძალა უნდა მცირდებოდეს.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ზოგადი თეორემის გამოყვანა: **სასჯელი არ წარმოადგნეს ერთის ან მრავალთა ძალადობას მოქალაქეზე, იგი აუცილებლად უნდა იყოს საჯარო, გადაუდებელი, აუცილებელი, მოცემულ პირობებში შესაძლებელთაგან უმცირესი და კანონით დადგენილი დანაშაულის შესაბამისი.**

ბიბლიოგრაფია

დანართი I

I. ნაწყვეტი, არსებული ბეკარიას ხელნაწერში, რომელიც ბეჭდვაში არ მოხვედრილა

ბეკარიას ხელნაწერში §II – "დასჯის უფლება" სრულდებოდა შემდეგი დაუბეჭდავი აბზაცით:

"ყველაზე უკანასკნელი მოქალაქის სიცოცხლე და თავისუფლება კანონმდებლის თვალში წმინდა სიკეთეს წარმოადგენს და უთანასწორობა, გავრცელებული ტახტიდან ყველაზე ღარიბ ხელოსნამდე, არ უნდა ხელყოფდეს თავისუფლებას და გრძნობებს, მოაზროვნე ადამიანისათვის მეტად ძვირფას და ყველაზე მეტად დამახასიათებელს, ვინაიდან კანონმდებლის ამოცანაა არა უმრავლესობის გადაქცევა უმცირესობის ბედნიერების იარაღად, არამედ ადამიანებისათვის დამახასიათებელი საკუთარი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის მისწრაფებას, რაც სიცოცხლისა და თავისუფლების შემადგენელი ნაწილია".

II. წიგნის ის ადგილები, რომელიც არაა ხელნაწერში

ბეკარიას წიგნში არსებული ადგილები, რომელიც არაა ხელნაწერში:

1. § XXVI – „საოჯახო სულისათვის": „საზოგადოების გაფართოების კვალდაკვალ..."-დან „მათი მადლიერებისადმი გულგრილი"-მდე.

2. § XXVIII – „სიკვდილით დასჯისათვის“: „ბედნიერი იქნებოდა კაცობრიობა...“-დან პარაგრაფის ბოლომდე.

3. § XXX – „პროცესი და ხანდაზმულობა“: „მაგრამ ეს ვადები...“-დან „...რომლითაც დანაშაულის ჩადენის ალბათობა იზრდება“-მდე.

4. § XLIV – „ჯილდოები“.

დ ა ნ ა რ თ ი II

ჩვენს მიერ შესრულებულია ბეკარიას წიგნის “დანაშაულისა და სასჯელისათვის” გამოცემათა ბიბლიოგრაფია და მეცნიერული აღწერა.

ამომწურავი ბიბლიოგრაფია ასახავდა ბეკარიას წიგნის და მისი იდეების მიმართ საზოგადოებრივი და მეცნიერული ინტერესის “მიქცევებს და მოქცევებს” ცალკეულ ქვეყნებში, ამა თუ იმ ისტორიული პერიოდში სოციალურ-პოლიტიკური პირობებისაგან დამოკიდებულებით.

ლანდრის შრომის გამოჩენამდე უმნიშვნელოვანესი ნაკლოვანება იყო ბეკარიას წიგნის პირველი გამოცემების (1764-1766) მეცნიერული აღწერის არარსებობა.

არ მიგვაჩნია აუცილებლად ბეკარიას წიგნის ჩვენთვის ცნობილი ყველა გამოცემის აქ მოტანა. აღვწერთ: 1) მის პირველ გამოცემებს, 2) უმნიშვნელოვანეს იტალიურ, ფრანგულსა და გერმანულ ენებზე გამოცემულ წიგნებს და 3) რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ გამოცემებს.

I

ბეკარიას წიგნის პირველი გამოცემები

პირველი წიგნი 1764 წლის ივლისში ანონიმურად და გამოცემის ადგილის მიუთითებლად გამოვიდა. იქნა ლივორნოში, პოეტ აბატ მარკო კოლტელინის კუთვნილ სტამბაში დაიბეჭდა, რომელიც დანომრილ პარაგრაფებად არ იყო გაყოფილი.

მეორე გამოცემის ადგილად მითითებულია მონაკო. სანამდვილეში კი ის ანონიმურად იქვე დაიბეჭდა, სადაც I გამოცემა. II გამოცემა დაუყოვნებლივ მოჰყვა I გამოცემას, თუმცა ზუსტი თარიღი ლანდრისთან მითითებული არაა. ლანდრისთან მითითებული არაა არც პირველი ორი გამოცემის ტირაჟი. ჩვენი აზრით, თითოეული მათგანი 500-550 ეგზემპლარს აჭარბებდა. III გამოცემისათვის დართულ ფაკინეის პამფლეტზე "პასუხში" ნათქვამია: "ჩემი წიგნი ამჟამად ათასი მკითხველის ხელშია". II გამოცემაში წიგნის ტექსტი 40 დანომრილ პარაგრაფადაა დაყოფილი.

III გამოცემა დაბეჭდილია არა ლოზანაში, არამედ იქვე, სადაც პირველი ორი გამოცემა და ასევე ანონიმურად, 1765 წლის დასაწყისში, როგორც აღნიშნავს ლანდრი. გამომცემლის მიმართვაში "მკითხველისათვის", რომელიც ამორჩევითაა მოყვანილი მორელეს გამოცემაში, ნათქვამია, რომ გამოცემა (III) გამოვიდა I გამოცემის გამოსვლიდან ექვსი თვის შემდეგ.

თვით "დანაშაულისა და სასჯელისათვის" თხზულების ტექსტს წინ უძღვის გამომცემლის აღნიშნული მიმართვა

"მკითხველისათვის". დართულია "ცნობილი პროფესორის აზრი", რომელიც ბეკარიას გობსის აზრების გაზიარების გამო ფაკინეის ბრალდებებისაგან იცავდა. ბეკარიას ერთ-ერთმა პირველმა ბიოგრაფმა – ვილამ დაადგინა, რომ "აზრის" ავტორი იყო პიზის უნივერსიტეტის პროფესორი **სორია**. III გამოცემაში გამოვიდა "პასუხიც" ბერ ფაკინეის პამფლეტზე, შედგენილი, როგორც ეს საბოლოოდ დაადგინა ლანდრიმ, ძმები **ვერების** მიერ.

ჩვენს განკარგულებაში, სამწუხაროდ, არ ყოფილა პირველი სამი გამოცემა. II–ში ნათქვამი იყო, რომ ის "დათვალიერებული და გასწორებულია", ხოლო III–ში – რომ "დათვალიერებული, გასწორებული და **მნიშვნელოვნად შევსებულია**". შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მართალია ლანდრი ამ საკითხზე არ ჩერდება, მაგრამ II გამოცემაში I–თან შედარებით არანაირი დამატება არ ყოფილა.

ბეკარიას არქივში მისი თხზულების ხელნაწერის გარდა, საიდანაც დაბეჭდილ იქნა I გამოცემა, შემონახულია ბეკარიას 30 ხელნაწერი ცალკეული გვერდებისაგან შემდგარი და გადანომრილი ბეკარიას ვაჟის, **ჯულიოს** მიერ, რომაული ციფრებით. დანართი მის მიერ დასათაურებულია: "სხვადასხვა დამატებანი I-ის შემდეგ გამოსული გამოცემებისათვის". ლანდრიმ როგორც დაადგინა, ამ დანართში შედის ყველა დამატება V გამოცემამდე, ბეკარიას მიმართვის "მკითხველისათვის" გამოკლებით და არაა არც ერთი დამატება III გამოცემისადმი.

V გამოცემაში, რომელიც გამოსცა (ისევე, როგორც I-III და VI) თვით ბეკარიამ, მიმართვის "მკითხველისათვის" შემდეგ გატარებულია ხაზი და მის ქვეშ, წვრილი შრიფტით დაბეჭდილია: *ყველაფერი, ჩართული ამ* ნიშანს შორის წარმოადგენს პირველ დამატებებს, ხოლო ჩართული მეორე

† ნიშანს შორის მეორე დამატებებს". ჩვენ დასაშვებად მიგვაჩნია, "პირველ დამატებებად" ჩავთვალოთ დამატებანი III გამოცემისათვის, ხოლო "მეორე" – IV და V. (V-ში მიმართვის "მკითხველისათვის" გარდა არსებობს, IV შედარებით, როგორც ეს III დანართშია ნაჩვენები, მხოლოდ ერთი დამატება).

ამ მონახაზების საფუძველზე მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ III გამოცემა შევსებულ იქნა ახალი ოთხი პარაგრაფით: XIV – "ნივთმტკიცებანი და სასამართლოს ფორმა", XXI – "სასჯელი თავადაზნაურთათვის", XXXVII – "თავდასხმები, თანამზრახველები, დაუსჯელობა" და XXXVIII - "მისახვედრი კითხვები; ჩვენებები". მაგრამ II გამოცემაში აღნიშნული იყო 40 პარაგრაფი. ისმის კითხვა, საიდან უნდა გაჩენილიყო III გამოცემაში 45 პარაგრაფი, როდესაც მას მხოლოდ ოთხი დაემატა? ამის ახსნა შესაძლებელია, მხოლოდ თუ დავუშვებთ, რომ II გამოცემაში III გამოცემის რომელიმე ორი პარაგრაფი – გაერთიანებული იყო ერთში.

მორელეს გამოცემას (IV) დართული აქვს III გამოცემის სათაური იტალიურ ენაზე. თვით III გამოცემის არ არსებობისას ეს სათაური მეტად ღირებული იყო ჩვენთვის. ის აჩვენებს, რომ მასალა V გამოცემაში განლაგებულია ისევე, როგორც III და რომ III გამოცემა მართლაც 45 პარაგრაფს შეიცავდა, "შესავლის" ჩაუთვლელად.

ოთხი პარაგრაფის გარდა ბეკარიამ ჩართო მთელი რიგი დამატებებისა სხვა პარაგრაფებშიც. ყველა ისინი შესულია ჩვენი თარგმანის ტექსტში, ისევე, როგორც V გამოცემაში, ვარსკვლავებს შორის.

IV გამოცემად ლანდრი უთითებს მორელეს თარგმანს. მას ამის გაკეთების სრული უფლება ჰქონდა, ვინაიდან

მის შემდეგ გამოსულ თავის იტალიურ გამოცემას ბეკარიამ "მეხუთე" უწოდა.

გამოცემა გამოვიდა 1765 წლის ბოლოს ავტორისა და მთარგმნელის სახელების მითითების გარეშე. გამოცემის ადგილად მითითებულია ლოზანა, თუმცა სინამდვილეში წიგნი საფრანგეთშია დაბეჭდილი, როგორც ლანდრი ვარაუდობს – პარიზში. XXIX – XXXI თავები შეიცავს "მცდარ წარმოდგენებს" (Errata), რითაც, ლანდრის თქმით, განსხვავდება IV („ბის") თარგმანის შემდგომი გამოცემებისაგან და ა.შ. საკუთარი თარგმანის პირველ გამოცემაში არსებული "მცდარი წარმოდგენების" დიდი რაოდენობის შესახებ წერდა **მორალე** ბეკარიასადმი მიწერილ პირველ წერილში.

თარგმანი გაკეთებული იყო III გამოცემიდან. როდესაც **დალამბერისაგან** ბეკარიამ გაიგო, რომ მზადდება მისი წიგნის თარგმანი, მან დალამბერს გაუგზავნა მთარგმნელისათვის გადასაცემად დამატებანი III გამოცემისათვის, რომელიც შეტანილ იქნა კიდევაც IV გამოცემაში, ხოლო შემდეგ – V-ში. ბეკარიამ გადაუგზავნა დალამბერს 2 ახალი პარაგრაფი: § XVII – "სახელმწიფო ხაზინის შესახებ", § XLVI – "შეწყალებისათვის" და ცალკეული პარაგრაფებისათვის რიგი დამატებებისა, რომელთა შორის იყო შენიშვნაც § XXXIV-თვის "მოვალეთა შესახებ".

მთელი მასალა მორელემ გადმოსცა 42-ე პარაგრაფში, ამასთან "შესავალი" პირველი პარაგრაფი გახდა.

ბეკარიას ფრანგულ ენაზე თარგმნილ წიგნს ისეთი წარმატება ხვდა წილად, რომ მარტო 1766 წელს საჭირო აღმოჩნდა იგი არანაკლებ ექვსჯერ გამოეცათ. 1766 წლის სექტემბერში მორელემ შეატყობინა ბეკარიას, რომ უკვე გაერცელდა 7 გამოცემა, თითოეული 1000 ეგზემპლარი.

IV („ბის“) და ა.შ. დაბეჭდვის ადგილად მითითებული იყო, როგორც ლანდრი აღნიშნავს, ლოზანა, ამსტერდამი, ფილადელფია. სინამდვილეში კი, როგორც ჩანს, პარიზში იბეჭდებოდა.

ბეკარიას თხზულების ტექსტი ამ გამოცემაში შედგება "შესავლისა" და 47 პარაგრაფისაგან (III-თან შედარებით ორი ახალი, შესული უკვე IV-ში). პირველად ამ გამოცემაში ჩნდება "ავტორის მიმართვა" – "მკითხველისათვის". ყველა დამატება, გაგზავნილი ბეკარიას მიერ IV გამოცემისათვის V გამოცემაშიც შევიდა. ამას გარდა, V გამოცემა შეივსო კიდევ ერთი დამატებით § XL-ში.

V გამოცემაში სამი საავტორო შენიშვნა §§ III, XIII, XXXIV. მორელეს რედაქციაში ისინი 6-ია, იმიტომ, რომ ტექსტის ნაწილი შენიშვნებშია გატანილი.

ლანდრი აღნიშნავს, რომ გამოცემა, რომელსაც "მეხუთე" ეწოდება, ორჯერ გამოვიდა. მისი აზრით, "მეხუთე" პირველად 1766 წლის მარტში გამოვიდა, ხოლო „მეხუთე ბის“, როგორც მას ლანდრი უწოდებს, 1766 წლის აგვისტოში გამოვიდა.

ლანდრის აღწერის შესაბამისად ტირაჟის ნაწილი შეიცავდა, მხოლოდ ბეკარიას თხზულების ტექსტს წარმოადგენდა და 205 გვერდისაგან შედგებოდა. მეორე ნაწილი შეიცავდა დამატებით "ცნობილი პროფესორის აზრს" და "პასუხს" ფაკინეის პამფლეტზე. ეს ეგზემპლარი მთლიანად მოიცავდა 318 გვერდს. ზოგიერთ ეგზემპლარში მოთავსებულია აგრეთვე ამონაკრები "ლუგანოს გაზეთიდან" ავტორისათვის პრემიის მინიჭების შესახებ და აგრეთვე შეტყობინება, რომ გამოვიდა თხზულების ფრანგული თარგმანი და ავტორი იწონებს მთარგმნელის მიერ მინიჭებულ თანმიმდევრობას. ზოგიერთ ეგზემპლარში

მოცემულია მხოლოდ უკანასკნელი შეტყობინება.

გამოცემის გრავირებულ გარეკანზე, რომელზეც ჯალათი, სისასტიკით შეძრწუნებულ თავმიბრუნებულ მართლმსაჯულების ქალღმერთს აწვდის სამ მოკვეთილ თავს ან გარეკანი დამშვენებულია ავტორის პორტრეტითა და სახელით.

გამოცემის ადგილად მითითებულია ჰარლემი. სინამდვილეში კი ის დაბეჭდილია ლივორნოში კოლტელინისთან.

V გამოცემის მსგავსად, VI გამოცემაც ორჯერ დაიბეჭდა ლივორნოში, კოლტელინისთან. აღნიშნული ვარიანტი გამოვიდა, როგორც ლანდრი ადგენს, 1766 წლის "სექტემბრის შემდეგ". იგი აღნიშნავს, რომ ეს გამოცემა "ყველაფრით წინას მსგავსია და იმავე ვარიანტებს შეიცავს".

II

ბეკარიას წიგნის სხვა, ყველაზე მნიშვნელოვანი გამოცემები იტალიურ, ფრანგულსა და გერმანულ ენებზე

შაიუ დე ლიზის თარგმანი, 1773 წ.

გამოცემა შეიცავს "გამომცემლის შეტყობინებას", მთარგმნელის "წინასწარ შენიშვნებს", ბეკარიას თხზულების ტექსტს, "ცნობილი პროფესორის აზრს", "პასუხს" (ძალიან უმნიშვნელო შემოკლებით) და ვოლტერის "კომენტარს" ბეკარიას წიგნზე. თარგმანის ტექსტი მიჰყვება VI გამოცემას, როგორც აღვნიშნეთ, V გამოცემის თითქმის იდენტურს.

თარგმანი მშვენივრადაა შესრულებული. აღნიშნული თარგმანის, ისევე როგორც მარელეს თარგმანის დიდ ღირსებას წარმოადგენს ის, რომ ორივე მათგანის ავტორები – ბეკარიას თანამედროვეები არიან და მასთან საერთო ფილოსოფიურ-პოლიტიკური ენა აქვთ.

ლიზის თარგმანი გამოვიდა, როგორც ლანდრი აღნიშნავს, მეორე გამოცემით ჯერ კიდევ იმავე 1773 წელს.

რედერერის გამოცემა 1797 წ.

პარიზის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში არის ამ გამოცემის ეგზემპლარი მორელეს წარწერით: "ჩემი თარგმანის ეს გამოცემა ყველაზე მეტად სრულსა და საუკეთესოს წარმოადგენს. ის შესრულებულია ბ-ონ დე რედერერის მეურვეობით" (ლანდრი). მასში პირველადაა გამოქვეყნებული პირველი წერილები, რომელიც ერთმანეთში გაცვალეს მორელემ და ბეკერიამ. როგორც ლანდრიმ დაადგინა, რედერერთან გამოქვეყნებულ მორელეს ამ პირველ წერილში (3/I 1766 წ.) ბევრია გამოტოვებული და საკმაო ცვლილებებიცაა ორიგინალთან შედარებით.

მილანის გამოცემა 1812 წ.

ძვირფასი გამოცემა „ინ-ფოლიო" – ტყავგადაკრული, ამოტვიფრული, მიძღვნილი ბეკარიას ვაჟის, ჯულიოსადმი. გამოცემულია მხოლოდ 60 ეგზემპლარად.

გამოცემა მომზადებულია ჯულიო ბეკარიას მიერ, მაგრამ კრიტიკულად არაა შედგენილი. ის მიჰყვებოდა მორელეს რედაქციას, თუმცა ჩაამატა მიმართვა "მკითხველისათვის" და დამატება § XL - თვის (იხ. დანართი III). ექვსი შენიშვნა მოთავსებულია, როგორც ჩანს გარე სიმტკიცის მოსაზრებით, ბეკარიას თხზულების შემდეგ გამოცემაში მოთავსებულია "ბეკარიას წიგნის გამოცემათა

და თარგმანთა კატალოგი, შეგროვილი ჯულიო ბეკარიას მიერ". "კატალოგში" შეტანილია შემდეგი გამოცემები: იტალიურ ენაზე – 28-ჯერ (მილანის გამოცემის ჩათვლით), ფრანგულზე – 13-ჯერ, გერმანულზე – 4-ჯერ, ესპანურ, რუსულ, ახალბერძნულსა და ჰოლანდიურ ენებზე – თითოჯერ. მაგრამ ეს სრულიადაც არ წარმოადგენს 1812 წლამდე გამოსულ გამოცემათა სრულ ნუსხას. ასე რომ, მორელეს თარგმანი გამოიცა 1766 წელს არა 5-ჯერ, არამედ სულ ცოტა 7-ჯერ მაინც, გერმანულად – 6-ჯერ, რუსული 2-ჯერ და ა.შ.

გამოცემა ფოსტენ ელი

ეს გამოცემა დღემდე წარმოადგენს სახელმძღვანელოს ფრანგული ლიტერატურისათვის. ბეკარიას თხზულების ტექსტი მოცემულია მორელეს რედაქციით. ელი არ უთითებს, თვითონ გადათარგმნა ბეკარია, თუ ისარგებლა უკვე არსებული თარგმანით. ზარუდნი თვლიდა, რომ ელიმ "უბრალოდ აიღო მორელეს თარგმანი და მასში სხვადასხვა ცვლილებები შეიტანა, თანამედროვე წერის სტილის შესაბამისად". მაგრამ საქმე მარტო წერის სტილში არაა. ელისთან, უპირველეს ყოვლისა, არის მიმართვა „მკითხველისათვის", რომელიც არაა მორელესთან. სიკვდილით დასჯის საკითხში ელი იძლევა V გამოცემის ფორმულირებას და არა მორელესას (იხ. დანართი III). მეორეს მხრივ, ელისთან არაა დამატება § XL -თვის. ესელბორნი აღნიშნავს, რომ ელიმ ისარგებლა ფრანგული თარგმანით, რომელიც პარიზში გამოვიდა 1822 წელს, რომლის ავტორი უცნობია. ყოველივე ამის გამო ბეკარიას თარგმანის ტექსტს ელის გამოცემაში ძალიან ფრთხილად უნდა მივუდგეთ. ის, როგორც მორელეს გამოცემა, შედგება 42 პარაგრაფისაგან.

ეს გამოცემა პოპულარული გახდა საფრანგეთში იმის წყალობით, რომ ბეკარიას თხზულების თითოეული პარაგრაფი XIX საუკუნის ერთ-ერთმა ყველაზე ავტორიტეტულმა ფრანგმა კრიმინალისტმა დიდი შესავალი სტატიით და კომენტარებით აღჭურვა.

ელის მეორე გამოცემა, რამდენადმე შევსებული გამოვიდა 1870 წელს. ელის გამოცემათა ეგზემპლარები იშვიათობას არ წარმოადგენს.

კანტუს გამოცემა

აღნიშნული გამოცემა დანართის სახით შეიცავს ბეკარიას თხზულების ტექსტს. ამ თხზულების ტექსტს კანტუ წაუმძღვარებს შემდეგს: „ჩვენ ვხელმძღვანელობდით ძვირფასი გამოცემით „ინ-ფოლიო“, რომელიც მხოლოდ 100 ეგზემპლარად[1] გამოიცა მილანის სამეფო სტამბაში. *შუა ჩვენ მოვაქციეთ დამატება პირველი გამოცემისათვის, †შორის მოგვიანებით შესული დამატებები. ზოგიერთი ვარიანტი (კანტუს მხედველობაში აქვს, ცხადია გადახვევები მილანის გამოცემიდან) ავტორის ხელნაწერიდან ამოვიღეთ“.

კანტუს გამოცემის შედარება – მილანის გამოცემასთან გვაჩვენებს, რომ განსხვავება მათ შორის სრულიად უმნიშვნელოა, რაც ცალკეულ სიტყვათა მართლწერის, სასვენ ნიშნების გამოყენებასა და აბზაცებად დაყოფაში გამოიხატება. ყველაზე “მსხვილი” განსხვავებაა § 38 დასათაურებაში (V გამოცემა, § XL). კანტუსთან ასე ჟღერს:

---

[1] ტირაჟის განსაზღვრისას კანტუ შეცდა. ჩვენს განკარგულებაში მყოფ ეგზემპლარზე მითითებულია არა მარტო საერთო რაოდენობა – 60ეგზ., არამედ ისიც, მათგან რა რაოდენობაა დაბეჭდილი ამა თუ იმ ქაღალდზე.

"უმეცრებათა და უსამართლობის წყაროებს კანონმდებლობაში წარმოადგენენ, უპირველეს ყოვლისა, მცდარი წარმოდგენები სარგებლიანობაზე". მილანის გამოცემაში კი მარტივადაა ნათქვამი: "მცდარი წარმოდგენები სარგებლიანობაზე". ჩვენ არა გვაქვს ბეკარიას ხელნაწერი, მაგრამ, ვიცით, რომ მორელესთან § 38 დასათაურებული იყო: "კანონმდებლობაში უმეცრებათა და უსამართლობათა ზოგიერთი ზოგადი წყაროს შესახებ და, უპირველეს ყოვლისა, მცდარი წარმოდგენების სარგებლიანობაზე". ჩვენი აზრით, კანტუმ ეს "ვარიანტი" ხელნაწერიდან კი არ აიღო, არამედ დაესესხა მორელეს.

კანტუს გამოცემა შეიცავს მიმართვას „მკითხველისათვის" და 42 პარაგრაფს. "შესავალი" შეადგენს პირველ პარაგრაფს. ექვსი შენიშვნა ჩატანილია შესაბამის პარაგრაფებთან.

ბეკარიას წიგნის ტექსტის გამოცემისას, კანტუს, როგორც სხვა არავის, შეეძლო პირველი ხუთი გამოცემის ტექსტების შედარება და მათემატიკური სიზუსტით "დამატებათა თანმიმდევრობის" დადგენა, სამწუხაროდ, არ გააკეთა. კანტუს გამოცემის შედარება V გამოცემასთან გვიჩვენებს დამატებათა მოხაზულობის თითქმის ზუსტ თანხვედრას. სავარაუდოა, რომ კანტუმ უბრალოდ შეიმსუბუქა საქმე და V გამოცემის მოხაზულობებს დაესესხა, საიდანაც აიღო მიმართვა „მკითხველისათვის" და დამატება §XL. მისი მოხაზულობების შესახებ "შეტყობინების" ფორმულაც კი V გამოცემის ფორმულას გვაგონებს, მაგრამ წარმოდგენას ქმნის, რომ დამატებანი თითქოსდა უკვე II გამოცემიდან გაჩნდა.

კანტუს გამოცემაში ღირებულია დანართებში ბეკარიას "მოკლე მსჯელობების" 1787 წლის ავსტრიული „სისხლის სამართლის კოდექსისა" და ბეკარიას „სიკვდილით დას-

ჯის საკითხის“ შესახებ კომისიის (1792) ორი სხვა წევრის განსაკუთრებული აზრის გამოქვეყნება. აღნიშნული წიგნი გადაითარგმნა ფრანგულ ენაზე (პარიზი, 1885).

ესელბორნის თარგმანი

თარგმანი შესრულებულია 1812 წლის მილანის გამოცემიდან გამოირჩევა, განსაკუთრებული. ავტორმა დიდი მონდომებით სცადა ზუსტად და ამასთანავე ლიტერატურულად გადმოეცა ბეკარიას აზრები.

გაბატონებული შეხედულების შესაბამისად, **ესელბორნს** საუკეთესოდ მიაჩნდა მორელეს რედაქცია, მაგრამ ის მაინც დანართში იმ თანმიმდევრობას იძლევა, რომელიც V გამოცემაში იყო მიღებული და აღნიშნავს მილანისა და V გამოცემის ტექსტებს შორის არსებულ განსხვავებას. მორელეს გამოცემა (IV) ასეთივე ანალიზს არ ექვემდებარება. “დამატებანი” აღნიშნული არაა, ვინაიდან მილანის გამოცემაში არ არსებობს შესაბამისი *მოხაზულობანი*. დანართებში სრულადაა მოყვანილი ბეკარიას „მოკლე მსჯელობები“ 1787 წლის ავსტრიული „სისხლის სამართლის კოდექსისა“ და „სიკვდილით დასჯისათვის“ “განსაკუთრებული აზრი”.

1965 წელს ჯულიო ეინაუდის პირველი რედაქციით „ახალი უნივერსალური ნაშრომი“ გამოიცა, რომელიც ტურინში გამოვიდა. აღნიშნული გამოცემა V რედაქციის სრულ ვარიანტს წარმოადგენს, რაც დაიხვეწა და 1994 წლის მარტში, იგივე სტამბაში („Nuova Universale Einaudi“, Borgaro, Torino), ფრანკო ვენტურის რედაქციით დაიბეჭდა.

კანონიკურად მიგვაჩნია სწორედ აღნიშნული გამოცემა, რომლის მიხედვითაც, ჩვენი თარგმანია შესრულებული.

III

ბეკარიას წიგნის რუსული თარგმანები

1. იაზიკოვის თარგმანი 1803წ.

ბეკარია. მსჯელობანი „დანაშაულისა და სასჯელისათვის“.

იტალიური ენიდან ფრანგულზე თარგმნილია ანდრეი მორელეტის, ხოლო იქიდან რუსულ ენაზე – დიმიტრი იაზიკოვის მიერ; დიდეროტის შენიშვნებითა და მორელეტთან მიმოწერის თანდართვით. იბეჭდება მისი საიმპერატორო უდიდებულესობის უზენაესი ბრძანებულებით. სანკტ-პეტერბურგი, გუბერნიის მმართველობა. 1803. XLIV – 268 გვ.

წიგნის თარგმანი შესრულებულია რედერერის გამოცემიდან, ამიტომ მასში არაა მიმართვა „მკითხველისათვის“. მთარგმნელმა არ ჩართო “ბენტამის სისხლის სამართლის კანონთა თეორია”, მაგრამ რაც გამოცემის დიდ ღირსებას წარმოადგენს, სრულად გადმოგვცა მორელეს ბეკარიასთან მიმოწერა, როგორც ეს რედერერთანაა გამოქვეყნებული.

ბეკარიას რუსულ ენაზე პირველი თარგმანის ისტორია დიდ ინტერესს წარმოადგენს. XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთის განათლებული საზოგადოება ბეკარიას იცნობდა არა მარტო **ეკატერინე II-ს** მიერ „გადამუშავებული განკარგულების“ სახით, არამედ იცნობდა თვით წიგნსაც, უპირატესად – მორელეს თარგმანს. საგანმათლებლო იდეების ცნობილი გავლენის ქვეშ ახალგაზრდობაში მოქცეული იყო **ალექსანდრე I**-ც, თავისი აღმზრდელის, შვეიცარიელი **ლაგარპის**, ხოლო

შემდგომ მისი მეგობრების წრის – თავადი ჩარტორისკის, გრაფი (კონტი) სტროგანოვის, ნოვოსილცევის – წყალობით. 1797 წ. **ალექსანდრე I** წერდა ლაგარპს, რომ ის და მისი მეგობრები წუხან, რომ რუსულ ენაზე "იმდენი სასარგებლო წიგნის, როგორც ეს შესაძლებელია", თარგმანი არ არსებობს. იმ წიგნებს, რომელთა დაბეჭდვაც შეუძლებელი იქნება ახლავე, ისინი სამომავლოდ შემოინახავენ. **ალექსანდრე I** გამოთქვამდა იმედს, რომ ისინი "შეძლებისდაგვარად დაუდებენ საწყისს ცოდნის გავრცელებასა და გონებათა განათლებას". მაგრამ აქვე **ალექსანდრე I** სინანულს გამოხატავდა იმის გამო, რომ ძალზე უჭირდა თარგმნელთა შერჩევა. „ღმერთმა ჰქნას", – ასრულებდა **ალექსანდრე I** წერილს, – რომ ჩვენ შეგვეძლოს ოდესმე ჩვენი მიზნის მიღწევა – ვაჩუქოთ რუსეთს თავისუფლება და ავაცილოთ მას დესპოტიზმისა და ტირანიის განზრახვები"[1].

ამჟამად, ჩვენ შეგვიძლია გავშიფროთ, რომელი "სასარგებლო წიგნების" თარგმნასა და გამოცემას ვარაუდობდა ტახტის მემკვიდრის წრე. **ა.ფ.ბესტუჟევის** ქაღალდებში ნაპოვნია რეესტრი, საიდანაც ირკვევა, რომ მან მიიღო **ალექსანდრე I-საგან** 6250 რუბლი მთელი რიგი წიგნების სათარგმნელად, მათ შორის იყო **გოლბახისა** და **ბეკარიასი** წიგნები. ამავე თანხებიდანაა ანაზღაურებული 1798 წელს „სანკტ-პეტერბურგის ჟურნალის" გამოცემა, **ბესტუჟევისა** და **პანინის** რედაქტორობით. იდეურ კავშირში ჟურნალის რედაქტორებსა და თანამშრომლებთან იმყოფებოდა **რადიშჩევიც**[2]. შესაძლებელია,

---

[1] წერილი ფრანგულ ენაზე სრულადაა მოყვანილი შილდერთან, იმპერატორი ალექსანდრე I. 2 გამოც., 1904, გვ. 280 და ლექ.

[2] ა.ნ.რადიშჩევი,სსრკ მეცნიერებათა აკადემიის რუსული ლიტერატური ინსტიტუტის მასალები და გამოკვლევები, 1936, გვ.24.

რომ სწორად მას, რომელიც ბეკარიას წიგნს იცნობდა ჯერ კიდევ ლაიფციგში ყოფნის დროს, ეკუთვნოდა აზრი მისი რუსულ ენაზე თარგმნის შესახებ.

დ.ი.იაზიკოვის (1773-1845) სახით რუსულმა მეცნიერებამ და პუბლიცისტიკამ შეიძინა ბეკარიას მშვენიერი მთარგმნელი. იაზიკოვი გახლდათ ევროპულად განათლებული ადამიანი, შემდგომში რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი მდივანი და ორდინარული აკადემიკოსი. მას, სხვათა შორის, ეკუთვნის **მონტესკიეს** თარგმანი – „კანონის არსის შესახებ“ (1800-1812) და **ფოიერბახის** „ფილოსოფიურ-იურიდიული კვლევა სახელმწიფო დანაშაულთა შესახებ“ (1812).

იაზიკოვის უდიდესი ღირსება მდგომარეობს იმაში, რომ მისმა თარგმანმა ყველაზე უკეთ ასახა ბეკარიას წიგნის არსი. ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ იაზიკოვი თვით იყო "განმანათლებელი საუკუნის" შვილი და მშვენივრად ესმოდა ამ საუკუნის "ენა". თუმცა, ის თარგმნიდა არა ორიგინალიდან, არამედ ფრანგულიდან, მისი თარგმანი უფრო მკაფიოდ ასახავს ბეკარიას წიგნის ფილოსოფიურ და პოლიტიკურ მიმართულებას, ვიდრე ზარუდნისა და ბელიკოვის თარგმანები.

იაზიკოვის გამოცემა ზარუდნის დროს, უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენდა.

2. ხრუშჩოვის თარგმანი 1806 წ.

„დანაშაულისა და სასჯელისათვის“. ფრანგულიდან თარგმნა ალექსანდრე ხრუშჩოვმა. სანკტ-პეტერბურგის საცენზურო კომიტეტის ნებართვით. სანკტ-პეტერბურგში, ი.გლაზუნოვის ტიპოგრაფიაში, 1806 წელს, VIII – 200 გვ.

აღნიშნულ გამოცემაში თარგმანი შესრულებულია უშუალოდ ბეკარიას წიგნიდან (V გამოც.); მაშასადამე, მასში არის მიმართვაც – „მკითხველისათვის“.

„მთარგმნელის წინასიტყვაობაში“ ხრუშჩოვი წერდა: „გ.იაზიკოვმა ამ თხზულებით გაამდიდრა რუსული სიტყვიერება, თავის თარგმანში მორელეტის განლაგებასთან შესაბამისობით: ახლახან საფრანგეთში გამოვიდა ამ წიგნის ახალი თარგმანი, რომელშიც არაა შეტანილი არანაირი ცვლილება და არაა გამოტოვებული არც ერთი სტატია ორიგინალიდან. მოწიწებით მიმაჩნია, რომ ყველაფერი, რაც ბეკარიას ქმნილებებს ეკუთვნის ძვირფასია სიტყვიერებისა და პოლიტიკის მოყვარულთათვის, ამიტომ ვბედავ, გ.იაზიკოვის თარგმანის შემდეგ ჩემი ნაშრომის გამოქვეყნებას“.

ჩვენ ვერ შევძელით დაგვედგინა, რომელი ფრანგული გამოცემიდან თარგმნა ხრუშჩოვმა, მაგრამ მისი რწმუნების მიუხედავად, რომ მის მიერ “არაა გამოტოვებული არც ერთი სტატია”, იძულებული ვართ აღვნიშნოთ, რომ მასთან არაა მთელი პარაგრაფი – “ძნელად დასამტკიცებელ დანაშაულისათვის” და ბეკარიას სამივე შენიშვნა § XXIX მასთან § XXXI მოსდევს.

ხრუშჩოვის ენა სუსტი არაა, თუმცა, საზოგადოდ, ჩამოუვარდება იაზიკოვის თარგმანს. აღნიშვნის ღირსია, რომ ხრუშჩოვისათვის ცხადი იყო ბეკარიას წიგნის პოლიტიკური მნიშვნელობა.

3. სობოლევის თარგმანი 1878წ.

ჩეზარე ბეკარია. „დანაშაულისა და სასჯელისათვის“. თარგმანი ივ.სობოლევის, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის მიერ. 1878., გვ. 134.

სობოლევი აღნიშნავს, რომ მისი თარგმანი გაკეთებულია 1853 წლის იტალიური ტურინის გამოცემიდან. სობოლევის თარგმანით თუ ვიმსჯელებთ, იგი თითქმის იდენტურია V გამოცემასთან. ის, რომ სობოლევი შეჩერდა საავტორო რედაქციაზე, აიხსნება უფრო იმით, რომ მის განკარგულებაში არ იყო იტალიური ტექსტი მორელეს რედაქციით. კერძოდ, კანტუს გამოცემა მისთვის, უცნობი დარჩა. ამასთან, მას მიაჩნდა, რომ თარგმანიდან შესრულებული თარგმანი – შორდება ორიგინალს, ის არ მიჰყვა იაზიკოვისა და ხრუშჩოვის მაგალითს.

თავისდა გაუცნობიერებლად, სობოლევმა რუს მკითხველს მისცა ბეკარიას **კანონიკური** ტექსტი. ზარუდნიმ, რომლის თარგმანიც მომავალ წელსვე გამოვიდა, გამოიტანა მკაცრი და როგორც ჩვენ ახლა ვიცით, სრულიად უსამართლო განაჩენი, თითქმის სობოლევის თარგმანი გაკეთებულია "იტალიური გამოცემის ერთ-ერთ უარესთაგან", ვინაიდან ეს უკანასკნელი დაფუძნებულია ავტორის "ჯერ კიდევ მორელეს შენიშვნების გაუსწორებელ საფუძველზე" ერთ-ერთ პირველ ორიგინალზე.

თარგმანის ენა ბევრად უკეთესის სურვილს ბადებს. „სიზუსტისაკენ მისწრაფებით, წერდა სობოლევი თავის წინასიტყვაობაში, მე ძირითადად ავტორის აზრის ზუსტ გადმოცემას მივდევდი. ამასთან, მსურდა თარგმანისათვის გადმომეცა ორიგინალის დახვეწილება და ძალა, თუმცა ეს შეუძლებელი იყო, რადგან არ მეგონა, რომ ეს მცდელობა რაიმე წარმატებით დაგვირგვინდებოდა".

ასეთი "მიწერილობის" წყალობით სობოლევის თარგმანი გარკვეულად გვაგონებს ე.წ. "ბწკარედს", რომლებითაც ოდესღაც გიმნაზიებში სარგებლობდნენ კლასიკოსების შესწავლისას. ის ძნელად იკითხება.

ამასთანავე, სობოლევი ხშირად ყოველგვარი საფუძვლის გარეშე ხმარობს უცხოურ სიტყვებს, როგორიცაა "ინტერპრეტაცია", "ინტერპრეტირება", როდესაც შეიძლება თქმა – "ახსნა", "განმარტება", "სუგესტიური" კითხვები – "მისახვედრის" მაგივრად და ა.შ.

წინასიტყვაობაში სობოლევი გვამცნობს ბეკერიას მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს, ზოგჯერ არაზუსტს და ცდილობს დაახასიათოს მისი სისხლის სამართლებრივი შეხედულებები, და ამ დროს უხეშ შეცდომებს უშვებს.

ს.არუდნის თარგმანის გამოჩენამ ის ყველაზე უკანა რიგში გადასწია.

4. ს.ზარუდნის თარგმანი 1879 წ.
ბეკარია. „დანაშაულისა და სასჯელისათვის".

ეკატერინე II-ს მიერ შედარებული განაწესის X თავთან და თანამედროვე კანონებთან. მასალები სისხლის სამართლის კანონმდებლობის თეორიისა და პრაქტიკის შედარებითი შესწავლის შესამუშავებლად. ს.ზარუდნის. სანქტ.-პეტერბურგი XXIII – 196 გვ.

ს.ზარუდნი (1821 – 1887), ერთ ერთი მთავარი მოღვაწე 1864 წლის სასამართლო რეფორმის გატარებისას, რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში დაამკვიდრა მოსაზრება, რომ ბეკარიას წიგნის საუკეთესო რედაქცია მორელეს ეკუთვნის. ამის დაყვედრება მისთვის არ შეიძლება, ვინაიდან მსგავსი აზრი ჩვენს დროშიც "გაბატონებულს" წარმოადგენს. პირადად ზარუდნიმ ყველა ღონე იხმარა, რათა თარგმანი "საუკეთესო" იტალიური გამოცემიდან შეესრულებინა და იტალიური სენატის თავმჯდომარის გრაფ (კონტ) **სკლოპისის** რჩევით შეჩერდა კანტუს გამოცემაზე.

ბეკარიას ტექსტის პარალელურად, ზარუდნის მოჰყავს შესაბამისი ადგილები 1767 წლის "განაწესის", მაგრამ ეს მკითხველს აბნევს.

შესავალში ზარუდნი ბეკარიას შესახებ ძალზე მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს იძლევა, მკითხველს სხვა წყაროებს აცნობს და ძირითადად გადმოსცემს თავის აზრებს თარგმანის ამოცანებისა და მეთოდების შესახებ. წიგნის ბოლოს (გვ.161–196) მოთავსებულ "დანართებში", "განმარტებებსა და შენიშვნებში" ზარუდნის მოჰყავს ყველაზე მოკლე ნაწყვეტები მორელესა და ბეკარიას მიმოწერიდან, უფრო მოკლედ, ვიდრე ეს ელიმ გააკეთა (ამონაკრებები ელიდან, კანტუდან) და რიგი საკუთარი შენიშვნებისა ბეკარიას წიგნის ზოგიერთი პარაგრაფის შესახებ. თუმცა, აღნიშნულმა ხელი არ შეუშალა ზარუდნის თავისი შენიშვნები დაემატებინა თვით ბეკარიას ტექსტშიც, რომლებიც ყოველთვის როდი არიან მოკლებულნი პოლიტიკურ დაინტერესებას. ასე მაგალითად, ბეკარიას სიტყვებს, რომ სასჯელთა სისასტიკეზე მნიშვნელოვანია – მათი გარდაუვალობა და რომ მოსამართლის სიმკაცრე მხოლოდ მაშინ ხდება სასარგებლო სათნოება, როდესაც ის ლმობიერ კანონებს იყენებს (§ XXVII დასაწყისი) – ზარუდნი შენიშვნას უკეთებს: "ეს აზრი გამოხატულია ბევრად მოკლედ და ცხადად 1864 წლის 20 ნოემბრის უზენაესი ბრძანებულების სიტყვებით: "დაე, სიმართლემ და მოწყალებამ იმეფოს სასამართლოებში". თავს — „სიკვდილით დასჯისათვის" ბეკარია ასრულებს კეთილისმქმნელი მონარქების "ძალაუფლების გამრავლების" სურვილით, რომელნიც მფარველობენ მშვიდობიან სათნოებას, მეცნიერებას, ხელოვნებას და ა.შ. "განა ეს სიტყვები გუშინ არაა დაწერილი!" წამოიძახებს ზარუდნი თავის შენიშვნაში. "რომელი

ჩვენგანი არ დაუშვებს ამ ქრონოლოგიურ შეცდომას, თუ იფიქრებს იმაზე, რომ რუსეთში მეფობს იმპერატორი **ალექსანდრე II**, გერმანიაში – **ვილჰელმ I**, ინგლისში – **ვიქტორია**, იტალიაში – **ჰუმბერტი**, ვიქტორ ემანუილის მემკვიდრე, ხოლო ვატიკანში – **პაპი ლეო XIII**, დაბოლოს, ფრანგული რესპუბლიკის სათავეში ახლახან **გრავი** არ იქნა არჩეული?"

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ზარუდნის გარდა, არავის, არც რუსულ, არც მსოფლიო ლიტერატურაში არ უხსენებია **ალექსანდრე II** და სხვები, შენიშვნაში, როგორც ჩამოთვლილ პირთა განხილვა, „ფილოსოფოსების ტახტზე".

არასწორი პოლიტიკური მნიშვნელობა ეძლევა ბეკარიას, როდესაც მთარგმნელები ყველგან "სუვერენის" ნაცვლად "ხელმწიფეზე" ლაპარაკობენ, ან როდესაც ზარუდნი თავს არიდებს ისეთ უცხო სიტყვებს, როგორიცაა ტირანია, დესპოტიზმი. აქ ჩვენ საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ მაგალითები. ცნობილი, ძალიან ხშირად ციტირებული ადგილი § IV – „კანონის განმარტება", რომელიც ბეკარიასთან ასე ჟღერს:

„... quando la norma del giusto, o dell, ingiusto, che deve dirigere le azioni si del Cittadino ignorante, come del Cittadino Filosofo non e` un affare di controversia, ma di fatto; allora I sudditi non son sogetti alle piccole tirannie di molti, tanto piu` crudeli quanto e` minore la distanza fra chi soffre e chi fa soffrire; piu` fatali che quelle di un solo, perche` il dispotismo di molti non e` corregibile, che dal dispotismo di un solo, e la crudelta` di un despotico e` proporzianata non alla forza, ma agli ostacoli".

ზარუდნის თარგმანი

"როდესაც წესები, რომელნიც განასხვავებენ სამართლიანობას უსამართლობისაგან, - წესები, რომლებმაც უნდა მართონ როგორც ყველაზე უმეცარი, ისე ყველაზე განათლებული მოქალაქის ქმედებები, წარმოადგენენ მოვლენას და არა საკამათო საკითხს, როდესაც ცალკეული პირები განიცდიან მრავალთა წვრილმან თვითნებობას (piccole tirannie), მით უფრო სასტიკს, რაც უფრო ახლოა მტანჯველი ტანჯულთან და ამასთან მით უფრო საშინელს, ვიდრე ერთი პირის თავნებობა, იმიტომ, რომ მრავალი პირის ძალადობა სუსტდება მხოლოდ ერთი პირის ძალადობით, ხოლო ერთი თვითნები მბრძანებლის სისასტიკე (despotico) თანაზომადია არა მისი ძალის, არამედ მისთვის დაპირისპირებული დაბრკოლებების".

ჩვენი თარგმანი

"როდესაც წესები იმის შესახებ, რაა სამართლიანი და რა უსამართლო, რითი უნდა იხელმძღვანელოს ყველა მოქალაქემ – ყველაზე გაუნათლებლიდან ფილოსოფოსამდე – უდავოს წარმოადგენს, მაშინ ქვეშევრდომები გათავისუფლებულნი იქნებიან მრავალთა წვრილი ტირანიისაგან, მით უფრო სასტიკისაგან, რაც უფრო ახლოა ის ჩაგრულებთან, მით უფრო საში-ნელისაგან, რომ მის სანაცვლოდ შეიძლება მხოლოდ ერთის ტირანია მოვიდეს, ხოლო ერთი დესპოტის სისასტიკე პროპორციულია არა მისი ძალის, არამედ იმ უკუქმედების, რომელიც მას ხვდება".

და იმავე პარაგრაფის ბოლოში:

„Questi principii spiaceranno a coloro, che si sono fatto un diritto di trasmettere, agl' iferiori I colpi della tirannia, che hanno ricevuto dal superiori ".

ზარუდნის თარგმანი	ჩვენი თარგმანი
"ეს საწყისები, რათქმაუნდა, არ მოეწონებათ იმათ, ვინც თავის თავს უფლებამოსილად თვლის უმდაბლესთ მოექცეს ისეთივე თვითნებური სისასტიკით, როგორც მას მისი უფროსები ექცევიან".	"ჩემს მიერ გამოთქმული საწყისები არ მოეწონებათ რათქმაუნდა, იმათ, რომელთაც ხვდებათ რა ტირანიის დარტყმები ზევიდან, თავს უფლებამოსილებად თვლიან ისინი მათ ქვეშევრდომებზე გადაიტანონ".

ზოგჯერ, პირიქით, ზარუდნი იყენებდა თარგმანში უცხოურ სიტყვებს იქ, სადაც ამის გაკეთება არ შეიძლებოდა და ეს იმიტომ კი არა, რომ ზარუდნიმ იტალიური ენა არ იცოდა ან რუსულს ვერ ფლობდა, არამედ ის მხოლოდ და მხოლოდ ვერ იგებდა XVIII საუკუნის პოლიტიკურ ენას. აი, ასეთი ვერ გაგების მაგალითი. § V – "კანონის ბუნდოვნება (გაურკვევლობა)" დამწერლობის მნიშვნელობის შესახებ ბეკარიას წერს:

„Una conseguenza di quet' ultime riflessioni e`, che senza la scrittura una societa` non prendera` mai una forma fissa di governo, in cui la forza sia un efetto del tutto, e non delle parti, e in cui le leggi inalterabili, se non della volonta` generale, non si corrompano passando per la fo`lla degl' „iteressi privati "

ზარუდნის თარგმანი

"აქედან ცხადია, რომ დამწერლობის გარეშე საზოგადოება ვერასოდეს ვერ მიაღწევს განსაზღვრულ მმართველობის ფორმას, ანუ ისეთ მმართველობას, რომლის დროსაც ძალა მთავრობის საკუთრება იქნება და არა ცალკეული პარტიებისა, რომლის დროსაც კანონი, მხოლოდ საზოგადოებრივი თანხმობით ცვალებადი, არ მახინჯდება მრავალი კერძო მოგების გამო".

ჩვენი თარგმანი

"აქედან გამომდინარეობს, რომ დამწერლობის გარეშე საზოგადოება ვერასოდეს ვერ შეძლებს მიაღწიოს მმართველობის მტკიცე სახეს, რომლის დროსაც ძალაუფლება გამომდინარეობს მთელი საზოგადოებიდან და არა მისი ცალკეული ნაწილებიდან, რომლის დროსაც კანონი იცვლება სხვა არანაირად, ვიდრე საერთო სურვილის მიხედვით და არ შეიძლება დამახინჯებული იყოს კერძო ინტერესების სასარგებლოდ".

სიტყვა "παρτε" ნიშნავს "ნაწილს" ან "პარტიას", მაგრამ XVIII საუკუნეში არავინ არ ცნობდა პოლიტიკურ პარტიებს XIX და XX საუკუნეების გაგებით, თანამედროვე იტალიური ენა მათ გამოსახატავად იყენებს სიტყვას "παρτιτο".

შემდგომ: ბეკარია (საზოგადოების) ნაწილს უპირისპირებს – მთელს – (τυττο), ხოლო ზარუდნი – "პარტიას" – "მთავრობას" (!?). ზარუდნის კალმის ქვეშ ბეკარია, რომელსაც საზოგადოებრივი შეთანხმების თეორია და სახალხო სუვერენიტეტის ("საზოგადო ნების") თეორია სწამდა, იქცევა "მთავრობის" აპოლოგეტად.

რამდენად სწორადაა გადმოცემული ბეკარიას აზრი

იაზიკოვთან, რომელმაც ეს ადგილი ასე გადათარგმნა: "მათი მსჯელობიდან გამომდინარეობს, რომ წერის გარეშე არავითარ საზოგადოებას არასოდეს არ შეუძლია მიიღოს მმართველობის მტკიცე წესი, რომელშიც ძალა პოლიტიკურ სხეულში მდგომარეობს და არა მის ნაწილებში, - რომელშიც კანონებს შეუძლიათ შეცვლა მხოლოდ საერთო ნებით და არ შეუძლიათ დასუსტდნენ და დაინგრნენ კერძო გამორჩენათა დაპირისპირებული ბრძოლის გამო". ბეკარიას აზრი სწორადაა გადათარგმნილი ხრუშჩოვთანაც და სობოლევთანაც, მაგრამ მიჩქმალულია ბელიკოვთან.

ზარუდნიმ იცოდა, რომ ბეკარია იძულებული იყო "დაეჩრდილა სინათლე ღრუბლებით", მაგრამ მას არ ესმოდა ირონია, რომელსაც ხშირად მიმართავდა ბეკარია, და ამიტომ, რიგ შემთხვევებში გადასათარგმნელ ტექსტზე არასწორ წარმოდგენას იქმნიდა. კათოლიკური ეკლესიის მიერ ნებისმიერი, მასთან შეუთანხმებელი შეხედულებების ჩაგვრის წინააღმდეგ, ბეკარია გასაოცარ ძალას აკლენს. ორიგინალში ნათქვამია:

„Troppo lungo sarebbe il provare, come quantunque odioso sembri l'impero della forza sulle menti umane, del quale le sole conquiste sono la dissimulazione, indi l'avvilimento; quantunque sembri contrario allo spirito di mansuetudine, e fraternita` commandato dalla ragione e dall'autorita`, che piu veneriamo; pure sia necesario ed indispensabile. Tutto cio deve credersi evidentemente provato, e conforme ai veri interesi degli uomini, se v'e` chi con riconosciuta autorita` lo esercita`. Io non parlo, che dei delitti, che emanano dalla natura umana, e dal patto sociale, e non dei peccati, de'qualli le pene, anche temporali, debbono regolarsi con altri principi, che quelli di una limitata filosofia".

ზარუდნის თარგმანი

"მეტისმეტად ხანგრძლივი იქნებოდა იმის მტკიცება, რამდენადაც საძულველად არ გვეჩვენება გონებაზე ძალის ბატონობა, რომელსაც მხოლოდ მოჩვენებითობის განვითარება ძალუძს, ხოლო შემდეგ მოქალაქეთა დამცირებაც, რამდენადაც არ ეწინააღმდეგება ძალის ეს ბატონობა თვით მოკრძალებულობისა და ძმობის სულს, რომელიც განსაზღვრულია გონებითაც და იმ ძალაუფლებითაც, რომლის წინაშეც ჩვენ ყველაზე მეტად მოწიწებით ვიქცევით, - რატომაა მთელი ეს ბატონობა აუცილებელი და გარდაუვალი. ყოველივე ეს სიცხადემდე დამტკიცებულად უნდა ჩაგვეთვალა, სადმე რომ მართლა არსებობდეს ამის მოქმედებაში მომყვანი შესაფერისი ძალაუფლება.მე აქ ვლაპარაკობ მხოლოდ დანაშაულზე, რომელიც ადამიანური ბუნებიდან და საზოგადოებრივი შეთანხმებიდან გამომდინარეობს და არ ვეხები ცოდვებს, რომელთა სასჯელი, დროებითებიც კი, განსაზღვრული უნდა იყოს სხვა საფუძველზე, რომელიც არაა დამოკიდებული ჩვენს შეზღუდულ სიბრძნეზე (φιλοσοφια)".

ჩვენი თარგმანი

"მეტისმეტად ხანგრძლივი იქნებოდა იმის მტკიცება, რომ ძალის ბატონობა ადამიანების გონებაზე წარმოადგენს საჭიროს და აუცილებელს, თუმცა ის საძულველად წარმოგვიდგება, რომელიც წარმოშობს მარტო მხოლოდ თვალთმაქცობას და აქედანვე სიმდაბლესაც, რომელიც ეწინააღმდეგება მოკრძალებულობის და ძმობის სულს, განსაზღვრულს ჩვენს მიერ მეტად პატივცემული გონებისა და ავტორიტეტის მიერ. ყოველივე ეს უნდა ითვლებოდეს სიცხადემდე დამტკიცებულად და ადამიანთა ჭეშმარიტ ინტერესებთან შეთანხმებულად – რადგან ეს ბატონობა ხორციელდება აღიარებული ავტორიტეტის მქონეთა მიერ. მე ვსაუბრობ მხოლოდ ადამიანური ბუნებიდან და საზოგადოებრივი შეთანხმებიდან გამომდინარე დანაშაულზე და არა იმ ცოდვებზე, რომელთათვისაც სასჯელი, დროებითიც კი, დაფუძნებული უნდა იყოს სხვა საწყისზე, ვიდრე შეზღუდული ფილოსოფიის საწყისია".

ჩვენს მიერ მოყვანილ ნაწყვეტში ბეკარია ორჯერ იყენებს სიტყვას "αυτοριτα" – "ავტორიტეტი". პირველ შემთხვევაში იგულისხმება სახარება. (ეს ესმოდა ჯერ კიდევ ელის.) დამახასიათებელია ის, რომ ბეკარიას "ბილწურად" გაჰყავდა ტოლობის ნიშანი მასა და "გონებას" შორის. შემდგომ ბეკარია საუბრობს ძალადობის ბატონობაზე, რომელსაც "აღიარებული ავტორიტეტი" ახორციელებს, ანუ კათოლიკური ეკლესია. ორივე შემთხვევაში სიტყვის ხმარება – "ძალაუფლება" ფარავს ავტორის ჭეშმარიტ აზრს. ბეკარია ირონიულად აღნიშნავს, რომ ძალადობის ბატონობა ხორციელდება "აღიარებული ავტორიტეტის" ანუ კათოლიკური ეკლესიის მიერ და მაშასადამე, პასუხობს კიდეც ადამიანთა ჭეშმარიტ ინტერესებს. ზარუდნისთან კი საუბარია ჯერ კიდევ არ არსებულ "ძალაუფლებაზე".

4. ს.ბელიკოვის თარგმანი 1889წ.

მარკიზ დი ბეკარია. **„დანაშაულისა და სასჯელისათვის".** იტალიურიდან თარგმანი, ეტიუდით "ბეკარიას მნიშვნელობა რუსული სისხლის სამართლის კანონმდებლობის მეცნიერებასა და ისტორიაში". ხარკოვი. XIV – 232 გვ.

წიგნი გამოცემულია XVIII საუკუნის ერთ-ერთი იტალიური გამოცემის ფორმატით, გადმოტანილია ბეკარიას თხზულებათა კრებულიდან ავტირის პორტრეტი, რომელიც გამოვიდა მილანში 1821 წელს.

თარგმანი შესრულებულია კანტუს გამოცემიდან, ვინაიდან ბეკარია თვლიდა, რომ "ეს ტექსტი შედარებულია ავტორის ორიგინალთან და ამიტომ სრულიად ზუსტია". „ეტიუდი ბეკარიას შესახებ" (გვ. 159-232)

წარმოადგენს ყველაზე სრულყოფილს აქამდე გამოსულ ყველა რუსულ სტატიას შორის. ბელიკოვი გადმოგვცემს ბეკარიას ბიოგრაფიას და მისი წიგნის უმნიშვნელოვანეს (უმთავრეს) იდეებს და დასკვნაში ადარებს მას ეკატერინეს "განაწესს". (ამჟამად ყველაზე უკეთესია უკანასკნელი მიზნით გამოყენებულ იქნეს "განაწესის" გამოცემით **ჩეჩულინის** რედაქციით 1907 წ., იხ. აგრეთვე – **ვ.ვიტი.** ეკატერინე II როგორც კრიმინალისტი. 1910.)

წინასიტყვაობაში **ბელიკოვი** აღნიშნავს, რომ ახალი თარგანის გამოცემისას ის "ცდილობდა მასში აღედგინა არა იმდენად ძველებური სიტყვიერების ხატოვნება, რამდენადაც სურდა გადმოეცა თანამედროვე ენით ავტორის სიტყვის აზრი და ძალა".

თარგმანის ენა მართლაც თანამედროვეა და სავსებით ლიტერატურული. მაგრამ ამისაკენ მისწრაფებაში ბელიკოვი ძალიან ხშირად კი არ თარგმნის, არამედ უფრო განმარტავს ბეკარიას, ხოლო ზოგჯერ აიძულებს ბეკარიას ილაპარაკოს ბელიკოვისათვის თანამედროვე პროფესორის ენით ლიბერალური "რუსკიე ვედომოსტიდან" ("რუსული უწყებანი"). აი, ერთ-ერთი მაგალითი, ნაწყვეტი § XXXV – "თავშესაფარი" (დაბოლოება).

„Ma se sia utile ol rendersi reciprocamente I rei fralle Nazioni, io non ardirei decidere questa questione, finche` le leggi piu conformi ai besogni dell'umanita`, le pene piu dolci, ed estinta la dispendenza dall' arbitrio, e dall' opinione, non rendano sicura l'innocenza oppressa, e la detestata virtu: finche` la tirannia non venga del tutto dalla ragione universale, che sempre piu unisce gl'interessi del Trono, e dei sudditi confinata nelle vaste pianure dell' Asia, quantunque la persuasione di non trovare un palmo di terra, che perdoni ai veri delitti, sarebbe un mezzo efficacissimo per prevenirli".

ბელიკოვის თარგმანი

"შემდგომ, სასარგებლოა თუ არა საერთაშორისო ხელშეკრულებები დამნაშავეთა ურთიერთგადაცემის შესახებ? ამ კითხვაზე ჩვენს დროში მე ვერ გავცემ დადებით პასუხს. ნამდვილად სასარგებლო რომ იყოს დამნაშავეთა ურთიერთგადაცემა, აუცილებელია ჯერ თითოეულ სახელმწიფოში კანონების შეთანხმება კაცთმოყვარეობის მოთხოვნებთან, უფრო ლმობიერი სასჯელების შემოღება, ძალაუფლების თვითნებობის ჩამოცილება, უდანაშაულო და პატიოსანი ადამიანების უზრუნველყოფა (დაცვით) შევიწროვებისა და დევნისაგან, განვითარების დონის ამაღლება ხალხში, რომელიც დააკავშირებდა ხელმწიფეთა და ქვეშევრდომთა ურთიერთინტერესებს და გაანადგურებდა ტირანიას განათლებული მსოფლიოს საზღვრებში. როდესაც ეს მოთხოვნები შესრულებული იქნება, მაშინ საყოველთაოდ დარწმუნდებიან, რომ (არსად) არაა ქვეყანა, სადაც ნამდვილი დანაშაული შეიძლება დაუსჯელი დარჩეს, (საზოგადოებას) დანაშაულთა (თავიდან) აცილების ერთერთ მნიშვნელოვან საშუალებად მოემსახურება."

ჩვენი თარგმანი

"მაგრამ სასარგებლოა კი ერების მიერ დამნაშავეთა ურთიერთგადაცემა? მე ვერ გავბედავ ამ საკითხის გადაწყვეტას მანამდე, სანამ კაცობრიობის მოთხოვნების უფრო შესაბამისი კანონები, უფრო ლმობიერი სასჯელები და თვითნებობასა და აზრებზე დამოკიდებულების ჩამოცილება არ უზრუნველყოფენ დაჩაგრული უდანაშაულობისა და საძულველი სათნოების უსაფრთხოებას, სანამ ტირანია უნაშთოდ არ იქნება გაძევებული აზიის ვრცელ ველებზე მსოფლიო გონების მიერ, რომელიც სულ უფრო აერთიანებს ტახტისა და ქვეშევრდომთა ინტერესებს. თუმცა შეგნება, რომ არ არსებობს მიწის ერთი გოჯიც კი, სადაც ნაპატიები იქნება ნამდვილი დანაშაულები, იქნებოდა მათი თავიდან აცილების ყველაზე ქმედითი საშუალება".

ბეკარია არ ლაპარაკობს არანაირ "ხალხში განვითარების დონის ამაღლებაზე". ტირანია ავტორის თვალში თვითონვე ეწინააღმდეგება "საყოველთაო გონებას". შედეგად, ბელიკოვს ტირანიის საწინააღმდეგო ვნებიანი ტირადის (გამოსვლის) ნაცვლად გამოუვიდა რაღაც "მცირე საქმეთა" ქადაგება! სიტყვას "სათნოება" XVIII საუკუნე ანიჭებდა თავისებურ პოლიტიკურ მნიშვნელობას და ის არ გადმოიცემა სიტყვებით "პატიოსანი ადამიანები". ამ საუკუნის პუბლიცისტისათვის "აზია" პოლიტიკური ცნება იყო. "აზიის ვრცელი ველების" შესახებ ლაპარაკით, ბეკარია მხოლოდ აძლიერებდა მხატვრულ შთაბეჭდილებას. ბეკარია საუბრობდა არა "ძველებური ხატოვანი" ენით, როგორც მას სრულიად შეცდომით მიანიშნებს ბელიკოვი, არამედ რევოლუციური და ამასთან XVIII საუკუნის სახოვანი რევოლუციური ენით. ბეკარიას გააჩნდა მშვენიერი ზემოქმედების ნიჭი თავისი მკითხველების წარმოსახვაზე და გრძნობებზე სამოქმედოდ, ხოლო ბელიკოვი, ბეკარიას მიერ გამოყენებული სახეებისა და შედარებების უკუგდებით ადაბლებს "გრძნობის სიმხურვალეს", რომლითაც წიგნია დაწერილი. მაგალითისათვის მოვიყვანთ ნაწყვეტს § XV-დან "საიდუმლო ბრალდება", სადაც ბეკარია ხატავს საიდუმლო ბრალდების წინაშე შიშის ქვეშ მცხოვრებ ადამიანთა მდგომარეობას:

„Infelici gli uomini quando son giunti a questo segno: senza principi chiari ed immobili, che gli guidino, errano smarriti e fluttuanti nel vasto mare delle opinioni, sempre occupati a salvarsi dai mostri, che gli minnaciano…“

ბელიკოვის თარგმანი	ჩვენი თარგმანი
"და როგორ უბედურნი არიან ადამიანები, მცხოვრებნი ასეთ პირობებში. ცხად ხელმძღვანელ საწყისებს მოკლებულნი, ისინი დაკარგულებივით დაბორიალობენ".	"უბედურნი არიან ასეთ მდგომარეობამდე მისულნი ადამიანები: მოკლებულნი ცხად და მტკიცე საწყისებს, რომელნიც გზას დაუსახავდნენ, ისინი დაკარგულებივით ბორიალობენ ეჭვების ვრცელ ზღვაში მერყეევნი, შეპყრობილნი ურჩხულთან შეხვედრის შიშით, რომელიც მათ სიცოცხლეს ემუქრება".

არავის სხვას, როგორც რუსულ ისე, უცხო ენებზე მთარგმნელთაგან უარი არ უთქვამს "ვრცელი ზღვის" ამ მხატვრულ სახეზე, რომელსაც XVIII საუკუნის მკითხველი ასახლებდა ნაირგვარი "ურჩხულებით".

ბელიკოვი საყვედურობდა ზარუდნის, რომ მასთან თარგმანი ყოველთვის ზუსტი არაა და რომ ის "განსაკუთრებით არაზუსტია პოლიტიკურ-ეკონომიკური იდეების გადმოცემისას". ზემოთ ჩვენ მივუთითებთით ბელიკოვის მისწრაფებაზე ეიძულებინა ბეკარია ელაპარაკა "თანამედროვე" პოლიტიკური ენით. აქვე აღვნიშნოთ ბელიკოვის მისწრაფებაც ბეკარიას მათემატიკური ენის გასწორებისაკენ. რაც შეეხება სიზუსტეს სოციალურ-პოლიტიკური იდეების გადმოცემისას, ბელიკოვი უშვებს არანაკლებსა და ზოგჯერ კიდევ უფრო უხეშ შეცდომებს, რადგან ისიც, ზარუდნის მსგავსად, ვერ იგებს XVIII საუკუნის პოლიტიკურსა და ფილოსოფიურ ენას. აი მაგალითად,

როგორ გადათარგმნა ბელიკოვმა § XXXIX – "დანაშაულის განსაკუთრებული სახეობისათვის":

„მეტისმეტად დიდი დრო დასჭირდებოდა იმის დამტკიცებას, რომ გარე ძალის ბატონობას ადამიანთა გონებებზე მივეყვანეთ თვალთმაქცობამდე, ხოლო ზოგჯერ ზნეობის დაცემამდე და თუმცა ძალის ეს ბატონობა ეწინააღმდეგება სიყვარულისა და ძმობის სულს, რომელსაც მოითხოვს გონებაც და რელიგიაც, - მიუხედავად ამისა გარე ძალის გამოყენება სახელმწიფოსათვის არის გარდაუვალი აუცილებლობა. ყოველივე ეს უდაოდ უნდა ითვლებოდეს და უნდა გვსურდეს, რომ მოიძებნოს მმართველი, რომელიც განახორციელებდა კაცობრიობის ჭეშმარიტი ინტერესების უზრუნველმყოფ საწყისებს.

მე ვსაუბრობ მხოლოდ ადამიანის ბუნებიდან და საზოგადოებრივი შეთანხმებიდან გამომდინარე დანაშაულზე და არა ცოდვებზე; ეკლესია თავის დროებით სასჯელს ცოდვებისათვის განსაზღვრავს სხვა კანონით, ვიდრე ისეთები, რომლებითაც უნდა ხელმძღვანელობდეს ადამიანური სიბრძნე".

ბელიკოვის მიხედვით გამოდის, რომ ბეკარია "რელიგიას" და მაშასადამე, კათოლიციზმს მიაწერდა "სიყვარულისა და ძმობის სულს"! ეკლესია კი არა, არამედ "სახელმწიფო" იყენებს შემდეგ "გარე ძალას"! XVIII საუკუნის ფილოსოფია ჩანაცვლებულია რაღაც "ადამიანური სიბრძნით"! ბეკარიას რომ ჭეშმარიტად ასე ეწერა, როგორც ის "გადათარგმნა" ბელიკოვმა, მაშინ ფაკინეის, რომელმაც ბეკარია გააკრიტიკა, გაშმაგების მიზეზიც არ ექნებოდა.

5. მ. ისაევის თარგამანი. 1939 წ. „დანაშაულისა და სასჯელისათვის“.

თარგმანი იტალიურიდან შესრულებულია პროფესორ მ.ისაევის მიერ 1939 წელს მოსკოვში, დაიბეჭდა საბჭოთა კავშირის იურიდიულ გამომცემლობაში. 463გვ.

ისაევის რედაქციით გამოქვეყნებული წიგნის გაფორმება შეესაბამება ბეკარიას 1766 წლის იტალიურ V გამოცემას, მაშასადამე, მასში არის მიმართვაც – „მკითხველისათვის“. თავად ბეკარიას პორტრეტი აღებულია 1823 წელს დაბეჭდილი ფრანგული გამოცემიდან „Collin de Plancy“-ს რედაქციით.

აღნიშნული ნაშრომი ერთ-ერთ ყველაზე სრულსა და ზუსტ თარგმანს წარმოადგენს, იგი ასევე ბეკარიას ბიოგრაფიულ ნარკვევსა და მეცნიერულ აღწერას შეიცავს. ისაევი მეტად საფუძვლიანად უღრმავდება და აანალიზებს ბეკარიას აზრებს. მას საკმაოდ კარგად ესმის ბეკარიას ენა, თუმცა აქა-იქ ხარვეზიც შეიმჩნევა. კერძოდ, რთული ენით გადათარგმნილი ფილოსოფიური შეხედულებები ლაკონურობას მოკლებულია და მიუხედავად დიდი სურვილისა, ნაწარმოების პოლიტიკურ-რელიგიურ მნიშვნელობას მთლიანად ვერ გადმოცემს.

ისაევის თარგმანი

„ღვთისმეტყველმა უნდა დაადგინოს საზღვარი სამართლიანსა და უსამართლოს შორის, ამა თუ იმ მოქმედების შინაგანი ბოროტების ან სიკეთის ან

ჩვენი თარგმანი

„დაე, ღვთისმეტყველმა თვითონ დაადგინოს საზღვარი სამართლიანსა და უსამართლოს შორის, ამა თუ იმ ქმედების შინაგანი ბოროტების ან სიკეთის მი-

სხვა ქმედების აზრით; პოლიტიკური აზრით, ანუ საზოგადოებისათვის სარგებლისა თუ ზიანის თვალსაზრისით სამართლიანის ან უსამართლოს საზღვრების დადგენა, პუბლიცისტის ამოცანაა. ერთი წინასწარ მეორეს არ წყვეტს, ვინაიდან თითოეულისათვის ცხადია რამდენად ჩამოუვარდება პოლიტიკური ზნეობრიობა უცვლელ ღმერთისაგან მომდინარე ზნეობრიობას.

ან, ვიმეორებ, ვინც ისურვებს თავისი კრიტიკით პატივი დამდოს, უპირატესად, მან სათნოების ან რელიგიის დამანგრეველი საწყისები არ უნდა მომაწეროს, რამდენადაც მე ვაჩვენე, რომ ეს ჩემი საწყისები არაა და იმის ნაცვლად, რომ ურწმუნოდ თუ მეამბოხედ გამომსახოს, უმჯობესია დაამტკიცოს, რომ მე ცუდი მოაზროვნე ან გონებაშეზღუდული პოლიტიკოსი ვარ. კაცობრიობის ინტერესებში წამოყენეხედვით; დაადგინოს საზღვარი სამართლიანსა და უსამართლოს შორის პოლიტიკური მნიშვნელობით, ანუ საზოგადოებისათვის სარგებლობისა და ზიანის თვალსაზრისით — პუბლიცისტის ამოცანაა. ერთი ამოცანა არ განაპირობებს მეორეს ამოხსნას, ვინაიდან თითოეულისათვის ცხადია, თუ რამდენად ჩამოუვარდება პოლიტიკური პატიოსნება, ღვთისგან ბოძებულ უცვლელ ზნეობრიობას.

ვიმეორებ, ვისაც ჰსურს პატივი დამდოს თავისი კრიტიკით, უპირველეს ყოვლისა, არ უნდა მომაწეროს მე ის საწყისები, რომელნიც ანგრევენ ზნეობრიობას ან რელიგიას, რადგანაც მე ვაჩვენე, რომ ეს ჩემი საწყისები არაა და იმის მაგივრად, რომ წარმომაჩინოს მე ურწმუნოდ ან მეამბოხედ, უმჯობესია დაამტკიცოს, რომ მე ცუდი მოაზროვნე ან არაშორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი ვარ; ის არ უნდა მიეცეს შიშს ნებისმიერი შეთავაზებისას, რომელიც

ბული ნებისმიერი წინადადებისაგან საჭირო არაა იგი შიშში ვარდებოდეს. დაე, მან ჩემს მიერ გამოთქმულ საწყისთა გამოუსადეგარობასა ან პოლიტიკურ საშიშროებაში დამარწმუნოს; დაე, მან დამიმტკიცოს მიღებულ წესთა უპირატესობანი. შენიშვნებსა და შემჩნევებზე პასუხად, სუვერენს ჩემი რელიგიურობა და მორჩილება საჯაროდ დავუდასტურე. მომდევნო, მსგავს ნაწერებზე პასუხის გაცემა ზედმეტი იქნებოდა, მაგრამ თითოეული, ვინც პატიოსანი ხალხის შესაფერისი წესიერებით დაწერს და როგორი ხასიათისაც არ უნდა იყოს იგი, მე პირველსაწყისთა მტკიცებისაგან ცოდნით მიხსნის, ჩემში იპოვის ალბათ, მშვიდობიანად განწყობილ ჭეშმარიტების მოყვარულს, ვიდრე ადამიანს, რომელიც, რაც არ უნდა მოხდეს, პასუხს გაცემს მას".

კაცობრიობის ინტერესებიდან გამომდინარე წამოიჭრება; უნდა დამარწმუნოს ჩემს მიერ გამოთქმული საწყისების უსარგებლობასა ან პოლიტიკურ საშიშროებაში და მან უნდა დამიმტკიცოს მიღებული წესების უპირატესობა. მე საჯაროდ დავადასტურე ჩემი რელიგიურობა და მორჩილება ჩემი სუვერენისადმი პასუხი**ო ჩანაწერებსა და შენიშვნებზე.** შემდგომში, ზედმეტი იქნებოდა პასუხის გაცემა ამგვარ ნაწერებზე, მაგრამ ნებისმიერი, ვინც დაწერს წესიერად, ისე, როგორც შეეფერება პატიოსან ადამიანს და იმ ცოდნით, რომელიც ამარიდებს პირველსაწყისების დამტკიცების აუცილებლობას, რა ხასიათისაც არ უნდა იყოს ის, ჩემში უფრო მშვიდობიანად განწყობილ ჭეშმარიტების მოყვარულს აღმოაჩენს, ვიდრე ადამიანს, რომელიც რაც არ უნდა მოხდეს, პასუხის გაცემისაკენ მიისწრაფვის".

საყურადღებოა, რომ ისაევის თარგმანში რამდენიმე მნიშვნელოვანი თავი არასწორადაა ინტერპრეტირებული. კერძოდ, X თავი – მან დაასათაურა, როგორც "ორთაბრძოლების შესახებ" ("О поединках"), ბეკარიამ კი აღნიშნულს "დუელისათვის" ("Dei Duelli") უწოდა. XVIII საუკუნის იტალიაში შერკინების ხსენებული ფორმა გახლდათ აქტუალური და მწერალმაც თავის ნაშრომში ყურადღება სწორედ მასზე გაამახვილა.

XLIII პარაგრაფი ისაევთან დასათაურებულია, როგორც "ხელისუფლებანი" ("Власти"), ბეკარიამ კი ორიგინალში "მაგისტრატი, ანუ ხელისუფლება" ("Magistrati") იგულისხმა. მოყვანილ თავში ისაევი ძირითადად მმართველებზე საუბრობს, ბეკარია კი განიხილავს სასამართლო ხელისუფლებას, რომელთა საქმიანობით მთლიანობაში ხელისუფლება რჩება მოგებული.

ბეკარიას წიგნის რუსულ თარგმანებთან დაკავშირებით ზედმეტი არ იქნება იმის აღნიშვნა, რომ რუსულ ენაზე არსებობს და ძალზე პოპულარულიცაა ბროშურა ბეკარიას შესახებ. **პავლენკოვის** ცნობილ გამოცემაში, ბიოგრაფიულ ბიბლიოთეკაში "გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება", 1893წ. გამოვიდა **პ.ი.ლევენსონის** ბროშურა: "ბეკარია და ბენტამი", 94 გვ.; მათგან პირველს მიეძღვნა 48 გვ. ნარკვევი ბეკარიას შესახებ პრეტენზიას არ აცხადებდა ღრმა მეცნიერულობაზე, მაგრამ კარგად ხატავდა თვით ბეკარიას და მისი წიგნის ჰუმანურობას.

დასასრულს, უნდა ვაღიაროთ ის დიდი დახმარება, რომელიც ჩვენს მუშაობაში გაგვიწიეს ზარუდნის, ბელიკოვის, იაზიკოვის, სობოლევის, ისაევის, ხოლო უცხოელთაგან შაიუ დე ლიზის და ესულბორნის თარგმანებმა. წინამდებარე თარგმანები, რომლებზეც მათმა ავტორებმა დიდი შრომა გასწიეს და დიდი სიყვარულიც ჩააქსოვეს. ჩვენთვის ძვირფასსა და შეუცვლელ დამხმარე სახელმძღვანელოებად იქცნენ. ამიტომ სამართლიანობა მოითხოვს განვაცხადოთ, რომ მათ გარეშე ჩვენ ვერ შევძლებდით თარგმანის გადმოცემას ამუამინდელი სახით.

დანართი III

ადგილები წიგნიდან, რომლებიც ან არაა, ან შეცვლილია მორელეს რედაქციაში

1. უპირველეს ყოვლისა, მორელეს თარგმანში არაა მიმართვა "მკითხველისათვის". ეს გამოტოვება სავსებით გასაგებია, ვინაიდან მიმართვა მხოლოდ V გამოცემაში გამოჩნდა.

მიუხედავად ამისა, აღნიშნული თვალშისაცემი გამოტოვება, რედერერის მიერ აღდგენილი არ იყო, ვინაიდან იგი ბეკარიას თარგმანის გამოსვლის შემდგომი გამოცემების ორიგინალური ტექსტისათვის მიმართვას (V, VI) აუცილებლად არ მიიჩნევდა, ან რადგანაც, იგი ამ დამატებას შეგნებულად უგულებელყოფდა. იგივე შეიძლება ითქვას თვით მორელეს შესახებაც, რომელიც, როგორც ჩვენ ვნახეთ, რედერერის გამოცემას თავისი თარგმანის საუკეთესო გამოცემად მიიჩნევდა.

მორელეს გამოცემაში არაა დამატება, ჩასმული § XL (38): "იარაღის ტარების ამკრძალავი კანონები... შეიძლება წარმოიქმნას კანონი, რომელსაც ზოგადი მნიშვნელობა ექნება". შეისაძლოა, ეს დამატება პირველად V გამოცემაში გამოჩნდა.

მიმართვა "მკითხველისათვის" და დამატება § XL 1812 წლის მილანის გამოცემაშია აღდგენილი, ხოლო იქიდან კანტუს გამოცემაში გახლავთ გადატანილი. ბეკარიას გვიანდელმა მთარგმნელებმა, რომელნიც "მორელეს

რედაქციას" მისდევდნენ, ვერც შეამჩნიეს, რომ შესაბამისი ადგილები არ იყო მორელესთანაც.

2. როგორც ჩანს, სრულიად შეგნებულადაა გამოტოვებული მორელეს მიერ შემდეგი ადგილები:

§ II (2): "ყოველი სასჯელი, რომელიც არ გამომდინარეობს უპირობო აუცილებლობიდან, როგორც დიდი მონტესკიე ამბობდა, ტირანულს წარმოადგენს. ეს დებულება შეიძლება გამოხატული იქნეს უფრო ზოგადი სახით: ადამიანის ადამიანზე ძალაუფლების ნებისმიერი გამოვლინება, რომელიც არ გამომდინარეობს უპირობო აუცილებლობიდან, ტირანულს წარმოადგენს. ამგვარად, აი, რაზეა დაფუძნებული სუვერენის უფლება დასაჯოს დანაშაულისათვის: ზოგიერთ პირთა მხრიდან საზოგადოებრივი სიკეთის ხელყოფისაგან დაცვის აუცილებლობით".

§ III (3): "არსებობა ამ ვალდებულებისა, რომელიც სასახლესაც და ქოხსაც, ყველაზე დიდებულსაც და უბადრუკსაც ერთნაირად აკავშირებს (ზღუდავს), ამტკიცებს, ყველას ინტერესში უმრავლესობისათვის სასარგებლო შეთანხმებათა დაცვა უნდა შედიოდეს. *თუნდაც ერთ-ერთი მათგანის დარღვევას ანარქიის დამკვიდრებამდეც რომ მივყავდეთ".* (გამოტოვებულია კურსივით აკრეფილი წინადადება).

§ X (29): "და ვინც უნდა აჩვენოს თავის თანამოქალაქეებს, რომ მას მხოლოდ კანონისა ეშინია და არა ადამიანების".

§ XXXIII (23), პარაგრაფის დასაწყისშივე: "როდესაც შეურაცხყოფა ინიშნება დანაშაულისათვის, რომელიც ამგვარად არ მიიჩნევა, მაშინ სუსტდება მისი მნიშვნელობა იმ დანაშაულისათვის, რომელიც მას იმსახურებს".

ყველა ეს ადგილი V გამოცემაში როგორც "დამატე-

ბანი" არაა აღნიშნული. მაშასადამე, გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ისინი არა მარტო III, არამედ I გამოცემაშიც არსებობდა.

1812 წლის მილანის გამოცემაში და კანტუსთან ხსენებული ადგილები არაა აღდგენილი.

თავის წიგნში ბეკარია უშვებს, რომ სიკვდილით დასჯის გამოყენება ორ საფუძველზეა მიღებული, მორელესთან კი *მხოლოდ ერთ* საფუძველზე გახლავთ ცნობილი. შესაბამისი ადგილი მორელესთან შემდეგნაირად ჟღერს:

"მაგრამ თუ მე დავამტკიცებ, რომ *საზოგადოების ჩვეულებრივ მდგომარეობაში* მოქალაქის სიკვდილი არც სასარგებლოა, არც აუცილებელი, მე საკაცობრიო საქმეს მოვიგებ.

მე ვსაუბრობ საზოგადოების ჩვეულებრივი მდგომარეობის შესახებ, ვინაიდან მოქალაქის სიკვდილი აუცილებელი *მხოლოდ ერთ შემთხვევაში შეიძლება იყოს*!, კერძოდ როდესაც თავისუფლება აღკვეთილი..."

შემდეგ ტექსტი გრძელდება ისევე, როგორც ბეკარიასთან, *მაგრამ აბზაცის ბოლო სტრიქონები:* " – მე ვერ ვხედავ მოქალაქის განადგურების ვერანაირ აუცილებლობას, მხოლოდ თუ მისი სიკვდილი არ იქნება სხვათა მიერ დანაშაულის ჩადენისაგან თავის შეკავების ქმედითი და ერთადერთი საშუალება. აი, მეორე საფუძველი, რომლის მიხედვითაც სიკვდილით დასჯა შეიძლება სამართლიანად და აუცილებლად მივიჩნიოთ" – *არაა* მორელეს თარგმანში.

ძნელი დასაშვებია, რომ მორელემ თავს უფლება მისცა აგრერიგად დაემახინჯებინა ორიგინალის ტექსტი. უნებლიედ ჩნდება აზრი, რომ თარგმანი სრულიად შეესაბამებოდა III გამოცემის ტექსტს. სამწუხაროდ, ეს

გამოცემა ჩვენს განკარგულებაში არ ყოფილა და ამიტომ, მორელეს თარგმანის შემოწმება შეუძლებელია. კითხვა კიდევ იმით რთულდება, რომ I გამოცემაში ისევე, როგორც V-ში (უნდა ვიფიქროთ, რომ II-შიც) სიკვდილით დასჯა ორ საფუძველზე იყო დაშვებული. ამის მტკიცების უფლება ჩვენ გვაქვს, თუმცა ჩვენს ხელთ არ იყო I გამოცემა, იმის წყალობით, რომ ფაკინეის მოჰყავს ციტატა, რომელიც სრულად შეესაბამება V გამოცემის ტექსტს, იგივე ჩანს ფაკინეის პამფლეტის "პასუხიდანაც".

თუ დავუშვებთ, რომ მორელემ ორიგინალის ტექსტი არ დაამახინჯა, ამით მივალთ დასკვნამდე, რომ III გამოცემაში ბეკარიამ საკუთარი საწყისი შეხედულებიდან რატომღაც უკან დაიხია და მას V გამოცემაში კვლავ დაუბრუნდა.

რედერერის გამოცემა მორელეს თარგმანის ტექსტს ასახავს, მაგრამ 1812 წლის მილანისა და კანტუს გამოცემა ტექსტს V გამოცემის რედაქციით იძლევა. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ლიტერატურაში აქამდე ყურადღება არ ჰქონდა მიქცეული მორელესა და ბეკარიას რედაქციებში განსხვავებული აზრების არსებობას სიკვდილით დასჯის საკითხებში. გვერდი აუარა მას – ესელბორნმაც.

ყოველივე ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მთარგმნელები, ვისაც ეგონათ, "მორელეს რედაქციას" მისდევდნენ, სინამდვილეში 1812 წლის მილანის გამოცემის ტექსტით ხელმძღვანელობდნენ, რომელიც ბეკარიას ვაუმა – ჯულიომ – საკმაოდ სრულყოფილად ჩამოაყალიბა.

სარჩევი

წინასიტყვაობა 5
ჩეზარე ბეკარიას შესახებ 7
დანაშაულისა და სასჯელისათვის 17
მკითხველისათვის 18
შესავალი 26
§I. სასჯელის წარმოშობა 30
§II. დასჯის უფლება 32
§III. დასკვნები 36
§IV. კანონის განმარტება 39
§V. კანონის ბუნდოვანება 44
§VI. თანაფარდობა დანაშაულსა და სასჯელს შორის 47
§VII. შეცდომები სასჯელის საზომის დადგენის დროს 52
§VIII. დანაშაულის დაჯგუფება 55
§IX. ღირსებისათვის 60
§X. დუელის შესახებ 64
§XI. საზოგადოებრივი მყუდროებისათვის 66
§XII. სასჯელის მიზანი 69
§XIII. მოწმისათვის 70
§XIV. *ნივთმტკიცებანი და სასამართლოს ფორმა 74
§XV. საიდუმლო ბრალდება 79
§XVI. წამებისათვის 83
§XVII. † სახელმწიფო ხაზინის შესახებ 95
§XVIII. ფიცის დადების შესახებ 99
§XIX. სასჯელის დაუყოვნებლობა 101
§XX. ძალადობა 105
§XXI. *სასჯელი თავადაზნაურთათვის 106
§XXII. ქურდობა 109

§XXIII. შეურაცხყოფა 111
§XXIV. უსაქმურნი 114
§XXV. გაძევება და კონფისკაცია 116
§XXVI. საოჯახო სულისათვის 118
§XXVII. სასჯელის ლმობიერება 124
§XXVIII. სიკვდილით დასჯისათვის 129
§XXIX. დაპატიმრებისათვის 144
§XXX. პროცესი და ხანდაზმულობა 151
§XXXI. ძნელად დასამტკიცებელი დანაშაული 156
§XXXII. თვითმკვლელობა 163
§XXXIII. კონტრაბანდა 171
§XXXIV. მოვალეთა შესახებ 174
§XXXV. თავშესაფარი 179
§XXXVI. დაკილდება დამნაშავის დაკავებისათვის 181
§XXXVII. *თავდასხმები, თანამზრახველები, დაუსჯელობა 183
§XXXVIII. მისახვედრი კითხვები; ჩვენებები 187
§XXXIX. დანაშაულის განსაკუთრებული სახეობისათვის 191
§ XL. მცდარი წარმოდგენები სარგებლიანობაზე 193
§ XLI. როგორ ავიცილოთ დანაშაული 197
§ XLII. მეცნიერებისათვის 200
§ XLIII. ხელისუფლება 206
§ XLIV. ჯილდოები 207
§ XLV. აღზრდა 208
§ XLVI. † შეწყალებისათვის 209
§ XLVII. დასკვნა 212

ბიბლიოგრაფია 213
დანართი I 213
დანართი II 214
დანართი III 249